

Խաչիկ

2

1986

XXVII ყრილობის დელეგატებს

ისევ აპრილის მზის სხივებია
და მზის შუქს შუქი მოსდევს ალმებად...
და დიად შვილებს, ღირსეულ შვილებს,
დედა-სამშობლო მოგესალმებათ!

მშვიდობის ბურჯნო, დიდება თქვენდა,
უუმტყიცესნო ფოლადის — რვალის,
კაცობრიობის ბედ-იღბალს სჭედავთ,
თქვენ შემოქმედნო უბადლო ზვალის!

დიდება თქვენდა, მაშვრალთა მხსნელნო,
სამყაროს ხსნაც რომ გულს გახატიათ,
თვითონ ლენინი, ბრძენი ლენინი,
თქვენი პირველი დელეგატია!

ისევ აპრილის განთიადია,
მზის შუქი ალმებს მოსდევს ალმებად
და ტრიბუნიდან, მზედ რომ ანთია,
თვითონ ლენინი მოგესალმებათ!

შალვა მჭედლიშვილი

სსსს

343

გამომცემის მცდელობა წელი

2

თეზაურუსი

1986

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. ცხოვრების მთავარი ნიშანსებები

სკკპ XXVII ყრილობის შესახებდრად

5. გიორგი გიგაური — სოფელი სიკვდილს გადაარჩინილი... — ლექსი

პროზა და პოეზია

9. გივი ალხაიშვილი — ლექსები
13. რამაზ შენგელა — ტაიი, სასწაული და ლაყბის ერთი მხე. ისტორიული მოთხრობა.
52. მედია კახიძე — ლექსები
54. ალუდა არაგული — ლექსები
57. ბესიკ მაღლაკელიძე — დაბეჭდვანი, ლეგენი

ეტეულები

78. გივი ძნელაძე — ლექსები
81. ნატა შვანია — ლექსები
83. ირაკლი ლომოური — ფილმი. მოთხრობა
88. ვაჟა შუბუნიძე — ლექსები
91. ნუგზარ კობახიძე — ლექსები
93. გოდერძი ბიწიშვილი — სიკვდილი მზეში. მოთხრობა
100. ნუგზარ გელაშვილი — ლექსები
101. დიმიტრი გულიშვილი — კარტოფილის კატლე-ტები. ნოველა

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ფაქტი

106. თედო ბეჭიშვილი — ფილმი-ბანსაწმედელი
108. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — 80

წერილები

112. კობა იმედაშვილი — „ბახსმოდეს სიცოცხლე“, ღასაწყისი
122. თეიმურ მირიანაშვილი — თავისებური ხმის კომები
129. მიხეილ მახარაძე — „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პროგნოზები“
137. ნუგზარ წარბაქაძე — ქართული მწერლობის დეს-პანებად ცოლონეთში
146. რამაზ ბარამიძე — დავით გურამიშვილის ლირიკის ჯოგირდები ასპეტის გამო
156. სოფიო ჩოხელი — სამოწილო პოეზიის ერთი ასპეტისათვის

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ლვინაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაიშვილი

თედო ბეჭიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)

გურამ გიგაური
გივი გიგაური
გიორგი გუგუნი
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიშვილი
მედეა კახიძე
ჯანსუღ მარგალიტი
შოთა ნიშნაიძე
გურამ შანგიძე
მორის ურსიშვილი
ნუგზარ შატაიძე

ამთხედელ
ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გოგი წარბაქაძე
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხნელიძე
მასა ჯონაძე

ცხოვრების მთავარი ნიშანსვამტი

1986 წელი დიდი სამომავლო იმედების წელია. დაიწყო იგი მეთორმეტე ხუთწლიდით, ხუთწლიდით, რომელმაც ძირეული გარდატეხა უნდა მოახდინოს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში!

ეს წელი დაიწყო დიდი პოლიტიკური მოვლენით. — ლენინური პარტიის XXVII — ყრილობით. კარგა ხანია ემზადებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა ამ მოვლენისათვის, საბჭოთა ხალხი ახალი ენერგიით, ახალი შრომითი გამარჯვებებით და კულტურული მონაპოვრებით შეხვდა თავისი პარტიის ფორუმს. რთული და მრავალმხრივი წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენს დროში ისახება ახალი პერსპექტივები იმ გლობალური საკითხების გადაწყვეტისა, რაც თანამედროვე მსოფლიოში დაგროვდა. არ შეიძლება არ გვახარებდეს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო გამჭაფრებული სიტუაციების სასიკეთოდ შემოზრუნების მთავარი ინიციატორი ჩვენი ქვეყანაა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი გენერალური მდივანის აშხ. მ. ს. გორბაჩოვის დაუცხრომელი მოღვაწეობის წყალობით სრულიად ახალი პერსპექტივები გადაიშალა როგორც ქვეყნის შიგნით სოციალური და ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარებისათვის, ასევე საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. ყველასათვის ცნობილია შარშანდელი წლიდან მოყოლებული ამ მხრივ ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგები. ყველასათვის, მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის გახდა ნათელი საბჭოთა კავშირის კეთილი ნება აშხ. მ. ს. გორბაჩოვის განცხადების შემდეგ, რომელშიც კონკრეტული წინადადებებია წამოყენებული 2000 წლისათვის მთელს მსოფლიოში ბირთვული იარაღის მოსპობის შესახებ. სწორედ ეს სულისკვეთება მსჭვალავს მთელს ყრილობას — მშვიდობიანი მსოფლიოს მომავალი და ჩვენი ხალხის, ჩვენი სოციალისტური სისტემის შემდგომი აყვავება-განვითარების პერსპექტივები.

წინასაყრილობო დოკუმენტებშივე აისახა ჩვენი ხელისუფლების დემოკრატიული ხასიათი — ხალხის სამსჯავროზე იქნა გამოტანილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია, წესდებაში შესული ცვლილებები, ფართო მასების უშუალო მონაწილეობით დაწესდა და დაკონკრეტდა მრავალი დეტალი და ახლა ყრილობამ იგი საბოლოოდ დამტკიცა ცხოვრებაში გასატარებლად. ასევე დამტკიცდა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები. მათს საფუძველზე, მათში ჩამოყალიბებული მითითებების კვალდაკვალ ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII — ყრილობამ ნათლად დაგვანახა ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტების სრული მზადყოფნა საერთო-



საკავშირო მიწნებისათვის ბრძოლაში, წარმოაჩინა ის სასიკეთო ტენდენციები რაც ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, სამეურნეო-ეკონომიკური ექსპერიმენტების თამამი დანერგვა და რესპუბლიკის მორალურ-ზნეობრივი კლიმატის მკვეთრი გაუმჯობესება, უკომპრომისო ბრძოლა ყველაფერთან, რაც ხელს უშლის ჩვენს შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

„ჩვენში ფართო გზა თავისუფალი შემოქმედებისათვის,“ და რომ „პარტია უფრთხილდება ტალანტებს“. ამ სიტყვებში ჩვენი მწერლობა ხედავს პარტიის უდიდეს ზრუნვასა და ყურადღებას მწერლობისადმი, ხედავს მწერლობის როლის უაღრესად მაღალ შეფასებას ჩვენს კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხედავს თავის სოციალურ ფუნქციას. „ფართო გზა თავისუფალი შემოქმედებისათვის“ ეს ნიშნავს მართლად და მაღალმხატვრულად ავსახოთ ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, ვიდგეთ მოვლენების ავანგარდში, ღრმად ჩავწვდეთ იმ ცხოვრებისეულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა საერთო-სახალხო საქმეა. შემოქმედებითი თავისუფლება ნიშნავს ფორმების თამამ ძიებებს და არა უსაგნო ფორმალიზმს, ნიშნავს, რომ არ მოვექცეთ სქემებისა და ტრაფარეტების ტყვეობაში, არ მოვწყდეთ იმ მაღალმხატვრულ ტრადიციებს, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი პროზა და პოეზია, ეს ნიშნავს — ვქმნიდეთ ჩვენი რთული და მღელვარე დღევანდელი მისაღწევად საკადრის მხატვრულ ქმნილებებს. პარტია თვითონ იძლევა ურთულეს პრობლემათა გადაჭრის დინამიურ მაგალითებს, თამამ ექსპერიმენტებს თამამი ადამიანები ატარებენ. ადამიანი უნდა იყოს მთავარი თემა ჩვენი მხატვრული შემოქმედებისა.

ამას მოგვიწოდებს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა. იგი მოგვიწოდებს პატიოსნად, ფხიზლად, ობიექტურად ვუყუროთ საქმეების რეალურ მდგომარეობას, არ დავიმშვიდოთ თავი, პირნათელნი ვიყოთ მილიონობით მკითხველთა წინაშე. მწერლობა უნდა აყალიბებდეს მკითხველის გემოვნებას, მან არ უნდა დაკარგოს ამ საქმეში პრიორიტეტი. არადა დღეს, ინფორმაციის ბუშის საუკუნეში, როცა ასე მაღალია მკითხველის ინტელექტუალური დონე, მწერალს განსაკუთრებული და მუდმივი მზადყოფნა ჭირდება ამისათვის. უდავოა ქართული მწერლობის წარმატებანი, მაგრამ დღეს, ყრილობის საქმიან და ფხიზელ ატმოსფეროში, ალბათ აჯობებს თვითკრიტიკულად შევხედოთ ჩვენს ნაღვაწს, უფრო მისაღწევზე ვიფიქროთ, ვიდრე მიღწეულზე, უფრო ფხიზლად გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს, უფრო ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ნაღვაწი და ნამოქმედარი.

„პარტია უფრთხილდება ტალანტებს“. ძვირფასი სიტყვებია, საქმით განმტკიცებული და დადასტურებული. მაგრამ ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ტალანტის თვისება — შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, კოლექტივობა...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის საქმიანი, გულახდილობითა და პირდაპირობით აღსავსე ატმოსფერო პირდაპირ გვაავალდებს ჩვენს შემდგომ მუშაობაში ამ სტილის დანერგვას, პირდაპირ მოგვიწოდებს ნამდვილი შემოქმედებითი შრომისაკენ, რათა უფრო უკეთესი გათენდეს ზვალინდელი დღე. რათა მკვიდრი საძირკველი ჩავუყაროთ მომავლის ნათელ შენობას.



გიორგი გიგაური

სოფელი სიკვდილს გადაარჩენილი...

პ რ ო ლ ო გ ი

ისევ მოგაძახი თბილისის კარით
და მოვეუარე სტრიქონს მოფრენილს,
შენ ხარ ხევსურთა ფარი და ხმალი,
მთელი გვარი და მთელი სოფელი.

შენ ხარ წყარო და
შენ ხარ არაგვი,
ქუჩი სათიბი,
ქერი სამკალი,
იქნებ ზღაპარი,
იქნებ არაკი,
წასაკითხავი სულის კანკალით!..

საქარაგვო გერგო გაუგონარი —
ცხელი სხივებით სავსე მზის სურა, —
თვითონ მთა არის
შენი ბორანი
და სამყაროში
მშვიდად მიცურავ.

I.

საით მიდიან ხევსურნი ნეტავ,
მთიდან დაძრულნი ნიაღვრებად,
ფოლადის ლაგამს საღარი კვნეტავს,
ულელს ამტვრევენ ნიშა ხარები.

მიდიან,
ბეჭზე მომსკდარი ოფლით,
ძველი ქალამნით,

ვეძღვნი ჩაჩაშრ ბიბაშრს, რომელიც ოც-
დათ წელზე მეტია მარტოდ-მარტო ცხოვრობს
მშობლიურ ბლოში, ცეცხლს არ აკრობს მამა-პა-
პეულ კერაზე.

დამსკდარ ფეხებით,
მიჰყვებათ დარდი დაცლილი სოფლის,
მიაცილებენ ხმელი ვერხვები...

ჩაღმე ბარისკენ ჩაჰყვენენ წყალ-ქალას,
ხაზმატისა თუ რომეის ქარაფებს;
ვინაც ძალ-ღონე მთებს ანაცვალა,
ვინაც ხიდეები გადო არაგვზე,

გულუწადინოდ ტოვებს ჭიუხებს,
წასვლა აწუხებს,
განა აშინებს;
ვინ იცის, გზაო, საით მიუხევე,
სად დაამკვიდრებ ბუდეაშლილებს...

არ უნდათ,
მაგრამ მაინც მიდიან,
ასე ისურვა ვიღაცამ თურმე,
ქალებს თვალებზე ცრემლი ჰკიდია
და ცრემლის წვიმა ასველებს ურმებს.

II.

ბლოც დაიცალა,
ჩასახლდნენ ბარად,
გამოიხურეს კარი ქვიტიკრის,
აღარ ღუღუნებს ჭერხოში ჯარა,
აღარ ბუხუნებს წყალზე წისქვილი.

აღარ წკრიალებს სიმი ფანდურის,
აღარ ძვრიალებს გრდემლი ფოლადის,

სტუმრისთვის მუდამ მხრებშემართული
აღარ ივსება ტაბლა ხორავით.

აღარ რეკავენ ვერცხლის ზარები,
ბასრი ცელები აღარ ელავენ,
ველარ შეხვდები მშობელ მხარეში
თორიან ვაეებს — კლდეთა
მზვერავებს.

ველარც ასულებს თვალშუქიანებს,
ტანაშოლტილებს ალვისდარადა,
ჩამქრალი კერა ვერ გაზიარებს
ლამაზ სიმღერას — სულის ალამდარს...

მაგრამ ო, ღმერთო,
ვიღაცა მოდის,
მიდამოს ორბის თვალეებით უმზერს, —
სანახებს ახსნა სიჩუმის ლოდი,
განწირულ სოფელს მოუსწრო სულზე.

III.

ჩაჩაურ, ბიჭო,
კარგი ხარ, მართლა,
რომ მოეახლე ბლოს მაღალ ზეცას,
მთათა კალთაზე ხარ-გუთანს მართავ,
ვიწრო ბილიკებს შუნივით კეცავ.

ვერ მოგაწონეს,
რაც არ გინდოდა,
რაც არ გჯეროდა,
ვერ დაგაჯერეს,
გამოეჭეცი „ნოეს კიდობანს“
და ერთგულება ჭიუხს აჩვენე.

დასახლდი,
სადაც ცხოვრობდა მამა,
დასახლდი ჭიჭურ,
დასახლდი კენტად,
რამდენ სათქმელს და სამღერალს
მაღავ,
როცა მწუხარე ზამთარი გვეტავს.

შენ ბანზე ვერვინ შემოგიხტება,
ვერც დამუქრებით
და ვერც ანცობით,
გაყუჩება და ფიქრი გიხდება,
რწმენაც — ნიშანი შენი კაცობის.

გაუტეხელი შენი ბუნება,
აბორგენული სულის დიდება,
სხვებსაც მოუხმობს დასაბრუნებლად
და ისევ ბლოში დასამკვიდრებლად...

ერიპა, ჩაჩა,
არავინ მოდის,
მოსაწყენ დღეებს მარტო მიათრევ,
მითხარ,
ხვესურეთს დატოვებ როდის,
როდის შეაქცევ ზურგს გოლიათებს?

— სოფელს ვერ მოვშლი,
ვერ მოვშლი, ვერა,
ვერა, ვერ ვაქცევ ნადვერდალს
ნაცრად,
აქედან ვუმზერ იმედის მწვერვალს,
ამაზე მეტი არ მინდა არცრა!

IV.

წევს მარტოობა ლოდივით მძიმე
ოცდარვა კომლის ყოფილ კერაზე
და ჩაჩაური უღვივებს იმედს
ტყეებს,
სათიბებს,
ყანებს,
ყველაფერს.

ეთაყვანება საჯიხვეს კლდიანს,
ანკარა წყაროს,
წმინდა ჩანჩქერებს,
მათი ტრფიალის უებრო ტყვეა,
უსიყვარულოდ რა გააჩერებს.

წევს მარტოობა მძიმე ქვასავით,
გმინავს ქაოხი —
ჭერხოს ხიზანი,
მიიზლანება ნისლი ფრთაშავი,
მიიტალდება მზისკენ მიზანი...

და როცა დაღალს გაიშლის ღამე,
როცა ქარაფზე ჩაწვება მწუხრი,
ჩაიგორებენ ხრამები მთვარეს,
გააჩალებენ დევები ბუხრებს, —

ეწვევა ჭერხოს ცივსა და ცრიატს,
სიბნელეს სულში ჩაიღვრის ჭარბად,

მამიკელი სახლ-კარის ტყეა
და მომავალზე ოცნებება ლამბავს.

ო, როგორ უნდა, რომ ეყოს ღონე
ყველა სახლის ჭერს შეუდგეს
ბურჯად, —

ინგრევა ბანი,
შეშვლდება ყორე,
ყვირის ხარი და
ჭიკინებს ლურჯა...

V.

შემოგესალტა, ჩაჩა ვარამი,
მოთმენის ძაფი წყდება, მგონია,
უნდა გაუძლო,
სხვა გზა არ არის.
უნდა მიბაძო მუხებს გოლიათს.

უნდა ეწამო შენი ფიცისთვის,
ვაჟკაცის სიტყვა რაკი ლერწამობა,
შენი ზეცისთვის,
შენი მიწისთვის,
შენი ციხისთვის უნდა ეწამო.

ისევ მოგძებნის ბედი — მდევარი,
მოგძებნის,
ალარ დაიგვიანებს
და ღამეების თეთრად მთევარი
ერთად მოიჩვენ ყველა იარას...

შენს სიამაყეს ბევრნი ნატრობენ,
ჩაჩაურ. ჭილდოდ ესეც გეყოფა:
ალარ შეგშენია ვეფხეს სიმარტოვე,
დროა და უხმე სულის მეგობარს.

VI.

ბლოში მოვიდა თვალშურთხა რძალი,
ვაჟკაცის სულის თანაზიარი,
რძალი კი არა
იმედი ზვალის,
რძალი კი არა
ყანა მზიანი.

მთის ყვავილები თავდახრილ თინას
წინ გაეშალნენ ცვრიან ვარდებად,
ჩაჩას მიწურში აენთო დილა,
დილა, რომელიც არ დაღამდება.

-- დამეჩაგრები,
ამაზე ვწუხვარ,
თუ მოაკლდება სარჩო მაგიდას,
— მოგმეკი ყანას,
დაგინთებ ბუხარს,
გაგობრდი შვილებს,
მეტი რა გინდა...

და აფრთხილდნენ ბლოში მართვენი,
სამი ქალ-ვაჟი,
სამი სიამე,
ბრწყინავს.
ციმციმებს კერის ნათელი
და ჭერხოს კარიც ღაღად ჭრიალებს.

სასტუმრო სუფრას ვერ დაუწუნებ,
მასპინძლის სიბო გულში იჭრება,
დაგუბებული მთებში სიჩუმე
ბეჭებზე დასცეს გოგო-ბიჭებმა.

სათიბ-სამკალმა ფერი იცვალა,
გუმზერ სანახებს კვლიით მოფენილს,
-- ჩაჩაურ, ძმო,
შენს თავს ვფიცავარ,
კაცი კი არა,
შენ ხარ სოფელი.

VII.

სიცოცხლეს მეტი აზრი მიეცა
და მარტოობა წლებს იქით დარჩა,
ალარ დაჰყურებს ჩაჩას მღვრიე ცა,
არც ბნელი ღამე აწუხებს ჩაჩას.

ჩამოჰკრა ზარი საგანთიადო,
ბოლო არ უჩანს ხმატკბილ მოძახილს,
მისი ხმაიადი მართლაც ხმაიადობს,
ჭერმადალია მისი ოჯახი.

მისით ამაყობს მთებში მოსული
მწყემსი,
მწერალი,
თუ მონადირე,
რამდენს გაუხდა კეთილმოსურნედ,
მგზავრობა რამდენს გაუადვილა.

შვილებს მომთმენი სული შთაბერა,
უძღვნა სიწმინდე მომავლის გზებად;

ჩაჩაურს აბა რა დააბერებს,
რა გაუწელეს ჭაბუკურ გზნებას.

ვინ დაუწუნებს ჭირთა ატანას,
მხრებით აწეულ ქარბუქს, ქარწვიმას,
სძლია დევები,
ქაჯიც,
სატანაც,
სოფელი სიკვდილს გადაარჩინა...

მოსასვლელ შარას გაჰყურებს რწმენით,
იცის რომ მოვლენ,
მოვლენ კაცურად;
— და სანამ მოხვალთ,
სოფელი ჩვენი
არის ჩემგან და ხვთისგან დაცული.

შემოუბრუნდით ბლოსა და შატილს,
აშაღეთ გუნდი ორბის, ციცარის,
შეგეგებებათ
მთა — წმინდა ხატი,
დედა — მზის უწინ დასაფიცარი.

იჩქარეთ, ძმებო,
მე აქ დაგხვდებით,
კედელს აკრული ხუროს ხელივით,
ჩემი დიაციც,
ჩემი ბალღებიც,
სოფელიც სიკვდილს გადაარჩინილი.

ეპილოგი

შენ ბლოში მარტო დაგტოვეთ
კომლად,
სოფელი სოფლობს შენი კაცობით,
იცი შენება,
შენახვა,
მოვლა,

გყავს მტერ-მოყვარი,
უცნობ-ნაცნობი.

თესავ და იმკი,
თიბავ და მწყემსავ,
მთებს ახმიანებს ბუბუნი ბულის,
გაქვს საკუთარი ზედაშე, ხემსი,
არ გახარობს ცხელი ასფალტის ბული.

სამშობლოს უზრდი
შვილებს ჯიშინს,
გზიბლავს ყოველი ვაჟის გაჩენა
და შენთვის დიდი დანაკლისია
უმეზობლოდ და უძმოდ დარჩენა.

ხანჯალს აფხავებ,
ტალს უცვლი ხირიმს,
იარაღს ჟანგი არ გააკარე,
ამაყი მთების ამაყი შვილი
გაჰკიდებიხარ ჯიხვთა ნაკვალევს.

თლი და ახვავებ დაგრეხილ ყანწებს,
ჩაჩაურ, წუთით არა გაქვს მოცლა,
გაგიჭირდება,
ხარივით გასწევ,
გაიყოლებ მეუღლის ლოცვას.

თავზე ევლები ჩვენს ნააკვნარებს,
და ბლო კვლავ ბლოობს შენი ამაგით,
მთებს ერთგულება ვეღარ აკმარე,
ლამის ჩაისხა მკერდში არავგი.

იქნევ ცელსა და
ნამხრევში გძინავს,
სიზმრად ჩაგესმის დედის ლოცვანი,
მე, ძმაო,
შენს ბედს შეენატრი ხშირად,
რაა ამაში გასაოცარი?



გივი ალხაზიშვილი

აღამოს სუნაქვა ათრთოლებს რტოებს,
თითქოს ჰორიზონტს ცეცხლი ედება,
მოწყენილობა, ჩუმად რომ მტოვებს,
ბაღში ჩრდილივით აღმოცენდება.

ისევ იმახვრევა ტალღების კიბე
და სხვათა ნაცვლად მოდიან სხვები,

მოწყდება წამი საამოდ მწიფე,
ჩავლილი დროის ნეტარი შხეფი.

შეგუებული სიამეს მარტივს,
ისევ გავყურებ სანახებს უცვლელს
და მშობლიურად ნაცნობი დარდი
გადაეცემა ტალღებად ფურცელს.

ერთი დღის კრონიკა ანუ ლიტმუშაკის ჩივილი

კარი იღება, იკეტება, ისევ იღება,
ცივი თვალები მოედება სხეულს ეკლებად,
ფანჯრის იქით კი ოქტომბერი ღრუბლებს იღება
და მოქარვისფრო სივრცეებში მიერეკება.
მოკლე ფრაზები და ღიმილი მწყურვალ ბაგეთა,
ერუ სიამაყე — უძლურების თავშეაფარი,
ორივე იდაყვს ჩამოვყარდნობ საწერ მაგიდას,
სავსეა უჭრა — ხელნაწერთა საძმო საფლავი.
დღე უფერული უსურვილოდ მიიზღაზნება,
თითქოს ჰაერშიც დაცურავენ ყალბი ფრაზები,
მოვა მღელვარე, სიმშვიდეში თეაავს აგზნებას,
გულს მოიხებებს, დამშვიდდება, ჩვენ კი ვბრაზდებით.
პოეტი ქალი შემოივლის (კოხტად აცვია),
— თუ წაიკითხეთ ჩემი ლექსი „ვნება იელის“?
რა ვუპასუხო, აშკარაა სუბლიმაცია
და მხურვალეობა შეუუვსებელ სიცარიელის.
წადი, ლამაზო, მშვენიერო, შენს გზაა ეწიე,
დემოგრაფიას შენი ლექსით არ ეშველება,
შენც ხომ გერჩია, რომ აკვანი ყრმისთვის გერწია,
არ შერჩენოდი ამ სიბერწეს და უშვილობას.
ხელნაწერებით გამოჰყედილ უჯრებს, კარადებს,
მიუჩქმალიათ ენერგია მრავალ მოცლილის,
მაკულატურის წყვდიადიდან ზოგჯერ ანათებს
მთრთოლვარე სიტყვა ციურ მადლით გარემოსილი.

მოდო, პოეტო, ნუ იშხამავ ეჭვით ხასიათს,
ამოიწურა უმკაცრესი ჟამი დათმენის,
შენს სტრიქონებში მოლისფერი სიხასხასეა
და უსასრულო სიღრმეების ათინათები.

რაა ოცნება აღსრულებული?
ის ყვავილია მოწყვეტილი,
თვალწინ რომ ჰქნება
და თუ ოდესმე რაიმეს ნატრობს
ისევ იმ ბაღს, სადაც მოწყვტიტეს.

თავს ნუ იწონებ,
შენ განა ის ხარ,
ვინც მე მიყვარდა?
იგი სულ სხვაა,

იგი ახლა შენც გენატრება.

შენი თვალები
ბალახში გამკრთალ წყაროსავით
გამოანათებს,
მიიმალება სადღაც ჭავლივით,
ბედნიერი ვარ, რომ ოცნება არ
ამისრულდა,
ჩემთვის შენ ის ხარ,
ის, რაც შენთვის არის ჩავლილი.

ზღვაზე

შეუპოვრობა მაფიქრებს ზღვისა,
მე კი მშვიდი ვარ და უდარდელი,
ვლიდინებ, აღარ დავეძებ სხვისას,
თუმცე სატკივარი არის რამდენი.

უსასრულობა მაოცებს ღამის,
წარმავლობას შევიგრძნობ მძაფრად,
თანდათანობით ვივსები შხამით,
მოჩვენებითი სიმშვიდე მზაფრავა.

როცა ამდენი სატკივარია,
საფიქრალია როცა მრავალი,
ნუთუ ჩემსავით ბევრი არიან
სიმშვიდისაქენ გზადმიმავალნი?!

საშინელია და შემზარავი
უძლურებას რომ სიმშვიდედ
ვნათლავთ,
გულში შეკითხვა ჩნდება ბზარივით:
გაუდარდელდა ქვეყანა მართლა?

გადმრდიოდა ჩემში თანდათან
ზღვის ყრუანტელი — მთვარის
ლივლივი,
თეთრი ვარდით ყელმოქათქათე,
როცა ზღვისპირად ჩამოივლიდი.

სურვილს ვებრძოდი, მაგრამ ამაოდ,
ვერ მოვერიე, ვემორჩილები,
თანამზრახველი მხოლოდ ღამეა
და ვარსკვლავები ღამის შვილები.

ცის ყრუანტელი გადამდებია,
მთვარეა ღამის გულის ნადები,
მაღე სიტყვები განათდებიან,
როგორც ვარსკვლავთა ათინათები.

ეს წამი, შენი აივრცის ნამცეცი,
ჩუმი ზეაღსვლის მხოლოდ შეხვია,
იქ ირეკლება სხივთა ლაციცი,
სხვათა თვალი რომ არ შეხებია.

დაგეძებ მთვარის მოსასხამიანს,
შრილებს ღამის შავი ფურცელი,
ღამეში ზღვაა, ზღვაში ღამეა
ცვალებადი და თითქოს უცვლელი.

შენა ხარ ტალღა, სურვილს არ მალავ,
მოხვალ და მოგაქვს ცა
ვარსკვლავებით,
დროს მარადიულს, თანაც წარმავალს
ამთლიანებენ შენი მკლავები.

ჩადგან ცბილისი ახლა შორია,
დრო უნდა მოკლან, რამით გაერთონ,
პირველი საქმე ახლა ჭორია
და გასაჭორი ვინმე საერთო.

სხედან, ლაყბობენ, აღიგზნებიან,
ჰმატებენ ჭორს თუ გესლი აკლია,

თუმცაღა ირგვლივ წმინდა ბზებმა
აღმაშენებლის აგარაკია.

ცას დაამძიმებს ყვავთა გოდება,
ეშურებიან სადღაც გუნდებად,
თურმე ეს ხმები ცაში გროვდება,
ოდესმე უკან დაგიბრუნდებათ.

ელეგია უმომლოცვისა

აქ ყველაფერი მეუცხოება,
როცა შორდება მზე დააალიერს,
უცხოა, თითქოს, მთელი ცხოვრება,
ამ კედლებში რომ ჩუმაღ გავლიე.

უკან მანებდებს ზოგჯერ სათავე,
თავმოებზრებულს დღეთა სიმდორით,
გაქრა ზაფხული მზის საათივით,
ჩრდილივით გაჰყვა სიტყვა
„მშვიდობით“.

უნაპირთა ზღვა სიმძიმის,
გაუბზარავი ხმა მომლოცველის,
ვით ავადმყოფი ბავშვის ღიმილი
ნაღვლიანია მზე ფოთოლცვენის.

მიდის მდინარე, მბრწყინავ ზედაპირს
არც ახსენდება ტალღა ჩავლილი
და ჩემი მზერა გაუბედავი
გაქცეულ ტალღებს მისდევს
ჭავლივით.

უმოძრაობა და მდინარება.
ზარი. ზარის ხმა. წყნარი ამინდი.
მდინარე მიდის, მიიპარება
და ანარეკლი არსად არ მიდის.

ღიახ, ეს ჩემი ანარეკლია
ოთახში რომ დგას და იღიმება,
მე კი მივყვები დღეებს ეკლიანს,
დაუსაბამო დროის დინებას.

შებინდებისას იბადება ცაში ზარის ხმა,
მალღა გვახედებს და გვასხვავებებს,
მალე საღამო ვარსკვლავებად გულზე დაისხამს
ბგერებს გაბნეულს, ამოთა ფიქრით ნაფერებს.
რა სიმშვიდეა, რა საეჭვოდ თვლემენ ქარები,
რას მიგვანიშნებს ღრუბელი რომ უხმოდ ინგრევა?!
ჩვენ მუდამ ვჩქარობთ, ზედაპირზე მივექანებით
და არ გვცალია სიღრმეებზე დასაფიქრებლად.
მხოლოდ საღამოს განსრულებდა დღის მარათონი,
ყველას თავისი სანუკვარი ელის ფინიში,
ამოანათებს ვარსკვლავიან ცაზე მნათობი
და შენს საძებნად წამომიყვანს ღამის თბილისში.

აჰა, ვიპოვე რასაც ვეძებდი,
გაქრა ზამთარი, ყვავების ბინდი,
განათებული მზის ნამცეცებით
მეჩხერი ტყიდან გამორბის შინდი.

ისე დაჰბერა მარტის ნიაჲმა
და მოიყოლა სურნელი იის,
გული შექანდა,

სითბო ეამა,
როგორც იმ მარცვალს, ხნულში რომ
ღივის.

ცვარი ათრთოლებს მზის ათინათებს
და გაზაფხული თრთის ნაადრევი,
თუმც უნებლიედ, მაგრამ გინატრე,
ნეტავ, შენც-ასე თუ გენატრები?!

სხივი სულში რომ ციმციმებს
უხილავ სივრცის წვეთია,
ეს წამი უნეტარესი
მილიონ წამზე მეტია.
იქით რომ არ გაგეხედა,
გზა ცისკენ არ გაგეკვლია,
სხვებივით გაუყვებოდი

გზას მარადისად ეკლიანს.
ვიცი, რომ სხივის ნამცეცხი
ცით მოვლენილი მეკვლეა,
თუმცა უხილავ ნათელის
მარტოდენ ანარეკლია;
შენ მაინც ბედნიერი ხარ,
გზად სიყვარული შეგყრია.

ისევ უაზრო ღუმილი გტანჯავს
და ხმის გამცემი არავინ არ ჩანს,
მზეს, სარკეებში არეკლილ მარჯანს,
ბინდი შეუხვევს სისხლიან მაჯას.

ჩადის. ჩავიდა, ჩაგუბდა ჩრდილი,
მწუხრის ვარსკვლავი, ვით ცრემლი
ჩვილის,
გამოანათებს სალამოს ციდან,
აღმოცენდება საოცრად წმინდა,

გამოაგნებლად უმანკო წამი,
ვით უნებლიედ ნათქვამი: ამინ!

შენ მაშინ ჰგავხარ მღუმარე ორღანს,
გულში ღვთიური მუსიკა ბორგავს.
გსურს დაიღვარო ცაში ბგერებად,
მაგრამ რატომღაც ცრემლი გერევა,
სულს აფაქიზებს, თან ეფერება
ცრემლის მშობელი — ბედნიერება.

ცეცხლი ჩაიწვა და ჩანახშირადი,
რალაც დიადი თითქოს დასრულდა,
მკრთალი სხივებით გადაისრულმა
ზეცამ დაგვხედა მთვარის თვალებით,

ამეკვიატა ფეტის სტრიქონი,
ჩვენს სიყვარულზე როცა ვფიქრობდი:
„ვარსკვლავებს ვერსად დავემალებით“.

შუალამისას

ვინ იცის, რაზე მღერის ჭრიჭინა,
ლამის დარაჯი და ბინადარი?!
ვერავინ იტყვის, იგი სად არი!
ის ღამეშია ყველგან და არსად!

ღამურა ბაღში კვლავ დაფათურებს,
ქალის კივილი გულშემზარავი
უეცრად ანთებს ჩამქრალ ნათურებს.
ვერავინ იტყვის, ქალი სად არი!
ის ღამეშია ყველგან და არსად!

ქალის კივილი გააღებს ფანჯრებს,
უცებ იღვიძებს გარეუბანი,
ხმას მიჰყვებიან მზერით, გუმანით.
ვერავინ იტყვის, ქალი სად არი!
ის ღამეშია ყველგან და არსად!

ღია ფანჯრებში თვალების ფშვნეტა,
შიში მარადი და უძილარი:

— საიდან ისმის, ნეტა ვინ არი?
— ის ღამეშია ყველგან და არსად!

ღუმილი გვიან აქრობს ნათურებს,
რადგან სიმშვიდე ისევ გამეფდა,
ჩაკეტავს ფანჯრებს, ხალხს ჩააძინებს
ცნობისწადილი რომ აწამებდათ.

და ისევ მღერის ღამის ჭრიჭინა,
ლამის დარაჯი და ბინადარი,
ვერავინ იტყვის, იგი სად არი!
ის ღამეშია ყველგან და არსად!

შენ სიახლოვეს და შენს სიშორეს
ვგრძნობ უხილავი ვარსკვლავის
მსგავსად,

ვერავინ იტყვის სად იმალები,
შენ ღამეში ხარ ყველგან და არსად!

ტაია. სასწაული და ლაზიკის პრტი მზე

ისტორიული მოთხრობა

ციხეგოჯის განაპირა კოშკის ზედა საკანში ბნელოდა. ბნელოდა სარკმელს იქით დარჩენილ მოგვძო ოთხკუთხედ სამყაროშიც, სადღაც კი, ალბათ, ნათელი იყო და იმ გაბრდღვიალებული ქვეყნიდან უქმად დარჩენილი სხივი მაინც შემომძვრალიყო მალე გათენების მაცნედ და იმედად. სარკმელს თუ სათოფურს მიმდგარ ერთადერთ ტუსაღს დამრეც, ცივ და ხორკლიან სანათურში თითქმის ჩაეჭედა სახე და გაშტერებული გაჰყურებდა წვრილ-მწვანედ ჩამუჭებულ დაბლობს. ზღვა არსად ჩანდა, მაგრამ დიდი წყლის სუნთქვა საცნაური იყო. მის შეგრძნებას არც მოგვობა სჭიროდა, არც სამშვიდობის წვრთნა დიდძელი წიგნებით. თითქოსდა ამ ვეებას, ლირწსა და გაშლილს დიდსულოვნად დაეხია უკან. მზითვეად დაეტოვებინა ადამიანისთვის ეს უფლის სამკვიდრო მიწა, ლელვა და ფორიაქი.

ზღვა ახლო იყო, ხელის ერთ გაწვდენაზე.

ტაია შერგილისძე, ლაზი დიდაზნაური, გათენებას ელოდა. სარკმელს მიცხვებულს გალავანში მოქცეული ქალაქის იდუმალება სიმშვიდედ ეღვრებოდა სხეულში და აი, თითქოს ზარებს შემოჰკრესო, ლითონის ძვრიალი მოესმა. უმაღ პატარა აჰყვა წკრიალით. მერე ისევ დიდმა დაიხაფა ხმა...

უტა მკედელი იწყებდა თავის დღეს. ციხე-ქალაქის გაღვიძებას კიდეც არა ერთი სიზმარი აკლდა, მაგრამ ტაიას აწეწილ სულში ისევ ადამიანებმა იწყ-

ეს შემოსახლება. სული კი გაწვრილდა, აწრიალდა, გამოძვრა სხეულიდან და სარკმლიდან გასხლტა. გულის ბაგა-ბუგის ამარა დატოვა ხორცი-ბატონი.

ამ დროს მორიალე ნისლმა ჩაუარა სარკმელს და ნათელმომძლავრებული სამყარო შეატოვა ტაიას. არგათენება სჯობდა ამ ცისკარს.

უცნაური, თითქმის ყველასაგან მივიწყებული სასჯელი ელოდა დიდაზნაურს, მეფისგან „ბოძებული“. ვერ გადაეწყვიტა, რა იყო ეს, დაცინვა თუ ცდა ვერგამეტების?

გაურკვევლობის მოლოდინში ცაცხა-ხებდა შეუმჩნევლად. უჩქველად, გაურკვევლობისა და დილის სუხის ბრალი იყო ყოველივე...

მეფე გუბაზს ნაადრევად ჩაცმული სამეფო კვართივით მუდამ თან დასთრევდა ბედისწერა. ხალხში ხმა იყო გასული, გუბაზი ყელზე ჭიპლარმოხვეული დაბადებულა თურმე. ერთიანად გალურჯებულს, აღარც მაჯისცემა ჰქონია და არც სუნთქვა. ბეზიაქალებსა და უფალს სასწაული მოუხდენიათ. პატარა, შეუხედავ არსებას გაოცებულნი დასცქეროდნენ და თვით უფალს ყველაზე მეტად უკვირდა მისივე ნაშთის გადარჩენა. ახალშობილის მიწიერ მამას წათეს უხაროდა: ლაზთა მომავალი მეფის გული გამალებით სცემდა. პატარა არსება კი იმანჭებოდა, ხელ-ფეხს იქნე-

ვდა, თითქოს ვიღაცას ეომებოდა. ან თავი დამანებეთ, მომშორდითო — ამბობდა და ტიროდა. ტიროდა...

წათე ახალდაბრუნებული იყო კონსტანტინოპოლიდან, იუსტინე კეისრის მიერ ხელდებული და მონათლული. გაქრისტიანებულს, ახალგაზრდა მეუღლე მოჰყვა, ჯვარდაწერილი. პატრიკიოსისა და აპოკურაპალატის ნომის ასული. გუბაზის დედა, დიდი ქალური ტკივილების მოვალედ მთმენი ქალი, გაეკრებულთი შეხვდა ამ ამბავს. ავად დუმდა მისი ძირძველი ლაზური გვარიც. პატარა გუბაზის დანახვაზე თუ გახსნიდნენ წარბს, თითქოსდა პროკრუსტეს სარეცელზე თანაბრად გაწვართული ქერა გოლიათები მის გაზრდას, ტახტზე აღზევებას გაჰყურებდნენ მომავლის თვალთ და ნეტავ კი ვინმეს ხელი შეეშალა! ხანდახან წათეს პოლიტიკურად გამართლებულ ნაბიჯსაც აღნიშნავდნენ. უხალისოდ, ეს ისე, საკუთარი თავმოყვარეობის დასაპურებლად მხოლოდ.

ტაია, მთიანი ლაზიკისა და აფშილეთის ბატონის, შერგილის უფროსი ძე, მაშინ თხუთმეტი წლისა, მამისეული სახლის აივანზე ოფელში გახვითქული იჯდა და ფარეკაობაში აზნაურ მირდატის სიტყვიერ გაკვეთილს უსმენდა, მაცნე რომ მოიჭრა და ტანტის მემკვიდრის გაჩენა აუწყა დიდაზნაურის სახლეს. შერგილიმა უხვად დაასაჩუქრა მალემსრბოლი და ზომიერად ღიმაკრულმა სამდღიანი ნადიმი ბრძანა. ასეთი იყო მეფის ერთგული მოხარკის წესი და გინდათუარა სურვილი. გარდა ამისა, ნათესაური სისხლიც ავალებდა შერგილს მეფის სიხარულის ზიარი ყოფილიყო. აკი, მეოთხე თაობის განაყოფები იყვნენ.

უნდა ითქვას და, ტაიას ჯერ კიდევ ბავშვურ გონებას ველარ აღეჭვა მომხდარი. მისთვის მხოლოდ მეფე წათე არსებობდა და სხვა არავინ. ეს სახელი ესმოდა მას შინ და გარეთ, მამისაგან და მისი დიდგვაროვანი მეგობრებისაგან,

ვაჟართა თუ გლეხთაგან. ჰოდა, ეს ვაჟი ბაზი ვილა იყო?

წათეს და შერგილის სიკვდილის შემდეგ ტაია უნდა გამხდარიყო მისი მონარქი და ყმადნაფიცი, მისი ყოველი სურვილის შემსრულებელი. ტაია, ტოლებსა თუ უფროსებში გამორჩეული მოჯირითე, მოფარიკავე, ჭკუითა და გონებით აღმატებული ყმაწვლი ამ ქვეშაფსია ღლაპის ყმადნაფიცი. ანდა როდის მოასწრებდა მეფედშობილი წლებით ამ განსხვავების წაშლას. არც ტაიასათვის დატრიალდებოდა დრო უკუღმამ! როცა ნაბახუსევზე მამას გაანდო თავის ეჭვები, შერგილი ცოტა ხანს დუმდა, მერე მისთვის უჩვეულო სიბრძნით უთხრა:

— მეფე ღვთის მოციქულია, შვილო, მიწაზე.

და გაუღიმა.

დრო გადიოდა. გადიოდა მისთვის მკაცრად დამახასიათებელი სისწრაფით. არც მეტი, არც ნაკლები. წლები გარბიან მოსვენებული და დაღბინებული ცხოვრებისას, ლაზიკის სახელმწიფოს ასე რომ აკლდა ყოველთვის, ხოლო ტყვეობაში მიზოზინობენ.

ბრძოლასა და ხარჯვაშია მხოლოდ დრო თავისუფალი, სუფთა და დამნდობი. არც ერთი დღე არ ჰკავდა მეორეს ტაიასათვის. ამიტომ ეპარებოდა ეჭვი მომავალი მეფის მომავალ სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობაში. ის, რასაც ტაია იღებდა ცხოვრებისაგან, გუბაზისათვის ცხვირწინ მოუბრუნებლად ჩაწეულებული ისარი იყო.

შერგილი გვერდიდან არ იშორებდა ტაიას. დიდსა თუ მცირე ბრძოლებში მხარდამხარ იბრძოდა მამა-შვილი. წათეც წყალობდა ერთგულ, მამაც ქვეშევრდომებს.

531 წელს მიიცვალა სპარსეთის მეფეთმეფე კავადი. მისი მემკვიდრის, ხოსრო პირველის მეფედ კურთხევაზე დასაწრებლად დიდებულთა ჯგუფს წათემ შერგილი უთავაყა. ოცდასამი წლის ტაიაც მამას გაჰყვა მტერიანი კტეზიფონისაყენ. ხოსრომ დიდი პატივით მიიღო

ლაზიკის ელჩიონი, დიდძალი ნობათიც ჩაიბარა. ერთკვირიანი ნადიმის შემდეგ კი რაინდთა პაექრობა ბრძანა...

მზე გადაწვერილი იყო, როცა ხოსრო პირველი მის წინ მდგარ ტანმოზრჩილ, შავი ხვეული თმებით და გადაბმული წარბებით შემკულ ახალგაზრდა კაცს შესცქეროდა, ზაქივით წყლადი და დიდი თვალები რომ დაეხარა.

„მე მინახავს ბელონის ტაძარში იბერთა მეფის, ფარსმანის მარმარის ქანდაკება“, — თქვა მეფემ, და შერგილს გადახედა. შერგილს ცრემლი უბრწყინავდა თვალებში. თეთრად გადაპენტილი თავი დახარა — მას თურმე, მსგავს პაექრობაში გაუძარჯვია — ბეჭდებით დახუნძლული ხელი გაიშვირა ხოსრომ გადახრუკული, ათხრილ-დათხრილი მოედნისაკენ — და ის არნახული პატივიც მისთვის მიაგეს უცხო მეფეს რომაელუბმა. შენც ფარსმანი უნდა გერქვას, ყმაწვილო, — გაიცინა ხოსრომ. — ფარსმანი დიდებული სახელია.“

სპარსთა მეფის ხოსრო პირველის წყალობა უსაზმნო იყო. სპარსეთით მობრუნებულ შერგილს და ფარსმანად წოდებულ ტაიას სახლში უდიდესი მწუხარება დახვდათ: ტაიას ორი ძმა და ერთი და სახადს ემსხვერპლა.

ორმოცი დღე გრძელდებოდა სასტიკი გლოვა.

ამის შემდეგ ეახლნენ მამა-შვილი ლაზიკის მეფეს და წვრილად მოუყენენ ხოსრო პირველის კარზე მომხდარ ამბებსა და ყურმოკრულ ჭორობებს. წათემ დიდად გაიხარა ტაიას წარმატებით, ათიოდე სოფელი აჩუქა ასორომცდაათზე მეტი კომლით და სინანული გამოთქვა, რომ უფლისწულს ვერ გააცნობდა სახელოვან ვაჟკაცს. კენწლაობისას უხერხულად მოქნეულ ხმაღს არცთუ სახუმარო ჭრილობა მიეყენებინა გუბაზისათვის. შენისთანა ვაჟკაცების გვერდით უნდა გაიზარდოსო გუბაზი, — ბოლოს დასძინა. სამაგიეროდ პატრიკიოსისა და აპოკურაპალატ ნომის ქალიშვილისაგან შეძენილი პატარა წათე წარუდგინა

სტუმრებს, ალისფერი თმებითა და მაკური ჭროლა თვალებით.

„ცბიერი ბიზანტიელი“, — გაიფიქრა შერგილმა.

„გველის წიწილი“, — გაიფიქრა ტაიამ...

ხუთიოდე წელი ტაიასათვის ნადირობაში, წვრილ-წვრილ შეტაკებაში გაილია. ერთ შემოდგომაზე კი ჯვარი დაიწერა აფხაზების ბატონ სკეპარნას ერთადერთ ასულზე. გუანცა, თეთრი კალმით ნახატი გუანცა გახდა შერგილის დიდი სახლის დიასახლისი...

გაზაფხულზე წათე მოულოდნელად ლოგინად ჩავარდა. ვეება წყალმანკიანი მუცლის დამატებად ჩანდა მისი გაღებული, გაყვითლებული ტანი. ლაზიკის სამეფოს დიდებულები შეჩქეფდნენ, მაგრამ სანამ იმპერატორის ხელდასმული მეფე არ მოკვდებოდა — სიტყვასაც ვერავინ დასძრავდა. მით უმეტეს, ახლახან დატბული „საუკუნო ზავი“ ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დინების დადინჯებას, ხმლების ქარქაშში ჩაგებას ნიშნავდა, დროებით მაინც. ახლა არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა. არც დღეს, არც ხვალ. იბერიის სამეფო გაუქმებული იყო. შფოთი იგივეს მოუტანდა ლაზიკასაც. თუმცა კი დიდი ვერაფერი შვილი ამბავი მოხდა თავშეკავებითაც: ავადმყოფ წათეს იუსტინიანემ იმპერატორ იუსტინეს ტახტის მემკვიდრემ და თითქმის სეხნიამ, ფრიად უპატივცემულო საქციელი მიაგო. ლაზიკის დაკარგვის შიშით, იმპერატორმა ჯარი ჩამოაყენა ლაზიკაში, ისე რომ წათეს არაფერი აცნობა. ჯარს პეტრე სარდლობდა. ლაზები დაბნეულები შეჰყურებდნენ სან ავადმყოფ წათეს, ხან ერთმანეთს და ხანაც უზომოდ გათავხედებულ ბიზანტიელებს, სიბრყვისა და უზრდელობის შესაშურ გაკვეთილებს რომ იღებდნენ მთავარსარდლისაგან. ყველაზე საოცარი მაინც ის იყო, რომ ბიზანტიელნი ლაზების დამცველად, ქრტიანობის გადამრჩენად ასაღებდნენ თავს და უაზრო პრეტენზიებით

დახუნძლულები, პატივისცემას და მო-
რიდებას ითხოვდნენ ხალხისაგან.

კრებამ, რომელსაც შერგილი თავა-
ცობდა, იუსტინიანეს დესპანი გაუგზა-
ვნა, ფირმანიც აახლა და თავისი გაჭირ-
ვება შესჩივლა. ლაზები მორიდებით
ახსენებდნენ განდევნილ იმპერატორს
ურთიერთვალდებულებას. იუსტინიან-
ეს პასუხი დაცივნის დარი ყო: პეტრეს
ნაცვლად, ადგილობრივი ბიზანტიური
ჯარის სარდლად იოანე გამოგზავნეს. არც
თანხლებ წერილში იყო რამე თქმული
სანუგეშო. ჯარის ლაზიკაში დგომა იმ-
პერატორს საკამათოდ არ მიაჩნდა.

ტაიამ გუბაზი კრებაზე ნახა პირვე-
ლად. თქვესმეტ წელს მიღწეული ბიჭი
ფრიად უცნაურ ცხოვრებას ეწეოდა,
უფლისწულისაგან ჯერ არ გაგონილს.
ხან სად იყო და ხან სად. ყაბარდო-
ში ყონალებთან რომ დაიზამთრებდა,
პაპანაქება ზაფხულში მაწანწალად გა-
დაცმული სპარსეთის გზებზე დაეხეტე-
ბოდა. მერე დაბრუნდებოდა, ოჯახს მო-
ესიყვარულებოდა, ძუძუმტეებთან გადა-
აყოლებდა გულს და ისევ გაქრებოდა.
დატოვებდა აფორიაქებულ დედას, ბი-
ძებს და გაქრებოდა.

კრებაზე პირველად ნახა ტაიამ. მამის
ავადმყოფობით დადინჯებული ყმაწვილი
უფლისწული გამორჩეულ საკარცხულ-
ში ჩამჯდარიყო და ხასხასა ლურჯი თვა-
ლებით აკვირდებოდა კრებიონთ. ტაია
მისმა ტანადობამ განაცვიფრა. ოცდა-
ათს მიღწეულს და არცთუ ცოტა ქვეყ-
ნის მნახველს, მსგავსი გოლიათი, თან
ასე ნატიფად ნაკვეთი, არსად ენახა.
დედის შტოისა იყო გუბაზი, საქციელიც
ბიძებივით ნელი და დანდობილი ჰყო-
ნდა, უხილავი ცეცხლით დატენილი.
კრებამ ისე ჩაიარა, ხმა არ გაუღია.

ტაია სასახლის ეზოში ვავიდა, ხელი
მოიჩრდილა და უცებ შეხება იგრძნო
მხარზე. მოტრიალდა. შემკრთალმა
აყოლა მზერა და გუბაზის კეთილად
მღიმარ ლურჯ თვალებს წააწყდა.

— ტაია ბატონო, ბოდიშს ვიხდი შე-
წუხებისათვის...

ტაიამ უკან დაიხია, მხრებამდე
! წვდებოდა.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის
ამ ცოტა ხანში გეწვიოთ მინდა. ამბო-
ზენ აფშილეთს კარგი სანადირო ადგი-
ლებიაო თქვენს გვერდით ყოფნა პატი-
ვი იქნება ჩემთვის. ნათესაობაც მეტ სი-
ახლოვეს გვავალებს, ალბათ.

ტაიამ თავი დახარა:

— მამაჩემის სახლის კარი მუდამ ღიაა
თქვენთვის უფლისწულო. ღმერთს
მადლობას ვსწირავ და თქვენ — დაფა-
სებისათვის.

გუბაზმა გაიღიმა.

— ორიოდ კვირაში თქვენთანა ვარ,
— ხალისით თქვა და ამხელა კაცი ბავ-
შვის სისხარტით გაუჩინარდა კარში.
მზე ჯერ არ გადაწვერილიყო, რომ უმი-
ზეზოდ გულმოსული ტაია ცხენზეთქე-
ბით მიჰქროდა ლაზიკის ვიწრო ხეობე-
ბისაკენ. გულამოვარდნილი ამაღა ძლი-
ვსლა ეწეოდა თვალსაკიდ მანძილზე.

შერგილი ციხეგოჯს დარჩა უამრავი
მცირე საქმეების გასარიგებლად.

საენის საჰვრეტთან სუსტმა შეუქმა გა-
იციალა. ეტყობოდა, დერეფნის ბოლო-
დან ჟინჟილა მოდიოდა. მერე ხმადაბ-
ალი ლაპარაკი და ჩუმი სიცილი მოისმა.
ფეხის ხმა ტაიას საკანთან შეწყდა. დი-
ღხანს ღუმდნენ.

საკეტმა დაიჩხაკუნა, ერთხელ, ორჯერ
და კარიც გაიღო. ოთხნი იყვნენ.

შემოლაგდნენ და კედელთან ჩამწკ-
რიდნენ. ორ მათგანს ხელთ ჟინჟილე-
ბი ეპყრა. ტაიას ოთხივე ემცნო.

ხმას არ იღებდნენ.

ტაია ადგილს მოსწყდა და ჩქარი ნა-
ბიჯით გაემართა დერეფნისაკენ.

ოთხივე ფაცხაფუცხით მიჰყვა. მათ-
მა დანახვამ რალაცნაირად აღანთო შერ-
გილის ძე, ერთ მუჰედ შეიკრა და თი-
თქოს გადაწყვიტაო რალაც. მისი შემ-
ხედვარე კაცი იტყოდა, დაფიქრებუ-
ლიაო, მაგრამ ფიქრი არ გაკარებია ტა-
იას გონებას. ღმერთო, ნუ მიწყენ და,
სწამდა თითქოსდა... რისი? ვისი?

თითქმის ჩარბოდა კიბეზე, ისინიც მოსდევდნენ გამალებულები. მთავარსა-რდლისაგან შეტევაზე გადაყვანას ჰგავდა ეს სურათი და არაფრით სხვა რამეს. ტაია ეზოში შეჩერდა, თანმხლებთ მოხედა. ხელალა ეცოტავა ამაღლა, იუყად-რისა.

— რამე ფარცავი ხომ არაფერია გუ-ბაზის თავს. მეომრები შემოკლებია, თუ მე მთვლის წინასწარ მიცვალეზულად?

— თქვენი კეთილშობილების და ლეთის განგების იმედით...

ოთხივე შეწყობული იდგა სატევარზე ხელგაკრული. ტაია მოპასუხეს დააკვი-რდა.

„ქორქაისძე“

— ამჯერად სწორად უფიქრია მეფ-ეს...

უცნაური ხუთეული დილის რიბირა-ბოთი გაფერმკრთალებულ ციხე-გოჯს გასცდა და მდინარისკენ დაეშვა. წინ ისევ ტაია მიდიოდა. ხელები უკან შემო-ეწყო და თავაწეული გასცქეროდა ნაირ-ფერად აჭრილ სივრცეს.

— ტაია ბატონო!

ტაია შეჩერდა. სამნი წინ გავიდნენ. ათიოდე ნაბიჯზე შედგნენ.

ქორქაისძეს ჰქონდა სათქმელი რაღ-აც.

— ტაია ბატონო, ჩემი მიზეზითა ხართ ამ დღეში, — ქორქაისძემ იყუჩა. — მე შევამჩნიე რუსტიკის კაცი თქვენთან წამოსული, მევე შევიპყარი თქვენგანით წამოსული შიკრიკი და გუ-ბაზს მოვახსენე, მაგრამ თქვენი ერთ-გული აღმოჩნდა მალემსრბოლი და ვე-რაფერი ვათქმევინეთ. პირადი მტრობ-ით არ გამიკეთებია მე ეს, ტაია ბატო-ნო... ქორქაისძე თვალეზში შეჰყუ-რებდა აფშოლეთის ბატონს.

— ყოჩაღ. მეფის ერთგულება და სა-მსახური ვის დაჰკარგვია, შენ რომ და-გეკარგოს! რაღას ბოდიშობ? წყალობი-სა და თანამდებობის ღირსი ხარ, ჰკუთ-რომ ჰქონდეს შენს ახალ პატრონს.

ქორქაისძეს აღმურმა გადაჰკრა. ძლივს დაიოკა თავი.

— არ მინდოდა სხვა უამური ფიქრი

წაგყოლოდა თან, — ძალზე წყნარად და შენობით მიმართა ქორქაისძეს. ჩემი ნამოქმედარი სხვისთვის მიეცე-რა.

— ჯერ ნუ მსაფლავებ, აზნაურო, — ქვასავით ისროლა ტაიამ.

— საფლავი არ გელირსება...

ჯგუფი ისევ შეერტდა. მდინარისკენ დაეშენენ და წყალზე მოტივტივე მომც-რო ოლეჰქანდირს მიაღდგნენ, რომელ-შიც კიდევ ოთხნი მენიჩზე იჯდა. სათი-თაოდ ჩახტნენ ნავში. მერე ერთი გად-მოიხარა, ნიჩაბი ჰკრა ნაპირს და მდინა-რებამ გაიტაცა ხუთეული.

შორიდან, ყინელილებით განათებუ-ლნი, ახირებულ მოქეიფეებს ჰგავდნენ.

წვიმით გალუმბულ დღეს მოადგა გუ-ბაზი თავისი ამალით შერგილის სახლს. სახლის პატრონი ისევ ციხე-გოჯს იყო. ტაია დახვდა დახავსებულ ფერდზე უფლისწულს და ფეხით წამოუძღვა რჩე-ულ ბედაურებზე ამხედრებულ მონადი-რეთ. სულ ექვსნი იყვნენ.

„კიდევ გამოპარულა სასახლიდან, ან გიყია, ან მასხრად მიგდებს. თავისი ყა-ბარდოელი ყონალი ვგონივარ. ხუთი კაცი... ან როგორ არ ეშინია?“ ფიქრო-ბდა ტაია და წვიმით თმაგადაღესილი, სრიალა აღმართს მგლური ნაბიჯებით მიუყვებოდა.

„მტერი არა ჰყავს, — დაცინვამ გაუ-რბინა, — თუმცა უფლისწულებს დაბა-დებით დაჰყვებათ მოშურნე და მტე-რი“...

სტუმრები შეშრნენ. მომსვლელ-დამ-ხვდურებმა ერთმანეთი მოიკითხეს, ამ-ინდს შესჩივლეს და დიდ აივანზე გაშ-ლილ სუფრას შემოუსხდნენ. ხელმარცხ-ნივ, სტუმრები ჩამწყრივდნენ: ქუთათი-სის პატრონი კაც ფარტაძე, ოცდახუთი წლის ტანწვრილი, ზრდილი ვაჟკაცი, დამრეცი თაფლისფერი თვალეზით და მოკლე წვერით, სენაკელი ბატონი და-

რამაზ შინაგულია

ტაია, სასწაული და ლაჟიკის მართი მზი

და შ. ფაღვა, ორი ძმა, შავშელი აზნაურეზი და ციელი საურმაგ ქარდა. ელამი. გაბაქრძენილი გლეხი. ხელმარჯენი, ტაია შერგილისძის სახლელი მოთავსდა: აზნაურები არჩა ქორქაისძე, მირდატ გუგაისძე და ორიოდ ქარმაგი გლეხი. რა ბრწყინვალეობითაც უფლისწული ცობრძანდა, დახვედრაც ისეთივე საზეიმო იყო. ტაია კმაყოფილი შეჰყურებდა სუფრის მეორე თავში თეთრად დაზვინულ გუბაზს.

გახურდა ქეიფი. მეინახენი ალაპარაკდნენ, დაიწყეს ხუმრობა და ტაშის ცემა. მსახურნი ძლივს აუდიოდნენ ათიოდე კაცის ყველა სურვილისა თუ ახირების შესრულებას. ტაიაც იცინოდა, მღეროდა და მჭექარე ხმით გაჰყვიროდა სადღეგრძელოებს. მაინც რაღაცა აწვა გულს, მძიმე, გაქვავებული, თითქოსდა ავი წინათგარძნობით ჩაკირული, სუნთქვას რომ უშლიდა. მერე დამდორდა სუფრა. კიდევ ერთხელ უსურვეს წათეს ჯანმრთელობა და დიდხანს ზეობა, სამშობლო ახსენეს, მტრებს შეაგინეს და არჩა ქორქაისძემ განავრცო სათქმელი:

— აღარა აქვს კოლხეთს ძველი დიდება. აღარავის ვებატონობთ, უმეტეს წვრილ-წვრილი ხალხებისა, ჩვენ კი არა და, თავისთავსაც რომ აღარ ადგია. რამ დავგცა, რამ დავგამცრო? ჩვენივე ბუნებრივმა უსასობამ, ერთმანეთის შურმა და არგატანამ. ვანა კი ბიზანტიონთ და სპარსელთ არა შურთ ერთმანეთის და არა მტრობენ ერთმანეთს? ეგ მათი მოგონილია, მაგრამ საზოგადო, საერთო საქმეს არ აფუჭებენ. ჩვენ კი ვკიჯგნით ერთმანეთს, ვჭამთ, ჯიშში არ მოგვდგამს ენრთად შეეკრა და მუშტის აღმართვა, არ ძალგვიძს ბატონობა, ზიზღის ღირსი...

— კმარა! — იყვირა ტაიამ.

ქორქაისძე გაშრა. ტაიას წარბები აეჭაჩა, ამღვრეული დაჰყურებდა სუფრას.

— კმარა. შენისთანები რყვნიან და აფუჭებენ ხალხს. შენისთანები თესენ უძლურებას და მონობის აუცილებლო-

ბის აზრს. შენისთანები აცუდებენ მოქნეული ხმლის მჭრელობას. მაშ, შენისთანები ვართ? ბიზანტიელები და სპარსელები — კარგები? რად არ მიდიხარ მათთან, რად არ აულოკავ ფეხისძირებს? ერთი რამ უნდა იცოდეს: თუ შენი თავის სრულყოფილებაში გეპარება ეჭვი, წადი და სატევარზე დაეგე. უჯიშო ყოფილხარ!

ქორქაისძეს მიტკლისფერი ედო.

— მაგ თვითდარწმუნებამ დაგვლუბა, ტაია ბატონო...

— თვითდარწმუნებამ და ჩვენი მოდგმის გიჟურმა საწყისმა მოგვიყვანა დღემდე, უღდეურო! — ჭეჭასავით გაისმა ტაიას ხმა.

არჩა ქორქაისძე მკვდრეთით აღმდგარი მიცვალბუღივით წამოიმართა და კიბისაკენ წაბარბაცდა, კიბისთავს მიეფშვნა ტაიას მიერ გასროლილი ჭინჭილა. ქორქაისძეს არ მოუხედავს, ისე ჩაიარა კიბე და გაუჩინარდა.

სიჩუმე ჩამოვარდა, მარტო გუბაზი ათამაშებდა ხელში ძვალს და გულისწამლებად არაყუნებდა მრავალ ლხინანახ მაგიდაზე.

— დააბრუნეთ აზნაური ქორქაისძე, ტაია ბატონო, სტუმრის თხოვნაა—თქვა ბოლოს დაგუდული ხმით—არა მგონია, მთლად მტყუანი ყოფილიყოს ეგ კაცი.

ტაიამ უცებ ასწია თავი. ღიმილით შეაჩერდა. წამი წამს გაჰყვა.

— თქვენთვის მიჩუქნია აზნაური არჩა ქორქაისძე, უფლისწულო, — და თავი დახარა ისევ მოკრძალებიანი ნიშნად.

ამის შემდგომ აუფრა ძალე დაიშალა და ტაია გუზნებაშეცვლილი გაემართა თავისი საძინებლისაკენ.

„რას მექიშვება ეს ღლაბი—აგდებით გაიფიქრა — ერთი მაგისა...“

შუალამით თავით-ფეხამდე დამბალი შერგილი ამოვიდა ციხეგოჯიდან. კარგ გუზნებაზე იყო. ძალზე მოსწონდა გუზაზის ეს საქციელი.

მათ მომავალ მეგობრობას შეჰხაროდა.

ტაიამ არაფერი უთხრა და თავის მი-
დებისთანავე ჩაეძინა.

დილა-ალიონზე ბუკ-ნალარას ჰკრეს.
რამდენიმე წუთში გამოიღალნენ მონა-
დირენი სახლიდან, სალამი უთხრეს
ერთმანეთს და ბინდბუნდში მოჩვენე-
ბეებით ამოძრავდნენ. ყველანი, აქ იყ-
ვნენ. ქორჭაიძე არ ჩანდა მხოლოდ.
ნისლი იყო მომძლავრებული. გუბაზი
ალტაცებული გასცქეროდა იღუმალ მი-
დამოს: ქვეშ-ქვეშ ელიმებოდა.

— უნდა ვიჩქაროთ, გუბაზ, — უთხ-
რა ფარტაძემ, თან უნაგირი მოსინჯა
და ისრებზე გაივლო ხელი, — მარეკები
კარგა ხანია გავიდნენ.

გუბაზი მოტრიალდა და ცხენს მოე-
ვლო. თითქოს ამას ელოდნენო, ყველა
ამხედრდა.

— აბა, უფლისწულო, ყოჩაღად,
დალ შეგეწევა! — გაძახა შერგილმა,
თეთრი თავი უკან გადაიქნია და ბედა-
ური მოსწყვიტა. მას სტუმრები მიჰყე-
ნენ. ტაიამ ცოტა ხანს თვალით გასდია
წასულებს, რიგრიგობით რომ უჩინარ-
დებოდნენ რძისფერ ნისლში. მერე მა-
ნაც მოსწყვიტა ცხენი და დილის ნიავს
გაჰყვა.

თავიდანვე ასე გაიყვნენ: უფლის-
წულს შერგილი გაჰყვა, თუმცა გუბაზს
ეტყობოდა, მარტოს უნდოდა ნადირო-
ბა, მაგრამ უარის თქმა ველარ შებედა
აფშოლეთის ხნოვან ბატონს. შერგილს
კი თექვსმეტი წლის ჭაბუკის უსაფრ-
თხოზა უფრო აღარდებდა, ვიდრე მისი
ხუმტურის შესრულება. კაც ფარტაძეს
და დადამ ფაღვას ძმები შავშელები გა-
ჰყვნენ. ტაიამ საურმაგ ქარდა გაიყო-
ლია და შერგილის დარიგების შემდეგ
თუ ვინ რომელ საფარში უნდა ჩამჯდა-
რიყო და მარეკებისაგან დევნილ ნა-
დირს სად უნდა დალოდებოდნენ, უღ-
რანში შეაჰენა. ზეპირად იცოდა ეს ად-
გილები. ყველაზე კარგ საფარში შერ-
გილი და უფლისწული იყვნენ, რასაკ-
ვირველია. ყველაზე ცუდში — ტაია
და საურმაგი. გუბაზი მაინც უკმაყოფი-
ლო ჩანდა: ტაიასთან იმიტომ მოდიო-
და, მისი ვაჟკაცობის ამბავი სმენოდა

და ერთმანეთის გადაშლილ ხიფათიან
თავგადასავალს ანგარიშობდა. აქ კი შერ-
გილმა რაღაც ჯამბაზობა მოუწყვა. —
ფარო, მარეკებო, ძაღლებო... ეგრე
ხომ ბაღლიც ინადირებდა. თავზევით
ძალა არ იყო. გუბაზი ტყვესავით ყუ-
რებჩამოყრილი წაჰყვა შერგილს.

ტაიამ და საურმაგ ქარდამ ყველაზე
მალალი საფარი დაიკავეს და მოწყენი-
ლები შეაჩერდნენ ერთმანეთს, შერგი-
ლისძემ თვალი აარიდა, უსიამო იყო
ელამი კაცის ყურება. საურმაგი დაბლ-
ვერილი ჩანდა, გუშინდელი ბავშვი
არც ის იყო და ამ საფარში ჯდომა
დიდ ვერაფერ ნადირობას რომ ჰპირ-
დებოდა, იცოდა.

ნისლი ნელ-ნელა იზლაზნებოდა
მთათა ფერდობებიდან. მწვანედ აფე-
თქებულ ხეებს შეფარებული ჩიტები
ჭიკჭიკებდნენ, კარკაცებდნენ, არ ის-
ვენებდნენ, ერთმანეთს ამცნობდნენ
გამოღარებას. მზებატონიც აღარ იფა-
სებდა თავს, მობრძანდებოდა, ხალი-
სით ავსებდა, ხეწდა გარემოს. ზეცა-
მაც გაიცისფერა და ჭიალუაც ამოძრავ-
და. სიბოზ გაჩნდა მყისიერად.

ტაია, საფარიდან წამოწეული, მიდა-
მოს ცქერით ტკებოდა. საურმაგს გა-
ხედა. ვერ გაიგებდი, საით იყურებოდა
ან უხაროდა, ან წყინდა რაიმე.

„ეს მაკლდა...“

ტაია გაფაციცდა. შორიდან ძაღლე-
ბის ღელავი და მარეკების გნისი მო-
ისმა. ტაიამ და საურმაგმა მშვილდები
გამართეს.

ხანი გამოხდა.

მათ ბილიკზე არავინ და არაფერი
გამოჩენილა. ერთმანეთს შეხედეს, აღ-
არ ღირდა აქ გაჩერება. ისიც არ იცო-
დნენ ქვევით რა ჯდებოდა. ხუთთოდ
წუთის წინ კი ისმოდა შეძახილები, ნა-
დირის ბლავილიც თითქოს. ტაია ცხენს
მოევლო და საურმაგს მოხედა. ის ისე
მშვიდად იჯდა უნაგირზე, თითქოსდა
კარგა ხანია, ამხედრებული ტაიას ელო-
დებოდა.

გაჰკვირდა შერგილისძე, ერთიც შე-
ათვალიერა ციელი ჯამუხი გლეხი და

დაღმართზე დაეშვა. სამიოდე წუთის ცხენსავალზე იყვნენ შერგილი და გუბაზი ჩასაფრებულები. მათკენ მიუწე-ვდა გული ტაიას...

...ათიოდე ნაბიჯზე გადატეხილი წყავის ხესთან რაღაც ბანჯგვლიანი არსება ეგდო გაუნძრევლად. თავ-პირი არ უჩანდა ერთიანად დაჩეხილს და გასისხლიანებულს. იქვე ხმალიც ეგდო, შერგილის ხმალი.

გუბაზი რაღაცას გადაფარებოდა თავისი ვეება სხეულით. მისკენ ნაბიჯით მომავალ ტაიას გამოხედა. ცისფერ თვალებში სიმშვიდე და სასოწარკვეთა ერთად განიფრთხილდა.

ტაია მიუახლოვდა. ჩაიჩოქა.

უცნაურად გაკლანკილი შერგილი პატარა ბორცვაკზე იწვა. თავი გვერდზე მიებრუნებინა, აქაოდა, ცრემლი არაეინ დამინახოსო. სახეზე ტანჯვა ეწერა თუ სიმშვიდე?

სისხლით მოთხვრილ მუშტებს მაღავდა თითქოს.

— რა მოხდა? — ვილაყამ იკითხა ტაიას მაგივრად. როგორ უნდოდა აქ არ ყოფილიყო ახლა. სადმე, თუნდაც ჯანდაბას იქით. ოღონდ — აქ არა. შეძრწუნებულ, დაგლეჯილ სულში ცივი ქარაშოტი ჩამდგარიყო. ცოტა ზემოთ, ყელთან, რაღაცა გასკდომას ლამობდა. ტიროდა ტაია შერგილისძე ჩუმად, ისე რომ თვითონაც არ იცოდა, არც ცრემლი სდიოდა და არც ხმა უკანკალებდა. ოფლით დაცვარული სხეული ტიროდა. ნიაღვრად მომსკდარი ოფლი მოთქრიალებდა ხვეული თმის ძირებიდან და შეუცნობელ შვებად აწყდებოდა ნიკაპს.

— რა მოხდა-მეთქი!..

— პირველი ქეიბური მე ვესროლე. მეორე შერგილმა. ძალზე დიდი დათვი იყო და ღონიერი. ღრიალით წამოვიდა ჩვენკენ. შერგილმა ხელით გამაჩერა, მიყვირა კიდეც ბალღივით და სატევარმომარჩევებული გადაუხტა. სატევა-რი დასცა და შეატოვა. ხმალი იბროშემდგომ, დიდხანს იბრძოდნენ ძალიან. უცებ დაჭრა დათვა ტორი და ხე-

რხემალი გადაუმსხვრია ზედ კისერთან. მაინც მიაყენა ერთი ორი სასიკვდილო ჭრილობა შერგილ-ბატონმა და ორივე ერთად გათავდა.

ტაია გაქვავებული შეჰყურებდა.

— ვერ ჩავერე ტაია-ბატონო. არ ეგებოდა, დიდებული სანახაობა იყო, არნახული! — წამოიყვირასავით გუბაზმა. თვალები აუღელვარდა. თეთრ პირისახეზე დიდი კალმახივით წითელი ფორაჯები აჩნდა. — არ მინახავს მსგავსი არაფერი. დიდი კაცი ყოფილა შერგილ-ბატონი და ღმერთივით მოკვდა. კანკალებდა გუბაზი და კეთილი ღიმი დასთამაშებდა თითქოს. — ბედნიერი ვარ, ამას რომ შევესწარი...

ტაია წამოიმართა და ზემოდან დააცქერდა გუბაზს.

გუბაზიც წამოიწია. ადგა-ადგა... აღარ გათავდა. ქვემოდან შეჰყურებდა ახლა ტაია.

ელვასავით მოქნეულმა ხელმა გუბაზის ჭაბუკური ღინლით დაფარულ ლოყაზე გაადინა ლაწანი. გუბაზი შექანდა, უკან გადადგა უნებური ნაბიჯი და დასჯილი ბავშვივით გაივლო სახეზე ხელი.

ტაიამ იგრძნო, როგორ გატოვდა საურმაგ ქარდა და გადრეკილი რვალივით მოლოდინად იქცა.

მკვდრისფერი ედო გუბაზს. რაღაცას ფიქრობდა დამაბუღლად. აღმაცერად გაჰხედა ტაიას.

— მიპატიებია ტაია-ბატონო და მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების...

გაჰქრნენ გუბაზ და საურმაგ ქარდა.

ტაია შერჩა თავის ფიქრსა და ტკივილს.

იმ დღეს გარდაიცვალა წათეც. ერთი კვირის შემდეგ გუბაზ მეორე აკურთხეს ლაზიკის მეფედ, მთიანი ლაზიკისა და აფშილეთის პატრონ ტაია შერგილისძის მიერ „ხელდებული“.

ხოზისწყლის სწრაფი ჩქერები რომ ჩამოითავეს და ორიოდ მოსახვევს უგა-

ნეს. თითქმის ვარსკვლავებით მოჭედო-
ლი ზეცა დაყრავდაო — მარცხენა ნა-
პირს რამდენიმე ათეული ჟინვლილა აც-
იაფდა. ტაია გაისუსა.

არჩამ ყბები მოკუმა და ფეხზე წამო-
დგა. მცველებმაც თვალები ჰყიტეს და
ნაპირს მიაცქერდნენ.

— ვოო, ტაია! — გაისმა ნაპირიდან.

მირდატ იყო, ტაია შერგილისძის სა-
ყვარელი გამზრდელი და მეგობარი.
ჟინვლილები შეიძრნენ და მცირე შუქზე
ანაფორიანი კაცი გამოდგა.

— ვო, ტაია! თუ მანდა ხარ, შვილო,
ხმა გამეც!

ტაია მოირღვა თითქმის, სისხლმა გა-
უთბო და დაუღბო სხეული. სიცოცხლე
და აზრი აუთამაშა, ხმას არ იღებდა.
ჟინვლილები ნაპირს გამოუყვია.

— ხმა ამოიღე, ტაია ბატონო, თქვენი
მონები თქვენთან მოკვდებიან! — ვი-
ლაცის ბოხი, კეთილი ხმა იყო. ეცნაუ-
რა კია ტაიას, მაგრამ ახლა სხვა აზრი
უტრიალებდა, არ ეცალა ამისათვის. ან-
ძაზე ჩამოკიდებული შავი ქვა შეათვა-
ლიერა. გონებით გაიარა შესაძლო ხან-
მოკლე ორთაბრძოლის ყველა შესაძლე-
ბლობა. გაიარა ერთხელ... მერე მეორედ
გაიარა, მაგრამ უძრავად კი იჯდა ოლე-
ქკანდირის კიდეს ჩაჭიდებული. რაღაც
ძალა უკრავდა ხელ-ფეხს, რომ წამომხ-
ტარიყო, ის შავი ქვა ჩამოეგლიჯა, არჩა
ქორქაისძისათვის გადაეხსნა თავ-პირი,
მოახლოებულ კადნიერთათვისაც მიეზ-
ლო მისაგებელი და გადაშვებულიყო
წყალში. შავ ქვას შეხედა ისევ...

მარიამიძის წინა კვირაში ჩამოიყვა-
ნდა ზოლმე შერგილ აფშილთ ბატონი
ტაიას ციხე-გოჯში წყლით სიმთელის
დღესასწაულზე — ლიტროფიშენზე.
ჯერ ზღვის პირას გაიყვანდა, წყალს გა-
დაივლებდნენ, სხეულის სიმრთელეს შე-
სთხოვდნენ, მხოლამ კულანს, პირჯვარს
გადაწერდნენ და მერე მხიარული დაბ-
რუნდებოდნენ ფაზისს. იქ უკვე ერთი
ამბავი იყო. მეთევზეები ფელუკებსა და
ხეტეკებს ამზადებდნენ სასაპარეზოდ.
შავ ქვას ჰჭიდებდნენ ანძაზე და ბუტბუ-
ტებდნენ მწერაპყრობილები:

„უჩა ქვა ეშუს გიატას, მითხანქაჩქო-
ნი ფელუკას პატი თოლითენ მედღე-
ტერს“.*

მაწყევარს სწყევლიდნენ, მაგრამ არც
ვინ იყო მაწყევარი. ყველა უნდა შერი-
გებულიყო იმ დღეს, ცუდი აზრი არ
უნდა გაევლოთ გულში, თორემ გაუწყ-
რებოდა ზებერდე ამ ზღვასა და თევზს
მიჩერებულ ხალხს. მოხიკავდა თევზს
და ჩაიყვანდა თავისთან ჯურღმულში.
დარჩებოდნენ ლაზები მშრალზე. ილი-
მოდა ამიტომ ყველა, მხიარულობდა
და, ეკიდა შავი ქვა ანძაზე უკეთურობის
გასაქარვებლად...

— ვოო ტაია! — კვლავ გაისმა ნაპი-
რიდან. მირდატ იყო ისევ. ახლა უკეთ
ჩანდა: ჯვარი ეჭირა ხელში და ბორძი-
კით მოსდევდა ხომალდს. არჩა ტაიას
შეჰყურებდა, ტაია მირდატს.

— უფალი დაგიფარავს, შვილო! იე-
სო ქრისტე შეგეწევა მართალსა და უბ-
რალს. შენს მაგ დღეში ჩამგდებს და-
შუბავს და დალახვარავს წმინდა გიორ-
გი. უზღვავ არს წყალობა მისი სიმართ-
ლისა და სიკეთისათვის...

— მხოლამ კულანი შეგეწევა, ტაია-
ბატონო! — ბუზუნებდა ისევ ის ხმა.

ტაია წამოდგა. ჟინვლილებზე გადაირ-
ბინა მწერით.

ნაპირი იმწამს აჩოჩქოლდა.

„აგერ ყოფილა ბატონი!“ — დაიძახა
ვილაცამ.

„ასე ვუყუროთ, მერე?“ — იკითხა
მეორემ ჰირვეული ხმით. ნაპირზე აყა-
ყანდნენ, მუქარის სიტყვები გაისმა. ათ-
იოდ ჟინვლილა წყალში შემოდგაფუნ-
და.

— თავი არ წაიხდინოთ არავინ! —
დასუქეა ქორქაისძემ ბოროტად. — მე-
ნიჩბებს მოუტრიალდა მერე გაცეცხ-
ლებული: მოუსვით ნიჩბები, თქვე ძალ-
ლიშვილებო!

ისარივით გავარდა ოლექკანდირი.
მირდატ დარჩა ბექობზე ხელაპყრობი-
ლი. მერე ჟინვლილები ნელ-ნელა

*შავი ქვა მიეწიოს, ვინც ჩვენ ფელუკას ცუ-
დი თვალით შეხედავს.

თვალს მიეფარა და ტაია და არჩა შერჩინე სიჩუმეს. შეჰყურებდნენ და თვალით თითქოს ერთმანეთს ზომავდნენ.

სხვას ფიქრობდა აფშოთ ბატონყოფილი.

— გავრბივართ, აზნაურო? — გესლით იკითხა.

არჩა მოეშვა. გაიღიმასავით. იყუჩა და ჩამოჯდა ისევ.

— ჰყვარებიხარ შენ ხალხს, ტაია ბატონო. უცნაური კია ცოტა. შენც უყვარხარ ხალხს და მეფეც. ან ხალხია უგუნური ბრბო, ან მე არ მესმის არაფერი.

მიჰქროდა ოლეჰჰანდირი წყალდაღმართში მდუმარე ხალხით დატვირთული. ჭრილებდა ნიჩბები, ირწეოდა ზომალდი და ქარი წეწავდა თმას და სულს.

ჯილა-ჯილა ვარსკვლავებიკი უკან ჩამორჩენილი ჟინელილებივით ილეოდნენ და ქრებოდნენ.

ლოცვა გასდგომოდა ყურში ტაია შერგილისძეს, მირდატის ანთებული, უცბად გამქრალი სახება ედგა თვალწინ. ის მოყაყანე, ბატონის ერთგულებითა და სიყვარულით ატროებული ხალხიც უცვლელ სურათად აჰქროდა მის მზერას.

არჩა ქორქაისძეს კი ეგონა, მე მიყუბრებსო და დაძაბული ემზადებოდა მორიგი პასუხის მისაცემად.

უპასუხო შეკითხვასავით მიჰქროდა ოლეჰჰანდირი მოღიავებული სივრცისაკენ.

ტაია გუბაზის მეფედ კურთხევას, რასაკვირველია, არ დასწრებია. სურვილზე რომ არაფერი ვთქვათ, მიზეზი ამისა ჰქონდა: მის სახლში კვლავ გლოვა იყო, რომელიც მთელ წელიწადს გაგრძელდა. უსიამო ფიქრი იმისა, რომ გუბაზის საქციელი მზაკვრული და წინასწარ განზრახული იყო, არ ასვენებდა. არა, წინასწარგანზრახვას ვერ დააბრალებდი. აბა, დათვი გუბაზის მოგზავნილი იყო, მაგას ხომ არ იფიქრებდა, მა-

გრამ ორთაბრძოლაში არჩარევა რომ დანიერი შემთხვევის ხელიდან არაფერი გადგებას ჰგავდა, როცა სახელმწიფოს გავლენიან პირსა და ფაქტიურ მმართველს იშორებენ თავიდან. ღირსეულად იწყებდა გუბაზი მეფობას. ლამაზად კი გამართლა თავისი საქციელი!

მშვიდი განსჯისას, ტაიას გონებაში აწრიალებული ხმა გუბაზის უცოდველობას ამტკიცებდა. იმწუთში მას მართლა სჯეროდა მისი. სჯეროდა იმ საბედისწერო ორთაბრძოლის საოცარი ზემოქმედებისა. ყრმა უფლისწულის აღტაცებისაც სჯეროდა და მაინც მკვლელობას ჰგავდა ყველაფერი ეს. ცბიერ, აზიურ მკვლელობას. დამნაშავეს რომ ვერ განსჯი ბოლომდე და ვერც გაამართლებ. ჰქონდა კი ამდენი გამბედაობა გადაწყვეტილების სწრაფი მიღებისა ამ ღლაპს? თუ კი ჰქონდა, აფერუმ მის სიბრძნეს და ყმაწვილკაცობას. მეფეც ასეთი სჭირდებოდა ლაზიკას.

ხალხში დარჩეული ხმა ახალგაზრდა მეფის საქციელს ათასგვარად აფასებდა. ზოგი ვაჟკაცობას უწუნებდა გუბაზს... ზოგიც უმადურობას სწამებდა ერთგული კარისკაცის მიმართ. ნაწილი ხალხისა ამართლებდა გუბაზს, ლაზიკას ერთი მეფე სჭირდებაო და იქვე დასძენდნენ: შერგილი ძალაუფლებას უბრალოდ არ დაუთმობდა გუბაზს. სამეფოდ მას არც ჰქუა-გონება აკლდა, არც ვაჟკაცობა და არც სისხლი უჩქეფდა სხვაზე ნაკლებით.

ამ მითქმა-მოთქმის დედაზრი ერთი იყო — შერგილს ყველა გუბაზის მსხვერპლად თვლიდა. არავინ იცოდა ტაია-გუბაზის საუბრის შესახებ, არც ის ალიყური მოლანდებია ვისმე ყასიდად. ხალხში გასული ეს ხმა კი უფრო აბრუნებდა საქმეს. ტაიასგან ითხოვდა გაზომილ ნაბიჯსა და საქციელს, თორემ ყველაფერ ამას შეიძლება მძის სახელისა და ვაჟკაცობის შელახვა მოჰყოლოდა, ანდა მეფის ტრისხვა და შფოთი.

ტაია მთელი სამი წლით შეიკეტა სახლში.

ამ დროს ლაზიკა ბიზანტიელნი და-
პატრონებოდნენ. იუსტინიანეს გამოგ-
ზავნილ იოანე სტრატეგოსს ფრთები შე-
სხმოდა. მან ჯერ ერთი პატარა ციხე
პონტოს ზღვის პირას დაბაჟალაქად აქ-
ცია, გალავანი შემოავლო, განამტკიცა
და მის გამშვენიერებას შეუდგა. ქალაქს
პეტრა უწოდეს.

ლაზები გამასხრებას ჰგავდა ეს ამ-
ბავი. ბიზანტიელთა ჯარის ყოფილი სა-
რდლის, უკან გაწვეული და „დაჯილ-
ის“ სახელს ატარებდა ქალაქი. ვერც
შეედავებოდი: ბიზანტიელნი მათ ქრი-
სტიანობაზე მომქცევს, პეტრე მოცი-
ქულს უხრიდნენ ქედს და პატივს მია-
გებდნენ ერთდროულად.

იოანე ამპარტაენობისა და თავხედო-
ბის გარდა, კიდევ მრავალმხრივ „შემ-
კული“ პიროვნება გახლდათ. ვერცხლ-
ის მოყვარული იყო განსაკუთრებით. სა-
ქართველოს ორივე სავაჭრო გზა, —
ერთი, დასავლეთიდან დვინში მიმავა-
ლი და მეორე აღმოსავლეთიდან და ბი-
ზანტიიდან პონტოს ზღვის პირას თავ-
შეყრილი, ხელთ იგდო. ვედარავინ ჰყი-
დდა და ვერც ვერავინ ყიდულობდა რა-
მეს მისი ნებართვის გარეშე. ნებართვას
კი, ნურას უკაცრავად, არ იძლეოდა,
ყიდულობდა მარტო თვითონ და ყიდდა
იმ ფასში, როგორც მოეპრიანებოდა.
ზღაპრული სიმდიდრე დააგროვა უმოკ-
ლეს დროში იოანე ცივმა. ასე უწოდა
მას ხალხმა, მისი მიუყარებლობის, სხვი-
სი გაჭირვებისადმი გულგრილობისათ-
ვის.

ვაჭრობა დაეცა.

ქვეყანა გაპარტახდა. ბიზანტიელები
პირდაპირ ნადირობდნენ მონებზე. იტა-
ციებდნენ ბავშვებს, მოზრდილებს. მო-
ნათსყიდვა უმთავრესი წყარო იყო
მოგებისა.

არავის და არაფერს ეპუებოდნენ გა-
თავხედებული რომაელები. აქა-იქ წამო-
ყოფდა თავს შფოთი, მაგრამ ყველაფე-
რი საშინელი რეაქციით მთავრდებოდა.
აივსებოდა სოფელი თუ ქალაქი ძელზე
გასმულებით, ჩამოხრჩობილებით, უპა-
ტრონო გვამებით...

ხალხი დრტეინავდა და პატრონს, გა-
მკითხავს იხვეწებოდა. 542 წლის ადრე-
ული შემოდგომა იყო, როცა უსაქმობი-
თა და წვიმით გულგასიებულ ტაიას მა-
ღმისრბოლი ეახლა და მეფისგან სა-
სწრაფოდ კრებად წვევის ბარათი მოუ-
ტანა.

ოლენჟკანდირი დამდორებულ მდინა-
რეს მიუყვებოდა ტორტმანით. მენიჩ-
ბეები დროდადრო გაახშიანებდნენ სი-
ჩუმეს. მიჭრიალებდა ნავი უბემოდლე-
ტილი ზღვისკენ და აფშოლეთის ქანდა-
კად ქცეული პატრონი მიჰყავდა თან,
ცივი ცეცხლით გულშემონთებული ტა-
ია შერგილისძე...

გუბაზი ისე შეხვდა ტაიას, თითქოს-
და არც არაფერი მომხდარიყოს ამ სა-
მიოდე წლის წინ, არც ეს ყბადაღებუ-
ლი ათასი დღე ყოფილიყოს მათ შორის
უნახაობით გაჩხერილი. მოიკითხეს ერ-
თმანეთი, კრებიონიც აქეთ მოეახლა ტა-
იას, სახლეულის ჯანმრთელობა და
მშვიდობა ჰკითხა. ტაიასაც ღიმილი არა-
ვისთვის დაუკლია. როცა საბჭოდ დას-
ხლომა იქნა ნაბრძანები, გუბაზმა ტაია
მამისეული საკარცხულისკენ მიიწვია.
ეამა ტაიას და ვერც ხინჯი ვერაფერი უპ-
ოვა მეფის საქციელს. არც შერიგების
ცერემონიალს ჰგავდა ეს, არც ზედმეტ
დაფასებას. დაჩაგვრას ხომ არა და არა.
ყველაფრის დაწყნარების, თავისი ად-
გილის მიჩენის ნიშანი იყო გუბაზის სა-
ოცრად მოზომილი ნაბიჯი, მისი მტკი-
ცე, რგალნაჯერი ხმა. ტაიამ ახლავდა იგ-
რძნო იმ სამი წლის განდეგილობის უა-
ზრობა. „გაველურებულს,“ ბევრი რამ
გამორჩენოდა. ამ დროის განმავლობაში
საგნებს, ადამიანებს გარკვეულად ეც-
ვალათ ფერი. ეს ფერიცვალება ართობ-
და, აკრთობდა კიდევ ერთგვარად.

კრება შედარებით მცირერიცხოვანი
იყო. მხოლოდ მეფის უერთგულესი ხა-
ლხით შემდგარი. მეფის სიტყვაც მოკ-

ლე და ნათელი იყო. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. დესპანი უნდა გამგზავრებულიყო სპარსეთს და ხოსროსთვის დახმარება ეთხოვა, ბიზანტიელთ მოთმენა აღარ და აღარ შეიძლებოდა. სანაცვლოდ საუკუნო ერთგულებას ეფიცებოდნენ ლაზები ხოსროს. ტაიასოგის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თვალებსდა ახამამებდა მხოლოდ. გუბაზმა სიტყვა სთხოვა ტაიას. აფშოლეთის ბატონის აზრი ძალზედ ზოგადი იყო (სამი წლის უქმად ყოფნას უკვალოდ მართლაც რომ არ ჩაევლო): ერთი ბატონის მეორეთი შეცვლაში ვერაფერ შვებას ვერ ხედავდა ტაია. აქ კლარჯეთის ბატონი აეტი აფეთქდასრულიად მოულოდნელად, სპარსთა სიჩაუქეს, სიბრძნეს იმოწმებდა, მათი სიტყვის სანდოობას. და ბოლოს ისიც დასძინა — მტერი მტრის ხელით დავამარცხოთო, უფრო ჭკვიანური ასეა, ჩვენ მათი ცალკე მომრევები ვერა ვართო. აზრის და საქციელის მოქნილობაზეც ილაპარაკა...

როგორც ყოველთვის, ჩუმიად იყვნენ გუბაზის ბიები. უმცროსი (ორმოცდაათს მიღწეული) გუბაზს ეგრისის მიტროპოლიტად ეკურთხებინა აწ ანდრიად. წოდებული. უფროსს თანამდებობა არ ეჭირა კარზე. ის ბიძა იყო. სათაყვანებელი ბიძა.

სპარსეთში გასაგზავნი ელჩიონის მეთაურად ტაია დაასახელა გუბაზმა. თან ღიმილით მისი დიდიხნის ნაცნობობაც მოიშველია ხოსროსთან და მშვიდობით გამგზავრება უსურვა.

ტაია კმაყოფილი იყო. უამური ფიქრი გადაეყარა. თუ ღლეჯანდელი გამგზავრება სპარსეთში დიდად არ ეჭაჸნიკებოდა, ამ ნაბიჯის სისწორეში ეპარებოდა ეჭვი, სამაგიეროდ, ცხოვრებას უბრუნდებოდა და ახლა ეს ყველაზე მთავარი იყო.

აფშოლეთის ტყეებში მომხდარსა და შერგილის ტკივილიან სახეს ბინდი გადაეფარა თითქოს და ტაიასაც აღარ უნდოდა ამაზე ფიქრი. გულგარეთ უფრო მნიშვნელოვანს ელოდა მომავლისაგან.

დრო გვაჩვენებსო, — ამით დამშვიდებული გამგზავრა სპარსეთს, მაგრამ იქიდან მომავალი, ეჭვით გულარძნილი და ბოლმით უნაგირს ჩაქედილი მოქანობდა ბილიკზე.

ლაზების ნათქვამით აღტაცებული ხოსრო, უცებ რომ მოთოკა თავი, ისევ კრაილოსანივით ქარაგმების ღეჟვას მოჰყვა. სასახლის მშვენიერ ბაღში სეირნობისას მამის უცნაური სიკვდილი მოაგონა შერგილისძეს და გამომცდელად მიაჩერდა მოსაუბრეს. ამღვრეულმა ტაიამ შემთხვევითობას მიაწერა ყოველივე.

— შემთხვევითობას ჩვენგან უცნობ კანონზომიერებას ხომ არ ვუწოდებთ ხოლმე, დიდაზნაურო?

სპარსეთის მეფეს ახალი საუბრის დაწყება არ გასჭირვებია... შინ მომავალ ტაიას კი განახლებულ ჭრილობაზე ეჭვის მატლები დასეოდა. ვერ გაერკვია, სისუსტეს დამორჩილებოდა, თუ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუეგდო მისთვის დამამცირებელი ეჭვი?

ასე იყო თუ ისე, ლაზების თანადგომით ფრთაშესხმული ხოსრო ორიოდ თვეში ჯერ იბერიაში შეიჭრა რომაელთა თვალის ასახვევად, შემდეგ კი ლაზიკის ბჰენიც შემოანგრია და ქვეყნის შუაგულს მოღწეული სიამოვნებისაგან თვალებმოჭუტული ლაზიკის გოლიათი მეფის ყმადნაფიცობის ღაღადს უსმენდა. პირმშვენიერი, მაგრამ ცრტა არ იყოს, ქალური მიხვრა-მოხვრის მქონე ხოსრო, იმავ საღამოს გამართული ღზინის მშვენებად იქცა. გულმხიარულობდა აეტიც, გუბაზიც — დანდობილად. ტაია იყო მხოლოდ ჩუმიად. არც სიხარული ეტყობოდა დიდი და არც წაწყენის ეტყოდა კაცი.

მეორე დღეს შეერთებულ ლაშქრით გასწიეს პეტრასკენ. მესამე დღით, შუადღისას მიადწიეს ბიზანტიელთა სასწრაფოდ გამაგრებულ და დაღუმებულ ციხეს. ხოსროს მოლაპარაკება არც უცდია, ალყა შემოარტყა და გათენებას დაელოდა.

მამლის ყანყარატოთი აყივლებულ ალ-

ონს ჯარის ზრიალიცა და მკაბე შეძახილებიც შეემატა. ლაზთა მხედრონი ცალკე იდგა დადუმებული. ცხენების ფრუტუნი და გატოკება თუ დაარღვევდა სიჩუმეს.

გუბაზს ხელმარჯვნივ ტაია ედგა, ხელმარცხნივ აეტი და კაც ფარტაძე. ყველანი ციხეს შეპყურებდნენ, ეგრერიგად ნაცნობსა და საძულველს. სპარსელთა ჯარს ნიშანი მისცეს და ისინიც დაიძრნენ, მაგორავებელ ქვისსატყორცნებს მიათრევდნენ თან, მიაქლარუნებდნენ შუბებსა და ხმლებს, იატაგანებსა და ორღესულებს.

ტაიამ გუბაზს გადახედა. სპარსელებს ლაზთათვის არაფერი უთქვამთ, არც შეტევის გეგმა შეუთანხმებიათ და არც დაწყების ნიშანი მიუციათ. მწარედ გაეცინა ტაიას და ისევ გადახედა გუბაზს. არც ამჯერად უპასუხა მზერას გუბაზმა. მეწინავე რაზმი, ახალგაზრდა სარდლის ანიაბედის მეთაურობით, გაუფრთხილებლად მიადგა ციხეს. ჩამიჩუმი არ ისმოდა. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ანიაბედმა ციხე თუ დაგვიტოვესო რომაელებმა და კარებს დაუწყყო ჩხიკინი. უცხად იგრიალეს ბიზანტიელებმა და გაკვირვებულ სპარსელებს თავ-პირი დაუხსნეს. წითელმა ფერმა იმატა ბრძოლის ველზე. სასწრაფოდ წამოიშალნენ სპარსელნი და ბრძოლის ბედიც სასწოროზე ათამაშდა.

ლაზები ბრძოლაში ნაშუადღევს ჩაებნენ. როცა ხოსროსაგან შიკრიკი მოვარდა და მარჯვენა ფრთის დახმარების ბრძანება მოიტანა. იმ დღეს ბინდი თალხი ლეჩაქივით ჩამოეფარა მეომრებს. შეწყდა ბრძოლა. მთელ ღამეს მხოლოდ ძელზე გასმული ანიაბედის კვნესა და ყმუილი ისმოდა. გამთენიისას ეს ხმაც მიწყდა. ტაია იხსენებდა ხოსროს მოღიმარ სახეს. როგორ შეეძლო?!..

ალყამ ექვს დღეს გაატანა. სპარსელთ დიდი ზარალი ნახეს, მაგრამ ლაზებს ხშირად მაინც არ აწუხებდნენ ბრძოლით. გამარჯვების დაჩემებას თუ ცდილობდნენ. ერთი რამ მოხდა მხოლოდ აღსანიშნავი. მცირე შეტაკებისას ცხენი

გამოუტყდეს გუბაზს და კაც ფარტაძეს ცხენს შემომხტარმა ძლივს გამოეშალა ბრძოლის ველს.

მეხუთე დღეს სასიკვდილო ჭრილობით გატანჯულმა იოანე ცივმა დალია სული და მეციხოვნეთ სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ, ხოსროს გასაკვირვლად, სულგრძელ პირობებში დათანხმებოდნენ. სპარსეთის მეფემ „მხოლოდ“ იოანე ცივის ურიცხვი ქონება მოითხოვა, დანარჩენთ სიცოცხლე და საკუთარი სარჩო-საბადებელი შეუნარჩუნა.

გამარჯვება სრული იყო. ხოსრო ზემოზნად: ლაზიკა ხომ ხელთ ივდო, აღარც შფოთისთავ იბერიელებს ექნებოდათ გასაქცევი და დასამალავი, ზურგის გამმაგრებელი, როგორც მაშინ, როცა იბერიის უკანასკნელი მმართველი გურგენი თავისი ოჯახითურთ კარგა ხანს გუბაზის ნეტარხსენებული მამის ხიზანი იყო, ვიდრე ბიზანტიის კეისარმა არ შეიფარა.

მორჩა, დასრულდა ამ მოუსვენარი ხალხის პარპაში ამერშიც და იმერშიც.

ხოსრომ მეციხოვნეები ჩააყენა და ლაზიკას გამოირა.

ნანატრი მშვიდობა ვერც სპარსთა ბატონობამ მოუტანა ლაზებს. ჩვეულებრივ, აზიურ დესპოტიზმს ქრისტიანობის დევნაც დაემატა და ახალი ცხოვრებით უკმაყოფილებამ ღამის პირველ დღეებში იჩინა თავი. აპოკურაპალატ ნომის ქალიშვილმა გუბაზი დასწყევლა, დაავლო ხელი თავის უწლოვან წათეს და კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. ლაზიკის მეფეს დიდად არ სწყენია ეს ამბავი და მალეც დაივიწყა. გუბაზი ტკბილი სიტყვის ჭირთათმენას უქადაგებდა დიდებულებსაც და ხალხსაც. იქით გადიდებულს სპარსელებს აწყენარებდა. ისევ რაღაც მოლოდინით ავსებულ იყო სამეფო. ისევ რაღაც საიდუმლოს დაატარებდა გუბაზის ვეება სხეული და გულგაწვრილებული ტაია მოჩვენებასავით დადიოდა სასახლეში. გუბაზი თავს არიდებდა მთავარსარდალს, გაუბროდა თითქოს. სპარსელთ და ბ. ზ. ნატიელთ კი

თავიი დარდი ჰქონდათ. ამასობაში მათ ხუთწლიანი ზავიც დადეს და გაიქიმა წლები ამ მომქანცულ უსაქმურობაში. ტაია ხანდახან თუ აირბენდა თავის საბატონოში, ოჯახს დააწყნარებდა, ყმებს შეუძახებდა და ისევ ციხეგოჯს დაუბრუნდებოდა გაუცნობიერებული მოვალეობის აღსასრულებლად.

შემოდგომის იმ წყნარ, ოქროსფერ დღეს არჩა ქორქაისძის რაზმმა ლაზ მემბოხეთა მცირე გუნდი მოიყვანა სასახლეში. სპარსელთა გაბატონების დღიდან მოქმედებდა ეს თერთმეტი თავზეხელაღებული და ულამაზესი ვაჟკაცი. შეწუხებულმა ირანელებმა მრავალგზის თხოვეს გუბაზს დახმარება. გუბაზმა ბოლოს აზნაური ქორქაისძე გააგზავნა და სათაყვანებელ მეფესთან სამოყვროდ დააბარებინა მემბოხენი. გუბაზი მამაშვილურად ელაპარაკა ლაზებს, სასახლეში დაბრუნება ურჩია და ყოველგვარი შემწეობა აღუთქვა. იუწყითო, არაფერი მუდმივი არ არისო ამქვეყნად...

სასახლიდან გამოსულ მემბოხეებს, სოფელ ისულასთან სპარსელთა რაზმი დაეცა და ერთიანად ამოწყვიტეს. ისევ ექვებმა დასერეს ტაია და არა მარტო ტაია, მაგრამ იმის გარდა, ყველას სწრაფად დაავიწყდა მომხდარი, მხოლოდ არჩა ქორქაისძეს არ შეუცვლია სახის გამომეტყველება. დადიოდა ისევ ისე მოქუფრული და გაუცინარი. შერგილისძეს აღარ შეეძლო ციხეგოჯს გაჩერება, ვეღარც ამ ხალხის წამებას უყურებდა, ვეღარც ამ გაზულუქებულ სპარსელთ და ვეღარც ამ კითხვის ნიშნად ქცეულ მეფეს. შემთხვევაც ზომ საკადრისი შიეცა.

გუბაზი დასაზამთრებლად სახლის გამოცვლას აპირებდა და ლხინი ჰქონდა ციხეგოჯს. მთავარსარდალი გვერდით ეჯდა.ღვინომ ვერ -გამამხიარულა აფშილეთის ბატონი. ორჯერ ჩაეკითხა მეფე უგუნებობის მიზეზს და ორჯერ აარიდა პასუხს თავი ტაიამ. ბოლოს მოულოდნელად მიუტრიალდა გუბაზს და მიახალა:

— გითხარით, მეფეც ბატონო, პირ-

ველავე დღეს, სპარსელთა შემოსვლით არაფერი გამოვა-მეთქი. ვაის გაყრდნობა, ვუის შევეყრებით-მეთქი, არ დამეჩერეთ, ოღონდ...

ტაია გაკერპებული იყურებოდა წინ და ავად მარცვლავდა სიტყვებს. თავიდან გუბაზი დაკვირვებით, რულელვებლად შეჰყურებდა მთავარსარდალს. ანაზად მისი სანადიროდ სტუმრობა გაახსენდა აფშილეთს, აღმურმა გადაჰკრა სახეზე.

მეფემაც ნელა დაუმარცვლა მთავარსარდალს:

— აფშილეთს წადით, ტაია-ბატონო, მამულს მიხედეთ, ცოლ-შვილს მოესიყვარულეთ და დაისვენეთ აუცილებლად.

ტაია უმაღლ წამოდგა და კარისკენ გაემართა.

სასახლეში ხმა გავარდა, მეფემ ტაია შერგილისძე გააძევაო სუფრიდან...

...აფშილეთს კი ბარდნიდა. გადათერთებულოცო ყოველივე, სულიერიც და უსულოც. ლაზთა და იბერთა მთელი დარდი და ვარამი ჩამოეხვეტა თითქოს თოვლს ზეციდან ერთ დროს ლოცვად აღვლენილი, ღმერთთან არ მისული, და ციკქნა სახლებში ჩაეჩუმქრა, ძლივს რომ იყურებოდნენ მინახული ფანჯრებით. ქრისტეს დაბადებიდან ხუთასორმოცდარვა წელი იყურებოდა.

ტაიას სახლი მოუვლელი ეჩვენა. არავის უცდია მისი შეკეთება, რაიმეს მიმატება. გადმოეთოვლაო მხოლოდ. გუანცას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აჯგების უნახავმა ქმარმა ყმაწვილქალობა დაუბრუნა თითქოს. მთელი დღე ღლიდნებდა, სახლეულიც ააწრიალა. აგუგუნდნენ ბუხრები, აწიოკდა პირუტყვი და ფრინველი. ტაია დამშვიდდა. ძალიანაც მოხარული იყო, რომ ყველაფერი ასე აეწყო. თავს გაძევებულად სულაც არ თვლიდა. პირიქით, გუბაზს რომ უთხრა საწყენი და საფორიაქო, იმით იყო კმაყოფილი. ისევ დასჭირდებოდათ ტაია შერგილისძე. ახლა კი ყვე-

ლა თავის მუხარათს უნდა გამოტარიყო და მთელი წლის ნაწვალები აეწონ-დაე-წონა. ნაცარიც გაექეჭა, — ასე აჯობებდა.

ტაიას უფროს ვაჟს, ოფსიტეს თერთმეტი წელი მოეთავებინა. უმცროსი ქალი კი ჯერ ხუთიოდე წლისა იყო. ტაიას ოფსიტე ძალზე გაზრდილი ეჩვენა. სიმაღლე კი მიეცა ღმერთს მისთვის, მაგრამ წვრილძვალა, ფერხორცად ნაზი იყო. ვერც ლამაზს ეტყოდო. მამასავით მსხვილი, ოღონდ წაბლისფერი წარბები ერთმანეთს ენასკვებოდა, თვალები ცისფერი ჰქონდა, სახე მოგრძო და პატარა ნიკაპი. დიდი აღტაცება არ ეტყობოდა ოფსიტეს; ჩანდა, უფრო ეშინოდა მამის, ვიდრე უყვარდა. ანდა, როდის უნდა შეყვარებოდა...

ტაია დაკვირვებით ათვალეერებდა მამის მზერით შეცბუნებულ შვილს. ერთ საღამოს ტაიამ მოულოდნელად გადაიხარხარა.

— გუანცა!.. გუანცა!

გუანცამ ოთახში შემოიბრინა.

— რა იყო, ბატონო?

— შენი ბიჭი სპარსეთის მეფე ხოსროსა ჰვავს! — იცინოდა ტაია.

გუანცამ გაიღიმა. ოფსიტესთან მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა,

— იცით ტაია ბატონო, რა ჰქვიათ ბიჭი გყავთ? გამზრდელები ძალიან კმაყოფილი არიან, ნამდვილი მწიგნობარი იზრდებაო. მთელ ზაფხულს ბაბუასთან რომ იყო აფხაზეთს, ენები შეუსწავლია ვილაც ყარბისაგან, მამა-ბატონმა კი მთელი აღმოსავლეთი აფხაზეთის ბატონობა დაუმტკიცა.

ტაიამ იცოდა ეს ამბავი. ოფსიტეს გაჩენისთანავე უთხრა სკეპარნამ, უძეოდ გადაგებულმა აფხაზთ ბატონმა: ჩემი ოფსიტე რომ გაიზრდება, ასე და ასეო... მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ სკეპარნა არარსებულ სამეფოს არიგებდა. აფხაზები დიდი ხანია განდგომოდნენ თავის ბატონს და მათი დაურეგბა ძალზე უჭირდა სკეპარნას. ერთთავად უნაგირზე ათენებდა და აღამებდა. ბევრჯერ სთხოვა აათავყვანებელ სიძეს დახმარება,

მაგრამ ვერ იცლიდა ტაია როგორღაც გუბაზის მეფობას კი აღიარებდნენ აფხაზები და ამიტომაც, ალბათ.

დაფიქრდა შერგილისძე. სიტყვა საქმედ ქცეულიყო.

სკეპარნა ყოველთვის მისი ერთგული მოკავშირე იყო მაგრამ ეს ფაქტი მაინც სულ სხვა იყო. თუნდაც სიმამრის გარეშე, ტაია ლაზიკის მესამედის მფლობელი ხდებოდა: მთიანი ლაზიკა, აფშილეთი, აღმოსავლეთი აფხაზეთი... ოღონდ უნდა მოეცალა ტაიას ურჩი აფხაზებისათვის. მის გამოჩენას არ იწყენდნენ, ალბათ.

— აბა მაშ, ნამდვილი ხოსრო ყოფილხარ! — ისევე გაიმხიარულა თავი ტაიამ, — სამეფოცა გქონია!

გაბუსხული ოფსიტე ოთახიდან გავაჩადა.

ტაია დადინჯდა.

— წყენა კი ჩემნაირი სცოდნია, — მშვიდად თქვა და კვლავ სათნოდ მოლიმარ ცოლს შეხედა. — ფარიკაობასა და ცხენჯომარლობას ბეჯითად ასწავლიან?

— თქვენი გამზრდელი — მირდატ.

— არაფერი უვავს ჩემს ვაჟს მეომრისა — თავი გააქნია ტაიამ — კარგი, მე თვითონ ენახავ.

გარეთ ქაბორბალა ტრიალებდა და ჰაერში ატაცებულ ნამქერს აწივლებდა. ტირისდენის ამ უკუნ ღამეში შობა თენდებოდა.

ტაიამ აივანზე გამოიხმო შვილი. ხმალი მისცა ხელში და „აბა თავს დამესხიო“, — შესძახა. ოფსიტესთვის წელანდელ წყენას კიდევ არ გაევიწო და გამეტებით შემოუქნია ხმალი მამას. მირდატის სკოლა კი იგრძნობოდა, მაგრამ ღონე არ მოსდევდა ტაიას ძეს. უცბად დაიღალა. დაზღმემოხვეული გუანცა თვალებგაფართოებული შესცქეროდა მამა-შვილს. ტაიამ რამდენიმე მოძრაობით კიბესთან მიიმწყვდია შვილი. ოფსიტე უღონოდლა იქნევდა ხმალს და დაგორდა უცებ კიბეზე, ჟღარუნით თავქვე წასულ ხმალს მიჰყვა.

— ვაი! — გუანცა კიბით გაუჩინარ-

და. ტაია შემკრთალი იყურებოდა სი-
ბნელეში.

ცოტახანში გამოჩნდნენ სწრაფად
ამომავალნი. გუანცას ღაზლი გაოფლი-
ანებული ოფსიტესთვის მოეხვია.

— როგორ შეიძლება, ბატონო... —
საყვედურზე მეტი ისმოდა მის ხმაში.

— იტყინე რამე, ხოსრო? — რბილ-
ად ჰკითხა ტაიამ შვილს.

— არა, მამი. — ოფსიტეს ხმაში რი-
დიც, პატივისცემაც, შიშიც გამოკრთო-
და.

ტაიამ მხრებში მოჰკიდა ხელი, ასწია
თითქმის მისი სიმაღლე ბიჭი, უყ-
ურა, წამიერად გულში ჩაიკრა და ისევ
დასვა.

— შედიტ. ქარი დაგვრავთ.

თვითონ აივანზე დარჩა. ცივი, სუს-
ხიანი ქარი უწყეწავდა თმას. უკუნში თე-
თრად გამკრთალ მთა-გორებს უყურებ-
და, წინ ისევ შვილის ცისფერი თვალე-
ბი ედგა და უნაზესი სიყვარულით ივსე-
ბოდა ყველაფერი ამის მიმართ.

ქროდა ქარი.

ტაიას ამ სიყვარულთან ერთად, ის კა-
ეშანიც ავსებდა, ოფსიტეს წიწილივით
აბუმბულბულმა სხეულმა რომ არ გუ-
ნა. როგორ არ ჰგავდა შერგილ-ტაიას
ჩამომავალს ეს მქრქალი არსება. ოდი-
თგან მეფეთა გვერდის დამამშვენებელს.
ერთგულსა თუ მასთან მოქიშპეს. ხმლის
მქნეველსა და დაუდგრომელ-დაუნავებ-
ელს. იგი იმ პოეტ მეფესა ჰგავდა, მემ-
კვიდრეობით ძლიერ და აყვავებულ სა-
მეფოს რომ მიიღებს და მორჭმით, სი-
მართლით განაგებს ხოლმე. „რატომ მე-
ფეს?“ — უცნაურ ფიქრს თუ გაუცხა-
დებელ სურვილს ჩაავლო ტაიამ.

„მთელ აფშოლეთსა და აღმოსავლეთ,
შეიძლება შემდგომ დასავლეთ აფხაზე-
თსაც სწორედ რომ მეფის დარი კაცი
სჭირდება“, — თავი გაიმართლა ტაიამ.
— „თუ სისხლი არა აქვს შეფუერი?“ —
წარბი შეიკა.

არა, ოფსიტე მომპოვებელ კაცს არა
ჰგავდა. მიმღებს — ოღონდაც.

შესცივდა ტაიას.

ოფახში მოგუგუნე ბუხარი ელოდებოდა.

შობა თენდებოდა.

„ზამთარმა იბობოქრა, დაჰყინა და და-
აზრო ყველაფერი, ჩაჰკეტა ყველა სახ-
ლში, გამოსვლა აუკრძალა, წიგნთან და
ბუხართან დაახრეცინა თავი. იმეფა მე-
რე ერთხანს მოსვენებით.“

მობეზრდა ბოლოს, ხმის ამომღები
რომ ვერავინ ნახა, წავიდა და იალბუზ-
ის წვერზე ბერად აღიკვეცა, — ტი-
ას პატარა გოგოს, მენიკს უყვებოდა
გადია.

გარეთ კი ისევ ცივი ქარი ქროდა,
ოღონდ ძალადაკარგული და სუსხმეც-
რეცილი. ბარად დამდნარიყო თოვლი.

იმ დილით ორი სტუმარი ეწვია ტა-
იას. ვერას გაიგებდი, ვინ იყვნენ, საით
მიდიოდნენ ან რა უნდოდათ. სადილად
დამსხდრებმა — დვალეთს გადავდი-
ვართ, იქაური ბატონის ქალიშვილის მა-
ჰანკლები ვართო. ვისგანო, აღარ უკი-
თხავს ტაიას. სიმართლეს არ ჰგავდა და
იმიტომ.

არ ჩქარობდნენ.

სალამოს ერთ-ერთმა, უფროსს რომ
ჰგავდა, პირისპირ საიდუმლო საუბარი
სთხოვა. მართოდ დარჩენილები ცოტა
ხანს დუმდნენ, ბუხრის გუგუნს უსმენ-
დნენ.

მე ხოსრო მეფის უერთგულესი სარ-
დლის, ფავრიზის წარმოგზავნილი ვა-
რო, — თქვა სტუმარმა ბოლოს, ბევრი
აღარ გააგრძელა და ვეება უსტარი ამო-
აცოცა უზიდან.

ხოსრო ათას სალამ-ქალამს უძღვნოდა
ტაია-ფარსმანს, მის ჯანმრთელობას ავე-
დრებდა ღმერთებს. ოჯახს უდღეგრძე-
ლებდა, სამწყსოს უმრავლებდა, მკლავს
და მუხლს უქებდა...

მის ათასგზის შეურაცხყოფელ და მა-
მისმკვლელ გუზაზს ლანძღავდა, უშვე-
რი სიტყვებით აგინებდა, ვერაგსა და
უნდოს, მოღალატესა და უზურპატორს
უწოდებდა.

უკვირდა ხოსროს, როგორ შეიძლება-ოდა ამ ღვთიით კურთხეული ქვეყნის მეფე უღირსი გუბაზი ყოფილიყო და არა ტაია-ფარსმან. მეგობრულად უნიათობასაც საყვედურობდა ტაიას, მის კუთვნილ ტახტს კაცე შორიდან რომ შეჰყურებდა.

ბოლოს საქმე: პეტრას ციხიდან მოშორებით, მისი ერთგული ფავრიზი იდგა სამასი რჩეული მებრძოლით. ტაიას გუბაზი ციხეში უნდა შეეტყუებინა და იქ მოეკლათ.

მოკალი და იმეფეო, — ილოცებოდა ხოსრო, — მეც სანდო და ვაჟკაცი მეზობელი მეყოლება და შენც ერთგული მოკავშირე საძულველი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტაიამ კითხვა ჩამთავრა. დიდხანს თავი ვერ მოუყარა ფიქრებს. ერთმა ამბავმა კი გააცინა გუნებაში, საცოდავ ლაზებს ისევ მეწინავე რაზმობა გაუმწესეს მომავალ ბრძოლებში. ისევ განტევების ვაცივით წინ გაგდებას უპირებდნენ: მე ვიქნები შენი მოკავშირე, როცა ბიზანტიას ბრძოლას გამოუცხადებო, — ეშმაკობდა ხოსრო. მაგრამ ეს მომავლისა იყო.

ახლა?

ტაია მის წინ დაყუცულ სპარსელს მიაჩერდა. მანაც მომლოდინედ გაუშტერა თვალი.

— დილას მოგახსენებთ პასუხს, — თქვა ტაიამ და წამოდგა.

სპარსელიც წამოხტა და ტაიას ხელში იატაკანივით შერჩენილი უსტარისკენ გაექცა მზერა. ტაია მიხვდა. აქამდეც უნდა მიმხედარიყო ფიქრებში გართული.

ბუხარში შეუძახა

ასე უფრო უხიფათო იყო.

წესით, ორივესთვის, უკვე „სანდოდ შეთქმულათვის“.

სპარსელი გაქრა.

საძინებელ, ამჯერად უძილობისათვის განკუთვნილ ოთახში განმარტოებულ ტაიას ზეაწეული განწყობილება დაუფლებოდა. ამდენი გამაბზრებელი უსაქმურობის შემდგომ საქმე-საფიქრებ-

ლი გასჩენოდა აფშოლეთის ბატონს — ასე გამოდის, — ფიქრობდა, — სპარსული სეთშიც კი არსებობს აზრი ჩემოვსებრი შესაძლო მეფობაზე. ან რად არ უნდა არსებობდეს?

ტაიამ მთელი ის პატივი და პირველობა გაიხსენა, რაც მამამისს და მას რგებოდა მეფისა და ხალხისაგან. „ვინ მიგდია სპარსელები, მათმა აღიარებამ რომ გამახაროს. მონური ფიქრებია... საკუთარი თავი დატუქსა. ნეტავ გუბაზს ტახტის მიმტაცებელს რად უწოდებს?“ ტაიას მსგავსი არაფერი სმენია, არც შერგილს, არც სხვა ვისმე არაფერი დასცდენიათ. ჟამთააღმწერიც დუმს.

„პირფერობა? ტყუილია? — მეფის უკადრისია“

„აბა რა ხდება?“

ტაიას ფიქრი გაეყინა.

მერე გაულხვა ბოთქოს და ისევ გაეყინა.

პერს მისჩერებოდა.

ვთქვათ, დაჰყვა ხოსროს შემოთავაზებულს. მოკლა გუბაზი და გამეფდა. ან გამეფდება, ან ვერა.

ხოსრო ხომ ლაზების კეთილდღეობაზე ფიქრსა და ზრუნვაში ათენებს და აღამებს. სიმაართლის დამკვიდრებას ცდილობს

მეტი საქმე არა აქვს!

ხოსრო გუბაზს არ ენდობა. მისი გამოისობით ბოლომდე ვერ ჩაიგდო, ალბათ, ლაზიცა ხელში.

ტაია აღელდა და საწოლიდან წამოიწია.

„სატყუარა ვარ, გუბაზის მერე მეც იგივე ბედი მელის ან მეფობა, მეფობა ღალატისა და სიძულვილის, ხალხის უნდობლობის. ხოსროს ეგ უნდა, შიგნიდან გატეხილ ქვეყანას მარტო ტაიას მარჯვედ მოქნეული ხმალი ვერ დაიცავს. ხალხს მეფე და, მასთან ერთად, ის წინამძღოლი სჭირდება, ბრმად რომ გაჰყვება ბრძოლაში“.

დილამდე ბევრი დრო იყო. ტაიასაც ეს უნდოდა: დაწყნარებულმა შეადგინა გეგმა და ორიოდ საათი წასთვლიდა კიდევ.

დილით მხიარული ეჩვენა სტუმრებს. დაამედა, უსტარზე უარი უთხრა, ფავრიზს მე თვითონ ვნახავო და გაისტუმრა. ნაშუადღევს თვითონაც აღიკაზმა. ექვსი კაცი იახლა. თვალცრემლიან და მუცელწამოზრდილ გუანცას დემშვიდობა, ოფსიტეს ათიოდე წუთი ესაუბრა, ჰკუა დაარეგა და შვიდკაცა ფლოქვების თქარათქურით დაეშვა თეთრსუდარამდხდილ ბარისკენ.

მიჰქროდა თავდაღმართში ტაია და ელიმებოდა. ყველაფერი მონატრებოდა: მწვანე ბალახი და ყოჩივარდა, ხმაურიანი ციხეგოჯი, უტა მჭედლის უროს ხათქუნი, ღრიანცელა ლხინი და, ღმერთო დაილოცოს შენი სახელი, ის თეთრცისფრად დაზინებული გუბაზიც.

ოლეჰკანდირი ზღვაში შეცურდა. შეჩერდა. მენიჩბებმა ღონივრად მოუსვეს და მოვარდნილ მცირე ტალღებს გადაახტუნეს. საშიშრად აქანავდა ნავი. ტაია ფეხზე წამოდგა და ზღვისფერ უსასრულობას მიაჩერდა, დაძაბული და სასოწარკვეთილი. გაფაციცდა ქორქაისძე, შეუმჩნევლად ორღესულზე წაივლო ხელი. მენიჩბებმა ყასიდად დაიწყეს ყურება. არაფერს იმჩნევდა შერგილისძე. ბოლოს მოეშვა, მის ყოფილ აზნაურს გადმოხედა ზემოდან და დამცინავად გაუღიმა.

გაფუქდა ქორქაისძე. ამ ათას ჭირ-ვარამში გამოჯეილ კაცს ტაია შერგილისძის რიდი ჰქონდა. უცნაური რიდი და დამბნეველი მოკრძალება.

ტაია ციხეგოჯის პალატის სარკმლიდან ეზოს ჩაჰყურებდა. კარგ გუნებაზე იყო ძალიან. გუბაზის ნახვას ესწრაფვოდა, ისე როგორც მამის მასახელებელ ბავშვს უხარია მშობელთან შეხვედრა.

გუბაზიც შემოვიდა. ტაიასკენ არც გაუხედავს. დარბაზი გაიარა და მძიმედ დაეშვა ტახტზე. კაც ფარტაძე, მწერალი და მცველები ახლდნენ თან. ტაია

ფეხაკრეფით მიუახლოვდა და თავი ჩააკიდა. იატაკს დაშტერებულმა მთელი სიციხადით იგრძნო, რომ მეფე კბნეკრამ ღაცას ელოდა მისგან. ტანმა იაზრა და, ტაიამ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— სალამი, ტაია ბატონო.

ტაიამ მეფეს ამოხედა. დაღლილი უღიმოდა. ხელით ანიშნა, აღეჭიო.

ტაიაც წამომიმართა და ჯანმრთელი ღიმლით მიაჩერდა. გუბაზს ხანი დასტყობოდა ამ რამდენიმე თვეში!

გაცრეცილიყო ერთიანად.

— ხომ კარგად გამოიზამთრეთ? ჯალაბოზა როგორ გიკითხოთ?

— მადლობა მომიხსენებია, მეფე-ბატონო, შენი და ღვთის მადლით, არა გვიჭირს.

ტაიას მხიარული გუნება-განწყობა გამქრალიყო სადღაც. მიხვდა: მისი აფშოლეთის ბუხართან კოტრიალის დროს, სამეფოში მღვრიე და აწეწილი ცხოვრება დინებდა, რომ ყველაფერი გაცილებით უფრო რთული იყო და მრავალწახნაგა, ვიდრე ეს მის ჩქამგაულებელ საბატონოში ეჩვენებოდა.

მოჰყვა ყველაფერს.

გუბაზს ცისფერი თვალები გაჰყინვოდა.

— ფირმანი? — იკითხა ბოლოს.

— დავწვით.

— ვინ?

— ჩვენ... შეთქმულებმა, — გაუცინა ტაიამ.

გუბაზს წარბი არ შეუხრია.

ტაიას უსიამოდ გაჰკენწლა. კითხვა არ მოეწონა.

— პეტრას ციხესთან ჭალაში ფავრიზი დგას სამასი ცხენოსნით...

გუბაზი წამოდგა. ტაიას მიუახლოვდა და ზემოდან ჩააქცერდა თვალებში.

— მადლობას არ გეტყვი ერის სამსახურისთვის შერგილისძე. ღმერთი გიზღავს შენ და შენ შვილებს ერთი ათად! მეფემ გაჩქარებით დასტოვა პალატი.

სალამოსათვის კრების წვევა ბრძანა. ტაია ჭალაქში სახეტილოდ წავიდა. კარგ გუნებაზე იყო მაინც. მეფის თავშეკავება და ეჭვი მოსწონდა კიდეც.

თავს ადანაშაულებდა ამდენი ხნის განდგომისათვის, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო: მაშინ შეიძლება, ვერც სპარსელთა შეთქმულება გამჟღავნებულიყო. ახლა კი ყველაფერი ნათელი იყო და ტაიასაც თავისი გეგმა ჰქონდა, ერთადერთი დღე სწორი. კაცო ბჭობდა და ღმერთი იცნოდაო.

კრება მისთვის მოულოდნელად აეწყობა. მარტო გუბაში ლაპარაკობდა. ევლოდიო ამ ჰამბავს, — თქვა განრისხებულმა. ჟრჭულოთავან სხვას არც არაფერს უნდა ელოდოსო კაცი. ბიზანტიელთა ბატონობა სპარსელებთან შედარებით, სამოთხე იყო და სხვა ამდაგვარი.

კაც ფარტაძის სიტყვა უფრო კონკრეტული და საქმიანი იყო. იუსტინიანე კეისარს ვთხოვითო დახმარება — პეტრეს ციხე აღვავითო პირისაგან მიწისა.

ტაიას დასცხა თითქოს. აღმურმა გადაკრა: როგორ, ისევ ბიზანტიელები? ისევ ბატონი უნდა მოვიწვიოთ, სხვა ბატონის ნაცვლად? არა! ამჯერად სხვას ანგარიშობდა ტაია შერგილისძე.

უკითხავად დაიწყო ლაპარაკი. ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს მოერიდა; კაც ფარტაძე გააჟილიკა ამგვარი ლაპარაკისათვის და შემდეგი ბრძანა. ფავრიზო შევიპყროთო ჩუმად (კაცს გავუზავნი, ვითომ მოსალაპარაკებლად), მერმე ჯარი შევეკრიბოთო, ისე რომ სპარსელთ არაფერი იყნოსონო, თავს დავეცეთ პეტრას ციხეს და გავასწოროთ მიწასთან. — დროა ლაზთ ძველი დიდება დაიბრუნონ, საკუთარი თავი თავადვე ეყუდნონ! — დაამთავრა ტაიამ.

სიჩუმე იდგა.

მერე კაც ფარტაძე გაცხარდა ისევ. ვერ შევძლებთო ცალ-ცალკე ბიზანტიელთა და სპარსთა წინააღმდეგ ხმლის ქნევას, დავიღვევითო...

გვიან ღამემდე გაგრძელდა კამათი.

ბოლოს გუბაშმა ისევ იუსტინიანე კეისართან ელჩიონი დაადგინა, კაც ფარტაძის მეთაურობით. ტაიას ფავრიზის გა-

ჩერება და დაშოშმინება უბრძანა. დღიშალნენ.

ტაია დამძიმებული მიდიოდა თავისი სამყოფელისაკენ. ყველაფერ სიკეთესთან ერთად, მან კიდევ ერთ სიახლეს ჩაავლო მეფის კარზე. ყველა თანამდებობა ნომინალური გამხდარიყო.

სამეფოს საღავეები გუბაზს ეპყრა ხელთ. კრებიონს კი ლაქლაქილა დარჩენოდა საქმედ...

...გახარებულმა იუსტინიანემ ლაზიკაში შეიღი ათაი ბიზანტიელი და ათასი ჭანი გამოგზავნა. ჯარს ახალგაზრდა დაგისტე უსარდლა. პეტრას გარშემოტყმული იყვნენ „მოკავშირეები“ სპარსთა ლაშქრად წამოსვლა რომ შეიტყვეს. ურიცხვი ჯარი მერმეროე მოეშურებოდა ლაზიკისაკენ. გაქცეული ფავრიზიც, ალბათ, მათ შეუერთდებოდა.

გუბაშმა ვიწროების დაცვა ურჩია დაგისტეს, ისე რომ ალყაც არ უნდა მოეხსნა ციხისათვის. თვითონ მერმეროეს შესახვედრად გაეშურა ლაზთა ჯარით. სარდლებად ტაია და კაც ფარტაძე იახლა. დაღამ ფაღვას და აეტს მცირე რაზმებით ვიწროების დაცვა დაევალა.

დაგისტეს ახალგაზრდობამ და სიბეცემ მსწრაფლ იჩინა თავი. მთელი ეს დრო პეტრას უჩხიკინა, ვერც ვერაფერი დააკლო და ლაზიკის ვიწროებში უიმედოდ დარჩენილ ფაღვას და აეტს კი ასიოდ ბიზანტიელი აახლა მხოლოდ. მოხდა ყველაზე უარესი. მერმეროე გუბაზს გაერიდა, ვიწროებს მოაშურა და სწორედ ბიზანტიელთა იმ გუნდს გადაეყარა. ბიზანტიელთა გასაცარი სიმაძევე გამოიჩინეს და დიდი ზარალი ანახეს მერმეროეს, მაგრამ, სანამ მეზობელი ხეობებიდან დაღამ ფაღვა და აეტი მოეშველებოდნენ, სპარსელთ პეტრას ციხისკენ გაიკვლიეს გზა.

დაგისტე გაიქცა, გაიქცა როგორც კურდღელი...

სპარსელებმა ციხის კარი განახნეს და გაქცეულების დანატოკარ სიმიდრეს უნდა დარეოდნენ, რომ ყველასაგან მივიწყებულმა ჭანებმა წამოყვეს თავი, ვისაც მიეწივნენ, ციხის კარამდე ხოცეს,

ნაალფარს თვითონვე დაეპატრონენ და გულმოსულებმა გასწიეს თავის გზაზე. მერმეროეს ნახევრად დანგრეული ციხე და სამასიოდ მეომარიღა დახვდა პეტრაში. დაციწვა და ქილიკი არ დაუკლია სპარსელთა სარდალს უხეირო რომაელებისათვის. ციხეში სამი ათასი კაცი ჩააყენა. ხუთი ათასს ისედაც გაპარტახებული სოფლები მისცა საკმელად, ხოლო თვითონ ძირითადი ჯარით სომხეთს გადავიდა და დვინს დასცა ბანაკი.

ტაია გულში ზეიმობდა. სასიხარულო ცოტა რამ ჰქონდა, მაგრამ გუბაზს თვალს თვალში უყრიდა თამამად. გუბაზი გამტყნარებულიყო. დღენიდაგ ფიქრობდა და წრიალებდა ეს ვეება კაცი. მერე ტაიას გულის გასახეთქად, ისეც ის უნიჭო დავისთე მოძებნა, მის მაწანწალა ჯარსაც მოუყარა თავი და დვინს დაეცნენ ანაზღად.

ამჯერად გამარჯვება სრული იყო და იმდენად აღმაფრთოვანებელი, რომ გუბაზის ნებართვით, ტაიამ ლაზთა რაზმით ქართლშიც შესდია ირანელთ და ამბის წამლები არავინ გაუშვიათ.

ამ დროს გუბაზს სახადი შეჰყროდა რაღაც და ერთი თვის თავზე ძლივს მოიკეთა. რაღა დროს ამხელა კაცის სახადი იყო, კინალამ გადაჰყვა.

ტაია საბოლოოდ მაინც კმაყოფილი დარჩა. ჯერ ერთი, ამ ბრძოლებმა ყველას დაანახვეს ლაზთა ბრძოლისუნარიანობა, ბიზანტიელ სარდალთა უნიჭობა და, რაც მთავარი იყო, თვით რომაელნიც ვერ მძლავრობდნენ ლაზიკაში. სტუმრად გრძნობდნენ თავს და მოკავშირის ქული ეხურათ.

შერგილისძე, ციხეგოჯს დარჩა მთელი წლით. გუბაზმა მას საკმაოდ დიდი უფლებები მიაგო. დაღაშ ფადვასთან მეგობრობდა კიდევ. აი, კაც ფარტაძე და აეტი კი გაურბოდნენ ზედმეტად. თუმცა, არც ზრდილობა დარღვეულა მათ შორის და არც ქვეყნის საგნო გაკეთებულა რამე.

ზღვის სიღრმისკენ მიიწვედა მათი ღმრთაობა. ალიონით მოტანილი სიტბო გამქრალყო სადღაც, თუმცაღა საკმაოდ ამოწვერილ მზეს მეტად უნდა დაეთბო მეზღვაურნი. ციოდა დიდ-დიდ ტალღებად აგორებულ პონტოს ზღვაზე. გამალებით უსვამდნენ ნიჩბებს მოუღლელი მენიჩბებეღ და ყოველი მოსმა ლახვრად ხვდებოდა დაპატარავებულ შერგილისძეს.

წელიწადი არ გასულიყო მერმეროეს ლაშქრობიდან, რომ ციხეგოჯს ისევ ფულის ფუჟი, მზადება და გაუთავებელი თათბირი იყო. ხოსროს გამოგზავნილი აურაცხელი ლაშქარი, მისი ყველაზე წარმოჩენილი სარდლის ხურიანეს მეთაურობით, მუხურისის ხეობაში იდგა.

წინა გამარჯვებით გულმოცემულ ლაზებს დაბნეულობა არ ეტყობოდათ. ტაიას სასიამოვნოდ, აეტიც და კაც ფარტაძეც გულმოცემულნი ლაპარაკობდნენ. მართალია, გულდედლობა არც სჩვეოდათ, მაგრამ ახლა დავისთვისაც და მომხედურ სპარსელთაც ერთნაირად, ამრეზით უყურებდნენ. კრებამ ერთხმად ცალკე ბრძოლა მოისურვა, ბიზანტიელთაგან დამოუკიდებლად, რამეთუ ამ უკანასკნელთათვის ეს ბრძოლა თუ მკლავის გაშლა და ფუნდრუკი, ლაზთათვის სახლისა და ჯალაბის მიწაწყლისათვის თავდადება იყო. აღარ ენდობოდნენ ლაზები რომაელთ. ახალგაზრდა დავისთვის არ სწყენია ამგვარი უნდობლობა. თავს დამნაშავედ თუ გრძნობდა. ნატიფად ნაგებ, პირმშვენიერ, გულმხიარულ რომაელთა სარდალს ხელში ღვინით საცეს სასმისი და ქალთა აღერსი უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ხმლის ქნევა და მტრის დევნა ღვინის გაცლამდე. ასე ატაცებული გუბაზი არასოდეს ენახა ტაიას. ერთნაირად დუღდა გუბაზის სხეული და აკი მხურვალე სიტყვითაც მიმართა ჯარს. გადაწყვეტილება

მოუწონა და მომავალი ბრძოლა დაუ-
ლოცა.

დავისთე თავის ჯართან ჩუმათობდა
რაღაცას...

ჯერეს თუ არა ბუკ-ნაღარას, ლაზები
და სპარსელები შხივლით შეასკდნენ
ერთმანეთს, მიხედნენ ლაზები, რომ ცო-
ტა ადრე დაეღზინათ, წინასწარ მიელო-
ცათ ერთუთრთისათვის გამარჯვება. რაღ-
აც ვერ გაეთვალისწინებინათ გუბაზს და
კრებიონთ.

ქარბნი იყვნენ სპარსელნი და უცნაუ-
რი გამხეცებით იბრძოდნენ. დადამ ფა-
ღვას და აეტის ფრთა დადრკა, დაიშა-
ლა. ლაზების სასაკლაოდ იქცა ეს ადგი-
ლი. გუბაზის უფროაი ბიძა მოკლეს. მო-
ხუცი არცერთ ბრძოლაში არ ტოვებდა
დისწულს და აჰა... სპარსელებმა იქით
იბრავლეს ჭიანჭველებივით და მათი
დროშაც იქით წაქანავდა.

ტაიამ კაც ფარტაძეს შეატოვა მარჯ-
ვენა ფლანგი და იქით გაეშურა სამასი-
ოდე მხედრით.

გამწვავდა ბრძოლა.

ერთიანად აისხლში მოსვრილი, ორ-
გან გაკენწლილი შერგილისძე, რისხ-
ვით და აიშრით შეკრული, სიკვდილს
ეძებდა. საშველი არ ჩანდა.

ბიზანტიელთ იხუვლეს უცებ დაწუ-
თიერი „სიმშვიდე“ ბრძოლის ველზე
იხუე აიძღვრა. კეისარის ქანდაკებასავით
ხმალშემართული მოჰქონდა ნებისყო-
ფადქცეული დავისთე.

აბჯარშემოვლელი ტაიამ მყისიერ-
ად შეიყვარა ეს ჭაბუკი, თუმცა კი მი-
სდა საყვირვლად, არც არასოდეს სძუ-
ლებოდა.

აბალი ძალით აზრილდა მუხურისის
ხეობა. ღმერთებივით იბრძოდნენ რომა-
ელნი. ზენაარმა შთაბერა სული ტაია
შერგილისძესაც და უცებ ხურიანეს
დიდებული თავი დალანდა ცხენ-კაცის
ნაწნავეში.

ტაია ტაია აღარ იყო. დრო გაჩერდა
მისთვის, შეიძლება უკუღმაც დატრი-
აღდა მზის გორგალი. მხერად გარდა-
ქმნა, უზანგებზე წამოიწია, ჰოროლი შე-
მართა. სიფრთხილე დაკარგა, არავინ და

აღარაფერი აინტერესებდა. თითქოსდა
თვალებით უბრძანაო, სპარსელები
ეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდნენ, ხურონ
გამოაჩინეს მთლიანად, მის თვალებს
სწვდა თითქოს ტაია შერგილისძე, მო-
ნუსხა და დაუჯერებელი აისწრაფით
ნასროლმა ჰოროლმა თავის ქალა ახადა
ხოსროს საყვარელ სარდალს...

სპარსელები დადრკნენ. ჯერ აირივ-
ნენ, მერე პანიკამ სინათლის აისწრაფით
მოიცვა ყველა და ერთნაირად მოეხ-
სნა აღვირი ჯარს.

გარბოდნენ სპარსელები. ლაზები და
ბიზანტიელები „მეგობრულად“ კაფავ-
დნენ უსასოოდ დარჩენილთ.

ეს გამარჯვება წინას არა ჰგავდა. ამ-
ჯერად მთელი პატივი ბიზანტიელთ და
ტაიას წილად იყო. რომაელნი ლაზთა
სარდალს აქებდნენ, ტაია უცხოელებს
ასხამდა ქება-დიდებას და მადლს უძღვ-
ნიდა. სხვა დიდებულები ღუშდნენ. მო-
წყენასა და ბოღმას ვერ იტყოდა კაცი,
მავრამ ღუშდნენ.

გვიან ღამით შეიკრიბნენ.

გუბაზი მოღუშული ჩანდა. მოსაღუ-
ში და საგლოვი ბარე ჰქონდა კიდევ სა-
ყვარელი ბიძის დამკარგავს. ბევრი ილა-
პარაკეს აქეთური, იქეთური. ბრძოლა
გაიხსენეს, ტაიას მკლავი შეუქქს. მერე
წამიერი ღუშმილით ისარგებლა გუბაზმა.

— დავისთე უნდა მოვიშოროთ, —
თქვა უცებ მეფემ.

სიჩუმე ჩამოწვა. ტაიამ დიდებულნი
მოათვალისწინა. ყველა ტაბლას დასცქე-
როდა. მოეჩვენა, თითქოს ყველა ელო-
და ამ ამბავს. ან ერთი ჰქონდათ ნაფიქ-
რალი და გუბაზი ღალადებდა ყველას
სათქმელს, ანდა შეთქმულიყვნენ უკვე.
მან არ იცოდა მართო არაფერი და არც
აზრად მოსვლია მსგავსი. საწყენი იყო
უკვე.

— დავისთე უნდა მოვიშოროთ — გაი-
მეორა გუბაზმა. უფრო დაუმძიმდა ხმა.

რამაზ შენგელია

ტაია, სასწაული და ლაზიკის ერთი მკობი

— ამ გამარჯვების შემდეგ გათავხედდებიან რომაელები. დაგისთე — პირველი რიგში. თავა დაგვამადლიან აუცილებლად. დამარცხების დარი იყო ეს ბრძოლა.

ტაიას მოეჩვენა, რომ ყველაფერი ეს მის წინააღმდეგ იყო მიმართული. მის ზეიმა აკინებდნენ, მის ვაჟკაცობა ატრიზავებდნენ.

კონსტანტინოპოლს წახვალ, — გუბაზი არჩა ქორქაისძეს მიუბრუნდა: — იუსტინიანეს ეახლები. ეტყვი, რომ დაგისთე სპარსელების მოსყიდულია. რომ მისი შემწეობით დგანან პეტრას ციხეს სპარსელნი და ვერაფერი დაგვიკლია მათთვის. ფირმანს დილისათვის გაგიშვადებენ. და გზას ეწიე. ვინც და რამდენიც კინდა, იახლე.

მესმის, ბატონო, — თქვა ქორქაისძემ და თავი დახარა. ტაიამ ახლა მას შეხედა გაკვირვებით. ქორქაისძე იშვიათად ესწრებოდა ხოლმე კრებას და ეს ორი სიტყვა იყო პირველი, რაც მისგან გაიგონა იმ ავბედით საღამოდან მოყოლებული, მამისეული სახლიდან რომ გააშევა.

„მესმის ბატონო“, — მწარედ გაეცინა ტაიას.

„გუბაზ!“ — დანანებით გაიფიქრა. — ეგ წესი არ არის მეფე-ბატონო — დაიწყო ტაიამ, ყველამ მას შემოხედა. — დაგისთე არ არის ის ყმაწვილი, ჩვენი ნათქვამი რომ ვერ გაიგოს. არც პატივმოყვარეობა აწუხებს ძალიან. ჩვენ თვითონ ნუ მივცემთ ბიზანტიელთ ვერავობის მაგალითს. ისინი ამას ისედაც არ საჭიროებენ. ნურც ამ ახალგაზრდას დავლუპავთ. თავისი გამარჯვების წილი პატივი ირგუნოს თავის სამშობლოში. ცოდვაა, მე მგონი.

გუბაზი ცივი თვალებით შეჰყურებდა ტაიას. ის სიცისფრე გახუნებულიყო თითქმის და სიჭრელე იმზირებოდა მის სანაცვლოდ.

— რა დროს გულჩვილობაა შერგოლისძევე, საქმეს მივხედოთ, ისა სჯობს.

— საქმე არ არის ეს. ჩვენთვის უკად-

რისი მზაკვრობაა, მეფევე ბატონო, ნერვიულად დამარცვლა ტაიამ. გუბაზმა გაიღიმა. ვი იმ ღიმილს.

— ფირმანი ხომ არაფერი მიგილია დაგისთესაგან, ტერდეთ? თუ ფარსმან? გაჰყინა ტაიას.

წყვილი იატაგანივით დააბჯინა მზერა გუბაზს.

— მაგით რა გინდა თქვა?

— თავი დახარე! — იღრიალა გუბაზმა და ტაბლა დალეწა ტორით — ბატონო-თქვა მიწოდე, ასპიტო! ყველა მტრის მასპინძლო და შემფარებლო! აღარავინ მოსულა შენთან, გუბაზი მოვკლათო? შენთან რად ეძებენ მოკავშირეს მუდამ? ტაია წამოხტა და კარვიდან გავარდა. აღარაფერი ესმოდა, უწიოდა რაღაცა ყურებში, საფეთქლები უფეთქავდა და ქვეყნიერება სძულდა. ტალახით ავებოდა სული.

— შეიპყარით! — იყვირა გუბაზმა. წამოწეულთაგან ორი აჩეხა ტაიამ. ცხენს მოახტა და აფშოლების რაზმისაკენ გაქანდა..

— შეიპყარით! — გაჰყვიროდნენ.

ფეხზე წამომხტარი მებრძოლები ვერავის ხედავდნენ შესაპყრობს. მათი სარდალი მიჰქროდა მარტო კოცონებს შორის ჩაუქადა.

ბანაკიდან მოშორებით მცირე ბრძოლა შეიქმნა. აფშოლების გუნდმა იმარჯვა, თავის სარდალს გარს შემოერტყა, უცნაური ბრძანებით გაოგნებული რამდენიმე ლაზი მოკლეს და ღამის წკვარამს მისცეს თავი.

დანარჩენი აფშოლები იმ ღამესვე გამოპარულიყვნენ და დილით კარვიდან გამოსულ უძინარ გუბაზს ლაშქარი გვირავიანი შეთხელებული დახვდა.

კვლავ ვიწროებისკენ მიჰქროდა ტაია, აფშოლთა რაზმს საგრძნობლად მოწყვეტილი, დაწინაურებული. მიჰქროდა თავგამეტებით, ისე რომ ჩამორჩენილ მეთორებს ჯერ უკვირდათ, მერე სწყინ-

დათ, ბრაზობდნენ სარდლისგან მიტოვებას.

გამოდევნებასაც ვერ ბედავდნენ შემცბარები.

სადაც იყო, უნდა ენათა კიდევ. მიჯრით ჩაიჭროლეს სოფლები. ძაღლების გნისი და სახლთან მორჩილად ატუხული კაცები ჩამოიჭოვეს, მერე ერთიც გაივარეს და მათა ფერდებს შეენაცვლნენ.

სულ აღარ ჩანდა ტაია შერგილისძე.

ერთ მცირე ტაფობზე შედგნენ. სული მოითქვეს. ბარად შემოპარული თენება გამჭრალიყო, მათა მიღმა დარჩენილიყო. სამაგიეროდ, სავსე მთვარეს გაენათებინა ამფითეატრივით. მოღებულ ივერცხლისფერი მდელი.

ცხენისნებმა იყუჩეს. ყურთასმენა გამახვილეს და ჩინომიხივებს გაუშტერეს თვალი.

ფლოქვების ხმა მოისმა უცნიდან. იმ წამს ტაია შერგილისძე გამოჩნდა. ირიბად გადაჭრა ტაფობი. მცირე გორაკზე აიჭრა და მონუსხულივით შედგა. არც ცხენი იძვროდა და არც კაცი.

ქანდაკსა ჰგავდა. ვერცხლისფერ ქანდაკს.

ქვემოდან შემყურეთ ასე უჩანდათ: აფშილეთის ბატონს მარჯვენა მხარეს მთვარე უმშვენებდა. მოწყვეტით დაეშვა საშინელ ციკაბოზე, ერთად შექუჩებულ, შეჩქვიფებულ ქვეშევრდომთ გარს შემოუჭვნა, ყალყზე შეაყენა ცხენი. ფეხები ზე აყარა ცხენმა, დაიჭიხინა გამეტებითა და სასოწარკვეთით. კვლავ მოსწყვიტა ტაიამ საყვარელი ბედაური და ტაფობს განერთხო.

ერთიანად ლანდალ ქცეული ცხენ-კაცი ზღაპრულ სფინქსსა ჰგავდა, ბრძოლად გავარდნილს.

ტაია ცხენს დაეკიდა; მცირე კოხს მოავლო ხელი, გაჭენდა, გაისროლა, ცხენდაცხენ მიეწია და ხმლით გაჰკვესა.

დასტყვივლა შემზარავად.

დასტყვივლეს აფშილთაც, ამ ღამეული როკვით აღტაცებულებმა და ისევ ბილიკად გაჭრილ სარდალს მიჰყვნენ.

გვამგადარეულ შერგილისძეს სატანა

შესახლებოდა. ბედნიერი იყო იმ წუთს, თავისუფლება თუ ერქვა იმ ბედნიერებას.

ერთი ეგ იყო — აფშილეთს მიღწეულს, ცხენი მოუვკდა. მისი საყვარელი ბედაური არჩევანა.

ეწყინა, მაგრამ ბევრი არ უდარდია. ამისი დრო არ იყო. უფრო სწორად, ახალი დრო იწყებოდა.

●
ტაიას მამულში საკვირველი ამბები დახვდა. რომაელთაგან შეწუხებულ აფხაზებს სკეპარანასთან საბოლოო შერიგება გადაუწყვეტიათ, კვლავ სრულუფლებიან მეფედ მიუჩნევიან, აღმოსავლეთი აფხაზეთი მისი შვილიშვილისათვის, ოფსიტესთვის მიურთმევიან და საძლეველი მტრისაგან თავის დასაღწევად მეთაურობა უთხოვიათ, — სხაპასხუბით მიაყარეს.

ტაია ადგილს ვერ პოულობდა. სიხარული გამჭრალიყო საღდაც. მის მაგივრად სრული სიმშვიდე, თავდაჯერებულობა მობრძანებულყო.

მის გადაწყვეტილებას მოსახდენის გარდუვალობამ გაუმაგრა მხარი.

თავისით ხდებოდა ყველაფერი.

ეს ტაიას სიმართლე იყო.

სკეპარანს ეჩქარა და სპარსელებისათვის დახმარება ეთხოვა. იქიდან სარდალი ნაბედი დაძრულიყო ჩუმად და გზის მოვლით. ესეც ესამოვნა ტაიას. ამ სიშორეზე, მთაში ამოსული სპარსელი საშიში არ იყო. ეს ხომ საზღვართან არ ხდებოდა, რომ მათი მოცილება შემდგომ საძნელო გამხდარიყო. არადა, მათი დახმარება უფრო შორს გამიზნული ხდებოდა. სპარსელთ გამოჩენა ბიზანტიელთათვის გამოაგნებელი იქნებოდა, მერე კი სპარსელებსაც მოუვლიდა ტაია. გუბაზისაგან ეს მაინც ისწავლა და დიახაც რომ მაღლობელი იყო...

მეფობა, ჩანდა, უამისოდ არ ეგებოდა.

ტაიამ ჯარის მზადყოფნა ბრძანა. ოფსიტე და სკეპარანა იხმო წებელდას ცი-

ხეში, მირდატ გუგაისძის საბატონოში და ნაბედის მოსვლას დაელოდა.

ნათესავები სიყვარულით შეხედნენ ერთმანეთს. გულით გაიხარეს, ზეალმართული მუშტითა და კბილების კრეჭით ლაპარაკობდნენ ყოველ საღამოს სუფრასთან მიმსხდარნი. ჩვენი დროც დადგაო, — ეს იყო თავი და ბოლო ამ საუბრისა.

ნაბედიც მოვიდა.

ზრდილ და ცბიერ სპარსელ სარდალთაგან განსხვავებით, ნაბედი ბიზანტიური თავხედობით ირჩებოდა. მეძვალი მოითხოვა უბოდიშოდ. ტაიამ საპასუხო სიტყვაში ისე მიმართა ნაბედს, თითქოს სკეპარნა ისედაც აპირებდა ირანს გამგზავრებას, შაჰთან მოსალაპარაკებლად და ამიტომაც მას „მეძვლობა“ არადა არ მოუხდებოდა. ნაბედმა გაიცინა და დათანხმდა.

წებელდა ნაბედს დარჩა, მირდატ გუგაისძის რაზმთან და სახლეულთან ერთად: ოფსიტე აფხაზეთს გაემგზავრა, სკეპარნა — ირანს. ტაია — ისევ აფშოლეთს და გამალებულ მზადებას შეუდგა.

ამ დროს ხმაც ამოვიდა აფშოლეთს. ლაზებს დავისთვის დასმენა „მოეხერხებინათ“. და სატუსალოში ჩადებული ახალგაზრდა სარდლის მაგივრად, ლაზიკას ბესა მოსულიყო — ბიზანტიელთა მორიგი „ლომი“ სარდალი.

ტაიამ ისიც გაიგო, რომ აფხაზ-აფშოლთა ამბოხის ამბავიც არ დარჩენილიყო საიდუმლოდ და ბესა იოანე გუზს ამზადებდა ლაშქრითურთ, ოღონდ როდისთვის, ღმერთმა უწყოდა.

ტაიას ანგარიშით ათიათას კაცს მოუყრიდა თავს, კარგად შეიარაღებულს, მაგრამ ეგ იყო, რომ ანგარიში ანგარიშად რჩებოდა. დაქსაქსული გახლდათ ეს ძალები. აფხაზებს თავისი გეგმები ჰქონდათ, აფშოლთ — თავისი. გაერთიანება იყო საჭირო ამ მიზნებისა და ტაიაც უნაგირზე დასახლდა. საქმე საუკეთესოდ აეწყო. აფხაზებმა სრული თანადგომა გამოუცხადეს ტაის. გუბაზის

არასწორი პოლიტიკის შეცვლას, აფხაზებს სრულ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ და ტაია მეფედ ნაკურთხი გამოუშვეს შერგილისძე საომრად შეწყობულმა აფხაზებმა. ოფსიტე კი სრულიად აფხაზეთის მმართველად ირწმუნეს.

კმაყოფილი ტაია მამულში დაბრუნდა და ის იყო წებელდას აპირებდა გამგზავრებას, რომ საზარელი ამბავი შეიტყო. იმ ხვადაგ ნაბედს ნამუსი აეხადა მირდატის უფროსი ქალიშვილისათვის. ის უკანასკნელი ხანჯალს დაგებოდა. გაცოფებულ მირდატს სულიერი არ დაეტოვებინა სპარსთა ლაშქრისაგან, დაეკუწა ერთიანად და ყვავ-ყორნების საჩიჯნად დაეყარა ურჯულონი. თვითონ მირდატ მეორედღეს მოვარდა ტაიას მამულს. ერთიორად დაბერებული, თვალებჩაცვნილი, მაგრამ გეჰენია შენთებულო, დამტყვერლი ერთიანად.

დიდხანს ითავცემეს და ინუგეშეს ტაიამ და მირდატ.

ეს უბედურების დასაწყისი იყო.

მესამე დღეს ტრაქეას, სადაც ოფსიტეს მეთაური ციხე გაემგზავრებინა, ბიზანტიელთა ზომალდები მიადგნენ.

ესეც ცუდი ნიშანი იყო.

აფხაზთათვის თავზარდამცემი იქნებოდა ეს ამბავი. ყველა უკეთურებას მთიელები ზღვიდან ელოდნენ და ამჯერადაც ზღვის ავსული ხაიტის წყრომას მიაწერდნენ ალბათ, სასოწარკვეთილნი, ყველაფერს.

ტაია მიხვდა თავის შეფდომას. იგი თავს ლაზიკიდან მოწყვეტილად გრძნობდა და ეგონა რომ ცნობა-რამ მისი საბატონოდან ციხე-გოჯს არ გაძვრებოდა. საკუთარი მაცნე კი ქალაქად არავინ დაეტოვებინა. ძლე-ვამოსრლ ლაშქრობას აპირებდა, ციხეგოჯს ბუკ-ნაღარით შესვლას. ნუთუ ასეთი გულუბრყვილო ეგონა ბიზანტიელნი ან გუბაზი თვითონ? რად მოხდა ასე? რად ეგონა, რომ მის მოსვლას დაელოდებოდნენ? სკდებოდა გული. ბოლმით გასივებული, დამძიმებული

ძირს ექაჩებოდა მხრებს და აპატარა-
ვებდა იხედაც ტანმორჩილ შერგილის-
ძეს. მიხვდა: ადრე ზეიმობდა, თურმე,
გამარჯვებას, იმ კეთილსაიმედო წინა-
პირობას სხვანაირი მოვლა სდომებია.
სად შეეშალა, ნეტავ?

ერთ რამეს კი გრძნობდა ცხადად
და ეს კლავდა:

უკვე კარგი ბოლო არ უჩანდა ყვე-
ლაფერ ამას. ნუთუ ორიოდ თვით გა-
ახარა ღმერთმა, ნუთუ ეს იყო მისი
წილი სიხარული და აღმატება? მძიმე
საფიქრალიდა დარჩენოდა აფშოთ
ბატონს. ლაშქრით ტრაქეას მისვლას
ვერ მოასწრებდა. მისკენ იოანე გუზი
მოემართებოდა და მისი საკადრისი
დახვედრა იყო საჭირო.

ტრაქეას გზაზე მალემსრობოები გა-
აბა უწყვეტ ნაკადად. მისი ანგარიშით,
ოფსიტე მაინც უნდა გამკლავებოდა
ბიზანტიელთ, ოღონდაც პანიკური ში-
ში უნდა დაეძლიათ აფხაზთ წყლით მო-
სული მტრისადმი.

თავიდანვე ყველაფერი ასეც აეწყო.
სამი დღე ვერაფერი დააკლეს რომაე-
ლებმა მეციხოვნეებს. ტაია იოანე გუ-
ზის მოსვლას ჩქარობდა, რომ მასთან
ბრძოლა მოეთავებინა და შემდგომ
აფხაზეთს გადმოსულიყო, ზურგიდან
დაერტყა ტრაქეას ციხეს მშვიერი მგე-
ლივით მიციცქინებული რომაელები-
სათვის.

მაგრამ იოანე გუზი არ ჩქარობდა
ვიწროებში შემოსვლას, ტაიას კი ველ-
ზე შეგებება არ სურდა. ქვემოთ ჩას-
ვლით, ბრძოლის ბედსაც სასწოროზე
შეაგდებდა და დროსაც მეტს დაკარ-
გავდა.

იჭდა და მოუთმენლობისაგან ვერ
ისვენებდა. ტრაქეას ციხის ბედი მოუ-
ლოდნელად გადაწყდა. არავინ იცის,
როგორ მოახერხეს ბიზანტიელებმა, ცი-
ხისათვის ცეცხლი შეენთოთ. აფხაზები
სახურავზე აცვენილან და იქიდან ის-
რების ჯოჯოხეთური წვიმა დაუშენიათ
რომაელთათვის. ამ უკანასკნელთა საქ-

მე უკვე ცუდად იყო, რომ იგრილა
თურმე ციხემ და მიწასთან გასწორდა.
ოფსიტე გაიქცაო, — ამითლა ანუ
შეს გამშრალი ტაია. მამის გულს უფ-
რთხილდებოდნენ მალემსრობოები,
თუ ცუდი ამბის „მახარობლობას“ ერი-
დებოდნენ, ვერ გაერკვა აფშოთ ბა-
ტონი. ჰუნებთან გაიქცაო, — უმტკი-
ცებდნენ.

ამ დროს იოანე გუზი შემოვიდა აფ-
შოლეთის ხეობაში და ნელი ნაბიჯ-
ით მოიწევდა წინ. შიკრიცი მალე
მოუვიდა ტაიას. შეხვედრას ესწრაფო-
და ბიზანტიელთა სარდალი მოსალაპა-
რაკებლად.

ტრაქეას უბედურება რომ არა, ტა-
იას იოანესთან სალაპარაკო არაფერი
ჰქონდა. ახლა კი...

ტაიამ მცირე ამაღა იახლა. ჯარი შე-
წყობული დატოვა მირდატის ხელმძღვა-
ნელობით და რომაელთან შესახვედრად
დაეშვა.

იოანესაც მცირე გუნდი ახლდა. მთის
ფერღზე მიეახლნენ ერთმანეთს. თვა-
ლი თვალში გაუყარეს. ბიზანტიელიც
ტანმორჩილი აღმოჩნდა. კოხტად იჭდა
თეთრ ბედაურზე.

— იმად მოვისურვე შენთან შეხვედ-
რა, ტერდეტ, რომ უაზროა სიხალის
ღვრა.

— ჩვენ სისხლი გვინდა, თანაც ბევ-
რი და ლაზიკა მთლიანად.

იოანე ჩაფიქრდა.

ორი ცხენი, თეთრი და ზერდაგი
ფშვინავდა, ტოკავდა და ერთმანეთს
გარს უვლიდა. რომაელმა თვალით ანი-
შნა მხლებლებს. ისინიც მსწრაფლ გა-
ნერიდნენ. ტაიამ თავისიანებს გადახე-
და. მათაც მიჰბაძეს მოსულებს.

— ტერდეტ, შენ ჰკვიანი კაცი ხარ.
კარგად მოგეხსენება, გუზაზისნაირი
კაცის მეფობა არც ერთ მეზობელ სა-
ხელმწიფოს არ აწყობს. ავი სპარსე-
ლებმაც გადაწყვიტეს ერთ დროს მისი
მოკლა. ორპირია გუზაზი! ჩვენს იმ-
პერატორს შენნაირი მოკავშირე უნდა,

მართალი და პირდაპირი. ვაჟკაცი. მაგრამ ახლა არ არის მაგის დრო. გუბაზი დღეს ძალზე ძლიერია. მეც რომ შემოვიერთდე ჩემი ლაშქრით, ვერას დავაკლებთ. რომ შეებრძოლო, სისხლისაგან დაცლილი ციხეგოჯს სასაცილო გახდები. აფხაზებიც დაშოშმინდნენ. აღარც ოფსიტე გყავს გვერდით. დაფიქრდი! ჩემი სახით შენ ახლა ბესა გელაპარაკება, იმპერატორი გელაპარაკება და ბიზანტიაც მთლიანად, შენ თუ ასე გსურს, გვადროვე ცოტა ხანს, ჩვენ თვითონ დაგიძახებთ, ახლა კი გაწერიდე აქაურობას.

ტაია ცხენის ყურებს ჩაშტერებოდა. სტყუოდა თუ არა ბიზანტიელი, ის მაინც მართალი იყო. კეისრის კარზე ტაია-ტერდეტს უეშმაკო კაცის სახელი ჰქონდა. ისინი მას მართლა დაუძახებდნენ საჭირო ჟამს და ტაიასაც ეს უნდოდა, ეშმაკობა თუ პოლიტიკური თამაში მერმისისთვის ყოფილიყო. მადლობა ღმერთს, ცოტა არ ასწავლეს აფშილთ ბატონს ამ წლებმა.

— ოფსიტე სად არის?

— ჩვენ ჭორი გავავრცელეთ, თითქოს ოფსიტე ხანძრის დროს დაიღუპა, მაგრამ შენ გეტყვი: ჰუნებთან გაიქცა შენი ოფსიტე. წადი მასთან და მოიცადე. შენი დროც მოვა, ტერდეტ!

ტაიამ არეულად შეათვალიერა იოანე. ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი. გული კი გამალებით უტემდა. მას ცოცხალი ყოფილა ოფსიტე!

— წადი, ჯარი დაშალე, ტერდეტ...

მეორე დღეს, შუადღისას, მოზრდილ ქარავანს ჩრდილო დასავლეთისკენ ექნა პირი და ტაატით მიიწვედა წინ. ტაიას მთელი სახლეული აქ იყო. მირდატ აკლდა კრებულს.

თავისი ციხის, წებელდის ახლოს, ქვაბში ბერად შედგომა ირჩია გუგაისძემ, ხორციით და სულით დაჩეხილმა.

იმავ საღამოს გუანცას კივილი დიდხანს დარბოდა ხევ-ხევ, მთა-მთა, და ყველას ამცნობდა აფშილეთვის უმრწემესი ბატონის ტაია ტაიას ძის დაბა-

ოლეჰკანდირი შუა ზღვაში შეტეხულ ნაპირი არ ჩანდა. ძლიერი ქარი ქროდა და ტაიას ჭაღარა თმას, წვერულ-ვაშს უწეწავდა.

— მოვედით, ტაია ბატონო, — წყნარად თქვა ქორქაისძემ.

— არჩა — გაისმა უცებ ტაიას ხმა: მჯერა, რომ შენ შენს მეფეს, ხალხს ემსახურები, მაგრამ კაცის თვალთვალს, დასმენა და მონური ყურის მოჭრა არაა ვაჟკაცის საქმე. გველი ხარ მაინც და არ გცემ პატივს.

— სამშობლოს სამსახურში თანამდებობებს არ ირჩევენ, ტაია ბატონო, — კვლავ წყნარად გააგრძელა ქორქაისძემ, — პატივმოყვარეობას ამ შემთხვევაში ცუდი სამსახურის გაწევა შეუძლია. თქვენ ყველაზე კარგად მოგეხსენებათ ამ წუთას მაინც... — არჩა ქორქაისძის გესლი მწარე იყო და კანკალი შეუდგა შერგილისძეს.

— გველის წიწილო...

ქორქაისძემ თვალთ ანიშნა მენიჩბეებს. ისინი წამოიწვივნენ.

— არ მომეკაროთ! — იყვირა შერგილისძემ. მენიჩბეები გაშრენ. ლურჯ-მწვანე სივრცეს მოავლო თვალი ტაიამ. თეთრად გაჰახჩახებულ ცას ააპყრო მზერა. პირჯვარი გადაისახა.

— შენ მიშველე, ღმერთო. — კბილებში გამოსცრა.

დგაფუნით ჩაეშვა წყალში.

უკან არ მოუხედიო.

მძლავრად მოუსვა მკლავები.

არჩა ქორქაისძე მოწყენილი იჯდნავში. დაგუბებული, კეთილი თვალუბით დიდხანს გაჰყურებდა თავის ბატონყოფილს, ხან რომ გამოჩნდებოდა მოზრდილი ტალღების თავზე და ხან კი ჰაიპარად დასმული წერტილივით გაუჩინარდებოდა შაბიამნისფერ დაღმართებში.

მზის ხელთუქმნელ ბილიკს მიჰყვებოდა შერგილიანთა მრავალწერტილი.

ჰუნების მეფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასეთი საპატიო სტუმრები მართლაც რომ არ ჰყოლია არასდროს. ბოლო წლებში მაინც, ასე ამბობდა თვითონ. იხტიბარს არ იტებდა. კავკასიონს იქით მომხდარი ამბები სრულიად არ აინტერესებდა. ის ნამდვილად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან აფშილეთი და მთლიანი ლაზიკა ისევ პატრონს დაბრუნებოდა და რომ არც დაბრუნებოდა, უძეოდ გადაგებულ მეფეს არც ეს აღელვებდა. პირველი დღიდანვე მოუვიდა თვალში ოფსიტე. ბუნებით კეთილს და ომის მოძულეს, სხვის მიწების მიტაცება და დაპატრონება აზრადაც არ მოსვლია. თავისი სამეფო სავსებით აკმაყოფილებდა.

ოფსიტესნაირ სიძეს მართლაც რომ ნატრულობდა. მგონია, ტაია ჩასვლის დღიდანვე არ დაუმალავს თავისი განზრახვა ჰუნების მეფეს. შერგილისძე დათანხმდა. დიდად არ ეპიტნავენოდა უფროსი შვილის ასე მოშორება (ასე ჩანდა, ოფსიტეს ჰუნების სამეფოში მოუწევდა დარჩენა), მაგრამ უარის თქმა შეუძლებელი იყო. ვერც უმემკვიდრეობას დაიჩემებდა ტაია. მამის სეხნია უკვე აცეცებდა შავ თვალებს და ყველა აოცებდა თავისი მშვიდი ხასიათით.

ქორწილს ისე ჩქარობდა ჰუნების მეფე, რომ ტაია სიცილს ვერ იკავებდა. ეამაყებოდა ეს ამბავი და ართობდა. ჰუნების მომავალი დედოფალი სილამაზით ვერ დაიკვებნოდა, მაგრამ არც შეუხედავი ეთქმოდა. ჩუმი, და მოკრძალებული, უცებ განაწყობდა მნახველს. ოფსიტესაც დაეკარგა ის ბავშვური სინაზე, თუმცა მის მაგივრად ვაჟკაცი ახოვანება არ შეუძენია და ტაიამაც ასე გაიფიქრა: ფერი ფერსო...

ქორწილი ზღაპრული იყო. ერთ კვირას გრძელდებოდა თავაშვებული ღრება. ტაია ლხინობდა, გუანცა ტიროდა, იცინოდა და ისევ ტიროდა. ხანი კიდევ უფრო მოხდენოდა შერგილისძის

მეუღლეს და ქორწილის კეშმარიტ დედოფლობა მასზე უფრო უაღრესად იყო. არავინ მალავდა მისით აღტაცებას, გამორჩეულ პატივში ჰყავდათ. ღვინის სიჭარბის მიუხედავად, ზოგ არავინ გაღადიოდა. ეს მოსწონდა ტაას და სწრაფადაც შეიყვარა მასპინძლები.

პატარა მენიკს ცა ქუდად არ მიაჩნდა, ერთი კვირა იცეკვა და იმღერა. არც ძილი ახსოვდა და არც მოსვენება. გაშლიდა ხელებს და ჩამოუვლიდა ახორბოცებულ მოქიფეებს. იყო ტაის კვრა...

ფერიას ჰგავდა მენიკი, ანდა დალს. ოქროცურვილი ლოკონები, ცისფერი თვალები, ისეთი ცისფერი, გეგონებოდათ, ამ გოგოს თმაც ცისფერი აქვს, პირისახეც და საერთოდ, თავადაც ცისფერი არისო...

მერე დამდორდა ცხოვრება. ნადირობა, ლხინი, მცირე ომი, იავე ლხინი. წლის თავზე ოფსიტეს გოგო შეეძინა და გუანცა დაარქვა.

ჰუნეთს გამომწყვდეულ ხიზნებს მთებზე ნასხლეტი ჭორები მოსდიოდათ ლაზიკიდან. ლაზებსა და რომაელთ ჭეყანა სპარსთაგან გაეწმინდათ. პეტრას ციხე აეღოთ, მიწასთან გაესწორებინათ და დიდძალი ალაფი ეგდოთ ხელთ. ამ ამბიდან ერთი თვე იქნებოდა გასული, რომ ჰუნების მეფეს ზოსროსგან კაცი მოუვიდა და დახმარება სთხოვა. ჰუნების მეფე ტაიას დაეკითხა. ტაია მოიქუფრა, გაკერპდა და პასუხი არ მისცა. როგორც თქვენ ინებებთ, მე სტუმარი ვარო, — უპასუხა შერგილისძემ. მართლა არ იცოდა იმწუთს, რა სჯობდა: სპარსელთ გამარჯვება გუბაზსა და რომაელებზე. თუ... მძახალმა ტაიას დუმილი თანხმობად ჩათვალა და თორმეტი ათასი მეომარი საბირი გაუგზავნა ზოსროს.

სპარსთ-საბირების ლაშქარმა ციხეგოჯს ვერაფერი დააჯლო და ისევ ქუთათისის მხარეს დაეპატრონა. ლაზიკა ისევ შუაში გაყოფილი აღმოჩნდა.

როგორც ამბობდნენ, აჟ კვლავ ბიზანტიელების მსუნავობას და დაუდევრობას ეჩინა თავი.

ბესა სავაჰრო საქმეებით გართულიყო თურმე და საზღვრები გაუმდარებელი დარჩენოდა.

რა ენაღვლებოდა! იბრძოლებდა, იბოგინებდა სხვის მიწაზე, მოიგებდა რამეს, ხომ კარგი, წააგებდა და, წავიდოდა თავის გზაზე. ლაზებში კი სპარსელთა მომხრეებს წამოეყვით თავი. ისევ არეულიყო ქვეყანა, ტაიას ახარებდა ეს ამბავი. ზეიმობდა გუბაზის ყოველ დამარცხებას და ელოდა, ელოდა დაძახებას. საფიქრალით თავს არ იწუხებდა. გრძნობდა, მოუვლიდა ამ რიარისს, ოღონდ ძალაუფლება სჭირდებოდა. მოუვლიდა!

ხუთას ორმოცდათორმეტი წლის თბილი ზამთარი იდგა. რომაელთ და სპარსელთ ისევ შეკრეს ვითომდა ზავი. გუბაზი მთაში იზამთრებდა და საგაზაფხულო გეგმებს აწყობდა, რომ ლაზიკაში მრავალნაცადმა მერმეროემ ზედიზედ აიღო უქიმიერონის ციხე, სევანეთი, ლეჩხუმი მიაყოლა და ტელეფისის ციხესთან საარაკო ეშმაკობითა და ბიზანტიელთა სიბრიყვით გაიმარჯვა.

რომაელთა სამარცხენო „ტრიუმფი-რატი“ ბესა, რუსტიკი და მარტინე, რომელთაც იმპერატორისაგან ლაზიკის პატრონობა ევალებოდათ, ყურებჩამოყრილი ისმენდნენ იუსტინიანესაგან შემოთვლილ „ლოცვა-კურთხევას“. გაცოფებულ გუბაზს სამივე სარდალი დაესმინა იმპერატორთან, ყველაფერს მათ უნებობასა და ვერცხლის სიყვარულს აბრალებდა.

ბესა გადააყენეს და აფხაზეთს გაუშვეს იქაური საქმეების მოსაგვარებლად. გულარძინილი სარდლები გუბაზს უფრთხოდნენ. საოცარი იყო, მაგრამ ამ მარცხის მერე მისი სახელი ხალხში უფრო გაზრდილიყო. „ის რომ აჟ ყოფილიყო...“ — დანაწებით ამბობდნენ ლაზები. თუმცა აღარავინ უწყობდა, ვისი გამარჯვება სჯობდა, რომა-

ელთა თუ სპარსელთა. აზრდაკარგული ეგრისელები, მხოლოდ კონკრეტული ბრძოლის შედეგზე მსჯელობდნენ და მომლოდინე თვალით შეჰყურებდნენ ღამედქეულ გუბაზს.

მას უნდა ეთქვა სიმართლე, მას უნდა დაესახა მომავალი ბრძოლის გეგმა, მას უნდა აერჩია ორ უფსკრულს შორის ერთ-ერთი, მას უნდა...

ღმერთო, საიდან მოეხმო ამდენი ძალა, ვისთვის ეკითხა? ან ვინ მოუსმენდა?

კიდევ ერთმა წელმა განვლო.

ტაია ველარ ჩერდებოდა ჰუნეთს. ის ვნება, ის სურვილი, ის სიძულვილი თუ სიყვარული ერთის თქმით გამოუნელდა თითქმის, ახალი ყოფით გადაიგლისა, მაგრამ თლილ ლოდად ქცეული აწვა ახლა აფშით ბატონყოფილს. სამშობლო მონატრებოდა შერგილისძეს. ამ მონატრებამ გუბაზის მტრობა გაუძლიერა. ის ერთი იყო ამ გადასაკარგავში მარტო მარტო და ყველაფერ ამაში ლაზიკის ახმახი მეფე იყო დამნაშავე.

სძულდა. სძულდა ნელი, მოზომილი და ბეჭითი სიძულვილით.

მორიგი უსიხარულო გაზაფხული ირთვებოდა ჰუნეთს. ღვთისაგან, მტრისა და მოყვრისაგან მივიწყებულ ტაიას ცხენოსანი ესტუმრა. დიდხანს აღვიძეს სიფრთხილდაკარგული, წინდლის უზომოდ ნაქეიფარი შერგილისაჟე. შიკრიკი არ ითმენდა — სასწრაფო საქმე მაქვსო. რომელი ჩანდა.

გაბურსალეხული ტაია კარგა ხანს ვერ მოეგო გონს. იგი ნელა, დამარცვლით კითხულობდა რუსტიკის გამოგზავნილ უსტარს, რომელიც ასე ნაცნობი იყო მისთვის. თითქმის ადრეც წაეკითხა, არადა, მართლა წაეკითხა. მგონი სიტყვაც არ იყო შეცვლილი.

მობრძანდი... საზიზღარი გუბაზი მოჰკალ... იმეფე მორჭმით, ტაია ბატონო!..

რომაელი ლეგიონერის ამ გზაზე წაწალი არ მოეწონა ტაიას. ზუსტ ზეპირ პასუხს ჩემს შიკრიკს დავაბარებო, უთხრა მოსულს, თქვენ სარდალს კი ჩემი მოკითხვა და საფლავის კარამდე შეგობრობა გადაეცო.

გაისტუმრა.

ორიოდე საათში ლაზი მალემსრბოლიც მიჰყვა თქარათქურით. თვითონ ჰუნების მეფეს ესტუმრა ტაია შერგილისძე. დიდხანს ისაუბრეს. ნამდვილი ვითარება დაუმალა ტაიამ მძახალს. გუბაზე თავდასხმის ამბავი გამოტოვა, შინა სამეფო არეულობა მოიმჩიუნა და ლაზიკას გამგზავრების ნებართვა თხოვა.

არ მოეჩვენა ტაიას. არ ესიამოვნა ჰუნების მეფეს მისი უცაბედი წასვლა. თვალს არ უსწორებდა. როგორც გინდაო, როგორც საჭიროა, ისე უნდა მოიქცეო, — უთხრა. ჯარი შესთავაზა. ტაია მიხვდა, რომ ჰუნების მეფე არც ისე გულუბრყვილო იყო, როგორც ჩანდა.

უარი უთხრა, გადაეხვია და სასწრაფოდ დასტოვა მეფის პალატი.

თავისიანებააც სწრაფად დაემშვიდობა.

ტაია ტაიას ძე დიდხანს ჰყავდა ჩაქრული გულში: ახლამისი სახელი ერქვა ყველაფერ ამას. ოფაიტე ცივად დაემშვიდობა, არაფერი უკითხავს. მტრული ნაპერწკალიც დაუნახა ტაიამ უფროს ძეს თვლებში და იმ ნაპერწკალმა არ მოასვენა მთელ გზაზე ლაზიკამდე.

მენიკი დაიკარგა ანაზად. ვერსად იპოვეს. ტაიას წასვლის მერე რომელიღაც კოშკში ცრემლგამშრალი და გაბუტული ნახეს.

გუანცამ იტირა, რა თქმა უნდა...

ოცდაათამდე კაცი იახლა ტაიამ. ძე-ხორციელთან შეხვედრა არ ეწადა და ამიტომაც მთელი გზა უვალ ბილიკებზე და თოვლიან უღელტეხილებზე გადიოდა. ციხეებს გარს უვლიდნენ, მწყემ-

სებაც კი ერიდებოდნენ. მერვე დღეს თაკვერს რომ გადავიდნენ, ტაიამ მარტო ღამით სვლა ბრძანა.

რუსტიკი შუა ლაზიკას, ტოლების ციხესთან, ჭალაში უნდა დალოდებოდა.

კიდეც ერთი მალემსრბოლი აჭრინა.

იმ ღამით შაორის ტბას გვერდი აუქციეს, ცოტა ზევით აიწივნენ და კლდე-კარიდან აისით შეფაქლული, დაბლობად დაცემული ღვთაებრივი სანახები გამოჩნდა. თვალზეგაბრწყინებული გასცქეროდა ტაია სივრცეს, უეჭველად ზღვით რომ მთავრდებოდა. დილის ნიავი შემოხვეოდა ტანზე, ცივი თითებით უსინჯავდა ოფლიან სხეულს, სიმართელეს უმოწყმესო თითქოს, დიდი ხნის უნახავ შვილს.

დიდხანს ვერ ჩათვლიდა.

ესიზმრა მერე:

სანადიროდ იყვნენ თითქოს მამა-შვილი — შერგილ და ტაია.

ცხენის ხეტებებით დაჰქროდნენ მშობლიურ გორაკებზე, ნადირს ეძებდნენ.

ბოლოს შეაჩერა ცხენი შერგილმა:

— მე გამოვრეკავ ნადირს, შენ აქ მოუცადე. უეჭველად გამოვრეკავ!

გაჰქრა შერგილი.

ცოტა ხანში ფერდზე ამომავალი გუბაში დაინახა ტაიამ. დათვი მოსდევდა. გადაუხტა შერგილისძე და ხმალი შემოჰკრა. ხმალი დაუხვედრა გუბაზმაც. დათვიც მოვარდა ამ დროს, თათებში შერგილის გადატეხილი ხმალი ეჭირა და ზურგში ჩასცა გუბაზს.

გაოგნდა ტაია. იგრძნო, როგორ დაეღია ღონე მკლავებში, როგორ მოიმჩვარა. დათვი კი მისკენ წამოვიდა, წამოიმართა და გადმოიფოფრა. უქნევდა ტაია ხმალს და ვერაფერს აკლებდა, აღარც ძალა ჰქონდა და აღარც ხმალი მჭრელობდა. მოუქნია ერთიც და ვადაში გადაუტყდა ხმალი.

უწვრილეს ნაფშენებად იქცა.

უნდოდა ეყვირა...

საშინელმა ზრიალმა და ყვირილმა გამოაღვიძა.

მზე თვალბმომჭრელად კაშკაშებდა და უცებ ვერ გაარჩია, რა ხდებოდა.

თავისი სახელი კი გაიგონა:

— თავს უშველეთ, ტაია-ბატონო! — ვილაცამ დაუყვია. ათიოდეკაცს მოესწრო წამოხტომა, ტაიას გარს შემოხვეოდნენ და მომხვედურებს იგერიებდნენ. დანარჩენები აეჩეხათ უკვე და ახლა მისკენ მოიწევდნენ ლაზიკის სამეფო სპანი.

ტაია ხმაღს სწვდა.

წრე ვიწროვდებოდა ნელ-ნელა.

ზურგი-ზურგს მისცეს აფშოლთ.

ის იყო მეოთხე კაცს აძგერა სახეში ხმალი ტაიამ, რომ მეზურგე გამოუკლეს და აღარცა ვინ იყო მგონი დარჩენილი. იგრძნო, როგორ მოახტა ვილაც მძიმე და ტლანქი ზურგზე, როგორ დატორა და გაგულდა თითქმის...

ხელბმეგრული შესვეს ცხენზე.

ორი დღე სოფელ-სოფელ ატარეს სიბრაზისაგან გაშავებული შერგილისძე.

მარტო ჭამის დროს გაუხსნიდნენ ხელებს. მაჯები დაუწყლულდა ერთიანად. პირმოკუმული ტაია არცა სთხოვდა მოლაზნადარე სპათ, სოფლებს მომარიდეთო. არ ჰქონდა აზრი. ყველაზე უფროსი მათ შორის ათისთავი თუ იქნებოდა.

ეს კი იყო, აფშოლეთს მოარიდეს, არგვეთით ჩამოატარეს. ესეც კეთილშობილებით არ მოსვლიათ. შეეშინდათ, ალბათ, თავის ბატონს ასე უბრალოდ არ გამოატანდნენ მთიელები.

ციხეგოჯს რომ მიუახლოვდნენ, ტაია წელში გაიმართა, თვალები გაუფართოვდა. ნაკვერჩხლები ამხურვალდნენ შიგ.

მოქალაქეები მდუმარედ შეჰყურებდნენ უნაგირში ჩასობილ, ტაატით მოძავალ შერგილისძეს.

დასწყევლა ვილაცამ.

ხალხი არ აპყოლია მაწყევარს. უტა მჭედელიც გამოსულიყო თავისი სამჭედლოდან, ხელში ვეება ურო ეჭირა და დაკვირვებით ათვალეირებდა ტუ-

საღს. მერე თავი დაღუნა და სანაღს ლოს შავად დაბჩენილ პირში სანარდა.

დილეგში ჩააგდეს ტაია.

მთელი დღე არავის მოუკითხავს, არც საჭმელი მიუციათ და არც სასამელი.

მეორე შუადღეს ამოიყვანეს, ხელე-ბი გაუხსნეს და ნაცნობი ტალანებით მეფის პალატისკენ გაუყენეს.

მეფე ტახტზე იჯდა, ცოტა გვერდ-შექცეულად და დაძაბული ფეკრობდა. ტაია რომ შეიყვანეს, კარგა ხანს თავი არ აუწევია.

შერგილისძე გაკვირვებით შეჰყურებდა მეფეს.

თითქმის მთლიანად გათეთრებულიყო გუბაზ ამ რამდენიმე წელში.

— გამარჯობა, ტაია-ბატონო, — წყნარად თქვა.

ტაიამ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა. საოცარი სისწრაფით გაუნათდა გონება. ჯერ არაფერი იყო დაღუპული. მან იცოდა, რაც უნდა ეთქვა და ექნა.

— რაის გამარჯვება, მეფე-ბატონო. ეს რა დღეში ვარ? — და მაჯები გაუწოდა.

გუბაზმა წარბები ასწია და გულწრფელი გაცეხით შეაცქერდა.

— არ მესმის?!

— არც მე, — ჯიუტად თქვა შერგილისძემ და სარკმლისაკენ გაიხედა.

გუბაზმა მოკლედ გაიცინა: — ადექი!

— აბა რა გინდოდა? — ღიმილით ჰკითხა. ჯარი ხომ არ მომერთმია შენთვის? ცოტას შეგებრძოლებოდი ზრდილობისათვის და დაგიტომბდი მერე სამეფოს! — ტაიამ დაცინვა ცალ ყურში შეუშვა.

— ოცდაათი ცხენოსნით მეფესთან საბრძოლველად არ მოდიან — კვლავ ჯიუტად თქვა ტაიამ.

— რატომ? არ არიან აქ შენი მეგობრები: ჭკუანაკლული რუსტიკი და მარტინე. ბესაც ჩამოგეშველებოდა აფხაზეთიდან. მართლა, სად არის შენი ვაჟიშვილი ოფსიტე? ჰუნების მეფედ აკურთხეს, ალბათ, უკვე.

— ეგ სწორად გცოდნიათ. მე რომ ის მდომოდა, რასაც შენ ფიქრობ, მეფე-ბატონო, ჰუნებს დახმარებაზე, მე მგონი, უარი არ უნდა ეთქვათ.

— მერე?

— სამოყვროდ მოვდიოდი, — ტაიამ თვალი გაუსწორა გუბაზს: — მე შენთვის არაერთხელ დამიმტკიცებია. მაგრამ რა მივიღე სანაცვლოდ? მხოლოდ უმადურობა.

გუბაზი წამოწითლდა. წარბები შეჰყარა.

— რუსტიკისაგან ისევ მივიღე უსტარი. ისევ შენი მოკვლა სწადიათ, მე — გამეფებას მპირდებოდნენ. მესამედ მინდოდა შენი გადარჩენა და აჰა, ისევ მადლობა მივიღე.

ტაიამ კვლავ მაჩები დაანახვა გუბაზს.

— ჩემი ერთგული ხალხიც გამიწყვიტე.

გუბაზი წამოხტა, ნერვიულად გაიარ-გამოიარა, სარკმელს მოჰკიდა ხელი და უცებ შემოტრიალებულმა დასაქვა:

— იმიტომ მოდიოდი ღამ-ღამ? ჩემი სიყვარულით შეკრიბე მაშინაც აფ-შილ-აფხაზთა ლაშქარი? შერგილისძევ! არასოდეს გეხატებოდი გულზე, მაგრამ დამთავრდა. დამთავრდა-მეთქი! ველარ მიმტრობ. ველარც შენს ქვეყანას უმტრობ.

ღუმილი ჩამოვარდა, ჩამოვარდა და გაიწვლა.

ტაია ტახტს მიშტერებოდა და ველარაფერს ფიქრობდა. მისგან გასროლილი ტყუილის ცელი რიალებდა ჰაერში. ვისკენ ზოიქნევდა კუდს, ესლა იყო საკითხავი. ნუთუ მართლა დასრულდებოდა ყველაფერი?

— კრება გადაგიწყვეტს განაჩენს, — თქვა ბოლოს გუბაზმა, — გამშორდი!

ტაიას ისევ ტალანები გაატარეს და დილეგში ჩაადგეს. მაგრამ ჩაურაზეს საძრომი.

იმავე საღამოს, უფრო სწორად, ღამით

შეიკრიბნენ დიდებულები. ტაიამ იგივე გაიმეორა.

კრება ღუმდა.

სიტყვა მიტროპოლიტმა ანდრიამ აიღო. კრებას მოუწოდა, აზრი გამოეთქვა.

დადაშ ფაღვამ და აეტმა უფრო ტაიას უტოდველობა ირწმუნეს. კაც ფართაძემ — არა.

გუბაზი მინაბული იჯდა ტახტზე და ეტყობოდა, აზრით სხვაგან იყო. წინა კბილებით ცერათით დაყრდნობოდა და ვერ გაიგებდით, ელიმებოდა თუ იქუფებოდა ისევ. ხელი ჩამოიღო ბოლოს.

— იყოს ეგრე, — თქვა — ძველ ლაზებს ერთი ძველი სამართალი ჰქონდათ. გაიყვანდნენ ზღვაში ეკვმიტანის და თუ გამოსცურავდა, უფლის ნებით — მართალი იყო. გმირიც იყო. ღმერთის რჩეულიც. მესეფი მი-აგებდა თავის თიას იქნეული საქმით დამაშვრალს...

უცნაური რამ განაჩენი გამოიტანა გუბაზ ლაზთა მეფემ. ბოლომდე არგა-წირვას ჰგავდა ყოველივე, ან გამასხრებას აფშილთ ბატონისა. არავინ უწყის.

ძველთაძველი სამართალი იყო ლაზთა ქვეყნისა...



ტაია შერგილისძე მარდად მისრიალებდა ტალღებზე. ძალას არ ზოგავდა. მიცურავდა იმ სურვილითა და აღტყინებით, ბრძოლაში რომ კრიჭას აკვრევინებდა, თვალს უშტერებდა და აყივლებდა. მიცურავდა ამჯერად ჩუმად. არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ მის წინ ყოველმხრივ აქანავებულ წყალს ჩაჰყურებდა, სადაც ჟამიდან ჟამს წვრილ-წვრილი მედუზები დაჩნდებოდნენ. ერთი ორჯერ მთელი ქარავანი გაჰყვითა ტაიამ ამ საზიზღარნი, სლიკინა ცხოველებისა. დასუსხეს კიდევაც. ო, როგორ ვერ იტანდა მათ. ნაპირზე გაგდებულსა და მზისაგან გან-

ლესუსაც კი თვალს ვერ უსწორებდა. მოცურავებს ხომ — სულ...

ახლა კი ამაზე არ ფიქრობდა. სტუმრის მოკრძალებას გრძნობდა თითქმის მათ მიმართ.

მერელა მიხვდა, ნაპირთან მოძუძგურებული და ქვიშაზე ამომხდარი მეღუზა რად სძაგდა ასე ძალიან. მზე ზეცის თავანს მოქცეოდა უკვე, რომ შერგილიაძე შეჩერდა, ტალღებზე ანანავდა, ზურგზე ამოტრიალდა, და უკიდვგანო სილურჯეში ჩასძირა მზერა. ფთილა ღრუბელი არ იყო ცაზე. მზე კაშკაშებდა მხოლოდ, მაგრამ ტაიას ვერ კი ათბობდა. ცივი იყო ზღვა, გათბობა არ უნდოდა და მის საშველად დღის დასალიერს ღამე მოდიოდა ხოლმე. ტალღაზე გართხმული შერგილისძე ზეცას მისჩერებოდა. წამოყირავდებოდა ხოლმე ზვირთი. გადაქანდებოდა მზე. გამობრდღვილდებოდა ისევ.

და ათბობდა მაინც.

თითქმის რაღაც გაახსენდაო, ტაია წამოიმართა და იქით გაიხედა, საითაც ნაპირი ეგულებოდა, კისერი წაიგრძელა. ანცი თევზივით ხტებოდა წყლიდან და.. დალანდა თითქმის! სიხარულმა ფრთები შეასხა. გაჩერება არ ეგებოდა. ძლიერად მოუსვა.

მიცურავდა.

ისევ არაფერზე ფიქრობდა.

ისევ რიალებდა მის წინ წყალი.

ისევ არაფერზე ფიქრობდა.

ისევ..

ველური, მოქნილი რიტმი გასჩენოდა სხეულში. საკუთარი მოძრაობის სილაღე ატკბობდა იდუმალად.

და მიცურავდა.

ნაშუადღევს ქარი ამოვარდა. უსიამობორიომ წვრილ-წვრილი ტალღები წამოშალა. აიქოჩრა ზღვა, გაჭაღარავდა და აშრიალდა. ტალღები მათ შესახვედრად წამოსულ გათავხედებულ მოცურავებს სახეში უტლავუნებდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ, სახეზე ექლასუნებოდნენ, აწვალებდნენ. ის რიტმი

დაკარგა შერგილისძემ, ქოშინი აუვარდა და შეჩერდა. თვალები დასცნულან ნებოდა. ეწვოდა.

დაღლილობა იგრძნო, თავს არ უტყდებოდა.

ძლიერი დაღლილობა იგრძნო. ზურგზე გაიშალა ისევ. ვერ ისვენებდა მისდა გასაკვირად.

შოშმა გაიარა სხეულში და სიძაბუნე დასტოვა. „ვერ გავალ...“

და გუბაზე გაახსენდა ანაზღად. პირველად მას შემდეგ, რაც მოცურავდა. მეხთატეხასავით დაატყდა სიძულვილი, სიტყვას ვერ პოულობდა. ვერც იპოვიდა.

ატოკდა ტალღაზე შერგილისძე. აღარ უნდოდა გუბაზე ფიქრი. ქინად გაქვავდა მისი სახება. ცქაფად შეტრიალდა, ტალიდან ასხლტა და გარემო მოიხედა. თავზარი დაეცა.

არ ჩანდა ნაპირი.

არც ნიშანი რაიმე საიმედო. აკი ჩანდა? კიდევ ასხლტა ტალღაზე.

არაფერი...

გაცოფებულმა აამუშავა მკლავები. მთავარი იყო მხარი არ აქცეოდა. იშვიათად ამოსწევდა თავს წყლიდან. მიცურავდა დგაფუნით, შხეფებს ისროდა და სძულდა, სძულდა ყველაფერი: გუბაზიც, ზღვაც, მზეც... ყველაფერი სძულდა.

კარგა ხანს მიდგაფუნებდა. მერე ისევ ერთბაშად გამოელია ძალ-ღონე. სასოწარკვეთილი შეჩერდა. ხავილით ამოსდიოდა ჰაერი ფართოდ დაღებული პირიდან, ყელში მოსწოლოდა შიგანი და გული სტკიოდა. სტკიოდა, როგორც მგლის ხაფანგში მოყოლილი ფეხი.

სუნთქვა ჩაიწყნარა როგორც იქნა.

ამხელა წყალში სასწაულებრივ გამშრალ ტუჩებს აცმაცუნებდა ნება-ნება და ბამბად ქცეულ ხელებს ასავსავებდა წყლის ზედაპირზე.

უცებ ორ ტალღას შორის რაღაც დაინახა შერგილისძემ. ვეება წვერგაბურღული, თითქმის.

გაზარა ტანში.

„მესეფი?“

ტაია მონუსხულივით მიაჩერდა უცნობს და როცა სულ ახლოს მისცურდა, მიხვდა, რომ ანგარიშმიუცემლად იწევდა მისკენ.

წყალზე ხის ვეება კუნძი ტივტივებდა ზელგაშლილი მასპინძელივით გაშვერილი ფესვებით.

სიხარულით აევსო თვალები ტაიას. მიცურდა, სიყვარულით მოუსვა ხელი გლუვ ტანზე, შემოეხვია მთლიანად და ლოყა მიადო. დაშაშრულ-დაღარული ტანი ბევრს ეუბნებოდა შერგილისძეს. ტყე იყო ამ კუნძში, მთა იყო, ბალახიც იყო. სიცოცხლე იყო ამ მიწას მოწყვეტილ, შუა ზღვაში გამოტანილ, მარილიანი წყლით გამოლოკლ ხის ნაგლეჯში.

ფესვებს მოუსვა ხელი ტაიამ. დასუნა. მიწის ნატამალიც არ შეერჩინა დაუნდობელ ზღვას. მიწის ერთი ნამცეცი... არადა, როგორ უნდოდა შერგილისძეს. ყველა ნაქდევო, ყველა ხერელი შეამოწმა. თავი შერგო ფესვებში. ერთიანად დაიფხოვნა.

ძალზე დიდი იყო კუნძი. მასზე მოკიდებული ცურვა შეუძლებელი იყო. დასვენება კი, ალბათ, შეიძლებოდა.

ალერსიანად მოეხვია ისევ ტაია კუნძს და დაეკიდა. კუნძი ატრიალდა და ტაიამ წყალი ყლაპა. არ მოელოდა. მეორე მხრიდან მოეკიდა. ისევ ატრიალდა კუნძი. ზემოდან მოექცა, კუნძი დაიძირა და ისევ ატრიალდა.

შერგილისძე გაბრაზებული შეაქჰერდა კუნძს. მერე ბრაზი უკუეგდო, გონება დაძაბა. როგორმე უნდა გამოეყენებინა ზღვის ეს ნაბოძვარი.

ფესვების მხრიდან დაუარა. ორ მოზრდილ ფესვს მოეჭიდა. წყალზე გაიშოტა. უცბად დაეღალა ხელები. უფრო ახლოს მიიწია და სხვა ფესვზე დააპირა გადანაცვლება. კუნძი თავისი ღერძის ირგვლივ დატრიალდა და ჰაიპარად გაშვერილმა ფესვის გადანატემა გულშეკრძალი გადაუსერა ტაიას.

შეჰყვია შერგილისძემ. პირდაღებუ-

ლი ჰროობიდან სისხლი როდის-როდის წამოვიდა. მომწვანო-მოლურჯო წყალს შეერია. აღისფერი დარჩა მინც. ტაია კანკალით ჩაჰყურებდა საკუთარ სისხლს და ცდილობდა გასცლოდა იმ ადგილს.

კუნძთან ტრილ-ბზრიალში გართულს, მთავარი საფრთხილო დავუყებოდა. მხარნაქცევი შერგილისძე გამწარებული ატრიალედა თავს აქეთ-იქით.

დაიყვლა უცებ შემზარავად.

კბილები გაფშვნა რიჩვით. სულ ერთი იყო საით წავიდოდა — ეფურა უნდა.

და გასჭრა ისევ წყალი შერგილისძემ. ჰავლი მოიტოვა უკან მცირედ. საშინელი ტკივილით ეწვოდა მკერდი. ეს ტკივილი აბრუნებდა ამქვეყნად, კრავდა მის სხეულს და საფექრალს აძლევდა სიცოცხლის თვინიერ და კიდევ სიცივე, წყლიანი ჯურღმულიდან მომდინარე სიცივე აგდებდა ზევით, უხილავი ნაპირისაკენ მიერეკებოდა.

ტანაცემელი შემოიძარცვა სრულიად. ფეხსაცემელიც გაიძრო. უფრო გაუთბა თითქმის დამზრალი სხეული. დედოშობილა მიუყვებოდა ნახევრად გონდაკარგული ტაია შერგილისძე მზის ბილიკს ისევ, ოღონდაც ზურგშექცეული ამჯერად. გეზი არ შეუცვლია აფშლით ბატონყოფილს. ეგ იყო მხოლოდ, მზე დაქანდა მეორე მხარეს და ზღვას მოწყურებული გაემართა მასთან შესახვედრად. ვეღარაფერს ხედავდა ტაია და ვერაფერა გრძნობდა.

წყლის სიშავეს ჩაჰყურებდა მხოლოდ. მიცურავდა.

უცებ გაუნათდა გონება.

მიხვდა, ეს სიკვდილი იყო და თავი ასწია. შეჩერდა. მის წინ, სულ ახლოს, ხელის ერთ გაწვედნაზე ნაპირი იყო. მზე გამჭრალიყო.

ტაიას არ გაზარებია ნაპირის დანახვა. მისთვის სულერთი იყო მიწა აქ

იქნებოდა, ასე ახლოს, თუ ათასი ტალღის იქით.

„ვერ გავალ.“

სიკვდილი შუა ზღვაში სკობდა აფშოთ ბატონისათვის. სწანულმა უკანასკნელი ღონეც გამოაცალა და ზურგზე გადატრიალდა ბედს შერიგებული შერგილისძე. მრგვალი მთვარე აჰედებულიყო ღამეულ ცაზე. ის იყო დაიძრა, სახეზე ტალღა გადაევლო, რომ ფართოდ გახელილ თვალებში მთვარემ გაუცინა. შეკრთა შერგილისძე, ხელი გაატოკა და ჭრილობაზე წაივლო. ტკივილმა გაჰკვესა სხეულში და განწირული აფართხალდა. თავი დააღწია ლირწ წყალს. ათასფუთიანი ხელები აამოძრავა არაადამიანური დამაბულობით. ზედ დაიხედა. ნაპირს გახედა მერე.

ხელის ერთ გაწვედნაზე იყო.

ხელები კი უზარმაზარი ჰქონდა შერგილისძეს. პიტუნიტის ფიჭვის სიგრძე და უტა მჭედლის გრდემლივით მძიმე. და დაიქნია თავისი ვეება ხელები ტაიამ.

და იგრძნო როგორ შეეხო ნაპირს.

მუხლებზე დაჩოქილი, გამართულ ხელებზე დაყრდნობილი, გაოგნებული ჩასტკეროდა ნაირსიდიდის სველ კენჭებს. კანკალებდა მთელი სხეულით.

ნიკაპი უცახცახებდა.

უკან მოიხედა.

ყალუზე შემდგარი ტალღა მოემართებოდა მისკენ.

შიშა შესძრა ტაია შერგილისძე. ჰირი ვაალო, უნდოდა ეყვირა მთელი ხმით და დაიხავლა კი. უნდოდა გადამხტარყო, შემზარავი სიდიდის ტალღას ასცლოდა და ნაბიჯი კი გადადგა. ერთი ნაბიჯი. ბლახშერეულ ქვიშაში ჩაიჭრა. ცრემლი წასკდა. ზღვის წყალიღოთ მლაშე და ზღვაავით უწრეტი. გულ მოღებულები ქვითინებდა და ჩაიძინა უმაღ. ზღვა კი წყნარი იყო. თეთრი ვინიებივით გამობობოდნენ პატარა, საყვარელი ტალღები და ნაპირს ეთამაშებოდნენ კენჭების შრიალით.

ტაიამ როცა გაიღვიძა, ქვიშა დაინახა. ქვიშაში ფუნჯებად ამოზრდილიყო ბალახი, ნახევარი — შეყვითლებული. მაგრამ ცოცხალი მაინც. ერთ გვერდზე გადახრილ, დაჩალებულ ღეროზე ჰიანჭველა მიცოცავდა. რაღაცა თეთრი მოეგდო პირში და მიიჩქაროდა. ცოტა ხანს უყურა. მერე პატარა ჩხირი აიღო, ჰიანჭველას გაუწოდა. ისიც დაუფიქრებლად გადაცოცდა ახალ გზაზე. სავალი რომ შემოეღია, აღარც ადამიანის თითს მორიდებია, ახლა ტაიას „ჯანგარით“ დაფარულ მკლავზე იკვლევდა გზას და შეშინებული ჩანდა, ცოტა არ იყოს. ტაია სუსტ ხიცინს გრძნობდა ხელზე და ნასიამოვნები იღიმებოდა. მერე ისევ თავის მშობლიურ ფუნჯა ბალახს დაუბრუნა გზაბნეული მოგზაური, თუ ოჯახს გადაყოლილი დედა და გადმოტრიალდა.

შუადღეს გადაცილებული ჩანდა. სახეზე ხელი მოისვა. წვერში, წამწამებში, წარბებში, ქვიშა მოსდებოდა. ჭრილობა ხომ სულ სავესე იყო.

წამოიწია. ტკივილმა დაიარა ყველა კუნთი და სახსარი. წამოდგა მაინც და დამძიმებული წავიდა ზღვისკენ. თან გაჰყურებდა შენატრისფერებულ სივრცეს და ვერ გაერკვია, რას გრძნობდა. სიხარულს? სიამაყეს? (როგორ სიხარულს? როგორ სიამაყეს?) არცერთს ან ყველას ერთად.

უფრო არც ერთს.

წყალთან მივიდა. ტალღა მის ფეხებთან განერთხო და აშიშინდა. ტაია უაქცეულ ტალღას მიჰყვა. წყალს რომ შეეხო, გააყრეოლა. თავ-პირი დაიბანა, მერე ჭრილობის ამოსუფთავება დაიწყო ფრთხილად. აეწვა. თან მკერდზე ყურებით მზერაც დაედალა და უკან გაბრუნდა. ცხელ ქვიშაში ჩაწვა. ისევ დაუამა. ოდნავ გაიზმორა ნეტარებით და გაახსენდა, რომ სრულიად შიშველი იყო.

სად იყო, ნეტავ?

ტაიამ გარემოს თვალი მოავლო. ძე-

ხორციელი არავინ ჩანდა.

ქალაში შევიდა. დიდფოთლოვანი ტოტები დაგლიჯა, ტანზე შემოიხვია და რის ვაივაგლახით დაამაგრა. ბილი-კისმაგვარი დაილანდა რალაც და ტაია გულმოდგინედ დაადგა ამ ნადირისა თუ კაცის სავალს.

მიძუნძულებდა. ხან შეანელებდა ნაბიჯს. გრძნობდა, როგორ ქრებოდა ტკივილი სხეულში და სიმსუბუქე უბრუნდებოდა. გაოფლიანდა. ქრილობიდანაც სისხლნარევმა ღიმფამ იწყოდნა და აეწვა ისევ, ოფლის გამო აღბათ. გზაზე ტაიამ მოზრდილი ტოტი რამ იპოვა. ხელში გამოიკავა და ყარობი მოგზაურით გაალაჯა აზუზუნებულ ქაობებს შორის.

დალამდა. ის იყო ტაია უკვე მარჯვე ხეს ეძებდა ღამის გასათევად, რომ ძაღლის ყეფა მოესმა და კვამლის სუნიც იგრძნო. გახარებულმა მოუჩქარა ნაბიჯს და მართლაც, ტყიდან გამოსულს, წინ კარგა მოზრდილი სოფელი დახვდა. სიბნელეში გაუჩნებული და აბოლებული. კარგად დაზვერა გარემო. ცა უნდა ყოფილიყო. საურმაგ ქარდა გაახსენდა.

ძაღლები წამოიყეფებდნენ ქამიდან ქამზე.

ორლობეს გაჰყვა შერგილისძე. ჯოხი მოიმარჯვა: იცოდა ამ ძაღლების ხასიათი.

და გაოგნდა შერგილისძე.

არ უყეფდნენ ძაღლები.

გაჰყვებოდნენ ღობის გასწვრივ ამაგრულები, კუდაპრებილები და ღობის კუთხეს მიმდგარები უწყაუზებდნენ კბილებს. ერთ მომცრო ჯარგვალთან ათიოდე წლის პერანგისამარა ბიჭი დანახა. ღობესთან მიმდგარიყო და შარდავდა.

ტაია ღობეს მიადგა მეორე მხრიდან.

— შეილო! წყნარად დაუძახა.

მაგრამ ბიჭს დაძახება აღარ უნდოდა. პირდაფჩენილი, თვალეზაფართოებული შეჰყურებდა.

— ცაია ეს სოფელი?

ბიჭმა ძლივს დააქნია თავი. კანკალებდა უკვე.

— ნუ გეშინია, შეილო, — გაეცინა შერგილისძეს, — საურმაგ ქარდა სად სახლობს აქ?

ბიჭი უკან-უკან მიდიოდა. ხელი გაიშვირა ქვემოთკენ და უცებ ადგილს მოსწყდა.

— ბაბა, ბაბა, ოჩოკოჩი, ბაბა, მიშველე, ოჩოკოჩი, ბაბა!

ტაია სწრაფად დაეშვა. ეს ბიჭი გადაჰყრიდა რალაცას. ასიოდე ნაბიჯზე, განმარტობით მართლა იდგა სახლი.

— მასპინძელო! — შესძახა.

ჯარგვალში რალაცა გაჩქამდა. მაგრამ ეს იყო და ფეხების ტყავატყუპი მოისმა. მოტრიალდა. მისკენ ხუთიოდე ჟინელია მოიწევდა, ქვემოთ გაიხედა, ქვემოდანაც მოველოთ და იქიდანაც ამდენივე ჟინელია მეტი სიფრთხილით ამოდიოდა. ჯოხი მოიმარჯვა.

ახლოს მოვიდნენ.

იმ პატარა ბიჭის სახე გამოჩნდებოდა ხოლმე უფროსების ზურგს ამოფარებული.

— ა, ბაბა, ხო გითხარი, ბაბა, ხო გითხარი... — იმეორებდა დაუსრულებლევ.

— რა იყო, ხალხხო. ადამიანი შეილი არ გინახავთ. საურმაგ ქარდას სტუმარი ვარ, — რაც შეიძლებოდა წყნარად თქვა ტაიამ.

— ადამიანივით ლაპარაკობს შეჩვენებული, — თქვა მოხუცმა, ბიჭის პაპამ, ეტყობა, და პირჯვარი გადაიწერა.

— ადამიანი მაგი, — თქვა ერთმა, — უბატრონოა მხოლოდ.

— ისე გამოიარა მთელი სოფელი ძაღლს არ შეუყეფია, — იყვირა მეორემ. — ჩემი ძაღლი ფრინველს არ ატარებს ეზოში. ოჩოკოჩია მაგი.

მერე გაბედულად მიუახლოვდა, ჟინელია მიუტანა სახესთან. ტაიამ ჯოხი აჰკრა და გააგდებინა. ზედა ჯგუფმა ამოიძახა რალაცა და დაიხია უკან, მაგრამ ქვედა წამოიწია სამაგიეროდ და ახლა

იმათ მიუბრუნდა შერგილისძე. დაიხიეს იმათაც.

— რა იყო, რა მოხდა, არ გამაგებინებთ? — მოისმა ამ დროს. საურმაგ ქარდას ღობე გადმოველო და ელამ თვალებს აცეცებდა.

— ოჩოკოჩი გესტუმრა, საურმაგ! — ისევ განწირულივით იყვირა იმ ახალგაზრდამ. საურმაგმა შორიდან დაუარა ტაიას. მზერა გაუსწორეს ერთმანეთს. ძნელი კი იყო ქარდასათვის თვალბეჭედი. წარბი არ შერხევია საურმაგს. უყურა ცოტა ხანს შერგილისძეს.

— არაა ეს კაცი ოჩოკოჩი, — თქვა ბოლოს, — სტუმარია მაგი ჩემი.

სოფლელები აყაყანდნენ. საურმაგს ტაიას ტყის კაცობას უმტკიცებდნენ და ადგილიდან არ იძვროდნენ. არ გახსოვს, გავამწარა ბევრჯერ ოჩოკოჩი და ტყაშმაფამ, სტუმრად როგორ იღებო მავას, დაგლუპავსო. მაშინ საურმაგმა ჟინელია წაგლიჯა ერთ-ერთს, ტაიას მიუტანა ახლოს და მისი ჭრილობა დაანახა თანასოფლელებს.

— ოჩოკოჩის ჭრილობა და სისხლი თუ გაგიგონიათ თქვენ ოდესმე. ა, წადით ახლა სახლებში და ბაღნებს მოუარეთ. ღამ-ღამ სიარული არაა თქვენის საქმე.

უნდობლად დაიშალნენ ციელები. ქვეშ-ქვეშ გამოჰყურებდნენ შერგილისძეს...

ტაია კერიას მიჯდომოდა და ცეცხლისთვის ხელები მიეფიცებინა, ტანთ საურმაგის ტანისამოსი ემოსა. ხალვათად იყო შიგნით. საურმაგი თხის რძით, მოხარშული კეფალით და ღომით გაუმასპინძლდა. ტაიას რომ ეგონა, ვერაფერი გამაძლობსო, ისე უცებ დანაყრდა, თვითონვე გაუკვირდა.

მერე ათასი თევზის ქონით შეზავებული მალამო დაუდეს ჭრილობას.

დუმდნენ ორივენი.

— მართლა ოჩოკოჩი ყოფილხარო თქვენ, ტაია-ბატონო, რამ გამოგაცურიათ მაგხელა წყალი? — გაიღიმასავით ქარდამ.

— ოჩოკოჩი კი არა, მართალია ვარ მე, — თქვა ტაიამ, — მტყუანი ვარ გამოცურავს ზღვას.

— მართალი ბრძანდებით მაგაში.

— მე როგორც სიმაღლე მეგონა, ისე ვაქეთებდი, შურით და ჩემი ხალხის ღალატით არაფერი ჩამიდენია არასდროს. მძულვია კი. მაგრამ უცოდველი ვინაა, ჩემო საურმაგ, მე რომ ვყოფილიყავი?

აღს გაუშტერა თვალი ორივემ. დიდხანს დუმდნენ. მერე საურმაგი დაიხარა და ცეცხლს შეშა შეუყუთა.

— არ გეცოდინებათ თქვენ, ტაია ბატონო. მესეფი არ გეტყოდათ ზღვაში... იყუჩა. — მეფე მოკლეს გუშინ...

— ვინ მეფე? — ანგარიშმიუცემლად იკითხა ტაიამ.

— მეფე ერთი გვყავდა გუშინდლამდე. გუბაზ მერე.

ტაია ქვად იქცა. კაცი ვერ იტყოდა მის სიცოცხლეს. იგრძნო, მკერდი ასტკივდა, როგორც მგლის ხაფანგში მოყოლილი ფეხი. გაიყინა სრულიად. როდის-როდის ამოღერდა.

— როგორ მოკლეს? ვინ მოკლა?

— რუსტიკმა და მარტინემ ჩაიტყუეს წყლის პირას. იმპერატორის წერილი ჰქონიათ რაღაც, თავის გასამართლებელი. ღალატით ჩაუციათ ორღესული. აბორგებულთა მთელი ლაზიკა. მკვლელების დასჯას თხოულობენ. დარწმუნებული არიან ხალხიც და დიდხანს ურჩივს რომ შეცდომაში შეიყვანეს იუსტინიანე, — ქარდამ მწარედ გაიცივნა, — ღმერთმა უწყის...

— რატომ მოკლეს? — ტაია ამქვეყნად არ იყო.

საურმაგ ქარდამ არაფერი უპასუხა.

დადუმდა ისევ კარგა ხნით.

— უცნაურ ამბავს ჰყვებიან ტაია ბატონო. იმ დღეს მთელ ლაზიკას ორი მზე უნახავს ცარგავლზე. ორი მზე. ერთმანეთის გვერდით კაშკაშებდნენ თურმე ერთნაირი ძალით. ერთი ნამდვილიაო, სწავლული ეპისკოპოსები ამბობენ, თურმე, მეორე კი მახინჯი,

მზის სახემიღებულო. ეს რომ დაუნახავთ, ხალხი მუხლზე დაცემულა და ლოცვა აღუვლინათ.

ეპისკოპოსთ განგაში გამოუცხადებიათ: ორმზიანობას უბედურება მოაქვსო. ამ დროს თქვენ ზღვაში იყავით, ტაია ბატონო. გუბაზი კი სიკვდილის შესახვედრად მიეშურებოდა. მე მაშინ ციხეგოჯს გახლდით. ეს ხანია დავბრუნდი, მაგრამ მთვრალი ვიყავი და არაფერი დამინახავს. ანდრია მიტროპოლიტმა თქვა, ბერძნები ამ ამბავს გალოს უწოდებენ და შეიძლება ორი კი არა, მეტი მზეც გამოჩნდეს ცაზეო. მაშინ მეტი უბედურება დაატყდებოდა თვის ხალხს.

საურმაგ ისევ ცეცხლისაკენ დაიხარა, — ტირის და მოთქვამს ხალხი. გუბაზს მისტირის.

შერგილისძემ საურმაგ ქარდას გაქცეული თვალები მოძებნა.

— შენ კი არ გეწყინა შენი პატრონის სიკვდილი?

— მეწყინა.
საურმაგმა მუხლებზე დაიწყო ხელები.

— ბოლო დროს არ მწყალობდა მეფე, მომიშორა გვერდიდან, უმადური კაცი იყო გუბაზ. ადვილად ივიწყებდა ნამსახურებს.

აენტო ტაია.
— მეფის მადლიერება ვის გაუგია, ქარდა! მადლიერი ყმა უნდა იყოს მხოლოდ. მაგიტომაც მოგიშორა გვერდიდან.

ავად დუმდა საურმაგი. უფრო დაეღმებოდა თვალები და საშიში კაციო, ესლა გაიფიქრა ტაიამ.

უცნაური გრძნობა დაუფლებოდა შერგილისძეს. თავს ძალას ატანდა, რომეღოთა მიმართ რისხვა აღეზარდა საკუთარ თავში. რისხვა მოტყუებული, გატყუურებული კაცისა, რომელიც თურმე მეფედ კი არა, ჯალათად სდომებოდა და კიდევ რისხვა გატუდებული მონადირისა, თვალწინ აფრენილ ხოხობს სხვა რომ მოუკლავს, და კიდევ

რისხვა ჟინზე წყალგადასხმული კაცისა და კიდევ...

ტყუილად ატანდა თავს ძალას. აღარც ძალაუფლების ჟინიანი მაძიებელი დარჩენილიყო მასში, აღარც მონადირე, აღარც...

ცეცხლს მიშტერებული შერგილისძე ჰკვირობდა: ვინ იჯდა ახლა საურმაგ ქარდას პირდაპირ, მისივე ტანსაცმელში გამოწყობილი? აფშილეთისა და მთიანი ლაზიკის ამაყი ბატონი ტაია შერგილისძე?

თავის ხელებს დაჰხედა.
კი, ეს თვითონ იყო.
თუთიისფერი მთვარე იყურებოდა ჯარგვალში და ბნელოდა მაინც.



დილით ტაია შერგილისძე საურმაგის ცხენს მიაჰენებდა ციხეგოჯისკენ. ასე უშურველად რომ დაუთმო ამ უკანასკნელმა. იცოდა ჰკვიანმა გლეხმა: ზღვისმძლეველი კაცის პატივისცემა რომ არ დაეკარგებოდა.

მიჰქროდა ტაია ციხეგოჯისკენ.
გაქაფა ცხენი და დაიმტვერა თვითონაც, მაგრამ უხაროდა რალაც. ციხეგოჯზე არ ფიქრობდა. არც იქ დატრიალებულ ამბავზე. ცხენის უნაგირიდან აცეკვებულ მიდამოს შესტვბოდა და შელიცლიცებდა. გზად. არავინ შეხვედრია. სოფლებიც მიჯრით მოილია და სამუშაოდან წამით თავადერილი და გაქვავებული გლეხები დასტოვა.

ციხე-ქალაქს რომ მიუახლოვდა, ცხენი შეაყენა. თვალი მოავლო, უჩვეულო გამოცოცხლება და რია-რია იგრძნობოდა. ნეღა, დანდობილად წაიყვანა ცხენი, რომელსაც ყოველი კუნთი უთრთოდა ოფლითა და მზით გაბზინებული და ფრუტუნებდა მაღიმალ. კარგი ცხენი ჰყავდა საურმაგ ქარდას.

ქალაქის კარები ფართოდ გაღოთ და ყოველი მხრით მოედინებოდა ხალ-

რამაზ შენგელია
ტაია, სასწაული და ლაზიკის ერთი მზი

ბი. ზოგი ქვეითად, ზოგიც ამხედრებული. კარიბჭეს მიღწეული იცნო ვილაყამ.

— ტაია, აფშოლთ-ბატონი!!!

შეჩქვიფდა ხალხი. ვინც გვერდით მოჰყვებოდა, უკან დაიხია ყველამ უნებურად და გაოცებულნი შეცქერდნენ მის ზურგს. ზოგი სახეში შეხედვას ლამობდა. ხმაზე უსწრაფესად გავარდა ამბავი. ქალაქში ტაია შერგილისძეს მაყურებელი დახვდა შეკრებილი ამფითეატრივით. გამორბოდა ხალხი. ხელებს იქნევდნენ, რიდით შეჰყურებდნენ, პირჯვარს იწერდნენ და იჩოქებდა უმეტესობა.

აგორაზე დიდებულნი შეკრებილიყვნენ. მათაც შეეტყოთ ტაია შერგილისძის სასწაულებრივი მობრუნება და ზოგი სიხარულით, ზოგიც წარბშეკრული გააცქეროდა მისთვის კითხვის ნიშნად ქცეულ მხედარს. აგორაზე ტაია ჩამოქვეითდა, ცხენი ჩამოართვეს იმწას.

დიდებულებისაქენ გაემართა.

მიდიოდა გამართული, მხრების ოდნავ შესამჩნევი რხევით. მსუბუქად.

ზღვასთან ჭიდილში შეფერთხილი, შემჩატებული ლაღად ადგამდა ნაბიჯს და სევდიანი ნათლით ღიმაკრული ეგებებოდა მტერ-მოყვარეს.

— დიდება შენდა, ღმერთო!

სათითაოდ იკრავდნენ დიდებულები გულში.

— ტაია ბატონო! არ ჰყოლია ლაზიკას. შენებრ ვუყვაცი.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!

ცრემლს ვერ ფარავდა დაღაშ ფაღვა. გახარებული ჯმუჯგნიდა აეტი. შეცბუნებული შეჰყურებდა კაც ფარტაძე. „გაუმარჯოს ტაიას, ტაიას დიდება!“ — დაიძახებდა ვინმე ხალხში და აჰყვებოდნენ ღრიანცელით. დიდხანს გრძელდებოდა მისტერია. ჩაწყნარდნენ მერე როგორღაც.

სიტყვა აეტმა აიღო.

ბევრი არ ულაპარაკია. გუბაზის მკვლელები დასწყევლა. სამაგიეროს

იმედი მისცა ხალხს და სპარსელებთან მეგობრობისკენ მოუწოდა. აეტმა — სპარსელებთან — წმუნოებრივი სხვაობა აიმედებდა. წინასწარ გამიზნულ სიუცხოვესა და არაღრევას ხედავდა ამ თანამშრომლობაში ერთი საძულველი მტრისა და მოლაღატის — ბიზანტიის წინააღმდეგ. ზემომემოძარცული ტაია გულმოკლული უამენდა მეგობარს. შემდგომ სიტყვა კაც ფარტაძემ აიღო, არანაკლები მჭევრმეტყველებით შემეჯულმა; ხალხის იუსტიანიანეს უცოდველობაში დარწმუნება გადაწყვიტა. არაფერი იცოდაო ამ მზაკვარობის შესახებ. და ყველაფერი იმ საცოდავ ტრიუმფირატს გადააბრალა, საკუთარივე დანაშაულის წინაშე რომ თრთოდნენ. ისევ ერთმორწმუნე ბიზანტია უჩნდა კაც ფარტაძეს საწყალი ლაზიკის მფარველად და შემწედ. ტაიამ თავი ჩაქინდრა. მის სულს რაღაც ბრჭყვიალა მოსწყდა, აგერ ამ ქვაფენილზე დაენარცხა და უწვრილეს ნამსხვრევებად იქცა. ზღვის ტალღა გაშხეფდა თითქოს. აერია ყველაფერი გონებაში, თვალთ დაუბნელდა.

ცუდად შეიქნა შერგილისძე.

შეუმჩნევლად გამოძვრა კაც ფარტაძეს შეჩერებული დიდებულებიდან და კოშკის ფართო ლავგარდანს გაჰყვა, გარშემოუარა. კოშკის უკანა მხარესაც მცირე მოედანი ეთქმოდა. აქედან წვრილ-წვრილი ქუჩები მიდი-მოდიოდნენ ქალაქის ყველა კუთხეში.

ტაიას თავბრუ ესხმოდა. აზიდებდა.

კედელს მიეყრდნო.

ნუთუ თავიდან იწყებოდა ყველაფერი?

ყველაფერი. ლაზთა ეს გაუთავებელი მიეთმოეთი.

ეს წანწალი. ეს...

უცბად საშინლად მოუწდა გუბაზის ნახვა.

„დარბაზშია, ალბათ, დასვენებული“. ახლა იქ ვერ შევიდოდა. გუბაზი!

საოცარ სიახლოვეს გრძნობდა ამწუთში ტაია მისდამი. მის თეთრ-ცის-

ფრად დაზვინულ სხეულს თვალეზოთ
ნატრულობდა.

„ხალხს უყვარდა გუბაზი.“

ამ გაფიქრებაზე გაირინდა ტაია.
სუნთქვა შეეკრა. რაღაც დიდებული
მობრძანდა მის სხეულში. გაბრწყინდა
რაღაცა.

სიარული მოუნდა. დაიძრა.

ანგარიშმიუცემლად გაჰყვა ფო-
ლორცს. ათიოდე ნაბიჯი ჰქონდა გა-
დადგმული, რომ ანდრია მიტროპო-
ლიტს შეხედა თვალეზოთ.

„მე გამომყვა?“

ხელზე ეამბორა.

— წამომყე! — თქვა მიტროპოლიტ-
მა ჩახლეჩილი ხმით.

ტაია კითხვით შეაჩერდა. მიტროპო-
ლიტმა გაუღიმა.

— რას ჰგავხარ. აფშილთ ბატონს
არც ეს სამოსი უხდება და არც უიარა-
ლოდ სიარული. არჩა ქორქაისძეს. ვე-
ძებდი, მისთვის უნდა ჩამეხარებინა შე-
ნი თავი მოსაფლელად, მაგრამ გამჭრა-
ლა ქალაქიდან, სულელი.

ტაიას ახლავა გაახსენდა იარაღი.
მართლაც საკვირველი იყო, არც მოს-
ვლია თავში აბჯარი აესხა და მორთუ-
ლიყო შესაფერისად.

— არ მინდა, ანდრია ბატონო, აფში-
ლეთს გავემგზავრები, ხალხსაც ვიახ-
ლებ. მადლობელი ვარ.

— უწმინდესო-თქო, უნდა მიწოდო.

— უწმინდესო.

— ჰოდა, ნუ ჯიუტობ, ახლა, — ან-
დრია მიტროპოლიტი ტაიას შეჰყუ-
რებდა ჩამქრალი ცისფერი თვალეზით,
მოფლაშულ, ქალაღლივით თეთრ ქუ-
თუთოებში რომ ჩაფლულიყვნენ. ნე-
ლი ბებრული ხმით განაგრძობდა. ქო-
შინებდა. — კრება შენ დაგნიშნავს
ბავშვის გამზრდელად და ლაზიკის
დროებით მმართველად. რასაკვირვე-
ლია. წათეს ჩამოსვლამდე. ეს კი უცბად
არ მოხდება. კონსტანტინოპოლი ცია
არ არის. შორსაა, — მოგეხსენება.

მიტროპოლიტმა ყველა წვრილმანი
იცოდა.

— აჰა, რასაც ეშურებოდრი მიიღე
კიდეც!

ტაია გაწითლდა. ნაწყენი შეაჩერდა.

— მაგას რად ამბობთ?

მიტროპოლიტი ქირქილებდა. უფრო
ხიხინებდა. ჩაიარა, ტაიას გასცდა და
მერე მხარზე დაადო თავისი გრძელ-
თითება, თეთრად დამუქნარი ხელი.

— წათეს ჩამოსვლის შემდგომ რას
აპირებ?

ტაიასთვის წყენას არ გაეგლო, ალ-
მაცერად შეჰყურებდა მიტროპოლიტს.

რას აპირებს? რა ანდრია მიტროპო-
ლიტის საქმეა! აწრიალდა. ქილიკით
უნდოდა რამე ეთქვა არამკითხე მოხუ-
ცისათვის. და წყნარად კი თქვა.

— ბერად უნდა შევედგე...

მირდატიც გაახსენდა იმწამს, გამ-
ზრდელი მისი.

მიტროპოლიტი გაირინდა. დუმილის
შემდგომ ჯერ ხელი მოუჭირა მხარზე,
მერე თითები აათამაშა.


— სასწაული ხალხი ვართ, ტაია ბა-
ტონო, საერთოდ, ცოტანი ვართ ძალიან
და გვიჭირს. ერთ კაცს ერთკაცობა
არ უწერია. ერთგულება და ღალატი,
გმირობა და ლაჩრობა, ერისკაცობა და
ბერობა ერთ უღელში გვაქვს შებმუ-
ლი და ვეწევით. ვეწევით ორი კაცი-
სას, სამისას, ათისას, რასაც მეტს გას-
წევ — მეტი კაცი ხარ. ერთ კაცს ვერ
იპოვი ახლა ლაზიკაში. ღმერთმა არ
გვაპოვნინოს...

ტაიამ რომ მოიხედა, მიტროპოლიტი
დაღმართს ჩადიოდა მოკლე ბებრული
ნაბიჯებით. მანაც მოხედა:

— გელოდები...

ტაია შერგილისძე ციხე-გოჯის ვიწ-
რო ფოლორცის საფეხურზე იდგა სხე-
ულდაკარგული, ერთ დიდ თვალად
ქცეული.

და თვხლი ესე იყო, მიწისა ამისა,
ზღვისა და ჰაერის და მზისა კიდეც,
დიდის, მხურვალის და ერთადერთის.



კავკასიონი

დგახარ, როგორც
ციხე ბურჯი,
გულდიდა და
მაღალურჩი,
ვინ დაითვლის
ზეცით ლურჯი
ცისარტყელის
ფერად ფუნჯით
რამდენ გრიგალს
გადაურჩი.

შენზე უმაღ
ასგზის წახდა,
დაგწიხლავდა
სანამ მტერი,
მზე თავს გადგა
ბაირახტრად,
მზისფერი და
სანატრელი,

ფუძე მტკიცო,
ჭერმაღალო,

ფხიზლად ზვერავ
აულ-ველობს,
ვიცი, ღმერთს რას
შეღალადებ,
ლაყვარდში რომ
თვალუწვდენლობ.
იკელაპტრე,
იციხოვნე,
შეეშველე შეხელდას, უშბას,
ჯიქურ, როგორც
ვიცით ხოლმე,
მხნედ დაუხვდი,
მტერს და დღეშმანს,

ასი თვალი გამოიბი,
ასი ყური გამოიბი,
ვერ შეგბედონ
გადათეთქვა,
იღლეგრძელე,
იუკვდავე!
მტრების გულის
გასახეთქად!

ვიგონებ დამოქანარ იის კონებს

ვფურცლავ
ძველ წიგნებს
სინანულით,
თვალჩაცვივით,
სადაც, ოდესღაც
ფურცლებ შუა
ჩამრჩა იები.

ფურცლებს ეტყობა
მინავლული წლების სიძველე,
მაინც სურნელის
სიმხურვალე
სუნთქვას მიძნელებს.

ახლაც ასეა,
კვლავ მოსულა
ია თავისით.
აყუჟუნებენ
ლამაზ თვალებს
გრემში, დმანისში.

იმ გულცივობას
თითქმის, წლობით
ვინანიებდი,
რა ჩქარა ჰკნება
თურმე ტურფა
იაიები!

გებეას ნაშრომი პრამაზონი

ეზოში მამალი
მიდი-მოდის.
ხევეს გაუმართავთ
მართონი,
ალარ ჩანს
ხმატბილი სირინოზი —
გებეას ნაშრომი
გრამაფონი!

გამქალა ზღაპრების
კიდობანიც,
ბავშვობის ჯადოსნური
კიდე — განი.

ალარ ჩანს
თითბერის სამოვარი,
ცეცხლთან ვაჟაცურად
ნაომარი...

და განუკითხვად
ეზოში აგდია
ვინც გამილამაზა
გზა და ფონი;
ჩემი სიჭაბუკის
კეთილი გადია,
ჩემი ხმაწკრიალა
გრამაფონი!

შენ ჩემი სევდის დიდო მხატვარო

მე მამსგავსებენ
სტალაქტიდის გულცივ კელაპტარს,
ვის ჩამქრალ გულში
ცეცხლი ვერ ატანს.

მაისის თვეში
ქალაქიდან
გავალ ცოტახნით,
ვწუხვარ, უჩემოდ
იის კონებს
შენ ვინ მოგაყრის.

შენ ჩემო სევდის
დიდო მხატვარო,
ვინც გულის ფსევრზე
უწყლოდ სხმარტალობ.
მოვდივარ შენთან,
თავს მდაბლად ვიხრი,
მუხლებზე ვდგები
როგორც ქაშვეთში,
ბრდღვიალებს ჩემი

ცრემლი თუ სისხლი
თვალისმომჭრელი სიკაშკაშეთი.

და მწუხარების
ბოძზე მიჯაჭვულს,
გაუგებარი
რომ არის სხვისთვის.
ვერც ხმამალალი
ბლავილი მიხსნის,
ვერც გულგარეშე
ნუგეში სხვისი.

და გულს
მაგ ხელით
ჩამქრალ სინათლეს.
როგორც საპალნეს
მიძიმედ მივათრევ,

მტკივა და მტკივა
მკერდი ნაკეჭნი,
მაგრამ სინდისი
ეშმაკს არ ქეჯნის!



მდინარე

მზე მოგვეახლა. მზეებო,
გაზაფხულები გუგუნებს...
თქვე გაზაფხულის ღლეებო,
ხედავთ მერცხლებს და გუგუნებს...
მზე ხედავ, ხედავს ცისპირი,
მიწა ხედავს და ტყე ხედავს, —
ღელეზე მოჩანს წისქვილი, —
საიდან გამოეხეტა?!..
საიდან მოდის ღრუბელი,
საიდან მოჰქუხს მდინარე?

დგას ზოლიაქო ტყულების, —
თავი რად მოიმძვინვარე?!..
მზე მოგვეახლა, მზეებო,
ყვირიან გაზაფხულები, —
საით მიდიხართ ღლეებო,
მაგ თეთრი ნისლის ქულებით?
თავი რად მოიმძვინვარე,
რამ გაგაჯავრა მაყარო?..
ორღესულია მდინარე, —
შუაზედა კრის სამყაროს...

ზამთრის იდილია

რბიან ღლეები ქარში, თოვაში, —
რა საარაკოდ მღერის ბუხარი..
და მაგონდება ამ გართობაში
ივლისის მწიფე ალიბუხარი.
ზამთრის გარემო და პეიზაჟი: —
ფანტელის თეთრი მარგალიტები...
და აპრილისკენ მიმავალ გზაში
მარტის ხეებზე სხედან კვირტები.
რარიგ ლამაზი დარჩა ხსოვნაში
იდილიები სოფლის ქალების...
და ყოველდღიურ ზედახორაში, —

რა კენა, თუ ზოგჯერ
მეფერმკრთალები.
რომელ ჩვენთავანს, კაცმა არ იცის,
გაგვაცილებენ — ხვალე ბოჭები, —
ჩვენ მაინც ვფიქრობთ, — მაისი
გვიცდის
და იანვარის თოვლს ვემიჯნებით...
ვარდი თოვს, — თეთრი ვარდი
ასკილის...
რა საარაკოდ მღერის ბუხარი...
და მაგონდება, — ზამთრის პასკვილი,
ივლისის მწიფე ალიბუხარი.

შტრიხები

შენსკენ გამორბის ფოთოლი, —
ველს ყვავილები კივიან;
სად ეკლესია ოშორის —
და სად კლდეების მწკრივია.

სადაც აღმასის ზოდები
ჩამავალ მზეზე იწვისო...
მე მაინც შენ მაგონდება
უპირველესად, ყინწვისო...

ფშავის გარემო

ველზე დასტებად იყო წყობილი:
ნამი, ნათიბი და ნაქარგები,
ყანა — ივლისის ლურჯი დობილი
და მთვარის თეთრი ფაფანაგები.
მერე გავიდა წელი რამდენი,
რამდენი გრძნობა გახდა ურგები; —
ქარმა წახვეტა ბზე შარშანდელი,

ელვამ დატეხა მთების ზურგები.
ჟამმა ყოველი გააქერქეშა,
მაგრამ გარემო დარჩა ფხოტური, —
მიდიხარ, გხვდება გზებზე კენკეშა,
სათიბი ჭრელი და ორხოული.
სადაც ცა იყო მთებზე ლეწვარდის, —
პრეისტორიის, იყო ბომონი...

მაგრამ ჩამოწყდა კარბა ავეანდის...
და ზედ შუაზე გატყდა ჰოროლი...
მიმოფენლა მშვიდად ხავსებით:
ტყეები, ქალა და მთის ფერდები.
მიღიხარ, ზედავ: — სრულად, სავებით
დღეებს თანდათან უსხვაფერდები.
მაინც ბოლომდე რჩება იმედი, —
მზია თანდური და მთვარის

ჩანგები, —

და აღმასებით — მოციმციმეთი:
ნამი, ნათიბი და ნაქარგები.
გადახურული ქოხები ყარტით, —
გარემო ცოცხლად არის ფშაური..
შერიის ყანაში წყვილი ყარყატი,
ეზოში თითო თურაშაული.
დაკიდებული ლასტი კარჩხაზე, —

მზე და დამბალი ჩაჭოს კვერები...
გაუძარცვიათ თითქო ყაჩაღებს
აბლა ფშაური ყოფის ფერები:
ველზე დასტებად დარჩა წყობილი:
თივა ნათიბი და ნაქარგები.
დადუმებული და დამხობილი
ყრია წარმართი ფხოვის ჩანგები.
გამცვდარა ყველა ქათინაური.
ბადახშები და მარგალიტები...

და ფიქრობს ვახტანგ ცოკილაური
მერმისზე, — რთული მაგალითებით...
გახმა რამდენი ბალახია ფესვი, —
რამდენი გრძნობა გახდა ურგები!..
მაგრამ ფშაური კვლავ ელავს ლექსი,
როგორც მთვარეში მთების ზურგები...

ციკლიდან — ტოლხას ლექსები

ტოლხამ თქვა, — ქედება ერთიც
გავხედე,

ერთიც ჩაებერე კიდევ ბუკებში,
თავი ერთხელაც მოვითავხედე
და შემოვვარდი სიჭაბუკეში.
გული ისეა როგორც ფრინველი, —
ქალით და ცხენით უნდა ხარობდეს, —
ეგაა საქმე თავდაპირველი
და არ მკლებია ერთიც აროდეს.

თუმც მხარზე ღმერთის არ მადევს
ხელი,

არც ხატი გულზე არ მასვენია, —
არვის უნახავს ჩემს თვალზე
ცრემლი, —
ჩემი ტკივილიც არვის სმენია...
და ერთიც უნდა ვუმაღლო გამჩენს —
ერთიც ჩაებერო კიდევ ბუკებში, —
ვაუკაცი უნდა ვაუკაოდ დარჩეს.
სიბერეში თუ სიჭაბუკეში...

ტოლხამ თქვა შეთეკაურმა, —
რაც მე ვარ სამზეოზედა,
ვატყობ, სიმართლის ყანებზე
სიცრუის ღვარძლი მოხედდა.
ვატყობ, მლიქვნელი დიდგულობს,
გამედიდურდა რეგვენი...
ჩაფიქრებულა საწუთრო,
ყოველთა მიმომრეგველი, —
რა უყოს, ქველს რა მიაგოს,
რა სახის მოსაგებელი?!..
როცა წბილა მიაქვს ყოველი
ამ ქვეყნად შისაღებელი...
ვხედავ და მწარედ ვიცინი,
ლხენით არ გამცინებია; —

სინდისი განა მომკვდარა,
სთვლემს განა ჩასძინებია...
„უამი მივალის მოვალის“,
გზანი იყოფა ორზედა, —
კაცი წავა და სახელი
დარჩება სამზეოზედა.
და თუ მლიქვნელი დიდგულობს,
თუ მედიდურობს რეგვენი,
ჩუმად იცინის საწუთრო,
ყოველთა მიმომრეგველი...
ტოლხამ თქვა, — ჩვენი აზრები
მართალია თუ მრუდია; —
ვიცი, რომ წუთისოფელი
სინდის-ნამუსზე ჰყუდია!

ტოლხასგან არის ნათქვამი ესეც: —
ზერაქვერაობს საწუთრო მუდამ,
ზოგჯერ დასცინის საკუთარ წესებს, —
ხან კი საკუთარ სალაროს ქურდავს...
ზოგისთვის მეფის წამოსასხამი
და ათასგვარი მზად აქვს ნუგბარი, —

დაენანება ზოგისთვის შხამიც
და მათხოვარის კაბა-ჯუბანი...
ვიცი, საწუთრო მუდამ ცბიერობს,
არ მიკვირს მისი მიეთ-მოეთი, —
მაგრამ კაცისგან, სამაგიეროდ,
ქედის დადრეკა მიკვირს ყოველთვის...

ტოლხამ თქვა, — ესე ქართულიც
ვთქვი, ქვეყნის გასაგონებლად: —
ვის დარდად უჩანს ცხოვრება,
ვის კოჭის გასაგონებლად,
ეგ თვითონ იცის გამჩენმა, —
ჩვენ არ ვართ მაგის მსწორებლად.
ვფიქრობ და ვგონებ ასეა,
ვარ ამ ამბების მგონებლად,
კაცი ამ ქვეყნად თუ ცხოვრობს
მხოლოდ თავმოსაწონებლად, —
მისი ცხოვრება ფანდია,
მომმეთა მოსალორებლად...
და კიდევ, ესე ამბავიც,
ამ ამბის მოსაყოლებლად, —
უნდა ვიცოდეთ, ვითვლებით
ქვეყნად რა განძის მქონებლად.
ან როცა ვცვდებით, ცოცხლებში
რას ვტოვებთ მოსაგონებლად;
გრიგალა, — სამარის მომთხრელად,
თუ სიოს — მოსაქროლებლად...
მანამ ვიფიქროთ, სანამ ვართ
ამ საწუთროში მცხოვრებლად,
სულის მგინებლად დაგვრჩება
კაცი, თუ სულის მცხოვრებლად, —
თავიდათავი ეს არის
რაც მითქვამს დასახსომებლად...
მე ზოგჯერ რკინასა ვლეჩავ,

ქვას ვცოხნი მისაყოლებლად,
მთვარესა ვრჩეობ სასთუმლად,
მზეს — გულზე მისაკონებლად.
ტოლხა ვარ, შეთეკაური,
ვთქვი, ქვეყნის გასაგონებლად,
ვის ჭირად უჩანს ცხოვრება,
ვის ჭირთა მოსაფონებლად, —
ეგ თვითონ იცის გამჩენმა,
ჩვენ არ ვართ მაგის მსწორებლად...
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს
გრძნობას ტალახი სცხებოდეს, —
ვერა ზედებოდეს გონება
ვისგან რა გამოცხვებოდეს,
თვალეზი ვერა ზედავდეს —
ხეს რა ნაყოფი სცვენოდეს,
ან გასარჩევად ავკარგის
ქვეყნად არავის სცხელოდეს...
ადიდებული მდინარე
თითქოს აღარა ცხრებოდეს,
ან ზვირთი ფაფარაყრილი
უკვალოდ არა ქრებოდეს.
არ ჩახდებოდეს მნათობი, —
მთვარე არ ამოხდებოდეს.
ანაც და, ვისაც მარხავენ,
ვითომ სუყველა კვდებოდეს...
და რაც კი დღემდე ზდებოდა, —
თითქოს აღარა ზდებოდეს...



დაგვეხსენ, ლევან!

ბესიკ მაღლაკელიძემ ჩემთვისაც და საერთოდ მკითხველისთვისაც ახალი, ჭერ შეუჩვეველი სახელია მწერლობაში. ახლებურია მისი პროზაც, კერძოდ ეს მოთხრობა — „დაგვეხსენ, ლევან“. როგორი იქნება ბესიკის მწერლური ბედ-იღბალი, ამაზე დღეს ძნელია დაბეჭითებით რაიმეს თქმა, მაგრამ მას რომ სერიოზული, შორსგამიზნული განზრახვები გააჩნია, ეს უთუო და აშკარაა.

მოთხრობა „დაგვეხსენ, ლევან“, არ არის ცხოვრების იმიტირების გზით შექმნილი (ასე იმ დილექტანტებს ემართებათ, ვისაც მწერლობა იოლი საქმე, სინამდვილის უბრალო გადმოხატვა ჰგონია), აქ სწორედაც ახალი, მხატვრული სინამდვილეა შექმნილი. საამისოდ ავტორს რთული გზა აუჩრევია, რომელიც ერთ მწყობრ სიუჟეტურ ხაზს, ანუ ამ შემთხვევაში ამბის განვითარებას არ მიჰყვება და ამის ნაცვლად ეტრუდების, ჩანახატების, ფრაგმენტების თითქოს უსისტემო ერთიანობით (სინამდვილეში კი ეს ყველაფერი საკმაოდ კარგად არის აკონტროლი) გმირის ხასიათის, ბუნების, მსოფლგანცდის გამოხატვას ისახავს მიზნად.

ბევრწილად უცნაურია არა მხოლოდ სიუჟეტური ჯარჯა მოთხრობისა, არამედ ავტორისეულ-თხრობის სტილიც, ლექსიკაც, ფრაზის აგებულებაც... მე მომეწონა აქ გაფანტული შეგონებებიც, მაგალითად აი ასეთი: „მუჭულგუნე-ბიანი ინტელიგენტი ისეთივე უაზრობაა... როგორც ცნებები „კოხტა მახინჯი“, ან „გრძელი ზოკლე“. როგორც ვხედავთ, ნათქვამია უცნაურად, მაგრამ თან ზუსტად და მართლად.

საერთოდ უცნაური და უჩვეულო ამ მოთხრობაში ბევრი რამაა (ყველა თანხარად საინტე-

რესო, ან თუნდაც მისაღები და მოსაწონი როდია), აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ზეაწეული და დამდაბლებული კილო, რეალური და სიზმრისეული ჩვენებები, ღრმად მნიშვნელოვანი საუბრები და ჭორიკნული ლაუბობა, იგავური ეპიზოდები და ყოფითი დეტალები...

ეს ყველაფერი მკითხველისათვის შეიძლება ძნელი აღსაქმელი და გასააზრებელი იყოს, მაგრამ ავტორს მიზნის, სათქმელის ბუნდოვანებას ვერ დავწყამებთ. მოთხრობის გმირი ყველგან და ყველასთანაა, და მაინც მარტოა, მარტოსულია და ეს ტკივილი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სოციალური და ფილოსოფიური სატიკვარი ნაწარმოებს მოქალაქეობრივ ძალას აძლევს.

მე არა მგონია, რომ „დაგვეხსენ, ლევან“, ბესიკ მაღლაკელიძის საუკეთესო მოთხრობათა რიგს შეერება, ავტორს ჭერ კიდევ ბევრი და გულმოდგინე წყრთნა მართებს საკუთარი სტილის დასაუფლებლად (უფრო კი მოსათოკად), მაგრამ ამ მოთხრობით რომ რეალური იმედები აღგვეძვირის და ამიერიდან ავტორისადმი ჩვენი ყურადღება დაძაბული ინტერესით იქნება აღბეჭდილი, ამას, ვფიქრობ, სადღოდ არავენ გახდის.

ერთი რამ მაინც განსაკუთრებით მსურს ვუსურვო ბესიკ მაღლაკელიძეს (ცხადია, შემოქმედებითი წარმატებების ზოგადი სურვილების გარდა და შემდეგ): როგორიც არ უნდა იყოს მომავალში მისი მხატვრული აზროვნების ფორმა, მისი პროზის სტილი, თუნდ უფრო გართულება ელოდეს კიდევ მხატვრულ-სტრუქტურულ-აზრობრივი თვალსაზრისით, მეტი სინათლე დაპყლოდეს მის ნაწარმოებებს. „მეტი სინათლე, მეტი სინათლე!“

გურამ გვარდუთიელი

აბიუდი I

დილაადრიანად მოღრუბლულიყო, ნისლში მიცურავდა ქალაქი, მერე წამოუშინა:

წვიმდა-წვიმდა რუხად, წვიმის ფარდა დაეშვა მოედნებზე, სკვერებში, ცა

იღვრებოდა, იღვრებოდა თუ იპნეოდა წვეთებად, ბურუსის საფარს შხუილით სცრიდა, ასფალტზე ასკინკილით მიხტოდა.

აქეთ-იქით გაჭენებული ხალხი და-

იეულ მზერას ჰკიდებდა ლევანს, კარვად რომ შეერჩია სასიერო დრო და ამინდი. მშვიდად მიუყვებოდა პლენაროვის ქუჩას — თავზე სახელები ჩამოსტიროდნენ, ფანჯრები იცრემლებოდნენ, სველი თმები შუბლზე ჩამოგლესოდა... ეს კი მიუყვებოდა.

აათავა ქუჩა, გადაჭრა მოედანი (ლაბადა-კარავში შეყუთულ მილიციონერს სასტვენო რატომღაც ჩაუბერავი დარჩა), გაზეთები შეიძინა და ხილზე შედგა ფეხი.

ჯიხურთან, ხილზე ახალთახალი, წითელი ფიატი ენთო. საქესთან დიტო ეჯდა, ბავშვობისდროინდელი, „ხოზო“ დიტო.

შეჩერდა, დააცქერდა ექვით — დიტოა!... რალაც საქმე გაეჩინა, გვერდით მიბრუნებულ-გადალაჯებული სავარძელზე დახევებულ ჭრელა-ჭრულა ქალაღებში ფუთფუთებდა. გამოქე-ქავდა ერთს, ბრაზით წაახევდა ყუას და ჩუ!... არც ერთ მდედრს არ ღირსებია ის მოწიწება ხვადისა, რითაც იწყებდა ბილეთის გაშიშვლებას. თვალეზმინაბული და ტუჩებმოცმაცუნე, კოტიტა თითებადქცეული — მათ უნდა მოეფათურებინათ პირველად უბიწოებაზე — თვალსაც უწევდა ბოლოს-და ბოლოს თავისი უსირცხვილო რიგი და — ფუ, შენი...

ფანჯრის ღრიჭოდან გაქნეული ნაგანძარი ჩვეულებრივი ქალაღივით მიფარფატებდა წვიმაში. უკან მისდევდა მეორე, მესამე, მეათე... მერომელიდაც.

გროვა ილეოდა, ყოველი აგლეჯილი ნიღბის უკან, ისევ იმ მარადიული გონჯის ცხიერი ღიმილი ხედებოდა მხოლოდ.

ლევანს წელი ეტკინა, გაიმართა, ცას ახედა — გადაღებას არ აპირებდა, ალბობდა, სტკეპნიდა ამ საცოდავ ყოფას. აცეკვებულ გუბებთან წამოყრილი ბილეთები კი გულგრილად ამხეურებდნენ სატყუარას.

ექვით დაიფაციცა ჯიხები, ბედნერები და მერნები თუ არა, ნაღვლიანი ლავი მაინც შეიგულა, — მთელ დღეს რომ მოაჩაქჩაქებდა პატრონს და ხალისით შეუყვავა ვარცხოვის დასველებულ ხიდს.

პიტიუდი II

მატარებელი ხარხარით მიჰქრის, ვაგონების მძივი ღამის ხაფანგში იკლავება, ცალთვალა ელმავალი გამეხებუ-ლი მისდევს თავისსავე ნატყორცნ სინათლეს და ტყის წამიერ ჭრილობას ისევ წყვდიადი ეხვევა. მკრთალ სა-ლონებში გამოკეტილი ხალხი ნებიერად აჰყოლია აკვნის რწევას — Homo Sapiens-ი ისვენებს.

მაგრამ არა, ფანჯრისაყენ გაქცეუ-ლი მზერა კენწეროვებზე მისრიალებს, ღრუბლებიდან გამონახებულ მთვარეს მიჰყვება... თვალების უკან დაძაბული, ჩანამახვიტ შემართული გონება ფხიზლობს, საცეცხალანძელი იჭერიტება ამოუცნობში.

სამყარო კი წყნარად იხუტებს ხარბ შემოხედვას და იღუშმალად გუგუნებს. აი, ახლაც წაიჩურჩულეს ხეებმა. ქარის ირონიამ ფოთლებს გადაუქროლა, ყანაში ჩაიქვეითა, გამოაცოცხლა იქაურობა.

მატარებელმა ერთი შეჰკივლა და რიხით ჩაატარა ადამიანი.

— ეცადე მთელი სიცოცხლე ის აკეთო, რაც გულით გინდა.

— მერე და... შევძლებ?

— დასტურ შემძლე ხარ და ეგაა, — კუპის მეზობელმა სპორტული ჩანთიდან „ბორჯომი“ ამოაძვრინა.

შლაგბაუმთან მომლოდინე ხალხმა ჩაიქროლა, უქმურად ცრიდა გარეთ.

— ბედნიერებას ნუ გამოეკიდები, ბედნიერება ქალივითაა. — თანამგზავრმა მუქში ჩამალა მთქნარება. ერთი

საათია რაც სპინოზად გამოიღვიძა და მას აქეთ ქადაგადა დავარდნილი: — ლამაზი ქალივითაა ბედნიერება... გელმა გელოდება მაცდური, გიცინის. შენც ერთ ადგილზე ცქმუტავ, მაგრამ რა ჩარაა — თქვენს შორის მატარებელი მიედინება. სული დაგეწურა ჰა, როდის ჩაივლის ეს წყეული ურჩხული და ჩაიარა ხომ?... მაინც რა ვართ ბიძია ეს ქართველები — ხაში, ხარშო, ბულამა, მუჟუჟი, არტალა, თათარი-ახნი, ჩიხირთმა და ბოზბაში... სულ ნაბახტუსეზე შესაქცევი კერძებია, მა-აშ... ჰო, რაზე შეგვოვნდი?

— ჩაიარაო ბოლოს და ბოლოს.

— ჰოოდა, ჩაუვლია შენს სიცოცხლეს. ბედნიერება ის წამიერი გამოკრთომა იყო, ვავონებს შორის. ჩათავდა მატარებელი და ჩაილია შენი დროც.

პირზე საყვირივით აყუდებულმა ბოთლმა გააჩუმა: — ლიქ, ლიქ, ლიქ... პწუუუ თუ იტანჯები?

— დიახ.

— იცი რატომ?

— არა.

— კარგია. ზოგი იმიტომ იტანჯება — ხელმოკარული ვარ, ან ხელმოკლეო. ზოგი — ყისმათი არ მივარგა, უიღბლობა დამყავო. მავანი უქალობითაა გაწამებული და ვილაც კიდევ მოყირბებული ქალიანობით. სიმდიდრით შეწუხებულიც მინახავს და ძალაუფლებითაც.

წამოდგა, მძიმე სახელურს დაეკიდა — ჩამოსწია. დარჩენილი ბორჯომი წვიმაში გადაღვარა და ფანჯარა ძალოსნის სიმარდით აზიდა. ბოთლი ჩანთაში შეინახა, დაჯდა, თვალეზში მოაჟინდა:

— ხელოვანი ნიჭით იტანჯება და ნიჭი კი ის სამყაროა, რომელსაც ტანჯვა აცოცხლებს.

მატარებელი გვირაბში შევარდა. სარკმლიდან ახლა დაფეთებული შუქი კრთებოდა და თანამგზავრიც უცნაუ-

რად აციმციმდა. წუხელ ამოვიდა, გორში. ძმაკაცებმა ამოამხიარულეს და ზედა თაროზე აჩოჩებაშიც წაენმარნენ ქოშინით.

მთელი ღამე ყარაულობდა — არ გადმომივარდესო. მერე ქვეითათარე-ლი ცოლ-ქმარი სადღაც რიბი-რაბოში ჩავიდა და სიხარულით ჩამოაქვეითა. ცოტა გაუჭირდა, მძიმე იყო ძალიან.

მორჩა ციმციმს როგორც იქნა და ისევ შეუყვა: — მააშ, ლევან ბატონო... თუმცა ბედნიერებაზე მე სხვა, ჩინებული გამონათქვამიც გამაჩნია.

— რომელი?

— ბედნიერება ის ვიწრო საბანია, გათოშილი ადამიანები ერთმანეთს რომ სტაცებენ.

— მაშ გამოდის, ვილაც მაინც ისაკუთრებს და თბება.

— არავინაც არ თბება, — გაჯავრდასავით სპინოზა: — ხომ გითხარი ერთმანეთს სტაცებენ-თქო, ყმაწვილო. ეს მუდმივი პროცესია.

ატრემლებულ ფანჯარაში იყურეს ერთხანს, სალონში სიჩუმის აბლაბუდა გაება... უცებ ჭინკებიანი თვალეზით მოაქცერდა:

— ქალსაც უნდა მოერიდო.

— რატომ? რა დავაშავე... უხერხულად შეაშმუშნა.

— შენ ოჯახის ქალი არ შეგიყვარდება და სხვა კიდევ...

— რა იცით, საიდან მოიტანეთ...

ვიცი. ჩვენნაირ ხალხს მხოლოდ მორალდაბნეული ქალები უყვარდებათ და ერთმა ასეთმა მორალამღვრელმა შეიძლება მთელი სიცოცხლე გოჩგოჩანად გიქციოს — იცი ალბათ, ერთ ადგილას რომ ბრუნავს წყალი, იმას ჰქვია. აბა ოჯახის ქალს რას ვერჩი, ერთგული ქალი თუ გინდა იცოდე, ბუმერანგს ჯობნის — რამდენჯერაც არ უნდა მოიშორო, მაინც შენ გვერდითაა.

— თქვენ ვატყობ, მხატვრულ სიტყვას უნდა იყოთ შეჭიდებული.

— კი, წერას ვყავარ ატანილი... აფორიზმებით უფრო. თუმცა საყმაწვილო ლექსიც მოვათავსე ერთხელ, რაიონულ პრესაში. მგლის მამალ ლექვებზე იყო: „აბა ის რა ბავშვია, არასდროს რომ არ შია“. საუცხოოდ იწყებოდა... მემრე ასე ვაგრძელებდი, შუაში: „სად გინახავთ ტანკისტი, რომ ტიროდეს სარკის წინ. სად გინახავთ ვირი — სეირნობდეს სტივრით“. ექვ, მიგზვდი სხვების მიუხევედრელს.

— რას?

— ნამდვილ პოეტებს რომ ვერ ვაჯობებდი მარტოოდნე სითამამით და გაეყუჩდი. დიდი რამეა გულისტქმა. შენ რას გეუბნება მხატვრებზე, ვაჯობებთო?

— ხელოვნებაში ჯობნა-არჯობნა ძალიან პირობითია...

— ეგ მე ვიცი. თუ ვაჯობებთო!

— კი.

— აბა გიცხოვრია.

მთიულდის მამიერა

მისი მზერა ბრმის თითებივით დაფათურობდა ყველგან, უმოწყალოდ ქურდავდნენ სივრცეს მისი თვალები — ხალხის სახეზე, სხეულზე, თავზე ცოცავდნენ ხარბად, სამოსს აცლიდნენ, ნაკვთებს ეძებდნენ დაფარულ ტანში და იმ ონავარ, მზისფერა ბიჭშიც, ტრამვაის დადევნებული გუბეებს რომ ამახინჯებდა.

ანდა ყვავების ნაბადმოხურული, საღამოს სუსხში შეგუენდული სილუეტები რად ღირდა!.. რად ღირდა აჩხავლებული ბავშვის სველი შემოხედვა, ლევანის დანახვაზე ჯერ მორცხვი გაღიმება და მერე წრფელი, ჟრუანტელამდე ნაღდი სიხარული. ან... ექვ, იმისი თმები! კაბა-კოპლებით, თვალების ეჭვი და უცხო სევდა; ისევ სხეული, ახლა შიშველი, ათასფერადი — თეთრი რომ სძალავს. რად ღირდა მთების მწვანე ჯაგარი, წამოყრილი მხრები, კალთები — ჩამომტირალი ნაკადულებით, ცაში მოფრიალე ღრუბლის

ძონძები და წვიმა, ექვ, წვიმა... სადღაც ბალახებში ჩქამ-ჩქუმით მიმალულად.

ხარბად იწოვდა, ნთქავდა ყველაფერს, ახალშობილივით გაცეცხელებული ჭინჭლობდა თვალი — საით დაკარგულს სად ჩაივლებდა... რათა ერთხელაც გასჩივებულზე ამოეხეთქა ეს დასიზმრება — თვალით შემოსული თვალითვე გამოედევნა, მიეგდო ტილოზე და იქ აღესრულებინა ის, რასაც ეწერა ან არ ეწერა აღსრულება.

ტილოზე კი ხაზები სრიალებდნენ, ჩრდილები თრთოდნენ, საღებავი ფერებს ირგებდა, ჯოჯოხეთის ქაოსური წესრიგი იდგა იქ — რაღაც იღუმალი საქმე ხდებოდა — ეს არ იყო ხატვა, ტილოზე რაღაც თავისით ხდებოდა.

საღლაც ბურუსში, მიეთ-მოეთში ჩნდებოდა თითქოს, ფსკერიდან ამოქანებული იკვეთებოდა, გაჯიქებული თავს იცოცხლებდა მუჯლუგუნებით და პა!

იბადებოდა ჩვილი, ფაფუკი და უცხო, სრულიად უცხო. ეს დასცქეროდა გახევებული, შიშით, ყვედრებით და იმ ამოუთქმელი, სუნთქვაშეკრული ალტაცებით, დედებს რომ მოსდით. ხვდებოდა თითქოს — ქალური საწყისიც იმავე ძალით ფეთქავდა მასში, როგორც სარზე მიბმული ნაგაზის ხვადური ვნება.

და ჩამოცლილი ალავერდივით, გამოფიტული იმ ორსულობით, თავს იწყვიტავდა, ბულად ქცეული დაჰქენებდა დედამიწაზე, სამდედრეთს ხნავდა-სთესავდა, ალესილ ნამგლით ძირში სხიავდა ყველაფერ ქალურს და ძმაბიჭბუჭებში კი არა სვამდა — ლოთობდა... ის წამიერი შერცხვენა რომ გამოეოხებინა.

ჩვილიცა სძულდა, არამც თუ სიყვარული, შეხედვაც აღარ შეეძლო მაშინ. აქ თავდებოდა მისი დედობა.

მთიულდი III

ლოია არ ჩანდა.

ასფალტში გამოხვეული ქალაქის ერთი ციდა სიშიშველ — ბაღი, გაბარ-



ჯღულ ხეებს შორის მოკუნტულიყო და ეტყობა მასაც სციოდა.

ფეხშერყეული მერხის კიდეზე დაეშვა — ატრიალდა ლამის. ზამთარი შემოდარცვულიყო აქაც, აწეულ საყელოში სუსხი იჭვრიტებოდა, ბუჩქებზე თოვლი იდოდა საერთოდ, ასეთ ამინდში ხალხი შინა ზის, თბილად. მზე არაუშავს, თავისას ცოდვილობდა, ტოტებში ჩაწეული ვითომ მზეობდა და არც ქარი აკლებდა ხეტიალს.

მოუკიდებ ასეთ დროს, გააბოლებ, ცერად გააპარებ თვალს გამვლელ-გამომვლელისაკენ და ველარც გადაიგდო იქნებ, გულზე მომსკდარი დარდი. თავზე ყვავები ჩამოგჩხავიან, მარტოობას უგალობენ და საათის ისარიც გამარჯვებული ურტყამს უაზრო წრეებს. ამისთანაზე, ძალღიჯ თუ გამოგიძვრა საიდანღაც, ისიც ხეებივით გაქუტული, ბალივით უმწეო და მზერასედიანი — მე რაღას გიშველი ჩემო ლევან, გასწორდი, ახლა მეორე ფეხი გადაიდე პირველზე, ჩამქრალს მოუტედე და დაელოდე...

მაინც რა უბედური იყო ეს ძალღი, ბავშვებს, ეტყობა, მორიგი მაძებრულ-მავნებლური თამაშის აზარტში ბაჭარი ჩაებათ, დედის გაანჩხლებულ ძახილზე, აბა, შეხსნა ვისღა გაახსენდებოდა — გაუიფიქვდებოდნენ ხელად მაკარონიან კერძთან საბრძოლველად და დარჩა ასე, კისერზე მობმული მეტრონახევრიანი თოკის ანაბარა, დაათრევდა თავისი ძალღური ხვედრის სიმბოლოდ.

არ ედო არაფერი ჯიბეში, რა უნდა მიეცა. დაიხარა მარტო, ხელი ბათინკებზე დაირტყა:

— პპიუ, პპიუ, მოდი შეგხსნი მაინც...

ძალღმა გაუგო, მაგრამ არ ენდო — ამან ხეზე არ მიმაბასო სულაც. მეიერე ცოტა იჭოკმანა და ბოლოს ეტყობა, ისე იყო ბედით დაყვლეფილი, გადაწყვიტა და ზანტად წამობოდიხლდა — ცერად, ვითომ-ვითომ.

არა, ვერ მოეფერებოდა. რაღაცნაირად ბეჩავი სულიერი იყო — აუღმაკი ფეხებში ებლანდებოდა... ყულფზე რომ ჩაავლო, სიხარულისაგან ძალღი ისეთი ღონით დაიქაჩა თავისაკენ, უკანგაფეთებულმა ძლივსღა შეაყენა სხეული.

ლევანმა ზიზლით დახედა ბაწარს, ხელი შეუშვა და თოვლზე გაქოკინილი დატოვა.

ბედასლი ემაღლობებოდა ახლა, გაღიმებული — ზუსტად ასე მოეჩვენა — გაღიმებული დრუნჩს უწევდა, ფხებთან მიწას უფხოჭნიდა, დახტოდა, კულსაც გამოენთო ცოტახნით — არ უღაპარაყია და სხვა ყველაფერი თქვა. მალე მიუხვდა: ხასიათზე არ იყო კაცი და რიღით, დიდის მოწიწებითა და სიფრთხილით — ადამიანია მაინც, რა იცი, გაბეზრებულზე რას ამიტებავსო — ვითომ-ვითომ და გაეცალა.

ქარი უმატებდა უგზო-უკვლოს, მზეც — ჩემი ვქენიო და მიიმალა, ყვავები სულ დაბლა და დაბლა ჩამოშავდნენ — ზევით ადგილი აღარ ჰყოფნიდათ, ბალი უფრო მოიკუნტა და ხეებს მკლავებში ჩააკვდა.

ღია არ ჩანდა.

მეოთხედი IV

დაქაჩული, ნახევარ სახეზე გამოსული თვალები ჰჭონდა, ასეთებზე ამბობენ თვალეზბრიალა ქალიაო — არაა, გადმოკარკლოდა და ეგ იყო. „ნეტავ კოცნის დროს თუ ხუჭავს“, მიესალმებოდა, გულგრილად ჩაუვლიდა, მიტრიალებული ქალი ზურგიდან ელოდა ვნებასუსხიან მზერას, სხეულს უთმობდა საჭვრეტად და ლევანი კი ამნაირ კაცებს არ ჰგავდა... გააწყობდა არხეინად „ეტიუდნიკს“, ფუნჯით პალიტრაზე წაიჩხრიკებოდა, ტუჩმოკუმული ფონს დაადებდა — პეიზაჟს წერდა და არ გამოდიოდა არაფერი — თვე დაიწურა.

„მხატვარია“, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ ქალის ტუჩები, ლოცვასავით ორთქლდებოდა თავში „მხატვარია,

მხატვარია“ და იქიდან გულში ჩავარდნილი: „მხატვარია, ოჰ! მხატვარი!..“

ბორჯომი დამსვენებლების ცხოვრებით მიეჩნებოდა, მიკუსკუსებდა, მიეღხინებოდა. „მიედარდებოდა“. მიზოზინოზდა, მიიტანებოდა, მიუდარდებლობდა — ვისთვის როგორ, შეგუებულეო მკაცვითი იკუპებოდნენ, მიწას არაკილებულები ლიმონათით, შეუგუბლები — ღვინო-შამპანიურით.

აბა ქურციკას გადაურჩებოდა? აბა ზორჯომელ ნაცნობ-უცნობობას დაემალებოდა? უჩა მაისაია-მაგისნაირებს დაუსხლტებოდა, აბა?

— რა დანიელ პრინცივით დალაცუნობს წინ და უკან ეს კაცი, მოდი რაღა ჩვენთან, ვააი?!

„მანც ტყუილად ვჯახირობ და...“

— ძალიან ბევრი კარგი ადგილი არის საქეიფო ბორჯომის ხეობაში და მაინცდამაინც პლატო, რომ დააჯდები „კუკუშკას“ საპურმარილოდ აუყევე გინდაა ბაკურიანამდე და ჩამოუყევი გიინდა ბორჯომამდე...

— ეე, ლევან! სადღაა კუკუშკა, — შეაწყვეტინა რეგვენმა. არრა! არ სწყენია, თვალები გააბრიალა მარტო, მიდგმულ-გადაკერებულ სუფრაზე, მერე ქალები გადაიკითხა სათითაოდ — ის ბასკერვილებისა შემოეფეთა.

— მე კი გეუბნები ნაღდი იულიუს კეისრის პროფილი გაქვს! — იქაური თანამეინახე-გადამხდელი, ბორჯომელი ბაზის კაცი, მართლა პროფილს უმარჯევებს. მაისაიაც მოაჩინდა: — თქვი ლევანჩიკ, ხომ აქვს?

ქალმა კეკლუცად გამოსცინა, უცბად ჩაუმორცხვა და ახლა წარბებიდან ამოუქვეშევეშა მზერა...

ესიამოვნა ცივი შხაპით. „ბამბანერკას“ გადაწვდა, თავი მოხადა, ამოტრიალებული წინ დაიდო და დაჯდა. ჩანთიდან გუაშები ამოაწყო.

— ეე? — მაისიამ.

— გაუშვი დამხატოს, — ბორჯომ-ბახელმა.

ქალს სახეზე აღმური ეკიდა, აცალა გაცივება. დარდიმანდულად აწობდა ღვინიან ჭიჭიში ცერსა და სალოკს

— ახლა ვინღა დაუშლის ძველებურად, თითებით წერას. ოქროსფერი მიუშვა სულ ოდნავიდან-მსუყემდე, სწორი, ვიწრო შუბლი მივარცხნილი თმებით, ტუჩები ვულგარულობენ — სქელია და მოშვებული, ცხვირი უნაკლო, ყვრიმალეები გამოწეულიდან უცბად ჩამოქნილი, ნიკაპი საშინელი სიმძიმისა, მრგვალი. ქალი ძლიერი ჩანდა, სულლით ცეტი და ძლიერი. ამოუშალა თვალები, ცისფრად მისდგა, სათუთი სიჯიუტით ამოუყვანა არაფრიდან, ქუთუთო-წამწამებზეც გადაღვარა ის ცისფერი და ზემოდან ფრჩხილით წარბები გადაჭიმა.

მორჩა დინჯად და გადააწოდა.

ახლა ბორჯომბახელს ხატავდა, პეიზაჟად გადააკეთა ბოლოს მისი პროფილი და ამაყად აჩუქა — ისიც ველარ გამოებუტა.

დაჰყურებდა გაფითრებული და ჟრუანტელი აკანკალებული მუხლებიდან სხეულზე მიუცოცავდა. დიდი ხნის მივიწყებული, საზარლად ნაცნობი სახე ამოაქერდა, უცქირა, უცქირა და შეუბრუნდა. ყელგამომშრალმა ღვინო მოსვა და თითები მუყაოზე აათამაშა: „მიამუნს დამამსგავსა ამ ლაწირაკმა...“ სურათზე ლამაზი ქალი ეხატა და მანც შეეშინდა — ძალიან.

პლატოს ჩამოყოლილ წყვილს „ეტიუდნიკი“ ფეხებში ებლანდებოდა, გრძნობაშლილი ქალი მკლავს ტანს უგრძნობდა, სურვილი ჰკლავდა საკუთარ სხეულში შეეყუყუებინა ეს უცხო სული და როცა შემოიყუყუა, „ნახატს კი დაგიხევ“, გაიფიქრა.



იაპონურ ბალეტს უამრავი ხალხი მოაწყდა ქალაქში — ათი საღამო ეხარებოდნენ გადმურ სანახაობას, ადურტულეზულ სცენას, ბრიალ-ფრიალა კოსტუმებსა და ანთებულ სახეებს. ჰო, სულმთლად ბალეტი არ ჩანდა, უფრო შოუს ჰგავდა და კორდებალეტი ერქვა. ეს კორდე იყო სწორედ, თავგზას რომ უბნევდა და თბილისში გამოწაფებულ ოჯახის მამებს, სამოციანი წლების ძველ-უბნელბიჭობას, ლოყებდაბრაწულ ჩამოქალაქებულებს, რაარნაირ ხალხს ნიაღვარივით მიაქანებდა სპორტის ახლადწამოდიდებულ, ფილარმონიად ქცეულ სასახლისაკენ.

იქ კი — თავად ნიაღვრის მნახველ-არმნახველ ვინმე პარმენსაც ძნელად დაესიზმრებოდა ასეთი ზღაპარი — ღიმილგადაფენილი, რიგზე ჩამოკოხტავებული მერცხლები ბადეაჭიმულ ფეხებს ლოტბარის წყებლასავით უქნევდნენ ატრუებულ ბრბოს.

ლეიანი პარტერში ცქმუტავდა — აფორიაქებული და თვალბაღქცეული, კეფის ენერგიული ქექვაც ვეღარ შველიდა ცხვირწინ მოფრიალე ფერად-ფერად სასწაულებს, უცხოდ მოვარდნილ სექსუალურ კი არა მაგრამ სავაითუო, ამაგიჟმაყებელ გრძნობას — უფრიალებდა კეფა და რა ექნა, ესეც იცხრობდა ბეჯითად. თანაკლასელი გვერდიდან მუჯლუგუნებით ფერდებს უღებდა, წინ ჩალურსმული ბიძაკაცი მლოცველის დაყინებით მიჰფითრებოდა ხატებას და გატრუნულ მუჭიდან შარვალზე ნება-ნება ეღვენებოდა ნაყინი... სცენაზე მარდი ჯელი ყველას დასანახ-მზეთუნახავს თავზე იდებდა — ბატის სიდარბაისლით დაბაჯბაჯებდა აქეთ-იქით, მერე ისევ მერცხლები შემოცვივდნენ და აიქნიეს სადირიფორო წვივები... დარბაზიც აენთო, აღუღდა, აბრიალდა — აჰყვა პარტიტურას თავის ქიცივით, ტრიალით, სკამების ჭრაქუნით.

გამოფხიზლებულებს მტკიცედ ამონაქროლი უგრილებდათ დაბინდულ შუბლებს, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დნებოდა ღამეში და მარტოლა ანთებული სიგარეტები დაფარფატებდნენ ქალაქის ციცინათელებივით. მაშინ გამრთა მოედანზე ტრამვაი მირაქუნობდა, ტროლეიბუსებიც უზარმაზარ „ბუხანკებს“ გავდნენ, წყნარად რომ შეხიზნულიყვნენ „დინამოს“ ვალავნის შუბებს, ჩამქრალი მუშტიადის სასულე ცუმპარუმპაც ღამის კალთაში ყუჩობდა და მხოლოდ ყმაწვილი მიიბლანდებოდა იქვე, მხრებშეცივულს გრძელი ჩრდილი მისდევდა ფეხდაფეხ და ლამპიონებთან უსწრებდა კიდევ.

ზემოთ გამოშლილ ფანჯრიდან პოეტი ლექსსა წველიდა ვარსკვლავებს, ვიღაცა ხველებით უყეფდა წყვილადს და ცოლქმრული სარეცლებიც წყნარად ირწყოდნენ ღამის ტალღებზე, ცოცხალი იყო აუპ, რამდენი მკვდარი, რამდენი ოცნება ფრთებს ისწორებდა და გაფრენა კი აღარ ეწერა.

მიგუგუნებდა დედამიწა, ბრუნვით მიქროდა წყვილიაღში, კოჭივით იხვევდა დროს და ჩვენსკენ მოარწევდა იმ პატარა ბიჭს, სამად ჩაკეცილს რომ ეძინა ახლა და ტკბილად სიზმრობდა.

მთხრობი VI

— პატივცემულო მასწავლებელო, სიტყვაში „დაუყვავა“... ყვავი რა შუაშია?

— ლევან, დატოვე კლასი!

— მე რატომ, პატ. მასწ?

— აბა რაზმაძე, შენ თვითონ მოიგონე?

— დიახ მასწ. დაუყვავა-ყვავი...

— ლევან გარეთ!

— ახლავე მასწ. ბიჭო წიპას მიხედე, დაიხუთება ეგ უბედური, ხომ იცი...

— გელოდებით!

— ჩანთით?

— ჩანთა დატოვე.

— მიხედვე რაზმადე წიპას, იქიდან არაფერი ჩანს ხომ იცი...

— კარი გაიხურე! რაზე გავჩერდით ბავშვებო? რაზმადე გასწორდი თორემ მიგაყოლე კუდში ჰო, ლუარსაბმა ჯერ ტკბილად დაუყვავა დარეჯანს „ოლო-ლო შენ, ვერ გამოიცან“, მერე დარე-ჯანმა რომ გამოაჯავრა „დიად, გამოი-ცან... დავითელია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობდიო“ — ოო, რაზმადე მოაბრუნე აქეთ თა-ვი, თავიდან დაითვალეს და ორმოც-დაათზე მეტი გამოვიდა, მაშინ ლუარ-საბმა, რომელსაც დაჩემებული ჰქონ-და: „თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს“, სულელურად წამოროხა: „გა-ფრენილანო!“ რაზმადე თავი დაანებე მაგ ყუთს, ყურით გამოგათრევ იცოდე კუთხეში, რომ ჩაეფუჩეჩებინა თავისი შერცხვენა ლუარსაბ თათქარიძემ — ქიქოძე დაფა წაშალე — რას ჩუროჩუ-ლეშთ მანდ ერთი ვიცოდე, არა! ყველა-ფერს საზღვარი აქვს: — რაზ-მა-ძე! რას ჩაციებინაზ მაგ პედესტალს, რას ჩაციებინაზ ბიჭო მაგ ყუთს, მაჩვენეთ ერთი...

— ფრთხილად მასწ. არ შეეხოთ...

— ბრახხხ-ხხხ!

— ვაიმე, დედა.

— მასწ. მასწ. თქვენ გენაცვალეთ მასწ. რა მოგივიდათ!

— ჩე-ჩე-ჩემი ბრალი არ არის, წიპა ვარ მასწ... ლევანამ შემადგინა, თო-რემ გცემო!

— რომელი კლასიდან?

— ამ სკოლაში არ ვსწავლობ, პა-რიჯიკეშული დირექტორო.

— ჩამოდი ძირს!

— არა.

— ხეზე რა გინდოდა?

— მეცხრეკლასელმა მითხრა, თუ ახვალო...

— რომ გითხრას მტკვარში გადებ-ტიო?

— ეგ არ უთქვამს.

— ჩამოდი!

— არ მცემთ?

— გინახია ვინმესთვის მეცემოს?

— მე თქვენ ასე ახლოს პირველად გხედავთ...

— ჰო — კარგი — გეყოფა. ჩამოდი!

— ქალბატონო ოლიმპიდა, რამ-დენჯერ გავაფრთხილეთ... მანდ რას აკეთებთ?

— არაფერი, ბატონო დავით, სპეც-კაბინეტის ავეჯი ვალაგებთ...

— მაგ პედესტალზე ფარადეის ბი-უსტი იდგა... ჰოოო, რამდენჯერ ავკრ-ძალე ბავშვების გარეთ გაგდება — გასწი, დაჯექი შენ ადგილზე — ამა-თაც ეს უნდათ ჯერ ერთი და მეორე ერთი, დარაჯი ხომ არ გინახავთ? სად გამისხლტება ხოლმე... იმ ხეს სანამ არ მოვაჭრევიებთ, მესამეც ერთი, ტო-ტი რომ მოსტეხოდა?... კმარა. განა-გრძეთ გაკვეთილი.

— ლევან, რა გიყო?

— ხომ არაფერი იტყინეთ, მასწ?

— გა-ეთ-რი-ეეე!

მთხრობა VII

ჟრუანტელი უელის მხრებზე, სწო-რედ ლიას შემხედვარეს, თავაწეული რომ მოაშარიშურებს რუსთაველზე ხმელ ფოთლებს და ძალიან, ძალიან მკრთალი ღიმილით უახლოვდება. სი-გარეტი მოიშორა, შეეგება. მოხრილ მკლავში ჩაიტოვა ნატიფი მხრები. მო-სეირნობენ. წინ სახეების გამოფენაა, უფრიალებენ აქეთ-იქით და კიდევ უფრო მობღუჯა ლია, ის კი არა და კოცნის, ჰო კოცნის — ლოყაზე, ყვრი-მალეებზე, თმებზე — კოცნად ეღვრე-ბა. ლია არ უშლის, არც ჰყვება, შე-მწყნარებლური კი არა... რაღაც უცნა-ური ღიმილით მოსდევს. ქალია!

— სად ლევან?
ვერაზე დგანან, აეროპორტის კარ-
დაფენილი ავტობუსის წინ.
— ჩემთან, სიცოცხლე.
— საად?

უქმური სახით დაუხვდათ მძლოლი,
აგორგოლებული ბილეთები შემოა-
ჩეჩა:

— „პა, დაარიგე!“ ხანჯალი ეხატა
მაჯაზე.

ლია უკან ჩაჯდა, სავარძელზე გადა-
ფინა თხელი სხეული — ხელიც კეფის
ქვეშ.

მარჯვნივ-მარცხნივ აწვდის ბილე-
თებს, მარცხნივ-მარჯვნივ ვინეგრეტი-
ვით აჭრელებულ ხალხს, მალე ულუ-
ფა-ულუფა რომ ჩამორიგდებიან ცხრა
მთას იქით. მიაღწია ბოლოს.

აღ-აღ-აღმღუვლდა ძრავა. მიეკვრ-
ნენ ერთმანეთს. გაქრა ავტობუსი.

— რა უცნაური ხარ ლევან? —
ლია მკლავიდან გამოუნთავისუფლდა...
ცერად, ტანის ნარნარი.

— არ მოგწონს აქ?
— მომწონს.

მართლა მოსწონს, გაშლილ ველზე
სხედან, თვითმფრინავები კი მიდიი —
გაიქცევიან, გაიქცევიან და ჰე! უკვე
ღრუბლებში ფარფატებენ.

— საიდან გამოქექე აქაურობა, —
წამოიწია ლია, თმებში გაბლანდული
მზით და: — მე კი მეგონა სულ ჭიქა
გეჭირა ხელში.

— მაგასაც დავიჭერთ მალე, — გა-
მოისვა ბალახი პირში.

აქ როგორ წერენ?.. ჰო:
— ??

— რა გიკვირს სიცოცხლე, მთელს
თბილისში შამპანური რომ გაწყდეს,
ძველ აეროპორტში მაინც იქნება.

მოსხლტა ლია, წამოვიდა, მოდის,
დახრილი, მხრებში ჩაავლო „რითმე-
ბივით ჩამოქნილი თითები“, აჯანჯლა-
რებს თან: — საძაგელო, ცინიკო! —

ოჰ, ოჰ, სიცოცხლე ღირს. ისე აჯანჯა-
რებს, ჩამოსცქერის ისე...

მიიზიდა ძლიერ, ჩაიზიდა, გადაგორ-
და და გადაიზიდა.

მატიუდი VIII

— შიოს სიცოცხლე, შიოს!
შიომ ბინდიანი სათვალეების ზემო-
დან გამოჰხედა, ტელევიზიის კართან
შეგუნდულ საეკრანე გოგონებს მოუ-
ბოდიშა და ხელგამოწვდილი აქეთ წა-
მომხიარულდა: — ლევანა, როგორა
ხარ ძამია, როგორ?

ზამშის ქურთუკის გაყოლება-გამო-
ყოლებაზე ფოჩვები აუფრიალდა —
გამოახვია ყოფილი თანაკურსელი ფო-
ჩვებში.

— სად დაიკარგე, შიო-ძველო!
— მალდაგასკარზე ვყავდით ორი თვე,
ანტანანარიკუ, ფიანარანცუა, ამბუგუმ-
ბე, ტამატავე... გაგიგონია?

— კი.
— აუჰ, — შუბლი დაეჭმუტნა უცებ:
— ჭიებიან როგორი თუ იცი, გაფშეკი-
ლა ტოტებში — ფიჩხია ვითომ და
ჭია კია ბიჭო... ისე ქამელეონიც იცის.
ვანიჩა როგორა მყავს?

— ლოდივით. ბინა მიიღო გლდან-
ში, — სიგარეტი ამოიღო. გადაუხსნა,
იმან მოკიდება დაასწრო და ჭრელი
სანთებელა მუჭში ჩასჩარა: — იაპო-
ნურია, ელემენტებზე. სხვა? ხომ იცი
რაფრა მომენატრე... — გადაეხვივნენ
ისევ.

აკადემიაში შიო გვერდითა ფაყულ-
ტეტზე სწავლობდა, მამამისს გამოექ-
ცა, მედლოეს და თავისიც გაიტანა —
ინტერიერი დაამთავრა. დოღს ვერ
გამოექცა მაინც, ჭიშზე ჰქონდათ გა-
მობმული თუ რა იყო... მშობლიურ
რაიონში გაანაწილეს დიპლომიან ინ-
ტერიერისტად და იქ, კადრების ინსტ-
რუქტორმა ბევრი რომ უტრიალა „სპე-
ციალობის“ გრაფაში გამოჯგიმულ სი-

განისა მაღლააელიძე
დაგვეხსენ, ლევან!

ტყვას — რაღაცას აგონებდა თითქოს და თან არ აგონებდა რაღაცას — ბოლოს, ნაფიქრალზე, მორცხვად გამოანათა: — გაბრიელა მედოლის ბიჭი არა ხარ შეენ?

შიომ ფანჯარაში კი გაიხედა, მაგრამ მართალი ბიჭი იყო და თქვა: — აბაა.

რაიონის სახელმძღვანელო ანსამბლში ორი წელი აღმშენებლის, ცეკვაც გემოზე იცოდა, წაიმღერებდა ზოგჯერაც და ვიღაც ახირებულმა შეუერთა ყველაფერი ეს.

ახლა ფილარმონიის სოლისტი, მალე დამსახურებული არტისტი შიომ გუდასტირელი მხოლოდღა ერთ რამეზე იყო გამახვილებული — „დიხანია“ უნდა ჰყოფნოდა. ჯერ არაუშავდა, ბავშვობიდან გამობრძმედილი ფილტვები ჰქონდა — სოფელში ერთობოდნენ ხშირად — წყაროს ღარს მოაგლეჯდნენ, მიწაზე დაგდებულს აქეთ-იქით ორი ყოჩი წაუწვევოდა, ვიღაცა შიგ პინგ-პონგის ბურთს ჩაადებდა და ესენიც უბერავდნენ თავქუდმოგლეჯილები. არ ახსოვს შიოს, რომელიმეს მაგის მხარეზე გადმოებეროს ის წყეული ბურთი.

— მოდი ვანიჩას დავეცეთ, შვებულებაშია.

— ვერა ბიჭო, ჩაწერა მაქვს ახლა და ხვალე კი მივფრინავ გასინჯავზე.

— რა გჭირს გასასინჯი, — გაუდგა ესეც და ათვლიერებს.

— შენ რა გიშავს ძამია, ხარ აქ, მოყვრებში. ჯგუფი დგება ცენტრში, ფოლკლორული ჯგუფი და შერჩევა რესპუბლიკებიდან. ნამეტანი გული დამწყდა ძველ ჯგუფზე... ოცდახუთი სული კიყავით ჩემიანა. ათი მარწყვივით გოგო, ბალერინა მოცეკვავე. აკრობატი გვყავდა ერთი კილო, ვიტია, სპორტის დამსახურებული ოსტატი, — რატომღაც მოიწყინა: — კარგი ბიჭი იყო ვიტია, ნომერში ერთად ვცხოვრობდით — თავდაყირა ეძინა ხანდისხან და ვასწორებდი ხოლმე.

— კარგი აბა, სხვა დროს იყო. —

— მაჯა სიყვარულით დაუჯანჯლარა: ისე, გასინჯულზე რაღა იქნება?

— ჩადი, მალი, სენეგალი, — ნამყოფი ვარ მაგენში: — კენია, ზამბია, გამბია... მაიმუნი არ დამბარო ახლა, ევროპის გარშემოც კი ვარ დავლილი... — უცინის: — შენ რაღას შვრები, მოდილიანობ?

— დავბოდიასობ, კი.

მეტიუდი IX

დახორკლილი, მწვანე-ჟანგისფერი ხვლიკი თავაწეული ეგდო ქვაზე. ჯიქი დაეფრთხო, წამით ყალყზე შერჩენილი ჯიქი — დაკვესებულ თვალებს რომ უბრიალებდა ზეცას. დედამ სიგარეტი საფერფლეში ჩაფერთხა, საჩვენებელ თითზე ბრილიანტი აინთო და ჩაქრა. „დაბერდა? არა. შეიცვალა თითქოს, მაგრამ არ დაბერებულა“, თვალი შეავლო მშობელს „დაძველდა. რა სისულელეა და მაინც... დაძველდა. ამ პასტორალივით“.

ლევანმა მზერა ისევ კედელზე გადაიტანა — სურათზე ხვლიკი მართლაც „ეგდო“.

— რას აპირებ?

„რას აპირებ, აპირებ — პირი... ესე იგი რას დასტაცებ პირს? ჩემგან ლინგვისტი არ დადგება“. სიგარეტს მოუკიდა.

— ეს მოსწიე.

— გმადლობთ, აღარ ვეწევი. — ღრმა ნაფაზით უპასუხა.

— ვერ გამიგია... მომალე და ვერ მივმხდარვარ საით უქცევ, რა გინდა — რატომ გაგვექეცი, დადიხარ ამ გამოსაშვებისდროინდელ კოსტუმში. შენნაირი ჩამემელი თბილისში ერთიორი... რაო, მხატვრობ?

— უბრალოდ მიჭირს. დედა ყოველთვის გამოგტყუებს გულჩვილობას, „უაზრო კომპოზიციაა, ხვლიკი ვერ დააფრთხობდა... ხვლიკი მკვდარია“.

— უჭირს, უჭირს, ღმერთო! მამა-შენი რას გაკლებდა, მე? მე მთელი

ცხოვრება პირის ღრუების მეტი რა მინახავს?

— ხანდახან შავი ზღვისთვისაც გამოგიხდია იქიდან...

— ჰა!... შენ არ ბრძანებულხარ რუმინეთ-თურქეთ-ჯანდაბაში, არა, მანქანა რატომ გაფლანგე, მამაშენმა დაგითმო — ამან აიღო და გაყიდა.

— დამითმო. ახალი გამოიყვანა და ძველი აქეთ მომაყვდრა.

— მამაა შენი. რასაც ეგ წვალობს...

— ჯახირობს, ჩალიჩობს.

— ინტელიგენტობა მარტო წიგნების კარადაში ჯდომა არ გახლავს, — დედა უცბად ჩაქრა: — Когда ты на виду у всех, тут уж без дипломатий не обойтись.

— საკუთარი თავის სასარგებლოდ მუდამ. დედა, გაიგე, საქმოსანი და მუჭლუგუნებიანი ინტელიგენტი ისეთივე უაზრობაა... როგორც ცნებები „კოხტა მახინჯი“ ან „გრძელი მოკლე“.

— საქმოსანი? — ისევ აჭიმული წარბი, ძველებურად.

— მაპატიე. „რა სისულელეა, ხვლიკი მკვდარია და მორჩა“.

— ფული რა ქენი?

— იცი. — ახლა ფსევდორენესანსული „ბეზდელუშკა“ უჭამდა ნერვებს.

— ვიცი, ვიცი. საფლავი გააკეთე ვაკეში.

სამზარეულოში გასულ დედას თვალი გააყოლა. „დედაჩემი ულამაზესი ქალია, უერთგულესი, უპკვიანესი... უ-უ-უ ყველა ეპითეტზე“. გული ამოუჯდა ყელში და იქ გაინაბა. სახლი აღარ იყო ბავშვობის, ან იქნებ ბავშვობაც არ არის ის, რაც მუდამ ეძახის, ნოსტალგიით შეჩვენებულს.

— გლაზუნის თუ ომლეტი?

— პამიდგრით! „იცის ვერ ვიტან...“

ძალიანაც ეგემრიელა. სხვა დროს არ დაკვირვებია და ბედნიერებაც ასეა ალბათ — ბნელ საკანში ნაპოვნი უცა-

ბედი ჭუჭრუტანა, მთელ სამყაროს რომ აგინილავს: — არ შემიძლება... და... ეფრეიტორის ბრძანებაზე ცხოვრება.

— დაიტანჯები. — ქალები რომ ნაჯაფ, მოშიებულ კაცებს აპურებენ, ისე ჩამოსცქერის დედა.

— უკვე ვიტანჯები.

— მერე? სიცოცხლე ხომ ასე ხანმოკლეა...

— ამიტომაც მინდა ნამდვილი ვიყო. საკუთარი, ჩემი. „მხოლოდ წამიერი ჭუჭრუტანა თუ შემოგანათებს და ისიც ჩაქრება“.

ახლაც შავი ღვინო დაუდგა ჭიქით — დაბალწნევიანი ბალღი, შავით რომ მკურნალობენ.

— მაინც რას გეუბნებიან აკადემიაში, რაო მასტრომ? — მიუხვდა ეტყობა და ფიქრს გაარიდა, საოცარი ადამიანია დედა, უ-უ-უ ყველა ეპითეტზე.

— გენიოსი ხარო! ოღონდ აღრინდელი ფუფუნების გამობერტყვა, ორასი წელი ტანჯვა-შიმშილი, მოღალატე მოცეკვავის თავაწყვეტილი შეყვარება და ყოველდღე ქეჭვას არ ამბობს მაგრამ, ეგვეც გპირდებარ.

— სიყვარული მე მგონი უკვე...

— დე-და! — ჩანგალი აღუმართა, — ის არც მოცეკვავა და არც მოღალატე.

— სამაგიეროდ შენ ხარ თავმოწყვეტილი წიწი... ჰო კარგი, კარგი. აიღე გამომართვი, ოთო, ნუ იუარებ ახლა, მამაშენს არაფერს ვეიტყვი...

რა ვქნა, გული მიკედება მაგ საჯდომზე აპრიალეზულ შარვალს რომ ვუყუარებ. იმ დღეს სედა იყო, ჯინსები მოიტანა... ავიღო?

— აარ მინდა!

სახლიდან შინისაკენ ბავშვობიდან გამოძევებული, სანაპიროს ქარში გამოხვეული მილასლასებდა.

კივილი გამოსმა მთებიდან — ექო იყო, ექო. რა ადვილი სათქმელია ექო, გასაგებად-გაუგებარი, დასძახებ და გამოგძახებს... ეძნელებოდა გათოშოლ ყელს მუშაობა, ფილტვებში დაქრიალებული ჰაერი მოწყვეტით ამოხეთქავდა:

— ა-უუუ! და სხეულში ახლიდან იღვრებოდა მთების სიცივე.

მოლზე წამომხართეძებული ბად-რია გაკვირებული ჩანდა, არ იტყობდა და ჩანდა-კი.

„ა-უუუ...“ ადი-ჩამოდიოდა, ქვებზე დახტოდა, გამეხებული კლდეებს ეხეთქებოდა და უკან მოქროდა.

— ბად-რი-აა! — როგორც კოკადან წყალი, ისე წამორაკრავდა.

ჯერ „რია“ მობრუნდა, მერე „ბად-ბად“, მერე „რია-რიაა“, მერე „ბად-ბად-ბად“... ბოლოს სულ აირია და სადღაც ჩაემხო.

— ბად-რიაა, რაადროს თვლენაა ბიჭო, გააცოცხლდი კახელო! — დოინჯშემოყრილმა, ღიმილით მიუხედია.

ბადრიაშვიტს ამოჰლიმა ლევანს, წამოჯდა — სიგარეტი ზანტად მოიძია და გაეხვია ბოლში.

სიტყვები პანტაუნტით მოცვიფდნენ. — მაგათ რაღა ააწყობდათ — დალაგებულ-დავარცხნილი ჯარი უკან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა...

დოინჯი წელიდან ახლა ყურებზე აიკრთა.

ბადრიაშვიტს მუჭში ჩაიციხა, ხველებად გადააკეთა მერე.

— ეე-ეჰ! — ლევანიც გვერდით მიუჯდა, ნაფაზი გამოსთხოვა და გულადმა გაიჭიმა.

„კაი ბიჭია და ცეტი კია“, ბალახს უნდოთ ჯიჯგნის კახელი, „კაი-კია და ხატოს...“ გადაყარა, ხელისგულები შარვალზე გაისვ-გამოისვა. „ძან ვერ კი ამსგავსებს და!.. ხალხსაც, იმ დილა-უთენია ტყეში, გლახო რო გამამიძვრა ნისლიდან, იმებრ გამდნარსა ხატავს“.

პრიმას გულდაგულ ჩურთავს მიწაში — „კაი-კია დაა...“

გაქცეული
ზიზიკოტა

ცას ბურუსი გადაეწმინდა, ღრუბლები გამოთეთრდნენ — გაჩეჩილი დაცურდნენ აქეთ-იქით... კეფამ დამზრალი მიწა შეუგრძნო, შეაცვივა. „ისიც ხატავს, ჰო, ისიც ხატავს. ფინჯანში რომ ეძებენ, ცას ახედონ, იქ ეძებონ, იქ იკითხონ ჰა? მე და ის...“

ბადრიას გადახედა, „ექო?... ექო ყალბია და მარტივი — ბრბოსავით. აუუ-ს გასძახებ, აუუ-ს გამოგძახებს, მეტს მოინდომებ — მეტს გაგიაბაუბლებს და აიკარი გულა-ნაბადი მარტობისავენ“.

...მასპინძელო მასპინძელო, მარნის კარი გიჭრიალეებს...

— აეს სტუმარი დამილოცეთ, ხალხო — არ აისდგე — ლევანის გაუმარჯოს, ქალაქელ მხატვარსა! — ღიმილი აქვს ვალიკო ძიას, მთელი კახეთის სიბოო ეტევა შიგ. — ბად-ჯო, გყვანდა მირზაანში?

— გაიქცევაზა რო? — ილუკმება მადიანად ბადრი.

— გამქცევსა არც დედლი ბარკალი გამდა, დაეხსენ ლოლნას, მაიცდის.

— ეეე...

— ვაი პეტა? სახლი ხომ არ შაგეშალა კაცოუ, მე არ მიმიპატიყნიხარ და...

ჩაერევა აუცილებლად, უხერხულია: — ქათამი მიირთვით ბატონო, — და მეტი დამაჯერებლობისათვის შემოსულს თეფშიც მიუწია.

— აეგ არ დამანახო! — ცხვირი აუქნია იმან.

— რა ბატონო? — წითლდება.

— ქათამი, ო, — მერე ნაწყენი სახე ღიმილმა გაუბზარა, სულაც გაუხლიჩა და ახლა ბავშვები, რომ მასხარებს ხატავენ — ყურიდან ყურამდე პირით, ისე დგას პეტა.

სხვები კი: — ჰა-ჰა-ჰა, — ბუჰ-ბუჰ-ბუჰ, ჰხაჰ-ჰხაჰ-ჰხაჰ...

ბოლოს ვილაძემ უღვაშები მოუ-მარჯვა: „რა ჰქვია?“ — ჰო ლევანა, ყური მამე!

მისცა ყური.

— პეტა ფერმაში მუშაობს, გაი?

— აა.

— ერთი კითხე ჯო, კითხე რააზე მუშაობ-თქო... — და „ჰი-ჰი-ჰი“ სიცი-ლი უღვაშებში მიაყუჩა.

რატომ დაიტყობდა? ამათ ანგლობა-ში ჩარევა სახიფათოა... ნიერის მწნი-ლი გაღმოიღო არხეინად, ფცქენის.

— პეტაა, რააზე მუშაობსო, ო, თბილისელმა!

ლევანმა დარცხვენით ახედა პეტას: „მე არა ბატონო, მე არაფერ შუაში“ და გააგრძელა ნიერის წვალება.

პეტამ ღმინილი უცბად დაიმოკლა. ახლა დგას, წვერში იქექება და წყე-ნით ეუბნება: — დამკვლელად!

— აა, მექანიზებული დაკვლა, კი. თბილისშიც გამიგია ძროხებს ელექტ-რონით კლავენო, ქათმებს ალბად ეე...

— ელექტრონით მაშა!

— ქათმებს ალბათ მმმ, აი, ტელევი-ზორში აჩვენებენ ხოლმე — კენკვისას თავები გამოყოფილი აქვთ გოლები-დან „მთავარია თავი ხელში გეჭიროს, როგორც დედა ამბობს, ჯანდაბას რო-გორ ხოცავენ — აუუჰ, მოკალი და ამ ღვთისნიერ ხალხს ნუ გაანაწყენები-ნებ“ — თქვენც ალბად რაღაც გილი-ოტინის მსგავსი მოწყობილობით...

— ბეჰ-ბეჰ-ბეჰ, ჰა-ჰა-ჰა, ჰო-ჰო-ჰო...

— ბებიაჩემი წარმოშობით კარდე-ნახიდანაა! — უკანასკნელად დაიკვე-ხა.

— მექანიზებული არა ფეხები, მო-უყევი ქალაქელსა, ჰი-ჰი-ჰი...

— როგორა და აი! — მარცხენა ხე-ლის, ქანჩებივით დასერილი თითები ცხვირთან გაუფშვია პეტამ, აღარ ხუმ-რობს: — ერთს ამათში გამავიმწყე-დევ კისრითა, და სალოკი შუათითს მიატყუპა: — მეორეს ამათში, — არა-

თითი შემოუმატა: — მესამეს ამათ-ში, — ნეკიც მიაკრა: — გონია ანაწევ-და გორი ციხე? მამა გიცხონდა, — რაღაც ცუდად იბღვირება, როლშია ძალიან: — მეოთხესაც ამათში — ცე-რა თითის ილღას ცხვირი წაფხანა: — მეერე დავავლებ დანასა... — და-ავლო: — და წიპ-წიპ-წიპ-წიპ დაით-ვალე? ოთხივესა. დღეში ათასამდე ცოდვა გამამდის, მაშა! — სახე გამარ-ჯვებული უღვივის: — აგრეა ჯო, — ქათმებიანი ხელი ბეჭებზე მოუტყაპუ-ნა და დაჯდომამდე აქეთური ხაშლამის ძვლიანიც დაიყოლა.

სიცილისაგან რომ დაიცალნენ, კახე-ლებმა დოქში ჩამოწველილი შემოდ-გომა ქერქიან ხელისგულებზე აიფოფი-ნეს, დასძახეს სადღეგრძელო და შერ-ჩნენ ასე — ცხვირზე აკეცილი ჯამე-ბით.

მთაში ნაფიქრალსა შერცხეა.

საბან-ლეიბების ქყეტელა ზვინში შეჩურთულს, ძილი გაკერპებული ქალივით აღარ მოჰკარებია. ღამე ფიქ-რში გაცვდა, გამოხუნდა ძველი ჭინსი-ვით, დღე მოდიოდა და მდლობა ღმე-რთს, ისიც აქაური იყო.

აბიუღი XI

„ბრუკლინში ჩატარებული მორიგი ჩხრეკისას აღმოაჩინეს ნარკოტიკული ნივთიერებების დიდი პარტია, გადაწყე-დვლები და ნარკომანები ამჯერად ვე-ლარ დაუსხლტნენ პოლიციას და ისინი დაკავებულები არიან“. წყვილ-წყვილ პოლიციელებს ილღებში ხელღებავ-ლებული, მაგრამ მაინც ჯდომარჩე-ნილი ახალგაზრდები გამოჰყავდათ და „პიკაპში“ აწყობდნენ. პროექტორე-ბით აბრღღვიალებულ ფერად ქუჩაზე, ობლად დამრწოდა მილიონი ტელე-მაყურებლის ერთადერთი თვალი — გამწარებული ცდილობდა გულგრილ ზურგებს შორის შეჭვრეტას: „...და

მეშვიდე შემთხვევა მხოლოდ ამ თვის მანძილზე. ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა დანაშაულის რიცხვმა ახალგაზრდებს შორისაც“. ვიღაც ძალიან ნაზ, გამხდარ და მაღალ გოგონას ეჯაჯგურებოდნენ: „ეს ქალიშვილი უიმედოდ დაავადებულია და იმყოფება ნარკომანიის უკანასკნელ სტადიაში“, მიკროფონი მიუტანეს ტუჩებთან: „მე, მე არ ვიცი... როგორ დაიწყო და რატომ, არ ვიცი... არ მახსოვს... სიკვდილი მინდა მხოლოდ, სხვა არაფერი. რა მეშველება, ღმერთო, რა მეშველება?“ და ცისფერი, გასაგიჟებლად ახლობელი თვალები ლევანს შემოანათა — ასე მხოლოდ სიმარტოვე იყურება.

„მარტოა და... კვდება სადღაც. როგორ სადღაც, ეს ხომ რეპორტაჟია... ახლა ხდება ყველაფერი, ამ წუთას — ესე იგი, აქ. ჩემთან, ჩემში. ფილმის ან წიგნის გმირი ხომ არ არის, ყოველთვისაც რომ შეგიძლია ფეხებზე დაიკიდო. ეს-სინამდვილეა.“

სისხლი მოაწვა საფეთქელში და თავი შეახსენა... „მაგრამ ხელოვნება? ფაუსტი, ვან-გოგის მოხუცი, რუბენსის ქრისტე და მარიამი... ჯოკონდაც ბოლოს და ბოლოს ხომ ნამდვილია“.

სამზარეულოში გარიდებულს ის გოგონაც თან გაჰყვა: „— რა მეშველება, ლევან?“

მთელი ღამეც გვერდით ეწვა და სიფრთხანა თითებით კეფაზე ეალერსებოდა: „— მარტო ვარ... სადღაც... მიშველე...“

დილით, მზესთან ერთად მოვიდა: „— შენსავით მარტო ვარ...“

გარეთ გასული, სანაპიროზე მწყემსავდა ღარდს და იქაც: „— მე მოვკვდები...“

საღონში შესულ ლევანს ყველა ნამუშევარი შეეზიზღა, როგორც ერთხელ შეეზიზღა ნაჩვევი ქალი — ბაზარში გადაწყდა, მწნილების აყროლებულ რიგს

ნეტარდასმული მიუყვებოდა და გაუგებარად სინჯავს არაფერს ტოვებდა.

რუსთაველზე უაზროდ ახეტიალებული ქალიშვილებს აკვირდებოდა, იმ მარტოსულის ნაკვთებსა და გამოხედვას ეძებდა მოკისკისე, არაფრად ჩამედებ ხალხში, კინოშიც შეუხვია და შუა სეანსიდან გამოვარდა...

ვერა, ვერ ამოატივტივა ტილოს ბურუსიდან ვერაფრით, საღამოს დაეხსნა საღებავებს, ტელევიზორს აღარ რთავდა — ეკრანი ახლაც იმ კადრზე იქნებოდა გაყინული.

დაწვა, ღამე ისედაც ტანჯვისა იყო და ალიონზე დაფეთებული ეცა ფუნჯებს.

საოცრად ძნელია დანახულის გაგება და არც გაგებულის დანახვაა ადვილი, ჰა? ლევან...

ოთახში უხილავ ფრინველებად დატურავდნენ „მარტო ვარ“, „რა მეშველება“, „მე მოვკვდები“... ფრთების ჩუმი, მოზომილი შრიალი აფრთხობდა ლევანს, ტუჩებდაკვნეტილს აიძულებდა ედევნა, აფრენილ გულთან ერთად ისინიც პორტრეტის თვალებში შეერეკა და იქ საიმედოდ გამოეცეტა.

ქუჩაში, მანქანების გუგუნში ორი დისასხლისი საუბრობდა: „მიდიხარ ფინეთში?“ „არ ვიცი, მანანა-გენაცავა, ჩემი დაწყევლილი ბედის ამბავი ხომ იცი, შვებულებას არ მიფორმებენ“.

იქვე, ახალგაზრდა კაცმა ჩაიარა უცნაურად, თვალები ჰქონდა ძალიან ფხიზელი, თორემ ისე მთვრალი ჩანდა.

„გამობრუქდებიან დილიდანვე, რა ემართებათ ნეტავი ამ ლაწირაკებს?“

ეგ მანანუშკი ჩემო, მთვრალიც შეიძლება არ იყოს, ხომ იცი ახლანდელი ახალგაზრდობის ამბავი — „მადლობა ღმერთს, ჩემი კოკა აღარ სვამს — რაც ცოლი მოვაყვანიეთ აა, პა-პა! არც ერთ წვეთს“.

ლევანი კი დარეტიანებული მისდევდა ქვაფენილს და ზურგიდან მხოლოდ ფრთების შრიალი ესმოდა.

II

...და ისევ დრო

პირველად ვინ გაიგო ლევანს ფეხი მოსტყდნა? ჰო, კაკომ და დატრიალდა კარუსელი. არა, კარუსელი მაშინ დატრიალდა, მაიკო რომ აივანზე გამობაჯბაჯდა, ფარღალა კიბეზე სანდალი მოედრიცა და თოჯინიანად თავქვე წამოვიდა. მოადინა კიდეც ზღარბანი, ოღონდ ლევანზე. ხალხად გაგორებულ ლევანის ტანზე — როგორ მიუსწრო ბავშვს, რანაირად, მიდი და არკვიე.

თაბაშირის ლულას თვალი ჩააცილა, საფერფლეს მოხვდა, მოიჩოჩა. ქარქაშში რაც ჩაუვებს, საკუთარი ფეხი ველარც უგრძენია, უქავეის ობლად, სუულ ბოლოში გამოყვლეფილი თითებით და მაგათაც ექიმი დასტრიალებს: „განმრეიმოლუნე, გაფარჩხე-შეატყუზე, ასევე“...

ღრმა ნათაზმა ფილტვები მოუსინჯა, მიხოც-მოხოცა ავადმყოფური სისპეტაკე და კაცობას დააბრუნა.

— ჩვენი ერთად ცხოვრება წარმოუდგენელია, მორჩა — ლია ხანდახან ისე დაიმახინჯებს თავს, თვალებს გაღმოყრის, სახე გაულუჩრდება... იციან კი ქალებმა ასეთ დროს რასაც კარგავენ? — მორჩა! უთო ზეწარს და აბეჭდა და მაჯით მოიწმინდა ცრემლები შუბლზე: — აღარ მინდა! კაცი კლდე უნდა იყოს, ქალის დამცველი ღობე და არავითარი ნევროზები, საღებავები, ტილოები — ღმერთო!

მოძლილ ძუძუებზე წამოგორებულ ჯუჯასათვის ვერ მოუცილებია თვალი, აი ახლა მივა, წკიპურტი ჩამოაგდებს და ხელსაც აღარ აიღებს.

მომბზრდა! — გაეპასუხა ქალი. ქმარს სულში სიცივემ დაუბერა, ახალმა, უცხო სიცივემ. ახაროლებული სიგარეტი ქარქაშს მიაჭყლიტა. დაგორებული

ბოლმა გუნდასავით დიდდებოდა, თაბაშირივით მაგრდებოდა. აუჰ, თაბაშირი... წამოიწია, ძლივს მოერია ნივთად ქცეულ ფეხს, საწოლმაც კბილები გაუკრაჭუნა. სხეული უმოქმე-

დო, სული — ცარიელი, თავი — ფუთი, საქმე — არაფერი. კარგია არაფერი ჰო, სახლიც ცარიელი.

— მოტეხილ ფეხს ეშველება, ჩვენს ურთიერთობას კი აღარაფერი, — უყვარს ლიას აფორიზმებით მეტყველება, ფრთიანი გამოთქმები: — არავინ არ მინდა, არავინ! — ყრის და ყრის ჩემოდანში თავის ქინძებს: — ნუ გგონია ლევან, ჩვენ ახლა კი არა, დიდი ხნის წინ დავშორდი, — ლევანის აქიმებიც მიაყოლა, ლამაზი, სამფეროვანი აქიმები: — ახალდაბიდან დავშორდი უკვე. ნუ გეშინია, კოჭლობა არ მოგკლავს. — რატომღაც მოეჩვენა, ლიას აქაც აფორიზმის თქმა ეწადა... — თაბაშირსაც ხვალ-ზვგ მოგხსნიან და ექიმიც ყოველდღე შემოგირბენს. — დასკვნა საქმიანად, ჩემოდანზე დაიხოქა — კეტავს.

მოშვლებილ მუხლისთავესა და მშვილდით მოზიდულ ტანს თვალი გამოაბა, შეინძრა, თაბაშირის სიმძიმე იგრძნო.

თვალი გაახილა, კედლებიდან დაქინებით გამოსცქერია შეჩერებული წამები. „იმის ნაცვლად, რომ მეცხოვრა, დრო ჩირივით გამოვახმე და გარშემო ჩამოვიკიდე“. ფარდას წაებობლა, იწვევს, „გავლილი ცხოვრება ჩამოვიკონწიალე კედლებზე, დავხევე მე მაგათი...“ ლოგინზე მოწყდა უმწეოდ.

ზამთრის მზემ გააყვითლა ოთახი, სხივები იატაკზე გაფანტა, მერე ისევ მოკრიფა და კედლები აათვალიერა. „ლურჯი ცუდად ტყდება მზეზე, მკვდარი ლურჯია — რა გამიხდა ეს მსხლის ხე, ველარ შევკარი“. მზემ გააგრძელა თვალიერება — სადღაც, კუთხეში მარტოობამ გამოანათა... „ამ გოგონას პორტრეტი ხომ ნაღია, ყველა ნაღზე უფრო ნაღი! ცხოვრებაა, სინამდვილე და სიცოცხლე... ჰოდა საკუთარი სიცოცხლე ვიღას დაუხევი“. გაუმწოებულ ფეხს ეჭვით ითვალიერებს: „მსხლის ხესაც გავაცოცხლებ, ავდგები და... უხხხ, ერთი ურო ახლა!“

იქ კი სადღაც, თოვლი მოდიოდა, ცერად, მოწყენით, — დე-დი-კოო, თამაზიმ გუნდა მომარტყა, — მობლაკუნობს ბელურა თოვლში, მოუშორე-

ბელი თოჯინა თავდაყირა უჭირავს, მუჭით იწვალებს გაბუტულ თვლებს: — მომარტყა! — გადაუწია დედას ქურჭი — შეეყუთა თბილად, ხელის-გული შეიგრძნო კეფაზე, — დაწყნარდი შვილო, წავიდეთ სახლში.

გადათეთრებულ ეზოში ქალი და ბავშვი გამოჩნდნენ, კიბეებისაკენ გაიკვლიეს, აითვალეს საფეხურები, ბაქუნით შეაღეს კარი და გამოიხურეს. დარჩა თოვლი მარტო.

— ჩვენ მხოლოდ ქინძმარაულს ესვამთ! — მაინც რა უცნაური ჭეშმარიეები აცვიათ ბიჭებს ბაკურიანში. თავზე? თავზე ნუ იტყვი, ალევ პოპოვს შეშურდება.

— მე ზაზა მქვია, ზაზა. თქვენ? — ხეპრე არა ჩანს, სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ.

— ლია. მობრძანდით, — ეცინება, კართან ატუზულ ნანას ჩუმად მუშტს უღერებს და გულზე ეშვება.

— ლია, კარგია. — შემოაბოტა, ბოთლები მაგიდაზე დაამწყრივა. რაღაცა სასაცილო ჩანს ამ კაცში, მოუხვენარია ციყვივით — მიდი-მოდის, ოთახს ავსებს. მეგობარი სერიოზული ჰყავს: — ბო-დი-შით, — ქურჭიდან უნერხულად ძვრება... ერთმანეთს უხდებიან.

— კარგია, — აგრძელებს ხელეების ფშვენტას ზაზა.

— რა არის კარგი, ბიჭო, — ნანამ ამოიღო ხმა, ლიას წამოეშველასავით, თმისწორებით ამოუდგა მხარში.

— კოტეჯებში ცხოვრება, აი აქ! — და თავზემთ წრე დაიტრიალა: — დედაშვილი, გვრიტებივით. ჰა ნანანიკო? კარგია რომ მოგვასტუმრე, — ჭროლა ქუდი მოიძრო, მაიკოს მდებლად დაუქრა თავი. თოჯინის წეწვი-თაა გართული ქალი, შემობრუნდა, სტუმარს ტუჩებით გაუღიმა.

— წამით შეკრთა — ახლა ბავშვს რ შეუჩნდესო თავის ყურადღება-სიცოცხლით... მერე მიხვდა, რომ ეს ძალიან უნდოდა.

ზარი:

ლევანმა ლექსები გვერდზე გადასდო, შეისუნთქა და მთელი ჯანით ამოაგდო:

— ღიას! — მერე ბერეტი მოიძრო, სასწრაფოდ.

რაც გინდა თქვი და სიცივე ხალხს მაგრად უწითლებს ცხვირს.

— პალტო მანდ დატოვე, ისე არ დამენახო! — ბერეტი ისევ შუბლზე ჩამოიცვა.

— შეიძლება... — ვაჟა მარტო: — ჰა შენ მოსაკითხი, — ჩამოუწყო სასთუმალთან საპონი და პრიმა.

— ისე გამოიფხიკე, სხვა ხუმრობას ველარ გაწვდი? — ხელი შეაგება. რა სისულელეა ეს ხელის ჩამორთმევა. ადრე თურმე მარჯვენას იმიტომ ართმევდნენ — იარაღი არ მიჭირავსო. ახლა რა აზრი დარჩა?

— ბიჭო, რა ცივა გარეთ?.. — ირტყამს და ირტყამს ხელებს მხრებზე. ოქრო ბიჭია. — ფეხი როგორ მოგიკითხოთ, ჰა?

ისე სერიოზულად უთვალეირებს, მოდი და ნუ ახარხარდები: — იყოს რა, მე რას მიშლის...

— ხო ჩაუშვი ღუზა ჰა, თქვი. მოიცა რა ქვია მაგას... ჰო, ღრეფზე დგეხარ ეეე, წევხარ. — კოხტად მოუკალათდა საწოლზე: — თანაც რამდენი ხანია?

— ერთი თვე. — რა ზუსტად მოარტყა, ფეხი კი არა, მართლა ღუზაა.

— ერთი თვე მდია... არც დაგიღე-ვია?

— თქვენს ხელში?

— ცუდად გეცნობ, ცუდად, — თვალი მოასეირნა ოთახში: — საღებავებს ვერ დაღევ, ჟიპიტურსაც კი ვერ გამოხდი მაქედან...

— თქვენ ხომ ქინაქინ-ფორმულებიდან ხდით.

— ქინაქინა რად გვინდა და ფორ-მულა კია საჭირო, — მუხლისთავებზე დაჭიდებული წამოდგა და ღერე-

ფანში მთავარსარდლის ნაბიჯებით გა-
ვიდა, იქიდან ორთითშუა ყელგამომ-
წყვედული ბოთლით ეახლა.

— მაინც ჩრდილოელი ხარ რა...
ზედ ხახვი და ხამსა ვერ მოაყოლე?
— სიბო მოეძალა, მაღავდა.

ვაჟამ პრიმასა და საპონს შორის
Сибирская ჩაღვა: — რაც მოვაყოლე
ეგენია მაგის ასხმა.

წიგნში მოკუნტული ლექსები, „გა-
დაშლასა და გაფრენას რომ ითხოვდ-
ნენ“, ლეიში უფრო ღრმად მიაყუჩა.
წამოიწია, ბეჭებში ბალიში ამოიღო.
ვაჟა არ მიხმარებია — თვალი გაარი-
და. ოქროსა.

— ყველია მაცივარში, კონსერვი,
რალაც კიდევ, იზოვი.

— Ест! — გამოეჭიმა ვაჟა და სამ-
ზარეულოში მოჯამაგირესავით გაფა-
ციფუცდა.

სხეულში ჩაღვრილი სიბო ლაწვებ-
ზე ამოუვიდა... გახურებული
ხელის ზურგზე ჩამოიღო — უკვე ცე-
კვავდნენ.

— გოგლიკა ჩვენ ყველას გვჯობდა,
ყველას... — ვაჟა გაშვებულ ფანჯა-
რას მისჩერებია, მოკუმულ ტუჩებს
მიხეთქებული ბოლმა კი ისევ გულში
ბრუნდება.

ჩამოცლილია ნახევარი ბოთლი.

— იქ გაუმარჯოს.

— იქ!

ხანდახან ხომ სიჩუმეც ლაპარა-
კობს? აი იმ სიჩუმისა ეშინიათ ორი-
ვეს, ახლა რომ აყებდებულა და გაჩე-
რებას აღარ აპირებს.

— ახალი რა არის შენსკენ?

არსებობს ამაზე ბრიყვული, უაზრო
კითხვა? ახალს არა ჰყვებიან — ახალი
ხდება, თუ არ ხდება და რაღა ახალია...
ვაჟა არც პასუხობს. მერე უცებ მო-
უტრიალდება და უცინის: — Нет, ты
все-же человек в футляре — ხარბად
იცინის ვაჟა.

— რატომ?

— აბა გგონია ფუტლიარში მარტო
ფეხი გიდევს? ჯერ მოიცა, ჯერ სადა
ხარ.

— ბოლო ფუტლიარს თუ გული-
სხმობ, ეგ შენც არ აგცდება, — თვა-
ლი ჩაუბაჭუნა და სასწაულად გადარ-
ჩენილი მწვანილი პირში ჩაიკეცა.

გამოაღწიეს.

ჩანგლის წვერით მოფხოჰნა თეფში,
გადასდო... დაწვდა ჭიქას და თავადაც
შესვა. ტუჩებიდან არ მოეცილებინა

— ზაზას გახედა, უდიმოდა. დაცალა.

ნანა და ნუკრი ცეკვავდნენ, ჩურჩუ-
ლით, ზანტად დაიზლაზნებოდნენ
ოთახში.

— ვიცეკვით?

— ოლონდ ჯერ მე ვიტყვი სადღე-
ვრძელოს, — ღვინო დაედინებოდა
პარღებში, შიგნიდან ეალერსებოდა...

— სიცოცხლეს გაუმარჯოს! — ზაზას
დაყუდებულ ბოთლიდან გაპიპინებუ-
ლი ჭიქა გამოაცალა, ტუჩები შეაგება.

იქ კი სადღაც, უკვე ჩამოღამდა. ქა-
რი ფანტელეს აცეკვებს, გაბეზრებუ-
ლი ძალდი უხასიათოდ ღნავის, იმას
მეზობლისა ეხმინება, იმას კიდევ...
და შუალამეს აყეფებულ ბაკურიანს
მოაგარაკე ჯელების ღონიერი ყრონ-
ტებიც უერთდება: „გიინდა იყოს კო-
ოჭლი, გიინდა ბრუციაანი...“ სასტუმ-
როს გაბრღვიალებულ რესტორანში

გაქანებული დაბადების დღეა, ის შავი აი, ამ აყლაყულაზე მუშტებს იგრიხავს, სავარძელში ჩაკუნტული მემარბილე თვალბდაყვლეფილი იბუყნება, ვილაც ყურებზე დადის და აი, ეს ტურფა იმ ტურფას — მაპატიეთ — იმ ჭაბუკს მუხანათურ სარეცელს უმზადებს, დაკარგული ვნებების ძებნაა ყველგან, გარეთ კი უკვე გამორესტორნებული, ჭავლით კედელზე დაშინებული ლოთის „ერთი თქვენი...“ ისმის.

მრავლის მნახველ-არმნახველ ვინმე პარმენს ძილში ემთქნარება, იღლიას იქეჟავს და მხარს ჭრატუნით იცვლის — კედლისიქიდან მოდენილი შმაშუნი თითქოს ასიზმრებს და არც ასიზმრებს რალაც შორეულს, ძან ახლობელს — ღამე ულვაშებში ქირჩილებს, ქარით დავლურს უვლის, სოფლის თავზე სიზმრების, ალერსის, ვნების აბლაბუდას ქსოვს, ფეხის წვერებზე დგება და ფანჯრებში აქა-იქ შეყოვნებულ დღეს სულს უბერავს. ღამეა, ღამე...

— ჰოდა მეუბნება: „ოთხი ქალი რად გინდა ვანია, დავვითმე თითო, შენთვის ამეირჩიე ძამა და დავვითმე დანარჩენებიო...“ გესმის ბიჭო? ჩემი თანამშრომლები არიან — ვეუბნები — ფარმაცევტები, ის: „დამითმე სტარიკ, რეიზა ჭინჭყლობ, კეთილად გთხოვო“... მეც ქართველი არა ვარ? ბიჭებო-მეთქი და უფრო მაგრად არ გადამიარეს?

— ეგ სად?

— კალუგაში.

— შენც რას დაწოწიალებ ამ კალუგაში, დაეტიე რალა...

— სერიოზულად ამბობ შენ, ლევან?

— ქართველი საქართველოშია კარგი, გესმის? თბილისში, გესმის? შენს ქუჩაზე, გესმის? და თუ ერთ ბინაში ცხოვრობთ და ძალიან ახლობელ ნათესავდაც მოგიდის, მაშინ მაგისთანა

ქართველს ვერავინ შეედრება 
ნაზე.

— ეპეე, რა მოგივიდა?

კეფაზე გაჟრიალა, რა მოხდა მერე? ჩხუბისწინ კეფა აუცილებლივ უნდა გაგიციოდეს — ასე.

„ვოლგამ“ ლევანის დაძახილზე მკვეთრად დამუხრუჭა, ოთხივე კარი გაიღო და სამი მოზვერი გადმოვალდა. მხრებგადაბმული ღდანან, ღმილნარევი გესლით ათვალიერებენ. სულ უფრო მცირდება მანძილი...

ქალები მაინც არ ახლდნენ, ქალების თვალწინ ხათბალაა — გარედან უნდა იმოწმო თავი, ეცადო არ შეიგინო და თუ გცემს ხომ კარგი — მთავარია არ გაკოტრიხლოს.

— რა გულით მოდის, ერთი შეხედეთ კაცო, — საქესთან დარჩენილი გამოღებულ კარზე გადაძმაცაყებულა და თვალმოჭუტული აბოლებს.

მარცხენამ შეაგინათ, ჰო ეგ იყო. ჭერ გუბე მოაწუწეს და მერე ამ გაფიქვენებულმა მოაგინათ ფანჯრიდან. რალა დროს ლაი-ლაი, უკვე ცხვირწინ უნთია ეს უტიფარი ღმილი — გაუქანა და მუშტს ტანიც გააყოლა.

წამით ყველა გააშეშა შუადღისას, „ვოლგის“ ბორბლებთან გაგორებული კაცის დანახვამ.

მეერე ატყდა.

— მილიცია! — ჭვარზე დაიფიცებდა დღესაც, იმ დაღებულ ხახაში გლანდები გავარჩიეო. ბოლოს პირი დაიმუწა და დედაკაცის დაქმუნული სახეც აღდგა.

ფაცი-ფუციო შეცვიდნენ მოზვერები „ვოლგაში“ და ძრავის ბუზღუნ-ბუზღუნით გააქანეს.

ლიას საყინძე შეხსნია, სახალეწილი ეკითხება: — დანა რომ დაერტყათ?

სისხლი გადმოაფურთხა: — ეგენი არ დამარტყამდნენ. „პურიმპამელი“ ბიჭები იყვნენ.

მაინც ვერ ახოხილეს — უბრალოდ ბეგვს.

— მე შემომხედე, მე ხომ თხუთმეტი წელია, მხოლოდ თხუთმეტი წელი რაც აქ ვმუშაობო, გაიგე ბიჭო, ეცოტავება!

— ჰა? „უი ვაჟა“: — ჰო.

— რა ჰო, მეც მაგას არ ვეუბნები — არა! МГВ-ში ვოლკოვთან იმიტომ ვხეხე, ჩელიაბინსკში კირაკოზოვთან იმიტომ ვხეხე, ახლა სარიშვილთანაც მეხეხა კოლები?

ბრაზობს ვაჟა, ბრაზობს.

— ვაჟა-ჩემო, კანდიდატებიც თუ

კიდევ კოლებსა ხეხავთ და მიყოლდ
აბა...? — ხელი აუჭრა ბრაზზე.

გაეცინა ვაჟას. ცალ გვერდზე გაეწეა ტუჩები, ირონიით უნდოდა და ნაღადად კი გამოუვიდა — ჰე, ჰე, ჰე, ჰე, — აი ასე გაეცინა.

— იცი ლევან, რა დამჩემდა იქ? სამსახურში, ვიყავი და სულ დაღევა, სპორტ და ქალებზე ვსაუბრობდით, თუ დაღევა, სპორტ და ქალები იყო — მაშინ სამსახურზე. Boot!

ნამძინარევი თვალები ჰქონდა მესტროს. ბახუსთან ხელგადახვეული თვლემდა დღისით-მზისით, საუთარი ხილვებით გარშემორტყმული, გაუცოცხლებელი სახეები კი გარეთ გამოძეარალყვნენ და ბლუჯა-ბლუჯა ეხსდნენ აჩეჩილ ქალარაზე. სტუმარს ბუნდოვნათ შემოაჩერდა, თავი გაიბერტყა — დაეხსნენ მწვანელები ალბად — მზერა დაეწმინდა, ამოიციო და გაიხარა. მიყოლებით გადმოალაგა ტახტიდან ფეხები — ფლოსტებს დააციოლა... დგება-დგება, ადგა. მკლავებგაშლილი: „მობრძანდით, მობრძანდით“, უკან-უკან მიდის, მერე ისევ მოდის, ლევანთან ხელჩაბორთმეული დგას და ლიას უღმის.

ახლა ტახტზე სხედან, მესტრო სიყვარულით ჩამოსცქერის, ესენი ემორცხებიან, ის გრძნობს, თვალებს ხრის და ვაი? ფლოსტები შუა ოთახში. ტერფებზე დაიხედა ექვით — იქნებ მიანც... არა. ფეხშველა. თავისთავს ჩაუცინა, მივიდა ფაჩუჩებთან, მორიგო და აკრეფილი ნაფეხურებით ოთახში გაიარ-გამოიარა. იცინიან.

იცინიან, იცინიან...

ლაიკ იცინის, აფრასავით გამორკალული, შებინდების ეამს, ფეხქვეშ დაგებული ზღვით — წვივებს ულოკავს ბებერი ზედი, გახედნილო და მხედრანი... მისი მხედარი კი, ყველა ქალთ-ქალი, უნაგირში ამაყად მნათი, ქეჩოში წავლებული ყვითელი ხელით აოკებს უფურს და მიმალვამდე, სანამ ხელეზღმაროთული ჩაესვენება, აქეთა ქალსაც შემოსციენებს თვალებში წამით.

— კარგია ლევან მოგზაურობა, პარიზი, რომი, რიო, — ბოთლი სარეცხივით ჩაწურა ჭიქაში, მორჩენილია ვაჟა.

— გრანდე?

— რათა, დეჟანერიო. აი რას ვფიქრობ ხოლმე, ახლა ნუ დამიწყებ კოპერნიკიო, გალილეო, და მიზიდულობის კანონიო, კიდევ... ნუ დამიწყებ კარგი?

— კარგი? ვაჟა, გეყოფა.

— გლობუსი გინახავს, ლევან? შენ?

— მრგვალია ვიცი.

— ვის აშაყ-პიკი!.. მრგვალია ხო.

— მერე?

— მერე და დედამიწაც ხომ დიდი გლობუსია და ხომ ურტყამს ერთ წრეს ოცდაოთხსაათში.

— ურტყამს.

— ჩვენც ხომ ზედ ვაზივართ და ვურტყამთ?

— კარგი რა, თავი დამანებე...

— მიხვდი ბიჭო. კაი, კაი ნუ მიხვდები, ახტი ახლა და ვთქვით დაეკიდე ჰაერში, ვთქვით ოთხი საათი კონწიალობ და ჩამოხტი, პარიზში. პარიზი მოვიდა რა, თავისით, ამ ტრიალ-ტრიალში. შენ არხეინად იყურებოდი ქვემოთ, იქ კი — პოლონეთი, გერმანია, ბელგია ალბათ, ქალაქები, მინდვრები.

ბახუსი წამოეპარა ფეხისწვერებზე, უცნიდან, აუფარა თვალები: „ვინ ვარ?“ — ლევანი. „სწორია“ — აჟანტურებს გაბანჯგვლილ თავს.

— მესაზღვრეები ჩამოგადგებენ, როცა ჩავივლიან... გამოკიდულხარ სარეცხივით. თანაც მერიდიანი ზუსტად უნდა მიუმარჯო.

— რაო?

— პარალელი უნდა დაუმიზნო-მეთქი სწორად, თორემ იტრიალებს-იტრიალებს, ჩამოხტები და დგაფ, აღრიატიკაში.

— მაგის მეტი რა მიფიქრია, პარალელიც ზუსტი უნდა და ახტომის სიმალეც, არადა სადმე გამოედები — აქ მთელმა კავკასიონმა უნდა გამოეიაროს, კარპატები, ალპები, იალბუზი, ეიფელის კოშკი, ნოტრ-დამი... — გრაფინში წყალი შეაყანყალა: — იცი ლევან, ჩემი ბავშვობის აღმოჩენაა ეგ და ვერა, ვერა გავაბათილე ბიჭო, ვერაფრით.

წავიდა ვაჟა. შეძვრა პალტოში, ალაგა პატიოსნად სუფრა და შეძვრა პალტოში, არ მიუტოვებია, მხოლოდ

წავიდა ვაჟა, უნდა ხომ მართლა წასულიყო და წავიდა ჰო, დამშვიდობებით, კოცნით, მოკითხვით წავიდა ვაჟა. მოვიდა მაესტრო, გაუცინა: „დათვერი ლევან?“ დაიხარა, ლევანის სიგარეტზე მოუკიდა, ბახუსს თვალი ჩაუკრა... აი, ამ ბახუსს, აქ რომ შემოწოლილა თბილად და თაბაშირი აღარ ეყოფოდა, ახლა ეს დახვევია კისერზე. მაესტრო ბნელში უხმაუროდ მიდი-მოდის, თაროსთან ჩერდება, წიგნს არჩევს, სავარძელში ჩაშვებული ფურცლავს, თითებთან ციციანთელა დაჰფარფატებს, მალლა აფრენილი ბრიალდება და ოთახში თვალები ელავენ. „რას კითხულობს ამ უკუენში...“

„— თუთის აბრეშუმხვევია, პეპელა, ნამდვილი აბრეშუმხვევების: *Bombicydae* ოჯახისა. განვითარების ფაზები: კვერცხი ანუ გრენა, ჭია ანუ მუხლუხი, ჭუპრი და ბოლოს — პეპელა. კვერცხიდან გამოსული ჭია აბრეშუმგამომყოფი ჭირკვლებიდან პირველივე ასაკში გამოყოფს ძაფს, ხოლო, მეხუთე ასაკისათვის ჭირკვლები ინტენსიურად ეზრდება და სხეულის საერთო მასის ორმოც პროცენტს აღწევს — ადამიანზე რომ გადავიანგარიშოთ, კიდურების გარდა სულ ჭირკვლები გამოდის — ამის შემდეგ ჭია წყვეტს კვებას, აღის ცახზე და ახვევს პარკს. პარკში ჭია ჭუპრად იქცევა. ეს მეტამორფოზის ფაზაა. მისგან გამოსული პეპელა კი ზრდასრული ფაზაა“. მაესტრომ გადახსნილი ნახევრები ისევ შეატყუპა და წიგნი მუხლებზე ჩამოიდო: „— გინდა ხოჭოზეც წაგიკითხო? თუმცა არა, ისე გეტყვი: ხოჭოც ახვევს გორგალს, ოლონდ საკუთარი სხეულიდან არა — ნეხვიდან. მერე კოხტად ამრგვალებს, წმინდავს და იცი რატომ? სორომდე რომ ადვილად მიაგოროს და რამენაირად შიგ შეათრიოს... საკვებად“. მძიმედ წამოდგა, წიგნი მუხლებიდან დაუცურდა, იატაკზე უნდა დაცემულიყო — ხმა არ ყოფილა. მაესტრო არსად არ წასულა, მარტო ადგა და... გაქრა.

სიჩუმეს დანებდა ყველაფერი, სიჩუმის ხმა ისმოდა ოთახში, იტრიალა, ერთხანს, იბზრიალა, შეგუნდავდა მერტვით, იყრა ერთიანად და სავარძელში ჩაეშვა: „— რაო იუზგარ, მათავე კონსერვატორია? კომპოზიტორობ? ეეე, სპორტს მიყოლოდი ბიჭო, შენ რომ ფინტებს აცეკვებდი, მთელი მეზობლობა შუშაბანდებიდან დასაბერტყი ხალიჩებივით იყო გადმოფენილი. ნახე? ვოლგები, ფული, სახელი, გოგოები რამე... ან ის გიტარა გაგეყოლა მაინც, იდგებოდი ლოთიანად: ვარდზე მეტი ეკაალი აქვთ ლამაზებს... ჰო, ამაებს აღარ მღერიან — ეგუ, პეკუუ და მიდი მთელი მსოფლიო — ეგუ, პეკუუ და მიდი კიდეც ერთი კრუგი — ეგუ, პეკუუ და აქაც ხომ ყველა ხელისგულზე დაგისვამდა“.

„შავგოგია ხარ, გიცანი, წადი, შემეშვი ბიძაჩემო“. „— ვაჰ! ლევანა ყოფილხარ... მე კიდეც რეზიკა მეგონე. იცი რას გეტყვი, შენ რაღას დაყალიბებ, გონია რეზიკაზე უკეთესი ხარ? აი მე, რა ვქნა, რიყასთან ვნახე შენი ნახატები — არ მამწონს. ჰო, ფიროსმანიც არ ამგვანებდა, თანაც სულ აქედან ხატავდა ბემურაზი, მაგასთან კაცი ზურგით მჯდომი არ მინახამს, მაგრამ ის — ფიროსმანი იყო მამაჯან, შენ — ჩვენუნბელი ლევანა ხარ, ფეხებურთში შენ არ ვარგოდი და ხმაც რომ ფარშევანგისა დაგყვა? ჩხუბი კი იცოდი, ბიჭო, იცოცხლე... მამალი მგელი დგებოდი იუზგარ — არ დადექი.“

„მკვდარი ხარ შავგოგია, ახლაც თოვლი გაყრია საფლავზე და თავი დამანებე... სიზმარში მკვდარი ცუდია“. „— ვაი, გეძახი რო? არ გეძახი. იყავი მანდ, სატანჯველი ბევრი დაგრაჩა, მოჰკიდე-მაათავე და მერე გავარჩიოთ. მაინც რა გაკლდათ ოქროებო — გვარიშვილობა, ძმაცაცობა, ნათესავ-მომსვლელი თუ პატრონი... დაისწავლე რაღა, აეს წესები. ცხოვრება ნარდის თამაშია: არმოიგებ — წააგებ... ნიჩია არ მოდის. თქვენ გეთა-

მაშებიან — ესენი მითომც არაფერი, ჰოდა გიგებენ და მოგიგებენ კიდევაც“.

გაქვანებულ თეთრ რაშზე ამხედრებული კაცი უდაბნოში მიცურავდა, ხან გამოიკვეთებოდა, ხან ისევ ქარსა და აბორიალებულ ქვიშაში დნებოდა. ეს სად იყო, მუხლებამდე ჩაფლული, მძიმედ, მძიმედ მიაქოშინებდა ტყვიადქცეულ სხეულს და რაღა დაწევა, თვადიდან არ მოსწყვეტოდა იმას ლამობდა. მზის ნაცვლად შუბის ბუნიკი ენთო უდაბნოში, ჭეჭები ელავდნენ ბორიყში და მხედარი მიჰქროდა უსასრულოდ გადაუღწეველი, ჯიუტად პირქუში, რას არ მისცემდა რომ შეეძახა, მოცდა ეთხოვა — ვერ შაჰკადრებდა საკლთარ თავსაც... ხმა მასთან იყო, ხმა მაინც იყო, ის სანეტარო თქარათქური და კიდევ რაღაც ძალიან ხმამაღალი ჩურჩული: — გასწი!

ქარიშხალმა შემოუტია, მძიმე საბანი დაახუთა ზედ, ჩაფლო, ჩაბუთნა მშიერ სტომაქში იდაყვებით დაფორთხილდა, ქვეწარმავალივით გაიკლანა, გასხლტა ქვიშიდან — დაგორებულზე მოეჩვენა, რომ აღარ ჩანდა...

აფრევარებულ სილაზე პირდაღმა ეგდო, დახეტილი, ქვიშით ნატანჯი ტუჩები მიწის მცხუნვარ ყურს ჩასჩურჩულებდნენ — ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ...

ალიონზე გარძისფერდა სოფელი, მამლებმაც წამოუყვილეს — ნელ-ნელა ღრუბელივით გამოჩნდა თოვლი, გარშემო, ყველგან.

ტყის პირზე მიხრაშინებულობდა ნაბახუსევი, მხრებაწურული ბიჭების წყვილი. თავებზე ორთქლი მისდევდათ — საუბრობდნენ.

— თოჯინები არიან ყველანი, ვნებიანი თოჯინები, — ცის გადახსნას გაეტაცნა ერთი, ნიკაბაწეული მიჰყვებოდა ღრუბელს: — ჰოდა მეც ვეთამაშები, — თოვლს დასწვდა, შეაგუნ-

დავა, ხელთათმანში ახტუნავებს, ასე სჯობია. დაშორება აღარ მჭიჯნის, ლალატი აღარ მირეცს გულს — და მოუქნია ალიონს.

მეორე თავჩაკიდული მისდევს, ჩუმი, ჩუმი.

აი ახლა, სძინავს მას, ლევანს, სამად ჩაეცილს — თავი ლამის მუხლისთავეებში ჩაურგია, სულ პატარა ადგილი უჭირავს ლოგინში, როგორც ოდესღაც, უსასაკობისას ეძინა დედაში ჩაყუჟულს. ახლანდელი დედა-მიწა კი ბრუნავს, ქოშინებს, მიიბურთება უსასრულობაში, ლევანსაც მიაქანებს საღღაც და იხვევს კოჭივით დროს.

ლევანს ესიზმრება რომ მირბის უდაბნოში, ქვიშით გადატყაული, ბრბო მოსდევს ყიფინით, ალიაქოთში ვერ არკვევს რა უნდათ, ამიტომ გარბის, გარბის და ძალა აღმართს ხნავს — ეწევიან.

უკან ოკეანე, წინ ყიფინი და ხელეების როკვა. მორჩა.

და მაინც გაიბრძოლა, უკანასკნელად გაექანა, აიწია ცოტაზე — ჩამოვარდა, აიწია ისევ და ისევ ჩამო — არა აიწია, აიწია და ისინი ხომ ეტანებიან, მაგრამ სადღა... ზღვისკენ განქარდა, იქით, ღრუბლებში და თითქმის მოეშვა, არა აიტაცა, აიტაცა ახლა რაღაცამ და ნეტარება მოასკდა ღვარად, წალეკა სიყვარულმა, თავისუფლებამ მოაჯადოვა — გასწორდა, განდილდა, გაავსო სივრცე, სხეული ვერ იგრძნო, დაგუბებული გასკდა რაღაცა და მართლობის მხუთველ ჩარჩოდან ამოვარდნილი — განთავისუფლდა.



ახალი წიგნიდან

ჩვენება წისკვილის სათავეში — საღამოისას...

ამ ერთი ნიშნით
კი ვგავარ თავადს:
მაქვს საკუთარი
ღელის წისკვილი...
ნუ დავუქარგვთ ღირსებას მთავარს,—
ფქვავს გრილად... გრილად...
არ იწვის ფქვილი!..

რა სჯობს ცივ ღარში
ფეხების ჩაყრას
(მოხუცს ბავშვით უყვარს
გართობა!..)

წუთით ვივიწყებ
სამყაროს ყაყანს
და საამსოფლო უკუღმართობას!..

...კოდს მოსდებია ღეყებო ხავსად
(ქვის ჭაღარაა ეს ლურჯი ხავსი!..)
ვისმენ ბავშვობის კისკისს და კასკასს
ანკარა ღელის ჩუხჩუხა ხმაში!..

საფქვავით მოდის მოხუცი ქალი
(ო, ხსოვნის ღმერთო! — ცოტა
მაცალე!)

მოდი —
ღიაა წისკვილის კარი —
მინდს არ ავიღებ, შენ გენაცვალე!..
შემოფართქალდი,
მოდი,
მოცუეჭდი

(სათნო ღიმილი შეგნის ვარაყად!..)
როდის დაქალდი,
როდის მოხუცდი, —
შენ... ის არა ხარ?..
შენ... ის არა ხარ?..

შენ ის სარა ხარ?..
შენ ის ნატო ხარ?..
მე... მე სადა ვარ, —
მარტო რატომ ხარ?!
უცებ შეღამდა
და უხილავმა
მთებიდან ბინდი გადმოახოხა!..

გაქრა ჩვენება,
როგორც ფიფქი რამ,
ნისლის ფთილა ან ღელის ჩხრიალი,
ღამის ფრინველმა გადაიფრინა
იღუმალური შრიალ-შრიალით!..

„კაცის ოცნება
სად არ შეტოპავს,“ —
ჩამესმის ღელის ამონათქვამი...

— თავადო!
წისკვილს ხმაზე ეტყობა:
ჩამოთავდება
მალე
საფქვავი!..

უპირველესი საზიცარი

მე თქვენ სიზმრული სიყვარულით კი არ მიყვარხართ, —
მინდვრებო, ზღვებო, ღელეებო, ზვრებო და მთებო:
ხელშესახები გამოთქმა ხარ, სულის სიტყვა ხარ,
უპირველესო საფიცარო — სამშობლოვ ჩემო!

მე შენით ზოგჯერ აუტანელ ჭირვარამს ვუძლებ,
მე ჩემი მყოფნის სიხარულიც, სხვისას არ ვჩემობ.
მეამაყება: მკვიდრად აღვას წარსულის ფუძეს
შენი აწმყო და მომავალი — სამშობლოვ ჩემო!

გულის წიაღში გახლართული ძირი და ფესვი
გაიფოთლება განახლების საამო ჩეროდ...
საჩინო შრიფტით ასაწყობი ეს ჩემი ლექსიც —
შენს გაზაფხულზე ღაღადია, — სამშობლოვ ჩემო!

ბავშვობა მქონდა—
ნულარ იტყვი:
მორცხვი და წრფელი...
ბავშვობამდე კი —
ვებერთელა წარსული მქონდა!..
ბავშვობის მერე —
ოცნებები გაუწაფველი,
გადანისლული ლეღები,
ეზო და ოდა!..

ახლაც კი ვხედავ,
ნათლად ვხედავ:
ხევგაღმა, გორ-გორ,
ჩამოშრილდა ანგელოზი, —
სახელად — მიმი!..
სოფელში სტუმრად ჩამოსული
პატარა გოგო —
ხსოვნის ბურუსში

დრო მიდის,
როგორც მდორე მდინარე,
მიჰყვება,
მიდის,
ყველაფრის ლეკვით...
გარედან — მდორეს,
შიგნით — მძვინვარეს,
რჩება ბალასტი, —
შლამი და ლექი!..
ერთია მისთვის
ბრძენი და ცეტი,
გზადაგზა ზოგჯერ
ფსკერამდე შრება;

ახლაც ვარდის ბუჩქივით
ღვივის!..

სად არის ახლა,
რომ ვიცოდე,
ბავშვობა ჩემი, —
თუ ვერ ვნახავდი —
ისე მაინც, მივწერდი წერილს,
გავახსენებდი
ანგელოზის ჩურჩულს და ღიმილს:
„ — ეგება იცი,
გენაცვალე,
სად არის მიმი?!.“

არც ბავშვობა ჩანს,
არც მიმი და...
არც მისი სხივი!..
რავა ტყუილად ხარჯავ მელანს!..
ეჰ, გივი!.. გივი!..

მე დამიჯერეთ,
მე მართალს გეტყვით:
რაც დრომ წაღეკა —
დროშივე რჩება!..

...ჰაერს სუნი აქვს
ცაცხვის და ფიჭვის,
მზის თაფლში ღნება
ნისლი ფოფინა...
ჰყინტ სიმინდს ლოდნის
ბუთხუზა ბიჭი —
შენ გქონდეს შენი ფილოსოფია!..

კოშმარული სიზმრის უმედეზ დაწერილი ლექსი

დამნათის თავზე
ხან — მთვარე,
ხან — მზე!..

მიწაზე,
როგორც
ვეება ტივზე,
ვზივარ
ფეხი-ფეხ
გადადებული!..
ხან — მზე მილიმის,
ხან — მთვარე მიმზერს, —
მთვარე — ღრუბელზე
ატატებული,
დათვის ბელივით
ატატებული!..

ტივად ვგულისხმობ
მთელ დედამიწას! —
აუ, რამხელა ყოფილა ტივი!..
ვზივარ მიწაზე, —
ვეება ტივზე,
ვარ წყნარობილად —
გემის ჩიტივით!..

ჩიტმა რა იცის
სახელი გემის,
ზის არხენად,
იტენის ჩიჩახვს!..
ჩიტმა რა იცის —
რა საფრთხე ელის:
„ — მოუსვი ნიჩაბს!..“
„ — მოუსვი ნიჩაბს!..“

დაუმთავრებელი ბალადა

ამ ნაპირიდან
იმ ნაპირამდე,
გახსოვს? —
ცხრა წუთში
გავედი ცურვით...
ძლიერ ცხელოდა,
იყო კვირა დღე,
მზე ფეთქდებოდა
ათასი ჭურვით!..

ახლაც აგერ ვარ...
წყნარი სიმცხრალით
ვსუნთქავ და შენი
თვალეებით ვთბები!..
გამიშვი ერთი —
გავაპო წყალი
ჩემი საწყალი,
ბებრული მხრებით!..

ამ ნაპირიდან
იმ ნაპირამდე
სხეულს სულ სულის ჯოხით მივდენი!..
იმ ნაპირიდან
ამ ნაპირამდე? —
რა მოგახსენო,
ვერ დაგპირდები!..

წავედი!..
რალას ვჩიფჩიფებ ამდენს,
აუ! — რა შავად
ჩანან ზვირთები!..
თუ ვერ დაგბრუნდი —
შენ კარგად მყავდე! —
მე... თავისთავად...
კარგად... ვიქნები!..

მთავარი მაინც ეს არის!..

არა მყავს ვინმე, რომ ვკითხო, —
სწორი პასუხი მივიღო:
რა სწაღდა მაინც ღონ კიხოტს,
ან სანჩო პანსა ვინ იყო!..

აზრი კი უთქვამთ... (უხვადაც!)
მაგრამ მე თვითონ რომ მკითხონ —
აღამიანი უყვარდათ —
სანჩო პანსას და ღონ კიხოტს!..

ნატა ჟვანია

სამკუთხედი კვადრატში.

ისევ ერთად ვართ,
ასე მგონია, გუშინდელს აქეთ
ასი ათასჯერ გადავებრუნე ქვიშის
საათი,

სამნი ვართ ოთახში —
სამკუთხედი კვადრატში.
ცოტა ხნის წინ კი
ცალ-ცალკე მყოფი ვიკარგებოდით
უამრავ წრეში, სხვის სამკუთხედში
და კვადრატებში.
ეხლა თითქმის მოწყვეტილი
დედამიწის მიზიდულობას,
შევეყურებთ ერთმანეთს
და გადაღლილი ვიშუშებთ

ბასრ კუთხეებზე დასერილ სხეულს.
ვიშუშებთ სხეულს და გვავიწყდება
კარების იქით დატოვებული სხეულის
მტვერი
ჩვენი სხეულის, რომელიც ახლა
სხვა მტვერს ედება...

ისევ ერთად ვართ,
ასე მგონია გუშინდელს აქეთ
ასი ათასჯერ გადავებრუნე ქვიშის
საათი.

ისევ ერთად ვართ
და ეს ნიშნავს
ბედნიერებას ასულს კვადრატში.

ცეკვა მატარებელში

სჯობს რომ სარკმელში
არ გაიხედო —
სიჩქარისაგან
ერთი ფერია
სუყველაფერი.
მომიახლოვდი,
იცეკვე ჩემთან
ბორბლების რიტმში
და უფრო, ჩქარა,
და უფრო ჩქარა!..
ო, უფრო ჩქარა
მე სულს მიხუთავს
ზონოტონია
გაუცვეთავი

რკინის ბორბლების
და მშვიდი სუნთქვის...

მომიახლოვდი —
იცეკვე ჩემთან...
რომ ასე ცეკვით
გადავლილებმა
ქალაქებზე,
გზებზე,
დღეებზე,
რომ ასე თავებრუდახვეულებმა
ველარ გავიგოთ
ბოლო სადგურზე
მატარებლის გრძელი კივილი.

ჩემი სახლი —
საგნები ჩემს შეხედვას
და შეხამებას ელოდებიან,
ნამძინარევი სხეულის სუნი —
ჩვილი ბავშვის სუნს რომ წააგავს,
ლიბილსა მგერის...
და ვუსმენ მელოდიას,
რომლისთვისაც ყოველდღე
ვიგონებ სიტყვებს,
რომელიც არასოდეს დამიწერია.
ეხატავ სახეებს,
რომელიც არასოდეს არ მინახავს
და მეჩვენება, რომ ჩემი სახლი
მოლოდინის სამფლობელოა.
მოლოდინისა, რომელიც ამდენ
ზიზღსა და სიყვარულს იტევს.
ძალე დამწვარი ფოთლების სუნი

ამიწვავს თვალებს .
ჩემი კუზიანი კაჭტული კი
უკვე მერამდენე გაზაფხულს
უყვავილოდ ზვდება ისევ.
.....
რომელი ჯობია,
მგალობელი ჩიტები თუ თევზები,
სახლში რომ მყავდეს.
თევზები თუ...?!
მგონი ეხლა მე ვყვიროდი
ასე ხმამაღლა —
ვერ შევეგუე
სიბნელის და სიჩუმის დუეტს.
თვალებს ვახელ — ვგრძნობ
ვილაცის ყური
ლოკოკინასავით დაცოცავს კარზე.



ფილმი

მოთხრობა

პრიმიტიულად აზროვნებ, — უთხრა ვილაცამ, თუმცა, შეიძლება, თვითონ უთხრა საკუთარ თავს, თვითონვე მიხვდა... მაგრამ არა, ეტყობა, მართლა უთხრა ვილაცამ, მაგრამ ვინ, ვერ გაიხსენა, მაგარი მთვრალი იყო, თვალდახუჭული ეგდო სავარძელში და ცდილობდა გაერკვია, რა უთხრეს და რატომ, ან იქნებ, რას მიხვდა თვითონ და დაევიწყა... არა, პირდაპირ ასეც არ იყო თქმული, — პრიმიტიულად აზროვნებ, — სხვა სიტყვებით, რაღაც ამდაგვარი, — აზროვნებ, მაგრამ პრიმიტიულად გამოგდის, როცა ცდილობ ჩამოაყალიბო და აჩვენო, — და თითქოს კიდევ უთხრეს, გაახსენდა, ან სულაც გამოიგონა, — მხოლოდ სურვილი არა კმარა, აუცილებლად უნდა გქონდეს რაღაც ნაღდი. მართლა საინტერესო იდეა, ამბავი, პრობლემა... თორემ მოთხოვნილება, ისეთი, შენ რომ გაქვს, გამოხატო საკუთარი და რამე შენი თქვა, ყველას აქვს, მაგრამ ყველა არ არის რეჟისორი და ვერც იქნება, ფანტაზია უნდა გქონდეს და არასტანდარტულად უნდა აზროვნებდე, ამის სწავლა არ შეიძლება, ეს ან არის, ან — არა, და ვერავითარი კინოსტიტუტი ვერ გიშველის, არადა, ისიც ცხადია, რატომ ჰგონია უმეტესობას, რომ რეჟისორობა შეუძლია, ყველა ხედავს სიზმარს, სიზმარი კიდევ შინაგანი პროექციაა გარეგანის, ინდივიდუალურად გარდატეხილი, მაგრამ ამ პროექციის უკუპროექცია, უფრო სწორად, გარეთ გამოტანა, არის ყველაზე ძნელი საქმე და თითქმის შეუძლებელიც,

ამის თავი მხოლოდ ერთეულებს აქვთ...

ამ დროს, ჰქონდა თავი, შეეძლო, მართლა შეეძლო, თითქმის დარწმუნებული იყო და ზოგჯერ არა. მაგრამ ვილაცამ უთხრა, — პრიმიტიულად აზროვნებ, სქემატურად, ბანალურად, შენი ფილმი ბანალური სქემაა პრიმიტიული იდეის, ფორმა ძალად ორიგინალური აქვს, ასე არ შეიძლება, პროვინციალიზმია, ვიანგანგარდი და ყალბი, პრეტენზიული კინოინტელექტუალიზმი, სირცხვილია! რა იყო სირცხვილი? იქნებ მაინც თვითონ მიხვდა ყველაფერ ამას? მაშინ კიდევ არა უშავდა რა, უცებ გაახსენდა, რომ ფილმი სიზმრის მატერიალიზებული ანალოგია, მისი საკუთარი გამონაგონი იყო და გაეხარდა, მერე ისევ დაეჭვდა, იქნებ მაინც სხვამ უთხრა?

ყველაფერი აიბურდა და ერთმანეთში აირია, მონტაჟის დროს ნაუწყებად დაჭრილი ფირივით. ნაწყენი იყო, ნაწყენიც და გაბრაზებულიც, მაგრამ ვისზე? ვის ჰქონდა ასეთი მკაცრი და საბოლოო შეფასების უფლება? რა იცოდა, რა ესმოდა, რას წარმოდგენდა თვითონ? დილექტანტი იყო, კინომოყვარული, და უცებ დაიბნა, ვინ დაახსიათა, თავისი თავი თუ სხვა? თუ ორივე? საკუთარი თავი გააიგივა სხვასთან თუ გაორდა? გაუგებარი იყო. მართლაც, შეიძლება ფილმი არ ვარგოდა, მაგრამ რამდენი ენერგია შეაღია, რამდენი დრო, რამდენი ღამე და ღღე, შედეგად კი? სულ არაფერი? არა, არც თვითონ მოსწონდა, მაღლობა ღმერთს, რომ არ მოსწონდა, ამდენი კი ესმოდა, მოსაწონი რომ არ იყო, მაგრამ

არაფერი არ იყო? პრეტენზიული პრი-
მიტივიზმი? პოზა? მიგნებები ჰქონდა
აშკარად, თუნდაც გადაწყვეტის ფორ-
მა იყო საინტერესო, ჩანაფიქრი კი, ჩა-
ნაფიქრი, შეიძლება, მართლა ცოტა მარ-
ტივი, მაგრამ ის, რაც პრიმიტიულად ჩა-
ნდა, ხერხი იყო მხოლოდ და არავითარი
ძალად ორიგინალობა. ვერ გაიგეს? თა-
ვისთავად უნდა ყოფილიყო ცხადი,
თითქოს.

ჯერ ერთი, რა კითხვაა, — რატომ
ხდება მოქმედება მხოლოდ სახურავზე?
რატომ არ შეიძლება ხდებოდეს სახურა-
ვზე? რა არის ამაში ანეითი? არადა, შესა-
ფერისი სახურავი იზოვა, მართლა შესა-
ფერისი, თექვსმეტსართულიანი სახლის
პოლიგონივით უზარმაზარი, გრძელი,
სწორი, გულდრონოსხმული შავი სახუ-
რავი, ზედ იდგა ექვსი ბეტონის კუბი
(ლიფტების მექანიზმების), უფანჯრებო,
უხეში, ნაცრისფერი, თითქოს ჭუჭყიანი.
სახურავიდან მთელი ქალაქი ჩანდა.

და კიდევ ერთი რაღაც მოეწონა, სა-
ხურავზე გალია იყო, რკინის გისოსები-
საგან შეკრული პატარა გალია, შიგ ლა-
მაზი მონადირე ძალღი გამომეწყვდიათ,
ძალიან ჰკვირავს თვალები ჰქონდა და ძა-
ლიან საცოდავიც, მართლა ცოდო იყო
გალიაში, მაგრამ რატომ ჩაუთვალეს
სიმბოლოდ, თანაც პრიმიტიულ სიმბო-
ლოდ? კადრი იყო თავისთავად საინტერ-
ესო, ფილმის პირველი კადრი, — ძალღი
გალიაში ქალაქის თავზე, წვიმს, უფრო
სწორად, ცრის... მსხვილად, წინა პლა-
ნით გადაიღო ძალღის დინგზე ჩამოგო-
რებული წვიმის წვეთი და ეკრანზე ეს,
შეიძლება, გულისამაჩუყებლად და სენ-
ტიმენტალურადაც გამოჩნდა, თანაც ამ-
დაგვარი უკვე იყო გაკეთებული, გაახსე-
ნდა, თუ გაახსენეს, მაგრამ განა უნდოდა
ეჩვენებინა, რომ ძალღი ტირის? წვიმს
უბრალოდ და მონადირე ძალღი გალია-
შია ქალაქის თავზე სულ მარტო. არა,
გრძნობდა, მაინც იაფფასიანი კადრი
იყო და ალბათ ბანალურიც, მაგრამ ამ
ერთი კადრით ამოიწურებოდა მთელი
ფილმი თუ რა?

მერე გადაიღარა და სახურავზე აღ-
მიანები ამოვიდნენ. არც ერთის
არც ერთხელ არ აჩვენა, მხოლოდ სხეუ-
ლი, მხოლოდ ხელები, მხოლოდ ფეხები
და ეს, თითქოს უთავო, თუ თავწაპირილი
ადამიანები რატომღაც გამაღიზიანებე-
ლი სანახაობა აღმოჩნდა. გამაღიზიანე-
ბელი, იმიტომ რომ, მოულოდნელი? გა-
უგებარი? ამით რისი თქმა გინდაო? თა-
ვი იმიტომ არა აქვთ, რომ არ სჭირ-
დებათ? მართლა არა აქვთ? აქვთ, მაგ-
რამ გინდ ჰქონიათ, გინდ არა?..

ხუთნი იყვნენ, ახალგაზრდები, გოგო
და ოთხი ბიჭი, მალღები და გამხდრები.
ერთი ბიჭი იყო მხოლოდ მსუქანი. უფ-
რო სწორად, ღონღო. ჯინსები ეცვათ,
ეცვათ ისე, როგორც აცვიათ ნორმალურ
ქალაქელ სტუდენტებს. გოგოც შარვალ-
ში იყო, ძალიან ლამაზი სხეული ჰქონ-
და.

მთელი წელი ეძება შესაფერისი,
იზოვა და ძლივს დაითანხმა გადაღება-
ზე, არა, ლამაზი არ ეთქმოდა, გაცი-
ლებით მეტი, როცა ნაცნობ-მეგობ-
რებში გაიკითხა, ასე აუხსნა, როგორი
უნდა ყოფილიყო, როგორი წარმო-
ედგინა, — გოგო, რომელიც გამოიწვევ-
და იტალიური სპორტული მანქანის
ასოციაციას... ბევრი გააცინა ამგვარმა
მოთხოვნამ. ბიჭებიც დიდხანს ეძება,
საინტერესო ხელები ჰქონდათ: პირველს
— გრძელი, ძვალწვრილი, მოქნილი და
ნერვიული, თითები მევიოლინის თუ
ჯიბის ქურდის, მეორესაც გრძელი, მაგ-
რამ უფრო ძლიერი და მკაცრი, ამავე
ღროს, თითქოს ასკეტურიც, მესამე —
ძალიან თეთრი, მოვლილი, ფაფუკი,
თუმცა მაინც კაცური ხელებს პატრო-
ნი იყო, მეოთხეს საზარელად ხელები
ჰქონდა, უფრო სწორად, ტორები,
უშველებელი, თითქოს ქვისგან ნაკვე-
თი თუ გაქვავებული, დეფორმირებუ-
ლი და სასტიკი... კადრში სათითაოდ
შემოვიდნენ, გალიას შემოეხვივნენ,
ძალღმა მათ დანახვაზე კუდნის ქიცინი
ატეხა, მერე აწყმუტუნდა, მოიბუზა,
რაღაცის შეეშინდა. პირველს ხელში

მაგნიტოფონი ჰქონდა, მესამეს — ჩანთა, გალიის წინ დასხდნენ, ზურგით ბუნკერის კედელს მიეყრდნენ, ჩანთიდან არყის ბოთლი და პატარა პლასტმასის ჭიქები ამოალაგეს, მაგნიტოფონი ჩართეს.

ამის შემდეგ ფილმი მუსიკის თანხლებით მიდიოდა, მუსიკაც ძლივს შეარჩია ისეთი, როგორც უნდოდა, — ერთი გრძელი, გაწელილი, განუწყვეტელი, მომბეზრებელი, მარტივი, მაგრამ თანაც ძლიერი რიტმი, აფრიკული ტამტამების მსგავსი. ფილმში ლაპარაკი საერთოდ არ იყო. პირველმა ჯიბიდან „ყაზბეგის“ კოლოფი ამოიღო, პაპიროსი გაშალა, თუთუნი გადმოყარა, რაღაც გასრისა, შეურია და თავიდან ააწყო, ძალიან სწრაფად, პროფესიონალურად, ლამაზად მუშაობდა. მესამემ ბოთლი გახსნა, ჩამოასხა, ჭიქები ასწიეს და ცარიელი დადგეს. პირველმა პაპიროსი მეოთხეს მიაწოდა, იმან ანთო, მერე გოგოს მისცა, გოგომ ცოტა ხნის შემდეგ მეორეს გადასცა, მეორემ — პირველს და თითქმის ბოლომდე მოწეული პაპიროსი პირველმა მესამეს გადააწოდა. კიდევ შეავსო მესამემ, ჭიქები აიწია და ცარიელი დაბრუნდა კადრში. მეორე პაპიროსიც მოწიეს ზუსტად ისეთივე თანამიმდევრობით. კიდევ დაასხეს და დალიეს. ეს ყველაფერი უღრესად მსხვილი პლანით გადაიღო, ეკრანზე ხელები ჩანდა, რომლებიც თითქმის ერთი და იმავე მოძრაობებს აკეთებდნენ, იღებდნენ ჭიქას, გადასცემდნენ პაპიროსს, მაგრამ თითოეული ამას თავისებურად, განსხვავებულად აკეთებდა. დაამონტაჟა მოკლე მოკლე კადრებად, სწრაფად, მუსიკის ტემპში, რომ რაც შეიძლება დინამიკურად გამოსულიყო, — ჩანაფიქრით, ერთფეროვანი, გამომავშტერებელი, დამღლელი მუსიკის ფონზე მრავალჯერად განმეორებულ მონოტონურ მოძრაობებს რაღაც განსაკუთრებული ეფექტი უნდა შეექმნა, მაგრამ სანა-

ხაობა მაინც მოსაწყენი გამოდგა თითქმის. უშველა მონტაჟმა საქმეს არა, ბოლომდე ვერ გაარკვია... თანდათანობით მოძრაობები შეუწეულდა, ზანტი და მოშვებული გაუხდა, მუსიკაც უფრო ხმადამლა ისმოდა, ყრულ ხელები ნაპირზე ამოყრილ თევზებს დაემსგავსნენ, ხან ერთი შეტოკდებოდა უცნაურად, ხან მეორე. მერე მეოთხეს ტორმა გოგოს ხელი დაიჭირა, მოუჭირა, ისე, რომ თითები გაუთეთრა, ჩამალა უზარმაზარ მუშტში, თითქმის ეფერებოდა და თან სტეკნდა, მაგრამ გოგო არ უძალიანდებოდა, ეფერებოდა ჯერ ნელა, შემდეგ უფრო სწრაფად და მძლავრად, გაშმაგებით, მხეცურად, თითქმის უნდოდა დაეგლიჯა, დაეფლითა, გაესრისა, თითქმის უნდოდა გოგოს ხელში შეედწია და საკუთარი სხეულის ნაწილად ექცია, ისე მოუჭირა, კინაღამ მტევანი მოსტეხა და უცებ მოეშვა, უღონოდ მოწყდა. გოგომ გავარვარებული ხელი ამოატრიალა და თითები ძალიან ნელა გაასავსავა. პირველის ხელს მესამე ხელი ეჭირა და ზელდა, როგორც ხორცის ფარშს ზელენ ხოლმე; მეორეს ხელი მუშტად ჰქონდა შეკრული.

ეს კადრები ერთმანეთში არეული იყო, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ; გოგო-მეოთხე, მუშტი, პირველი-მესამე, გოგო-მეოთხე, მუშტი, გოგო-მეოთხე, მუშტი, პირველი-მესამე, გოგო-მეოთხე, მუშტი, მეოთხე, მუშტი, გოგო... მეოთხე წამოდგა და გალიასთან მივიდა, კამერა უკან გაჰყვა, კადრში გამოჩნდა ძაღლი და უცებ ძაღლს თვალზე ფურთხი დაეცა, ძაღლი დაფრთხა, გალიის კარს ეცა, კიდევ ერთხელ დაეცა ფურთხი, ძაღლი აწკმუტუნდა და კატასავით დაიკნავლა. ეკრანზე მეორეს ხელი გამოჩნდა, ნელა და გაუბედავად გოგოს ხელისკენ ვახოხდა გუდრონზე, გაჩერდა, გოგოს ხელი მის შესახვედრად დაიძრა, მაგრამ მერე უკან დაიხია. მეოთხე გალიასთან იდგა. მესამეს ხელი პირვე-

ლის ხელში ესვენა. მეორეს ხელი გას-
რიალდა და გოგოს ხელს გადაემხო,
თითებში ჩაეხლართა. მეოთხე უცებ
მოტრიალდა, წარმოუდგენლად დიდი
ნაბიჯი გააკეთა და მეორეს ორმოცდა-
რვა ნომერი ფეხი სთხლიშა მუცელში.
მეორე გადაქანდა, გაკირვებით ადგა,
მოულოდნელად ჯიბიდან კოვზი ამო-
ცურა და მოუქნია, მაგრამ მეოთხემ
დაასწრო, ერთი ხელით ფარვა აიღო,
მეორეთი კოვზიანი ხელი დაუჭირა,
კოვზი გააგდებინა და კიდეც ერთხელ
დაარტყა მუცელში ფეხი მთელი ძა-
ლით. მესამე და პირველი ისევ ისე ის-
ხდნენ გვერდიგვერდ. გოგოც გაუნძრე-
ვლად იჯდა. მეოთხემ ტომარასავით
მათრია მეორე მოაჯირთან და ძირს
გადაავლო, კამერა თითქოს გადაჰყვა
მეორეს, კადრში გაიელვა დატრიალე-
ბულმა მიწამ, ცამ, სახლებმა. მეორე
ნელ-ნელა დაპატარავდა და მიწას და-
ებლუყვა. გოგო წამოხტა და მოაჯირ-
თან მიიბრინა. მეოთხემ ჯიბიდან რეზი-
ნის ხელთათმანები ამოიღო და ჩაიცვა.
მესამე და პირველი ისევ ისე ისხდნენ
გვერდიგვერდ. მეორეს გვამი ცოტა
ხანი გაუნძრევლად ეგდო, მერე წამოდ-
გა და ჩვეულებრივი ნაბიჯით წავიდა.

მეოთხე და გოგო დაუბრუნდნენ თა-
ვის ალაგს, დასხდნენ, გოგომ არაყი
დაუსხა, მეოთხემ დალია. კადრში მე-
ორე შემოვიდა, ახალი ბოთლი მოიტა-
ნა. მესამემ არაყი გახსნა, ხუთივე ჭიქა
შეავსო, ყველამ დალია. უცებ სინათლე
შეიცვალა, თანდათანობით ჩამოხნელ-
და, გაწვიმდა. სასწრაფოდ წამოიშალ-
ნენ, ბოთლები და ჭიქები ჩანთაში
ჩაალაგეს, მაგნიტოფონი გამოთიშეს
და კადრიდან გავიდნენ. ფილმის ბოლო
სცენა პირველის განმეორება იყო, —
გალუმპული მონადირე ძაღლი გალია-
ში ქალაქის თავზე, სულ მარტო...
გათავდა ფილმი თუ არა, აუტანელი
ყაყანი და გნიასი ატყდა. ყველაზე უფ-
რო ერთმა შეძახილმა გააგვირვა, —
სნობიზმია, ბავშვური სნობიზმი! სნობი
ნამდვილად არ იყო, პირიქით, სნო-

ბებს მიუზიკლებივით ვერ იტანდა. ისე
ერთი რამ თავიდან ძალიან ესაზღვრებოდა,
ნანახმა დისკუსია და კამათი. გამორჩე-
ვია, მაგრამ მერე დაიბნა, ისეთი უცნა-
ური, ფანტასტიკური აზრები მოაწერეს
და თითქმის ინანა კიდეც, ეტყობა,
საერთოდ არ ღირდა არაფრის კეთება...
ჯერ სათაურზე ატყდა დიდი შეხლა-
შემოხლა, — „ნაწლავები“ ერქვა.
„ნაწლავები“ რატომ დაარქვიო? რა
უნდა ეპასუხა ასეთ კითხვაზე? დაარ-
ქვა და დაარქვა, რაღაც ხომ უნდა და-
ერქმია, ჩააცივდნენ, კი მაგრამ რატომ
„ნაწლავები“?! ასე განუმარტა, „ნაწ-
ლავები“ იმიტომ, რომ, ვთქვათ, არა
„ჩელიუსკინელების ეპოპეა“, ან კიდეც,
„ვუდსტოკის ფესტივალი“, ან ნების-
მიერი სხვა სახელი, სულერთია. ამგ-
ვარმა ლოგიკამ ვერავინ დააკმაყოფი-
ლა, ვიღაცა სიტყვით გამოვიდა და წაუ-
კითხა სამსაათიანი ლექცია, რომ, თურმე,
აბსურდი, როგორც ხელოვნების მიმდი-
ნარეობა, უკვე დიდი ხანია მოძველდა,
მოდიდან გადავარდა და დღეს ასეთი
ფილმის გადაღება, გადაღების გან-
მეორება და გადამღერება, ხოლო მა-
ყურებლის ეპატორების მცდელობა კი
აშკარად მეტყველებს რეჟისორის უსუ-
სურობაზე, რეჟისორის იმედზე, რომ
იაფფასიანი ეფექტებით გააღწევს
ფონს და საერთოდ, — ფილმით რა-
იმეს თქმა თუ გინდოდაო? რისი თქმაც
უნდოდა, ფილმით თქვა და როცა კა-
ტეგორიული ტონით მოსთხოვეს კო-
მენტარები, გაიბუტა, მაგრამ როცა
ჰკუთის სწავლება დაუწყეს, გაბრაზდა
და გაცოფდა, ძლივს შეიკავა თავი, ძა-
ლიან მოუნდა ორატორი ტომარასავით
მიეთრია ფანჯარასთან... ის ვიღაც კი
დინჯად, მენტორის ტონით განაგრძობ-
და, — თუ ფილმი ეგრეთ წოდებული
„შავი იუმორია“, მაშინ, „შავი იუმორი“
უნდა იყოს, თუ სერიოზული, — სერი-
ოზული ბოლომდე, ფარსია, გროტესკი
თუ ღრამა? თავისთავადაც ყველაფერი
ტყუილია, არარეალური, გაზვიადებუ-
ლი და გამოგონილი, სახურავზე არა-

ვინ ჰქვია არვის სასმელად, მერე, ხე-
ლები, -- საზიზღარი, ამაზრზენი შთა-
ბეჭდილება იქმნება, რას უშვებთან
ერთმანეთს? ეს რა, საღიზმია? სექსი?
უხამსი და გულისამრევი სანახაობა!
რალა დროს ნატურალიზმია?! დაფურ-
თხებული ძაღლის კადრი ხომ... ასეთი
ვულგარული და უგემოვნო ჩვენში ჯერ
არაფერი ყოფილა. თუ ფილმი პრობ-
ლემის დასმავა, ყალბი პრობლემა,
თითიდან გამოწოვილი, ყველაფერი
ტყურლია და საერთოდ!!!!...

...გამოერკვა, თვალეზი გაახილა, მაგ-
რამ უცებ ვერ გაიხსენა, ვინ იყო და
სად, გაბრუებულს თავი უბჟუოდა, ეტ-
ყოზა ჩასთვლიმა. სავარძელში ეგდო,
ოთახი სინათლით იყო გატენილი, „დი-
აფრაგმა დასახური“, გაიფიქრა უნე-
ბურად. კედელზე თეთრი კვადრატი და-

ინახა, კვადრატი მოძრაობდა, ძალიან
სწრაფად გადაინაცვლებდა მარჯვნივ,
მერე ისევ ძველ ადგილას გაჩნდებოდა,
ისევ გადაინაცვლებდა, გაჩნდებოდა
და ასე მონოტონურად. კიდევ მთვრა-
ლი იყო. თვალეზი აუჭრელდა, გაჭირ-
ვებით მოაშორა მზერა კედელს, მაგი-
და დაინახა, დახუნძლული ცარიელი
ბოთლებით, ნახევრად სავსე ჭიქებით,
დათხვრილი თეფშებით და ფილტრამ-
დე ჩაყვანილი ნამწვავებით, კადრი არ
ესიამოვნა, შეაფასა, — „ღრეობის ნა-
ტურმორტი, კომპოზიცია გადამლაშე-
ბულია. მერე კუთხეში მიგდებულ კი-
ნოპროექტორს მოჰკრა თვალი და გა-
ახსენდა, — საკუთარ სახლში იყო,
სტუმრები წასულიყვნენ, დღეს პირვე-
ლი ფილმის პრემიერა ჰქონდა...



სული უნდა გაიმეტო

თუ მილიდან საკვამურის
არ ამოდის კვამლი —
ჰგავს ბუხარი
უყვავილო ყვავილების ლარნაკს,

განვლილ გზაზე
მოარულის თუ არ რჩება კვალი—
ვერასოდეს გადაიხდი
დამბადებლის ამავს.

სული უნდა გაიმეტო,
საკუთარი სული,
ცეცხლი უნდა წაუქიდო
და კოცონში ჩაწვა,

გათოშინის გადარჩენის
თუ აჰყევი სურვილს,
კაცუნების განკაცება
თუ ინდომე კაცმა.

არვის ძალუძს
თვალდახუჭულ ვარსკვლავების
ხილვა.

მოყვითალო ვერცხლისფერის,
მომინანქრო თეთრის,
ლამის წყალთა
განუჰკრეტელ სიგლუვეზე მძინარს,
უსხივოს და უსინათლოს
რა ვარსკვლავი ეთქმის?!

გზა

გზა შვილდი და გზა ისარი —
სვეკრული და სვესვიანი,
გზა სანდო და საფიცარი,
გზა უნდო და გესლიანი.

გზა ძველი და გზა ახალი,
გზა შარა და გზა ავალა,
რაც მანახა — გზამ მანახა,
რაც არა და — გზამ დამალა.

გზა ტოილო, გზა ქამანდა,
გზა კოხი და გზა ჯავარი,
საცხოვრისი გზა დამთავრდა
და დაიწყო გზა სამარის;

გზა უხილავ ნათლით სავსე,
გზა არაფრის დამფარავი,
შესაძლოა — ყველა გზაზე
გზა დიდი და გზა მთავარი.

ერთი ლექსით

ჩემი ყოფის გამართლებად
ერთი ლექსიც კმარა,
ის ერთი რომ დამეწერა —
ვემთხვეოდი კალამს;

მუხლზე დგომით, მზეს მივცემდი
უკანასკნელ სალამს,

იმიერით მოვირჩენდი
უკუბრუნებელ ვარაზს;

არაფერი გამყვებოდა
გადაუხდელ ვალად...
თუ მოსვლაა

ერთი ლექსით
მოვიდოდი კვალად.

როგორც ძველი ასფალტიდან
ამომძვრალი ბალახი,
თვალს ავახელ, ავლერდები
და ცას მივაშტერდები,
ცად მტრედები ფრთხილუბენ
და მერწმუნეთ, ხანდახან,
ცასაც ააფრთხილუბენ
ნაცრისფერი მტრედები:

ღრუბლის ქიმზე, როგორც სახლის
სახურავის კიდეზე
დასხდებიან და ღულუნით
გაათბობენ ფთილას;
არ შეირხე, სულგამთბარო,
ცრემლს ნუ მოიმიზეზებ,
ჩამოღინდი, ფთილავ ღრუბლის,
ოღონდ ფრთხილად...

ფრთხილად...

დიალექტიკის კანონი ანუ დაპირისპირებულია ერთიანობა

ჩვენ არაფერი გვქონდა საერთო,
სულ არაფერი გვქონდა საერთო,
რომ არაფერი გვქონდა საერთო —
აი, ეს გვქონდა საერთო მხოლოდ!

და რაკი გვქონდა რაღაც საერთო,
რაკი რაღაცა გვქონდა საერთო —
ვეღარ ვავძელით უერთმანეთოდ
და ერთმანეთის იმედით ვცხოვრობთ.

ბასჭი, სიზმარო, სხვა ნახე!

ჩუმად იღება კარი და
სახლში შემოდის სიზმარი,
ჩემს სიზმარს, როგორც ყოველთვის,
ახლაც დაუხვდის მღვიძარი.

გინდა თუ არა — მნახავო,
მაინც მნახავო, იჩემებს,
მე კი მღვიძავს და არ ვაძლევ
ნებას — საშველი მიჩვენოს.

მე რა სიზმარი მიშველის,
მე რა სიზმარი დამიცავს,

როცა, ვით ნერვი შიშველი,
თვალში მიფეთქავს ხეალის ცა;

როცა შიგ სულში მეღვრება,
უუნავირო, უბელო
ქურანზე ამხედრებული,
ხეალის საავდრო ღრუბელი...

გასწი, სიზმარო, სხვა ნახე
შენი მდომი და მძებნელი,
უძილოდ სიზმარს ვინ ნახავს?
მე არ ვარ დამძინებელი!

გაყუდა ტყეში ბილიკი,
როგორც ჩემი სიყმაწვილე,
გზები, ქილიკ-ქილიკით,
სიბერისკენ მიმაცილებს.

გულუბრყვილო განცდები
დაუფარავს წლების ფარდას,
გრძნობა მაინც არ ცვდება
და გულს ნათლის სვეტი ადგას.

კვლავ ციმციმებს კანდელი,
ვარსკვლავების წვიმა მოდის,
ალისფერი ნათელით
გაილუმბა მიდამო და

როგორც ხეატში ზაფხულის
ცას აკრული თეთრი ფთილა,
დაბლა მრჩება მამული
და დასისხლულ ცაში ვფრინავ.

ახალს რა დააძველებს —
არ ძველდება ძველი წყენა,
თითქოს გამომაძევებს
ციდან, ისე მელვიძება.

და უფალს 'ვევედრები:
— ღმერთო, თმენის მომეც ძალა...
ალბათ, გზა-გზა ვბერდები,
რაკი სევდა მომეძალა.



მ

მოდო წავიდეთ,
უგზო-უკვლოდ გადავიკარგოთ.
და ვიდრე ყველა ჭორი
გაცვდება,

ვიდრე სიზმრები
ფეხს აიდგამენ
ერთმანეთი გადავიჩინოთ.

მ

ნანგრევებზე ჩიტი ზის,
სიყვარულზე გალობს.
მეკითხები:
„ვით იზ ით?“

და ბავშვივით ხარობ.
ეს ჩემი მამულია,
სალმობაა ჩემო,
ინგლისელო ქალო!

ნუ მაჩქარებო
ჩურჩულებს ქალი
ველი მის გულში ცეცხლის ანთებას
ნუ მაჩქარებო
არ აპირებს სტევენას მერცხალს.

და გაზაფხულსაც
აგვიანდება,
ნუ მაჩქარებო
მეტყვის სიკვდილი?
მოვა და გულში ჩამილამდება.

გისხენებ წარსულს,
გაზაფხულებს
სახელებს ვარქმევ,
ამ მოვარის ხილვა
ალარ სურს სარკმელს,

ჩარაზულს
უკვე დიდი ხნის წინათ.
გაზაფხულებით ივსება ბინა,
ქალწულებს დალილ სიზმრებში
სძინავთ.

ღრუბელს მისდევს
ღრუბელი,
ბრმას მისდევენ
ბრმები.
ნეტა საით მიდიან?
ესვამ და

მაინც ვერ ვთვრები.
გულზე მაზის წურბელი,
ჩუმად მოგვკვდი
წუხელი,
შენ კი
არც გაგიგია.

ღარიბი, ღარიბის შვილი,
ფერხორციანი ქალი,
ადვილად საცდუნებელი,
მერე ქვეყნისთვის მკვდარი.

ნუ იზამ, ბიჭო, ნუ იზამ,
გაფიცებ პაპის ნათელს.

ჩოტივით ხეზე შემოსვი,
ქვაზე პურივით დადე.

მოვა სიმაღლით ამაყი,
მოვა ღმერთების სწორი.
შეემატება ქვეყანას,
დედა, დაი და ცოლი.

გული და ფიქრი
ისევ იქ არის,

ვიხილე კვირტის გამოტანსას.
მას მხოლოდ კაბა ემოსა ქალის.
და სახელი ერქვა ქალისა.

მიცვალეზულის დანახვისას
ტანში მზარავდა,
მერე ძილში ვხედავდი კუბოს,
დამჟვნარ ყვავილებს,
შაოსან ქალებს,

მშკლარტე სურნელით გაჟღენთილ
ქუჩას.
სულ პირველად როცა მითხრეს
შენც მოკვდებო,
მოკვდა ბავშვობა.

ჯანდაბას,
ვირჩევ კატორღელის წამებას
მონურს,
უდაბნოს ხვატში
გამომშრალ რუს.
ღმერთო,

სადაც და
როგორც გინდა
ისე მომკალი,
ოღონდ
ამ ქალის ღიმილში
ნუ.



გოდერძი ქეიშვილის დაბადების 50 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს მწერალს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

სიკვდილი მკეში

ამოთხრობა

ჩაწვა მოხუცი, ჩაწვა და. ზოგჯერ იმედი აღარც კი ჰქონდა, თუ ოდენმე შეძლებდა გაქ-
ლას... ქვემო კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებამ. უანასკნელი ხუთი წლის მანძილზე
თანდათან რომ გაუმწვავდა, დატანჯა და საბოლოოდ დაახეობრა კიდევ. ნამდვილი ხეივანი
იყო, ფეხებიანი ხეივანი, როგორც თვითონ გაივლიდა გულში და ამ დროს ყოველთვის
გაღიზიანებულს, ოფლი დასახმდა შუბლსა და ცხვირზე, ბოლმანად გაღივებდა, — ჩემ-
თვის მოიცალა ამ წყურულმა, ჭერ არ გამოგონია, ვინმე ასე დაესაყარებინაო. ვერა და ვერა
შერიგებოდა თავის ზედრს ეს მკვირცხლი, მოძრავი, მუდამ საქმიანი კაცი. ფეხების ტკი-
ვილს უძლებდა და გაუძლებდა კიდევ, მაგრამ უფრო ის ამწარებდა, ბოლო ხანებში დამბლა-
დაცემულივით რომ აღარ ემორჩილებოდნენ და ქეჩაზე მჭადარი ჩოჩივით, სრიალით მიმო-
დიოდა ხოლმე საწოლიდან ტულეტამდე. და პირიქით, რამეთუ ღამის ქოთანი დასანახადაც
კი ეწარებოდა ბავშვობიდანვე გულაზიზს. ისიც იყო, რომ არ უნდოდა თავი მძიმე მდგომა-
რეობაში მყოფ ავადმყოფად წარმოედგინა. ფეხები, ფეხები უჭირებდა საქმეს, სხვა მხრივ
კი, კაცმა რომ თქვას, არა უშავდა რა, სიგარეტს თავი დაანება. აღარ სვამდა (თუმცე ბა-
ხუსის თავგამოდებული ტრფილი არასოდეს ყოფილა და ჭანჭე იყო, გული აღარ აწუხებდა,
გონება სალად უმუშავებდა. თავად ეძახდა თავის თავს დამცინავად მოხუცს, ავადმყოფობით
გამწარებული კიტი ლომხარი (გვარი შემოკლებული ჰქონდა „ა“ ხმოვნის ხარჯზე, საბუთებშია-
ც ასევე შემოკლებით ეწერა), თორემ არც ისე ასაკოვანი იყო, სამცხეში სამი გასაფხუ-
ლი ჭერ კიდევ წინ ედო და წლებთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდადაც კი გამოიყურე-
ბოდა, თმასა და წვერში ერთი ღერი ჰქონდაც არ ერიო.

ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც კიტის ფეხებმა უმუხტილს და დილიდან საღამომდე შინ
მარტო იყო, რა თქმა უნდა, თუ ვინმე მნახველი არ შემოადგებდა კარს, რომელსაც სახლის
პატრონი გასაღებით მხოლოდ ღამით, დამინებისას კეტავდა. კიტის ოთახი შემოსასვლელის
პირდაპირ იყო და წარის ხმაზე, ღიაა, შემოდითო! — ხმამალა გასძახებდა ხოლმე.

ფიზიკური მარტოობა ხელოვანისთვის ხომ ლაღი ფრთებია, ასევე იყო კიტისთვისაც,
ვიდრე ფეხზე დგომა, სიარული, მავლისთან საათობით ჯდომა და წერა შეეძლო, ახლა კი
ხშირად ხმის გამცემიც ენატრებოდა. ავადმყოფობით გამოწვეული მის მარტოობას, სხვა
სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: კიტი ცოლს დიდი ხანია გაშორდა ხასია-
თისა და შეხედულებების სხვადასხვაობის გამო (ქალი გათხოვდა, კაცი მეორედ არ და-
ქორწინებულა, საყვარლებთან ურთიერთობა ამჯობინა), ერთადერთი ვფიქრობ კი, პროფე-
სიით მელორატორი, ამ სახლის მეგვიდრე, ახლა შეუღლესთან და პატარა, ბაბუის სენია
ბიქთან ერთად, ორი წლით ლიბიაში იმყოფებოდა სამუშაოდ. ასე რომ კიტის, უცოლშვილოდ
სიბერეს მიღწეული ნათესავისა და ბავშვობის მეგობრის, პროფესორ დათო ჭაიანის გარდა,
სამსახურის შემდეგ რომ აკითხავდა, მომხილავი არცაა ჰყავდა. თუმცა იყო კიდევ სხვა ალა-
მანია, — ფატი ბურჯანაძე, ერთ-ერთი გაზეთის რედაქციის თანამშრომელი, ოცდათხუთმეტი
წლის, ბაისფრად თმაშეღები, მიმზიდველი ქალი, რომელსაც ზურგი არ უჩვენებია და-
უძლურებული კიტისათვის მასთან დაახლოებული ღამაშანებებით და, როგორც კი დროს
იშოვიდა თავსაყრელ საქმეებში ჩაფლული, მის სანახად შემოიბრებდა რამდენიმე წუთით.
ამ სიტყვებს, — რამდენიმე წუთითო, — თავად ამბობდა განსაკუთრებული ხაზგასმით და
შინაგანადაც აჩქარებული ქალის როლს თამაშობდა დარწმუნებული, რომ კიტის ახლა მასთან
ძველებურად მოქცევის თავი აღარ ჰქონდა, საწოლში ვერ მიიწვევდა და არ უნდოდა მის
სახეზე ამით გამოწვეული უხერხულობა შეემჩნია.

ოთახში შემოსული ფატი მაწვნის ქილას და ტბილელს იქვე, ტუბოზე დაუდებდა,
აკოცებდა და საწოლზე ჩამოშდარი, რამდენიმე წუთს ემალაობოდა. მერე ოთახებს, კოლს
საჩქაროდ გამოგვიდა, ავეჯს მშრალი ჩვრით მტვერს მოაშორებდა, ნახმარ ჭამ-ჭურჭელს
დარეცხავდა და მიდიოდა დამიდებელი, კიტი გამოჩანსადღება და ცოლად შემირთავსო.

კიტი რძნობდა ფატის აჩქარების მიზეზს. რაღა თქმა უნდა, არც მისი ვნებით მოცდომიერ, თითქოს მოშვებული თვალები გამორჩენია მხედველობიდან და კოცნის დროს, ანკლავში საქმინად მოფუსფუსეს რომ ხელადა, მასთან ახლო ყოფნის სურვილი მაშინვე წამოაყდრებოდა, მაგრამ ფიზიკურად საამისო არაფერი ეტუზობოდა და თავს ყოველთვის შორს იჭერდა. „ორმოცდაჩვიდმეტისა ვარ, ორმოცდაშვიდის ხომ არა, — ფიქრობდა ხოლმე, — ჩარლი ჩაპლინი ჩემზე მხოლოდ სამი წლით უმცროსი იყო, მეოთხედ რომ დაქორწინდა და ზუთი შვილი გააჩინა. მე რა ღმერთი მიწყრება, ასე როგორ გავბიძგდები, ნუთუ დამთავრდა ყველაფერი?..“

ფატის მოსწონდა კიტი, ეს განათლებული, საინტერესო მოსაუბრე, სახელიანი პიროვნება, ასაკის მოუხედავად. ძლიერი მამაკაცი, არა ერთი სასიამოვნო წუთი რომ ჭაბუკებიდან და მომავალშიც, მასთან შეუღლების შემდეგ, მრავალ ტბილ დროებას მოელოდა.

არც კიტი იყო ამ პრომისმოყვარე ადამიანისადმი გულგრილად განწყობილი, ყოველ მხრივ კარგ ქალად მიიჩნდა. მაგრამ ახლა უძლეურობის შიშს შეეპყრო ჭაბუკი დარტანიანით ზედმეტად პატივმოყვარე და როგორც კი კარს შემოაღებდა ფატი, კვნისას იწყებდა, მხოლოდ ავადმყოფობისკენ რომ მიემართა მისი ყურადღება.

ფატი თავისი „ჭიგულით“ მოსჩივლიდა, სადარბაზოსთან დაამუხრუჭა. კიტი ასფალტზე თვლების გაწივლებით მიხვდა, ფატის მანქანა რომ იყო, ასე ცნობდა ხოლმე... ახლა მანქანიდან გამოვა და კარს მივაჭახუნებს. ჩემთან მოხვლას ყოველთვის ჩქარობს და ჭახუნით ხურავს ხოლმე კარს. ჭახს აქი ვთქვი, ის არის, სხვა ვინ იქნება, თუ ლიფტი დაკავებული არაა, უცებ ამოვა...

ფატი თავისი პროფესიის სიყვარულით და მუყაითობით გამოირჩეოდა სამსახურში მოვალეობის მოხდის ვამო მოხიარულე ბევრი მცონარა, ქარაფშუტა, მეშჩანი ქალისაგან, ოჯახური ცხოვრების პარამონიულობით კი ვერაფერს დაიტრახებოდა, უფრო სწორად, დიდი ხანია, არც ჰქონდა ოჯახი, რასაც გულისტკივლით განიცდიდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ამ მხრივ არ გაუმართლა, სხვაგან მოხვდა, სხვა მისამართზე... კიტმი მისი ნამბობიდან იცოდა, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ერთ ახალგაცნობილ აგრონომზე რომ დაქორწინდა. ქმარს მშობლიურ რაიონში წაუყვანია, სადაც თავად იყო სამუშაოდ განაწილებული და ფატისაც აღუთქვა, რედაქციაში ადგილს გიშვიო. ფატის გათხოვება უნდოდა, თუმცა პროფესიული დაობტატებითაც არანაკლებ იყო დაინტერესებული, — რაიონში პრაქტიკას შევიძენ, გავიწადებო, ფიქრობდა. მაგრამ იქ რომ ჩასულან, ყველაფერი თავდაყირა დამდგარა. აი, ჩემი კარ-მიდამო, — უთქვამს ქმარს, — მოუარე, მეც მოგვხმარები, სამსახური რად გინდაო. იუკადრისა ფატიმ, იუცხოვა, ქმრის ტყუილმა გული გაუცივა, აგრძნობინა, რომ ურჩნაღისტად მუშაობის რომანტიკული ოცნება ძველ ხუხულასავით ენგრეოდა. როგორ შეცდა, ვის გაჰყვა ცოლად, სად არის!.. ნუთუ აქ უნდა ფლანგოს თავისი ნიჭი, ამ ტალახში, წველის ძროხა, დააპუროს ქათმები, მოუაროს ბოსტანს, სოფლის დედაცაცი გახდეს? არა! არა! არა და არა! ფატი იმ დღესვე გამოიპარა თბილისში. ქმარმა ჩამოაკითხა. ფატიმ უკან დაბრუნების წინადადებაზე კვა ააგდო და თავი შეუშვია, მე, აქაური ცხოვრებისთვის ვარ გაჩენილი და არა იქაურისთვისო! ქმარმა უკან დაიხია, ოღონდ შევრიგდეთ და ისე იცხოვრე, როგორც გინდაო. ახლობლების დაძალებით, მისი ხვეწნით გულგაწყალებული ფატი შეუთრგდა ბედს, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო ამ ვირეშმაკა, სტუმრად ქცეული ეგონისტი კაცის ერთგულება (დროდადრო რომ ისევ მოითხოვდა მისგან სოფლად დისასლისობას) და ცხოვრობდა ისე, როგორც უნდოდა. მოგვიანებით კიტი ლომქარს დაუახლოვდა, ბევრად უფროსს, მაგრამ ცნობილ კრიტიკოსსა და ყველგან მიღებულ კაცს, რომლისკენაც პროფესიით მანძილობოდაც იზიდავდა. ქმარს ისე გაეყარა, შვილი არ შესძენია, და ცხოვრობდა ახლა, როგორც კიტის უნდოდა. ქალს უყვარდა იგი...

— როგორა ხარ? — ფატი კი არ შემოვიდა, შემოვარდა ოთახში, საწოლზე ჩამოუჯდა, თმაზე გადაუსვა ხელი, სახზე მიეფერა.

— გამიარა... კიდეც კარგი, გამიარა ტკივილმა, ისე მიტევდა, კინაღამ სული გავაცხე.

— ახლა სულ აღარ გტკივა?

— ისე, გასაღისად, როგორც ყოველთვის... გამიხარდა, რომ მოხვედი. რა ლამაზი ხარ დღეს!

— შიშისგან გული გადამაქანდა. უჰ! — საფრთხეს გადარჩენილივით ამოისუნთქა ფატიმ.

— საოცრად გიხდება.

— რა?

— შიში. არ ვიცოდი, თუ ასე მოგიხდებოდა.

— კარგია, ხუმრობის გუნებაზე რომ ხარ, — მშვილად თქვა ქალმა, გაინაწა. — ნეტა ვის უხდება შიში.

— არა, მართლა გიხდებოდა, — კაბის ქვეშ შეუცურა ხელი, — ქალწულს ჰგავდი, ქაშაღივით
თან პირველად დაწოლის წინ.

— რაკი წასე მოგეწონე, გამოდის, რომ სულ შიშში გინდა გავადე.

— რატომ, სხვაწაირადაც მომწონხარ, — ამბობდა და თან ეფერებოდა. — როგორ მი-
ხარია!

— რა გიხარია?

— რომ შეგეშინდა. ესე იგი, ძალიან გიყვარვარ, — თავისკენ მიიწიდა.

— წერილი მაქვს გასამზადებელი, ხვალინდელ ნომერში მიღის. აბა, ზეგამდე.

აკოცა და წავიდა.

კვირაში ზოგჯერ ნაცნობი ექიმი ნახულობდა, სინკავდა, დამამშვიდებელ აბებს და სისხ-
ლძარღვთა გამაფართოებელ საინექციო საშუალებებს უწერდა, რასაც ექთანე უკეთებდა
ხოლმე. წასვლისას ექიმი ყოველთვის ხან რჩევის ტონით, ხან საუკვედურნარევი კილოთი სა-
ავადმყოფოში, დაწოლას სთავაზობდა, იქ უკეთ მოგივლიანო, რაზედაც კიტი კატეგორიულ
უარს უცხადებდა. აქ მირჩენია, ამბობდა იგი, რით ვერ გაიგე, არ მსურს საავადმყოფოში
უმოწეოდ წოლაო. მიზანი კი ოპერაცია იყო, რისი გაკეთებაც ლენინგრადში ჰქონდა გადა-
წყვეტილი და იქაური ცნობილი პროფესორის შეტყობინებას, დღის დანიშნის თაობაზე,
მოუთმენლად ელოდა. ძალიან უნდოდა, რამაზის ლიბიიდან შვებულებით დაბრუნებამდე
მოეწწრო ოპერაციის გაკეთება, ან მოეცდებოდა, ანდა შვილს ფეხზე მდგომი დაეხვდებოდა,
ფიქრობდა, მაგრამ აგერ უკვე მაისიც იწყურებოდა, ლენინგრადიდან კი ჭრჭერობით არა-
ფერი ისმოდა და ავადმყოფობით თავმოებურებულს ზშირად დღე წელიწადად ერევენებოდა.

კიტი დღეიდანდებოდა წამოდგებოდა, ნაწოლები არ გამოიწდესო და ერთხანს სკამებზე ხე-
ლებდაურდნობილი იყო, სხეულს ასვენებდა. ერთი-ორი წუთის შემდეგ ქეჩაზე დაშვებული
მოჩირდებოდა, მისრიალებდა ფანჯარასთან, სავარძელში მოკლავდებოდა და ხან ერთ, ხან
მეორე გვერდზე მიწოლილი, გასცქეროდა ქალაქს, ხელისგულზე გაშლილივით რომ მოჩანდა
მისი, მეორემეტყ საბოლოოდ მოთავსებული კუთხის ბინიდან. ჭდომით რომ დადილობდა,
საწოლადღე მძვ ქეჩით მოჩირდებოდა, მისრიალებდებოდა და ლოგინს დაბრუნებული,
თვლმდა, ან კითხულობდა. წიგნები, სხვების დაწერილი თუ საკუთარი, ბევრი ჰქონდა. სა-
მუშაო ოთახში, სადაც იწვა კიდევ, თაროებს ორი კედელი ეკავა. ზოგჯერ ტელევიზორსაც
უყურებდა და ასე მიიწლანებოდა დღე დათოს მოსვლამდე, დათო წამლებით, პროდუქტებით
ამარაგებდა მეგობარს, გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები ამოჰქონდა საფოსტო ყუთიდან, ჭრელ-
ჭრელი ამბებისა და ანგელოტების მოყოლით ართობდა.

იშვიათად ესა თუ ის კოლეგა შემოუვლიდა კიტი კრიტიკოსი იყო, მაგრამ პოეტებსაც და
პროზაიკოსებსაც კოლეგებად თვლიდა, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, ზოგაც ტელეფონით
იგებდა მისი ჯანმრთელობის ამბავს. მოკითხვის ამ ავტომატურ საშუალებას, უფრო მეტად
სმის მოყვარული კოლეგები იყენებდნენ, — მუდამ ჭიბეცარიელი და სხვისა ხელის შემყურე
ახალგაზრდა თუ ჰალაროსანი მამაკაცები, ისინი, ვინც კიტისთან მისვლას, ვინმე ფულიანის
სათბობით ლოდინს, ვინმეზე აკიდებდნენ და „ტელევიზორები“ მუქთა ჭურ-მარილით ჩაბუ-
ბულებას რომ არჩევდნენ თავიანთი ეგოისტური ქიის დასაპურებლად. „ტელევიზორები“ ქუ-
ჩაში გამავალი მინის დიდი, ერთიანი ფანჯრების გამო შეარქვა რომელიღაც ბოქმისმცხი იმ
სასადილოს, თბილისის ძველ უბანში, სამამულო ომის გამოი გენერლის სახელობის ქუჩაზე
რომ იყო მოთავსებული. მინების იქით, როგორც ტელევიკანზე, ისე მოჩანდა ცალმხრივ მოძ-
რავი ტრანსპორტი, აქეთ-იქით მიმომავალი ხალხი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ქუჩისა
და ტროტუარის მოპირდაპირე მონაკვეთებზე ხდებოდა. „ტელევიზორები“, მხოლოდ ცხელი
კერძებით, ცივი საუზმეულოთ, ლუდით, ლიმონათით და მინერალური წყლებით ვაჭრობდა,
მაგრამ ბაზუსის უფულო თუ ხელმოკლე მოყვარულები, შედარებით მდიდრებიც, ქეიფი
რომ მოეგატყებოდათ, ჭიბეს კი უფროხილდებოდნენ, უმეტესწილად იმ სასადილოს სტუმრები
იყვნენ. მოდიოდნენ და თან მოჰქონდათ ქალღმერთი გახვეული, პალტოს ან პიჯაკის ჭიბეებში
ჩაჭურთული, მაღაზიაში ნაყიდი იაფფასიანი ღვინოები, არაყი, რაც, რა თქმა უნდა, იქაურმა
თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, მაგრამ თვალს იბრძავებდნენ ცარიელი ბოთლების ხათ-
რით.

„ტელევიზორები“ კიტიც იყო რამდენიმეჯერ ნამყოფი, ხან მარტო, ლუდის დასალევად,
ხან ნაცნობთან ერთად, ხანაც ბოქმურთი ცხოვრების მოტრფიალე კოლეგები შეებრალბო-
და და პატიუბდა მათ. დიდი ხნის წინათ, ლიტერატურათა ორწლიანი უმაღლესი კურსების
დამთავრების შემდეგ, მოსკოვიდან დაბრუნების მეორე საღამოს, სწორედ აქ უსხდნენ
სუფრას ის, თორნიკე მესხი და პროზაიკოსი კობა გამრეკელი, — უზმაურო, ჩრდილში ადგა-
ნი, ორმოცს გადაცდილებული კაცი, ყველა, ვინც იცნობდა, ნიჭიერად რომ თვლიდა, სიტყვა
კი არც პრესაში დაუწერიათ მასზე, არც მწერალთა კავშირში გამართულ თათბირებსა და

კრებებზე დასცდენია ვისმე. ამ მხრივ არც კიტი იყო გამონაკლისი, უფრო მეტიც, ერთი ადრეული ნაწარმოების გარდა, რაც უკვე აღარც ახსოვდა, არაფერი წაეკითხა მისი. ახლა კი კომპა გამრეკელის მოთხრობებს საფუძვლიანად რომ გაეცნო, შესინდისებულმა და სწავლამ მაგივრადც დარცხენილმა, აღფრთოვანებული წერილი დაწერა, მაგრამ ისე მოხდა, რომ წერილი საბოლოოდ საგაზეთო ინფორმაციად იქცა და არსად არ დაუბეჭდავს...

კიტი მუდამ გაუბოლა ამაზე სერიოზულად ფიქრს, ეშინოდა საკუთარი „მის“ წინაშე პირისპირ დგომა, უამერ, მტანჯველ კითხვებზე პასუხის გაცემა. ფეხზე მყოფი ახერხებდა გარიდებას, თავის შეფარებას, ახლა კი, ოთხ კედელს შუა გამოკეთილს, განუწყვეტლივ თავს ეხშოდნენ ეს კითხვები და ყველაფერს, რასაც იგი აკეთებდა, წიგნების კითხვა იქნებოდა ეს, ტელევიზორის ყურება, დიმიტროვის სმა ღრმად რომ დასძინებოდა, თუ სხვა რამ, უფრო მათ მოსაგერიებლად, მათ დასავიწყებლად იყო მოგონილი, ვიდრე გასართობად და ღროის გასაყვანად. ბოლო დღეებში განსაკუთრებით გაუჭირდა, აღარაფერი გამოსდიოდა. მოგონებები, თითქოს იგრძნეს უპირატესობა, — სიმართლე ჩვენს მხარესაო, — უფრო და უფრო გააქტიურდნენ, დაუნდობლად ეკეთნენ, ფუტკრებივით დაბზუოდნენ თავს, ჩველებდნენ, გელავდნენ. კიტი ლომჩარს უკვე ძალა აღარ შესწევდა მათ გასადევნად და ხელი ჩაიჭნია, დანებდა, როგორც დამანაშავე თავის ზვედრს...

— დასწყველოს ღმერთმა, ლიფტი არ მუშაობდა, — თქვა ერთ საღამოს დათო ჯაინმა, ოთახში რომ შემოვიდა სუნთქვააჩქარებული და ნირზეცვლილი. კიტი ყოველთვის დაძაბული შეჩუქრებდა ხელებში, ლენინგრადიდან მოსული დეპუტა ან წერილი. ხომ არ უჭირავსო. დღე ისე არ ჩაივლიდა, პროფესორის მოსალოდნელ პასუხზე რამდენჯერმე სიტყვა არ ჩამოეგდო. ზოგჯერ ეტვი ეპარებოდა, გამოკვლევის შედეგები, ერთი თვის წინათ რომ გაუგზავნა, ვაითუ, არ მოეწონოსო, მაგრამ უმეტესწილად მაინც იმედიანად იყო განწყობილი, — ფეხებს გარდა, სხვა არაფერი მაწუხებს და ოპერაციის გაკეთებას რაღამ უნდა შეუშალოს ხელიო. რაც დრო გადიოდა, ხელცარიელი დათოს დანახვა უფრო და უფრო აღიწანებდა და უსაფუძვლოდ ეჩიქდინებოდა, უუვიროდა კიდევ, რასაც ეს უკანასკნელი ყურადღებას არ აქცევდა, გრძნობდა მეგობრის სულიერ მდგომარეობას. ამ წუთს კი დაბნეული იყო, არ ეცოდა, პროფესორის უარყოფით წერილზე, წედან საფოსტო ყუთიდან რომ ამოიღო და ჯიბეში ედო, საიდან, როგორ დაეწყო საუბარი, როგორ ეთქვა. წერილი უსიტყვოდ რომ მიეცა, ეშინოდა, უცებ ცუდად არ გახდესო. ამჯობინა, ისევ მას დალოდებოდა.

კიტომ ახლაც იფიქრა:

— რის ლიფტი, რა ლიფტი! ნუ წუწუნებ, თუ კაცი ხარ, შენ ეს მითხარი, იქიდან არის რაში თუ არა?

მეთორმეტე სართულზე ფეხით ამოსული, ქანცაცვლილი, ჩასუქებული დათო მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და გაოფლილ, მელოტ თავზე ცხვირსახოცი გადაისვა.

— ჰო, წერილია.

— მადლობა ღმერთს! რას იწერება? — მოუთმენლად ჰკითხა კიტომ, საწოლში წამოჭდა. — ხომ წაიკითხე, როდის ჩამოდიო?

— ისაო...

— რაო?

— რა ვიცი... ორგანიზმი ანტიბიოტიკების მიმართ აღერგიულია, ოპერაცია არ შეიძლება, რისკს ვერ გავწევო.

კიტის გულს შემოეყარა, გაფითრდა.

— ხუმრობ? — ძლივს ამოხეთქა. — თქვი, რომ ხუმრობ.

— ხუმრობა რა შუაშია...

— როგორ თუ აღერგიულიაო?!

— აქ ასე წერია. აჰა, შენ თვითონ წაიკითხე, — დათომ ჯიბიდან წერილი ამოიღო, გადაიხარა, გადაწოლა.

კიტამ ყვედრებით შეხედა, თითქოს მისი ბრალი იყო ეს ამბავი, წერილი ხელიდან გამოხტაცა და სათვალე მოიკრა.

— არაა საშველი! კაცს სიმწრისგან სული მეღევა, ის კი უარს მითვლის, — ამოიგმინა კისრის. ძარღვებდაბერილმა, ბაგეკანკალებულმა.

— ნუ ნერვიულობ, დამშვიდდი.

— რა დამაშვიდებს, ოხ, მაგისი! — აღელვებული კიტი უანგარიშოდ წამოიჭრა საწოლიდან, ფეხქვეშ ჰქაა გაუცურდა, თავი ვეღარ შეიკავა და იატაკზე ისე უცებ მოადინა ზღართანი, რომ დათომ ვერც წამოადგომა მოასწრო და ვერც ხელის შეშვებდა.



— ვაიმე, დედა! — ამოიკენსა კიტიმ და გული შეუღონდა, გონება დაჟარგა. დათომ ნიშნულური აუნოსა, ცივი წყლით დაუზილა მკერდი და კისერი, მოასულიერა. მომღვეწო ღღებები კიტიმ საწოლში გაატარა. დაცემისაგან ისე დაბეჭოდა თქმ, აღგზნებული მ. ალარ შეიძლო; დათო, ეს ერთგული კაცი, ახლა უკვე ღღეში ორჯერ მოდიოდა: უცვლილ-და, უსუფთავებდა უველაფერს, ძალით აკმევდა, რაზედაც კიტი ხშირად უარს ამბობდა. უკმელობით და წოლით თანდათან ისე დასუსტდა, წამოდგომისა და გარეთ გასვლის თავი აღარ ჰქონდა.

კიდევ კარგი. ფატი რომ მივიღინებაშა! — ფიქრობდა გულმოკლული. — ამ ღღეში რომ მნახოს, გაჟიდებდა. არა, მართლა, რას იფიქრებს? რა უნდა იფიქროს ხელიდან წასული კაც-ზე. ზიზღის გრძნობა გაუჩნდება. ან შევეცოდები. ერთი თუ მეორე? ეჰ, ნეტა ამას რა მნიშვნელობა აქვს.. საბრალო დათო, როგორ შევაწუხე, როგორ დავტანჯე. ეს სამი ღღეა. აქ ათეცს დაწეს. ბავშვებით მივიღოს, აკვნის ბავშვებით, ყოველმხრივ განსაკუთრებული უურა-ღღება რომ სჭირდება... რა ღღეში ვარ, აფსუს, კიტი ლომჰარო.. დათოს მივემეტე მოსავლილად, თითქმის თავისი თავი არ ვერფოდა, მაგრამ ჩვენები ხვალ ჩამოვლენ და მისი გასაქირიც დამთავრდება... მომიფიქრან, აბა, რა იქნება. მაგრამ... რძლის წინაშე ასე გაბითუ-რებული ყოფნა არ გინდა?..

— დათო. — უთხრა დილით, ვიდრე მეგობარი სამსახურში წავიდოდა. — თუ ძმა ხარ, გამოიკეთე მორფი. ისევ დამეწყო ტყვილეები, მოკვდი კაცი! წუხელ რომ გამოიკეთე. ცოტა უფით მერძან... მივეჩვიე? კარგი ერთი, უმწველი ხომ არა ვარ, რომ მივეჩვიო... ისევ ორი ამბუ-ლა გამოიკეთე, რა! სამი ჯობია! ჰო, სამი!.. ამ ერთხელაც არა უშავს, ამ ერთხელაც... მეტად აღარ გავიკეთებ... ნუ გეშინია, ეს არც ჩემი დანაშაულია და არც შენი. დანაშაული ისაა. ვისაც არაფერი სტყავა და მაინც უკეთებენ, ან თავად ირქობს ნემსს!.. ჰე, ნუ აუოვნებ. ჰქენი სიკეთე... მაღლიანი ხელი გქონია, წუხელ არც კი გამოიგია ისე გამოიკეთე. უველას კი არ შეუძლია უმტყვენელად გაკეთება, თუნდაც იმ ექთანს, ნოშას და დეპოლბატუნის რომ მიშპაულებს. მიდი, დათო, მიდი... ოო, ასე... კარგი კაცი ხარ... მკლავი გამოვწვიო? აჰა!.. მორჩი! აი, ხომ ვიბოხარი, მაღლიანი ხელი გაქვს-მეთქი... სადაცაა გამოვლის ტყვილი... ახლა კი ტანსაცმელი გამომიდე, როგორ თუ რად მინდა?! ჩავიცვამ და ცოტა ხანს ფანჯარასთან დავჯდები. თვალს წყალს დავაღვივებ... არაფერს მოვიტებ, ფიქრი ნუ გექნება... საშინაო ტანსაცმელი არ მინდა, ახალი კოსტუმი გამომიდე, ერთხელ მოვასწარი ჩაცმა, მომენტარა... აგერ. აქვე სკამზე ვადაკიდო... რა თქვი?.. არა, უკვე აღარ ვგრძნობ ტკივილს, აკი ვთქვი, სადაცაა გამოვლის-მეთქი. ბარემ წვერსაც ვავიპარსავ, ისე გამეზარდა, აღმა, ნაცობას ვგა-ვარ... ელექტროსაპარსი, სარკე და ოდემოლონიც სკამზე დამილაგე... რა მშვენიერი სუნი აქვს ფრანგულ ოდეკოლონს!.. შენ არ ხმარობ, მაგრამ მისხურე ერთი, მისხურე... ჩემი ხათრით, გთხოვ... კიდევ, კიდევ, რას ერიდები!.. ა, ხომ საოცარი სურნელი აქვს? უჰ, რა კარგია ახ-ლა ფრანგული ფილმები, ფრანგული ლიტერატურა ნახე... ბალზაჟი, სტენდალი, მოპასანი, ბოდლერი, ხომ დიდებულია?... კამიუ... საწყალი კამიუ, მანქანით ხეს შეასვდა... ჰე, ჰე, კაც-მა რომ თქვას. ისაა საწყალი თუ მე? ჰე, რა თქმა უნდა, მე, ეს უპრინციპო ლიტერატორი, ერთს რომ ვფიქრობდი და მეორეს ვამბობდი, ვკეთებდი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის... ამას თანდათან ისე შევეჩვიე, სხვა გზას ვეღარც ვხედავდი. თუმცა არც მთლად ასე იყო, მაგრამ საჭირო ხალხისადმი ჩემი მამუბლური მიდგომა მხოლოდ ამ გზით სავალად წამართავდა... უველაფერი კი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო. მოსკოვი აქ არა-ფერ შუაშა, ჩემი მეტამორფოზა იმ პერიოდს დაემთხვა-მეთქი, ამის თქმა მინდოდა. რა იმედები მქონდა, რა მიზნები! მსურდა ჩვენი ლიტერატურის საშუალო თუ ახალგაზრდა თა-ობის წარმომადგენლებს მხარში ამოვდგომოდი, დავხმარებოდი ნაკლებ მითითებებით, კარ-გის მოწონებით... ზღაპარიყო, ზღაპარიყო, უკვე ბუღელ დადიანები თამაშობენო, ასევეა ლიტე-რატურა თქვა, ნაღვლივ ფეხბურთს ძლიერი ხასიათის ადამიანები თამაშობენო, ასევეა ლიტე-რატურაშიც... კობა გამრეკელს რომ არ შევხვედროდი, ვინ იცის, შეიძლება სხვანაირად წარმართულიყო ჩემი ცხოვრება, მოღვაწეობა. ბატონმა თორნიკემ, უფროსმა კოლეგამ და ნეგობარმა გამაცნო იგი მოსკოვიდან დაბრუნების მეორე საღამოს, გამაზრზე სეირნობისას. შენც ხომ გახსოვს ბატონი თორნიკე, საუვარელი კაცი იყო, ღმერთმა აცხოვნოს... მე და ბა-ტონ თორნიკეს ისედაც გვინდოდა, ჩვენი შესხვედრა რესტორანში თითო ჰქიტი ადგენიშნა, მაგრამ კობა და რამდენიმე მოვრალი კოლეგა რომ შემოგვემატა, „ტელევიზორებისკენ“ გავუქცეო. არა, მაშინ ასე არ ეძახდნენ, მოგვიანებით მონათლეს „ტელევიზორებად...“ მოვრალები მალე შემოგვეცალნენ და სუფრას სამნი შემოვჩიხით: ბატონი თორნიკე, მე და კობა გამრეკელი. სიმართლე გითხრა, არ მომეწონა ეს წითური, ცისფერთვალა, ცხვირა კაცი, ზემოთმჩრდილი აქცენით რომ დააპარკობდა, ერთთავად ზუმრობდა, რასაც ჩვენი სერობის

დასაწყისში შიგადაშიგ დაჭრავდა დამცინავი, გამჭირდავი კილო, რამდენიმე კიბის დაღუპვის შემდეგ კი თანდათან გათამამდა... ამ გვარის მწერალი პირველად გესმის?.. ზო, არ ენათქვამა ცნობილი, სადღაც სოფელში ცხოვრობს თავისთვის, უცოდველიოდ, მარტო, მეურნეობას ეწევა, არ ერევა ჩვენს უვლელდღიურ ორომბრიალში, თბილისში ათასში ერთხელ ჩამოდის; ცოტას წერს, იშვიათად აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებს კი ბეჭდავს, თუმცა ოთხიოდე მომცროს კრებული აქვს გამოცემული, ისიც უმნიშვნელო ტირაჟით და, ალბათ, ამიტომაც არ ჩავივარდა ხელში... ჰოდა, მის ვამბობდი: დაზანდარდაც კი მომეჩვენა ის იმ საღამოს, ამა თუ იმ ნაცნობი მწერლის შემოქმედებას რიცხვებით რომ აუხატებდა, ოცდაერთამდე, ბანქოს ფარგლებში, რაზედაც ბატონი თორნიკე გულიანად ხარხარებდა. ბევრის მიმართ კობა სიმატელს ამბობდა, ბევრისადმი კი, ჩემი აზრით, სცოდავდა, რაც მის უკმაყოფილებას დავაბრალე, არ უბეჭდავენ და დაბოლმდობა-მეთქი. მაქსიმუმი, რაც მან გაიმეტა, ცხრა-მეტი ჭულა იყო. „ეს კაცი, ალბათ, ეგოცენტრიკოსია“. გავფიქრე და დავაპირე დამცინავი კილოთივე მეგახებინა მისთვის, ოცდაერთს, ან უფრო მეტს (რის იქითაც, როგორც თქვა, დიდი მწერლების, გენიოსების საშფოთბელო იწყებოდა), რა თქმა უნდა, თავად მიიკეთებინათ მეთქი. მაგრამ ბატონმა თორნიკემ ახალი სადღეგრძელო თქვა და ვამხუტა, ცოტა არ იყოს, დაძაბული მდგომარეობა... მეორე დღეს კობას წიგნი რომ წავიკითხე — გამოთხოვებისას თვითონ მაჩუქა — თმა უაღრესად მაშინდგა. არ მჭეროდა, ამ პროვინციელმა, ღვარძლიანმა კაცმა როგორ დაწერა ასეთი ნაწარმოებები-მეთქი. აქ იყო უველაფერი: დახვეწილი სახეები, შე-საშური მხატვრული აზროვნება, დიდი ტკივილები, სიხარული, სევდა, ბოროტება, სიკეთე... ეს იყო უველაგან განსხვავებული სამყარო. სადღაც, ზემოთ მდგომი, შეიძლება ითქვას, მისტიკურიც. ისტორიული, ბიბლიური და ახალი აღთქმისეული სიუჟეტები, დროის ლოკალის გარეშე, ერთმანეთში ჰქონდა შერეული. ამის და იმის გამოც, რომ რთული, გრძელი წინა-დადებებით წერდა, ძნელად წასაკითხი და აღსაქმელი იყო. არიან ამ კატეგორიის სახელ-განთქმული მწერლები, ვთქვათ, ჭოხის, ფოლენერის, რომელთა სიდიდესაც სირთულის გამო ვერ უარყოფ. კობა გამრეკელს მათ კი არ ვუტოვებ, ეს შედარება იმიტომ მოვიტანე, რომ წარმოდგენა გქონდეს მის მწერლურ დიაპაზონსა და თავისებურებაზე. გაგაცნო? კი ბატონო, როდესმე გაგაცნობ, მისი წიგნი კი სადღაც აქა მაქვს, მერე მონახე და წაიკითხე... რაღა გავაგრძელო, ავდექი და კარგა მოზრდილი წერილი დავწერე, განვიხილე უველა მისი მოთხრობა... ბოლო აბზაცში იცი, რა ვუწოდე? მოვლენა, ნამდვილი ტალანტი... ჩემი აღფრთოვანება ნაადრევია გამოდგა. მივხვდი, ამ წერილის გამოქვეყნება იგივე მდგომარეობას მომიტანდა რაც მას ჰქონდა, — მარტოობა. უუურადღებობა, არაფრად ჩადება. იმასაც მივხვდი, რომ იგი სძულდათ კიდევ... უოველი ნიჭიერი კაცი საზოგადოების სიმაჟუფა, მაგრამ აღიზიანებს კიდევ მას, თუკი მის კანონებს არ ემორჩილება, უფრო სწორად, მის ინტერესებს არ გამოხატავს და თავის შემოქმედებას, თუმცა არავის და არაფრის საწინააღმდეგოდ, მაგრამ სხვა უაღბლო აქცევს. ასეთი მწერლის მაქებარი, რაც თვით მწერალმა მოიმკო, იმასვე მოიმკის. ამასაც და იმასაც ვიწრო წრე ეყოლება მომხრედ, საზოგადოების პათვისცემა და სიუჟარული კი უცხო ხილი გახდება მათთვის. ასეთი რამ მე ხელს არ მაძლევდა, ეს ერთი, მეორე კი — ჩემზე სახელთან კრიტიკოსები სდუმდნენ კობა გამრეკელზე და მე რა წითელი კოჭი ვაყავი, თავი რომ გამომედო... ასე იყო, ასე ვფიქრობდი მაშინ, ამდენ შრომას წყალში ხომ არ ჩავრბი-მეთქი, ორ თვეზე მეტი მოვლენი მუშაობას და ვჩენე, ვამოკლე წერილი, საბოლოოდ კი რამდენიმე აბზაცზე დავიყვანე, რაც გულმოსულმა ერთ დღეს ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე... ასე დაიკარგა ერთი ძალზე ნიჭიერი კაცი ჩვენი მწერლობისათვის, ასე დარჩა დღესაც ჩრდილში, უუურადღებოდ, უპატრონოდ... უპატრონობაა ეს, აბა, სხვა რა უნდა დაარქვას?... ამირან გულში მდებოდა, მთებო, თქვენც გაიკონეთო, ისე მოგვივიდა მეც და და სხვებსაც. უველამ დავიფიქრე ცნობილი კოლეგის სტრიქონები, — Талантам надо помогать, бездарности прощаются сами. ვინმეს რომ ეთქვა, ერჩია, მწერალთა თავყრილობაზე იქნებოდა ეს, თუ არესაში, — ასე კი არა, ისეა საჭირო, დღევანდელითა გარეშე ფონს ვერ გახვალ, თანამედროვე მწერალი, პირველ რიგში დროს უნდა ეხმარებოდეს. როგორც ჩეხოვი და ჰემინგუეი, ჩვენი ცხოვრება დიდი მწერლობის ამოუწურავი თემააო, ვინ იცის იქნებ უურად ელო... ეს კობა გამრეკელზე, რაც შემეხება მე, იმ დღიდან უმტკივნეულო ცხოვრების ზნა ავირჩიე, უმტკივნეულოდ, თავის შეუწუხებლად... ეს ნაკლი ჩემი თავისთვის ვერ მიპატებია ახლა, მაშინ კი გაუცნობიერებელი მქონდა, ვერ ვგრძნობდი, რაღ-გან ნაკლებად ვაკვირდებოდი საკუთარ ხასიათს ახალგაზრდობით გაღაღღებული და ფრთაშესხული... იმ წერილით ხელი მომეტარა, მაგრამ გამოსავლის სოვნა არ გამჭირვებია: გამოჩენილ მწერლებზე, გამოცემულობის ღირებულებებზე, მთავარ რედაქტორებზე, სხვებსა და სხვებზე დავიწყე წერა და, როგორც იცი, მალე მოვიპოვე აღიარება, ვიშოვე კარგი სამსახური, მივიღე ბინა, — ერთი, მეორე, გამოვიყვანე მანქანა, გამოვიტანე ავეჯი... ტელევიზორში მე


მიწვევენ და რადიოში, ყოველ წელიწადს ვცემ წიგნებს, თითქოს ყველაფერი მაქვს, მაგრამ არ არის ის, რაც მე მინდოდა... ერთმა ფრანგმა პოეტმა, ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით კი ასე თქვა: ვინც ითქვიფება ყოველდღიურობაში, მასზე ადრე აღესრულება, თუ გაუფრუდდებაო... არავითარი სანტიმენტალიზმი, არავითარი აღსარება!.. უბრალოდ, მაწუხებს და ვამბობ, ვიღაცას ხომ უნდა გაეუწიარო გულსნადები ტკივილი, შენვე ახლობელი კი ვინ შეავს... ზოგჯერ ისე მეჩვენება, ამის გამო ვარ ახლა ასე დასჯილი, ჩემი მამებლური ხასიათის, უპრინციპობის გამო... კამიუს კი რა სჭირს შესაბამილებელი, კაცურად იცხოვრა და „უცხო“ დაწერა, ბრწყინვალე მოთხრობა, თუმც აბსურდული... უპ, როგორ მსიამოვნებს ან ოდეკლონის სუნი, თავი ყვავილების ბაღში მგონია, ხის ქვეშ, მწვანე ბალახზე მწოლია- რე... ფრანგ ქალებზე რას იტყვი, კინოვარსკვლავებზე?... აჰ, შენ გეჩქარება, სამსახურში გაგვიანდება, მე კი გაგიბი... შუადღისას მოხვალ? კეთილი. ჰო, მართლა, ფუნთუშების ყიდვა არ დაგავიწყდეს, გამითავდა. მხოლოდ ქიშმიშიანი, ხომ იცი, როგორ მიყვარს ქიშმიშიანი ფუნთუშა. აბა, დროებით, დიდი მადლობა ყველაფრისათვის, აგაშენა ღმერთმა!..

ფანჯარას მზე მოადგა, კიტიმ წამით თვალები გაუსწორა ელვარე მზეს, გაუღიმა... მზეში ჩაჯარდნა რომ შეიძლებოდა, ინატრა, ყველაფერს ეს აჩოებდა. მივწვდება მზეს? მივწვდე- ბი!..

კიტი მშვენიერ გუნებაზე იყო, მზესავით მაღალი, ზეაწეული. აღარც გაორებული ფიქრი, აღარც წარსულით გამოწვეული სევდა, აღარც წუხილი, ყველაფერი გამქარაიყო. ჰქონდა მხოლოდ ერთი სურვილი, აკვიტებულ, გადაუდებელი, მზის გაგანია, დამფრფლავი სიზხტურ- ვალე ეგრძნო. აჩქარებულმა იქვე, ლოგინშივე გაიპარსა, ოდეკლონი მიისხურა და საწოლზე ჩამომგდარსა ჩაიცვა. პიჟაკის ჯიბეში მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკი მოისინჯა, შიგ- ედო. უიმისოდ არსად არ მიდიოდა, შინაგან უკმარისობას, მუდამ თან რომ სდევდა, ეს წიგ- ნაკი უჯსებდა, თვითდაქერებას მატებდა, მაგიდასთან სკამზე გადაქდა, ცარმელი ფურცელი წინ დაიდო. და დაწერა: ყველას! მე მივდივარ მზეში. ბედნიერად იყავით! კიტი ლომაჯარი.

ქაღალდი არ დაუკეცავს, კალამი ზედ დადო. ოთახში მიმოიხედა შორეულ გზაზე მიმავა- ლი კაცივით, შერჩეულ გარემოს დიდი ხნით რომ სცილდება. აღარ დაუყოვნებია, უცებ ად- გა. სკამების დახმარებით — ხან ერთს ეყრდნობოდა ხელით, ხან მეორეს — ჩაკეტილ ფან- ქარასთან მივიდა, (დათმ მხოლოდ სარკმელი დატოვა ღია) ორივე მხარე გამოაღო, კუთბე- ებში სამაგრები ჩაუდო, საღამომდე ვინდო ქარი ამოვარდეს და ჩაიმტკრევია, საღამოს ხომ რამაში ჩამოვიდოდა ცოლ-შვილთან ერთად და გატეხილი რატომ უნდა დახვედროდა, რაფაზე აფოჩიხდა, წელში გაიმართა, გასწორდა, თავი მაღლა ასწია. მეთორმეტე სართული- დან მწვანეში ჩაფლული, ნაწვიმარი ქალაქის პანორამა იშლებოდა. კიტიმ მზერა მოარიდა, ქალაქის თავს ზემოთ სივრცეს მიაშტერდა ფერადი ჭავლებით მზისნავ სივრცეს და ხელებ- გაშლილი მზისკენ გადაეშვა.

ტანსაცმელში ჰაერი შეუძვრა, გამოუბრა და გაცილებით ნელა ეშვებოდა, ვიდრე მოე- ლოდა. უჩვეულო სილადეს გრძნობდა, ბედნიერიც იყო, რადგან ასეთი განცდა ბავშვობის შემდეგ, მუშათა პარკში პარაშუტით რომ ზტებოდა, არასოდეს ჰქონია... კვილიმა გააფუჭა ყველაფერი, სახლის შუა სართულებიდან ქალებმა შეამჩნიეს, მიწისკენ რომ მიეჭანებოდა და კივილი ატებეს. შიში ელდასავით ეცა, გამოფხიზლდა, — ახლა შეიგრძნო მთელი სიგ- რძე-სიგანით ყველაფერი რომ სამუდამოდ თავდებოდა, ქალების თავწარდამცეში კივილის გაგონებამ კი სიცოცხლე ახალგაზრდულად მოაწყურა, ხელახლა მოუნდა დაეწყო და იღრიალა, მაგრამ გვიანდა იყო: ხის ტოტებში შერჩენილ კიტი ლომაჯარს გული გაუსკდა.



მადლობა დედას,
შენთვის დგომა გამიადვილა,
მასწავლა ფრენა,
მიმაცილა ზეცის თალამდე,

დღე იწურება
და ხსოვნაში ჭიატობს დილა,
ახლა მზეს მივდექ სასოებით,
რომ არ დაღამდეს.

პატარა ზურაბს

დღე მიდის, ქარი არც მე მაჩერებს,
თვალს რული აღარ გაეკარება,
ბედნიერი ვარ შენი გაჩენით

ჩემო სიმღერავ და ნეტარება,
შენ დამიბრუნე ბავშვობა ჩემი
და გაზაფხულის აელვარება.

ლაგომაჯორე

ამ ტბის ნაპირას, პატარა ქალაქ ათონაში
განისვენებს იტალიის ეროვნული გმირი
ფორე მოსულიშვილი.

აი დაიმსხვრენენ შავი თაღები,
ალაზნის ველი სიკვდილს მაშორებს,
გადავაწითლეთ იალაღები
მე და ამ ტყევიამ
ლაგომაჯორე!
იქ ჩემი ვაზი ქარში ირწევა,

აქ ტკივილივით ვგრძნობ სიახლოვეს,
და როცა მიწა ცისკენ იწევა...
ჩემიანები აქაც სახლობენ,
რატომ არ გჯერა,
რატომ არ გჯერა,
ლაგომაჯორე!
ლაგომაჯორე!

სამომო საფლავები

აქ გვირილები
დაბლა ხრიან სევდიან თვალებს,
თეთრი არყები
ცად ილტვიან, როგორც მტრედები,
მშობლიურ ცრემლით
დაუტირალ სამომო საფლავებს
გულში იკრავენ
ტრამალები, როგორც დედები.
პირტიტველ ბიჭებს
შორი გზიდან ისევ ელიან,
ძვირფას ბარათებს
ემატებათ სიძველის ფერი,

ბუხაიძეზე
ჩვენს მხარეში ისე მღერიან,
ლამის ჩამოხსნან
ოდა-სახლებს მაღალი ჭერი.
საფლავის ქვებთან
სევდიანი მოდის დაისი,
ცა იცრემლება
ომის გზების და ბილიკების
და როგორც მკაცრი
გაფრთხილება, ისე გაისმის
მუნჯი სიმღერა
მარმარილოს ობელისკების.

ცნობა ზრონტიძას

მრისხანე 1942 წელს მოვიდა ცნობა მამა-
ჩემის დაღუპვის შესახებ.

აღარ ვიცოდი რაღა მელონა,
გამშრალი დედა ცას შეჰყოდა
და თვალებიდან, ასე მეგონა,
ცრემლი კი არა, სისხლი სდიოდა.
უსაზღვრო სევდით გახევებულნი

ერთად ვიდევით, სული გვტკიოდა,
ქალაღი ცრემლით დასველებული
ხელიდან ხელში გადადიოდა...
ღობეზე ყინჩად იჯდა მამალი
და ძველებურად ისევ ჰყოდა.

კარტოფილის კატეგორიები

ნოვებელი

ეშელონი ტატიო მიიწააზნება თურქესტანის უდაბნოს თვალუწვდენელ ბარქანებს შორის. დროდადრო მცირე ხნით შეჩერდება, მეტად კვლავ აიძვრება და მუხრუჭების ღრქიანობით, ლიანდაგის ღრქიანობაზე ბორბლების ზღაპრით განაგრძობს გზას. აქ ახლა არავითარი მოძრაობის გრაფიკი აღარ არსებობს. დონბასიდან, ყუბანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან ევაკუირებული ქარხნების მოწყობილობით, მოკლევადიანი სამხედრო სასწავლებლის პირადი შემადგენლობით, ბრძოლის წინა ხაზიდან შევსება-დასვენებისთვის გამოყვანილი სამხედრო, ნაწილებით დატვირთული წითელი სატვირთო ვაგონების გრძელი ეშელონები გადაბმულივით მისდევენ ერთმანეთს. შემადგენლობის თავსა და ბოლოს მხოლოდ გამწევი თბომავლებით თუ გააჩნევთ. აქ ყველაფერი მემანქანისა და მისი თანაშემწის გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. წინ მიმავალი შემადგენლობა თუ გაჩერდა, მისი მიმდევნოც უნდა შეჩერდეს. მატარებლებს შორის ისე მცირე მანძილია, მემანქანემ სიფხილვე თუ მოადუნა, ავარია გარდუვალია, თუმცა შედეგი სავალალო არ იქნება, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ეშელონები კახური ურბენივით წანტად მიტატობენ უდაბნოში.

იმ ეშელონში, ლეიტენანტ ქარჯი ჭილაურის N სამხედრო ნაწილის ნარჩენები შუა აზიაში რომ გადაჰყავთ შევსება-დასვენებისათვის, მხოლოდ ოფიცრები არიან. ბრძოლებში გადაარჩენილი ქარისკაცები კასპიის ზღვის გაღმა დარჩენენ კავკასიის მისადგომებთან ბრძოლებში შეთხლეებული სხვა ნაწილის შესავსებად, ოფიცრებს კი, უმცროს მეთაურთაგან, მხოლოდ ასეულების ზემდეგები და ოცეულების მეთაურთა თანაშემწეები გაატანეს — მომავალი მხვდელი საბრძოლო ერთეულის ბირთვი. ოჯახიანი მეთაურები ცალკე ვაგონში არიან, უცოლშვილონი — ცალკე. უმცროსი მეთაურებიც ასევე ათასეულების მიხედვით დაანაწილეს.

ოჯახიანი სულ ათიოდე მეთაური თუ იქნება — მათ ერთი ვაგონი უჭირავთ, მხოლოდ ცოლები ჰყავთ თან — ომის დროს ნაუცბათ-

ვად შეუღლებულ-შეწყვილებულნი. იყო მაშინ ასეთი მოარული გამოთქმა: „იმი ყველა ცოდვას ჩამოგვაწერსო“, და კადრის ზოგიერთი მეთაური, წინათ ცოლის განსაკუთრებული მზრუნველობით რომ იყო განებივრებული, პირველ შემხვედრ იოლად დასაულოებელ მანდილოსანს სთავაზობდა თავის გულს. ისინიც დაუფიქრებლად ანდობდნენ ბედს ამ არასაიმედო, მერყევ ცხოვრებისეულ დასაყრდენს. ზოგ-ზოგნი მაშინ მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობდნენ, არავინ უწყის, ხვალ რა იქნებაო. ღრმა ზურგში ევაკუირებულ ცოლ-შვილს ფულის „ატესტატს“ უგზავნიდნენ და მათ წინაშე ამით იხდიდნენ მარჩენალი ქმრის და მამის მოვალეობას. ბევრმა კი იოლად დაივიწყა მტრის მიერ ოკუპირებულ მიწაზე დარჩენილი ოჯახები — ვინ იცის, ცოცხლები იქნებიან თუ არა, ფაშისტები მეთაურთა ოჯახებს პირველ რიგში ამოუღებდნენო, ფიქრობდნენ და აქ დროს უქმდნენ არ ჰქარავდნენ — მომვლელი სჭირდებოდათ და ასეთ დროებით „საველე-სალაშქრო“ ცოლებს იოლად პოულობდნენ.

უწიერულვაშო ლეიტენანტებს — გუშინდელ ახალწვეულ ქარისკაცებს თუ კურსანტებს, — ერთი სამხედრო გარნიზონიდან მეორეში ოჯახით ხეტიალის სიტკბო-სიმწარე ჭერ რომ არ ეგემათ და თავს თვითონვე უვლიდნენ, ისე არ უჭირდათ მარტოობა, ბევრ მათგანს გოგოსთვის არც კი ეკონა, არც ტრფობას აღმოადგებლად ერბინა პაემანზე მათთან შესახვედრად. უბრალოდ, ვერ მოასწრეს — ის იყო, სკოლა ან უმაღლესი სასწავლებლის პირველი კურსი თუ დაამთავრეს, და ახლა ასე თათარიახნად დაოჯახება ვერც კი წარმოედგინათ. ისხდნენ ვაგონებში კარგამოყვები და ერთმანეთს უყვებოდნენ თავიანთ ზან-მოკლედ ცხოვრების ამბებს. ასეულის ზემდეგები დღეში ერთხელ „მშრალ ულუფას“ — თითო პილოტურა შავ ორცხობილას ჩამოურიგებდნენ და მეორე დღიამდე იცოხნებოდნენ ახალი ულუფის მოლოდინში.

ირგვლივ, ქვიშის უსიცოცხლო, გაუვითლებული ბარქანები იყო გადაქმნილი. გაზაფხუ-

დღობით, თოვლი რომ დადებოდა, აქაც მოკლედ ხნით ამწვანდებოდა ხოლმე მიდამო, მაგრამ მერე უღმობელი მზე დაუდობლად მოფხურუკავს ყოველივე ცოცხალს, ქარს გაატანს მათ სახსენებელს. ახლა გვიან შემოდგომა იდგა და, მით უმეტეს, თვალსაწიერზე ყვითელი ქვიშარის მტტი არაფერი ჩანდა. თუკი რომელიმეს „ბუნებრივი მოთხოვნილებების“ დაკმაყოფილება მოუნდებოდა, მიწაზე ჩასვლა არც სჭირდებოდა, გარგოლაქებზე მისივალე ქარს ოდნავ გასწევდა, ცალ ფეხს გარეთ გაჰყოფდა და წამში ყველაფერი მოთავებული იყო. თუმცა ამას აღარავინ აქცევდა ყურადღებას.

ქალების კი ეს ვაგონის გასწვრივ მოსრიალემ კარის ღრივოში „ფეხის გაყოფა“ არ ემხრებებოდათ და ძალზე უპირდათ. დღეები ისე გადიოდა, ერთხელაც ჰერ შეიმსუბუქებდნენ თავს. დილიდან საღამომდე მიჟურადებულ იყვნენ, ან ახლა გაჩერდება მტტი ხნით შემადგენლობა, ან ახლო, მაგრამ საშველი არ ადგებოდათ. რომც გაჩერებულიყო, ან მაშინ რა ეშველებოდათ? მე თქვენ გიტყვით და, რკინის გზის გაყოფებით ხშირი ბუჩქნარი დახვდებოდათ და იმას შეაფარებდნენ თავს. ბარქანებში ხომ არ გავიდოდნენ და უკვლახ თვალწინ ჩაცუცქდებოდნენ. იქვე, ვაგონქვეშ უნდა შემძვრალიყვნენ. ეს კი საშიში იყო — ძირული მატარებლის ბორბლებქვეშ მოყოლისა ეშინოდათ. ერთადერთი იმედი ისევ ღამის სიბნელისა ჰქონდათ, მაგრამ სწორედ მაშინ, თითქმის განგებ, ეშელონები წუთითაც არ ჩერდებოდნენ, მისდევდნენ ერთმანეთს ბაწარგაბით, გაზაფხულის წეროვებით. აბა ვინ გაბედვდა მიწაზე ჩახტომას და უკუენთ სიბნელეში ეშელონის ჩამორჩენას, ეს ხომ ნაღდი სიკვდილი იყო, მწყურვადი აღსასრული...

შორს ბარქანებში, მარტოხელა საქსაულის დაგვალული, ქაჩალი ბუჩქი გამოჩნდა. ეშელონმა სვლას უკლო, მერე მუხრუქების ღრქაილით შეჩერდა.

— მტტის მოთმენა აღარ შემიძლია, ადამიანი პირუტყვს დავმსგავსე! — ამოვიგინა პირველი ასეულის მეთაურის ლეიტენანტ მხიბლევითი მეუღლემ კაპიტალინა პლაცონოვამ და ვაგონიდან ძირს ჩახტა.

— კაპა, დაბრუნდი, ეშელონს ჩამორჩები და დავიღუპებით! — გასძახა შემფოთებულმა ქმარმა, მაგრამ ვინ უგდო ყური... ქალი ქაჩალი საქსაულის ბუჩქისაკენ მირბოდა უკან მოუხედავად. აღბათ, მართლა ძალზე გამწარებული იყო და ამან ამქვეყნიური ყველაფერი გადავიწყა. გულამოვარდნილმა მიიღინა ბუჩქთან, მოეფარა და ჩაცუცქდა. მოფარებით კი მოეფარა, მაგრამ ის ორი ღერი გამხმარი ფიჩხი უფარავდა თუ არა ნა-

მუხს, ამას აღარ დაგადიდებდათ იმდენი ფიჩხი. ბით გამწარებული ქალი.

ასეთი თვალით უნახავი და ყურით სერიი მთელი ეშელონის თვალწინ ხდებოდა და განა გასაკვირია, რომ ყველა ვაგონის კარი სწორედ იმ მხარეს გაიღო, საითაც ის ქაჩალი საქსაულის ბუჩქი ამოწვევრილიყო.

ეშელონის ბოლოდან სადაც უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ვაგონები იყო. მქაზე გამბული სტვენა გაისმა, ცხვარში მრავალ წელს ნამყოფმა მწყემსებმა რომ იციან, ისეთ მას სხვებიც აჰყვნენ, ეშელონის თავით თბომავალი ახვლდა და თავისი წვლილი შეიტანა საერთო აღიქოთში. ზოგს ორი თითი ჩადო პირში და მონდომებით უბერავდა, ზოგს — ოთხი, ზოგიც უთითებოდ ისეთი ოსტატობითა და გულმოდგინებით უსტვენდა, ირგვლივ ყურთასმენა აღარ იყო. ამდენი ერთად დაბერილი ფილტვიდან გამოვარდნილი ჰაერისაგან ისეთი კორიანტელი დადგა, იტყოდით, „კუდიანი ქარი“ ამოვარდო. ნიავმა ეშელონს გადაუქროლა, ბარქანებიდან ქარვისფერი მტკვრი წამოკრია და უდაბნოსაკენ გააქანა.

— კა-პა-ა-ა-ა, ფრ-თხი-ლად, უ-და-ბნო არ წა-ლე-კო!—როყო, მოგუდული ხმით დაიღრიალა მტყუიამფრქვევითა ასეულის ზემ. დეგმა ფედი პოგანკოვმა და ისე აროხრობდა, ვაგონმა წანხარი დაიწყო.

— ნი-ნი-ნი... ხო-ხო-ხო-ხო... ოხ-ოხ-ოხ ოხ!... — აჰყვნენ დანარჩენი შემდეგ-სერუანტებიც პოგანკოვს და მათი თავაშვებული, დაუოკებელი, როხროხი უდაბნოში გაიჭრა, ერთი ბარქანიდან მეორეს მიაწყდა, იქიდან მესამეს, მეოთხეს... მეათეს... და მთელ ამ უკიდევანო, გადაუვითებულ უსიცოცხლო სივრცეში ულაყების რემას შინაწვევით ქიხვის ან ბომბების შემწარავ გრიალს უფრო წაგავდა, ვიდრე იმ დაბომბვაგამოვლილი წითელარმიელების გულიან სიცილს.

ლეიტენანტი ჭილაური, რომელსაც თავზე მაწარაწაფარებულს, ნარზე ეძინა, ამ ღრიანცელმა გამოადვია, ნამძინარევს ეგონა, ეშელონს ფაშისტთა ბომბდამშენები დაესხნენო და უმაღ ფეხზე წამოიჭრა.

— რა ამბავია, ბიჭებო, ამ უდაბნომდეც მოაღწიეს იმ არამაღებმა?! — ჰკითხა მუდამ მოლიმარ, ხუმარა ლეიტენანტ ვასია ჟურკინს.

— არა, კაცო, აი ჩვენმა კაპამ გადაწყვიტა, მთელი ეშელონის თვალწინ უდაბნოს მოვარწყვო და ბიჭებიც ამხნევენ... ჩახუროდა ჟურკინი.

ჭილაური ვაგონის კართან მიდგა და ბარქანებს გახედა. ქალი დარცხვნილი იდგა საქსაულის გაქუცულ ბუჩქთან, ეტყობა, არ მოე-

ლოდა თანამგზავრთა ასეთ რეაქციას და აღარ იცოდა, როგორ მოეცემა.

ლეიტენანტი ვაგონიდან ძირს ჩახტა და თავისი ასეულის უმცროს მეთაურთა ვაგონსაცენ გაემართა.

— აბა გეოფათ. მორჩით ჭიხინს! ომმა სირცხვილი-ხაშუმი მთლად დაგვიწყათ? იქნებ დედები და დები არ გეოლიათ. უპატრონო პავშთა სახლებში გაიწარდეთ? — შეუტია თავის ხელქვეითებს. რომლებიც უმაღლესიუ-ჩინს, რადგან ლეიტენანტის თვალები ცეცხლს აკვებდა და სახე შავი ღრუბელივით ჰქონდა მოპირქმეული. იცოდნენ ნიხი მკვანე ხასი-ათი — გულუკეთილი იყო. მაგრამ უხამსობას არავის აპატიებდა. და ამიტომ უმაღლესი ჩაცხრა მათი აღგზნებული სიცილი-უთინა. ლეიტენანტი ჭილაური თბომავლისკენ წავიდა. არ უნდოდა თავისი თანამოსაგრის — ლეიტენანტი მხოლდვირის მუდელზე კიდევ უფრო უზრუნველ მდგომარეობაში ჩაეგღო. გაიფიქრა, გავიგებ; რამდენ ხანს გავჩერდებით. თან წოლისაგან დახუთულ მუხლებსაც გავშლიო.

შუა ზიხის რკინიგზებზე, უწყლობის გამო, ორთქლმავლების მაგივრობას თბომავლები ასრულებენ. როდესაც ეშელონის თავს მიაღწია, ჭილაურმა თბომავლის მემანქანეს კითხვა, ახე ხანგრძლივად რატომ გავჩერდითო. მაგრამ არც იმან იცოდა რაიმე გარკვეული. წინა ეშელონები დგანან და მეც გავჩერდითო, — უთხრა ჭილაურა. გარუჭულმა მემანქანემ, რომელიც სახით რუსს წაგვავდა, წავრა კანის ფერზე ეტყობოდა. დიდი ხნის წინ დაძვინდებულყო ამ უმოწყალოდ გადახრულ მონა-წყალზე და აქაურებისაგან მხოლოდ იმითღა გაარჩევდით, რომ ცისფერი თვალები ჰქონდა და კარგი რუსულით ლაპარაკობდა.

— ემანდ, მახლობლად, პატარა სადგურია, ამხანაგო ლეიტენანტო, იქვე ბაზრობაც იმართება ხოლმე. გაისიერნეთ, იქნებ ნესვის ჩირს ან ბრინჯით სავსე ტომსიკას გადააწყდეთ. წინ გრძელი გზა გაქვთ, გამოგადგებათ. ზოგჯერ კუმისიც გამოაქვთ ხოლმე, კარგი სასმელია... თუ დავიძარით სიგანას მოგვიტოვო და სადგურთან სვლას შევანელო...

ლეიტენანტმა ჭილაურმა ეშელონს გაუსწრო და მალე ლიანდაგის მოშორებით რამდენიმე ქოხმახი დანახა, მათ მახლობლად ორი გრძელი მაგადა-დახლი იდგა. შავიღებებს მზისგან დასაცავად ზემოდან ფიცრის დაფერდებული სახურავები ჰქონდათ.

ჭილაურს შიშოლისაგან ნაწლავები ეწვოდა. ის ერთი პილოტურა ორცხოვნი — მთელი დღე-ღამის უღუფა — დილას რომ მისცეს, თვალსა და ხელს შუა შემოეჭამა. აბა, თუ ცხელი კერძი ან სხვა უუთიანო შეჭამადი არ დააუოლე. რა ბოძს შეუდგამ ექვსი ახლა მზე უკვე შებისტარზე იყო გადაწვერილი და ექვსი თავისას მოითხოვდა.

მაგიდებთან ხილბანდით პირაკრული რამდენიმე ხანშიშესული თურქმენი მანდილოსანი იდგა, ოჯახის ანამეტი პროდუქტები გამარჯვებით გასაყიდად. ორიოდ შაური ოჯახში არასოდეს არის ზედმეტი და ახლა მით უმეტეს, როცა ომია და მარჩინალი ვეჟაკები ფრონტზე არიან, მათ მაგივრობას კი შინ დარჩენილი დედები, ცოლები, დები, თითო ოროლა ხეი-ბარი მოხუცი და მოზარდები ასრულებენ. ამ უკიდევანო, მკვდარ უდაბნოში ცხვრის ფარებს მწვემსავე, თავსაც ირჩენენ და სახელმწიფოს წინაშე პირნათლად ახლიან მოვალეობას, ფრონტსაც ეხმარებიან და დრო-გამოშვებით სადგურზე გამოსვლასაც ახერხებენ, რომ ორიოდ შაური იშოვონ, წითელარმი-ელებს თუ ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებულ მოსახლეობას საცვლებში ან რაიმე ძველ-მანებში გადაუცვალონ თავიანთი ჭირნახული.

რას არ ნახათ ამ სახელდახელოდ გაწყობილ დახლებში: მზეზე გამხმარი ნესვის ჩირი გინდა, ქალწულის ნაწნავით რომ არის დაწყნული თუ სამარილის ძირით დადაღული თხელი აღმოსავლური ლავაში, მუჭა-მუჭა დაბავებული მარჯნისფრად ჩაწითლებული მსხვილი უნაბი თუ ხახვისა და ნივრის ვალები, მზარეული ცხვრის ხორცის ლუთი ნაჭრები თუ კარტოფლის კატლები... კაკალი, ნუში, ჭერმის ჩირი, მიწის თხილი... ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც პატარა ოჯახებში — უდაბნოში, ქვების მახლობლად თითო მტკაველა მიწაზე ან მთის მდინარეების ნაპირებთან მიუფუთლ სოფლებში მოჰყავთ შრომის-მოყვარე თურქმენებს.

ვერ ვიტყვით, რომ „აღმოსავლურ ბაზარში“ მილეთის ხალხი ირეოდა, მაგრამ გაშეიდველებიც იყვნენ და მუშტბრებიც. კარგი ჭილაურივით შიშოლის ბევრი ბაჟისფერტანსაცმლიანი წამოვდო ნარიდან და ბედის — უფრო ეკუთვნის ამოსაყვარის — საძინებლად აქეთ მოეშურებოდა. ლეიტენანტს მწვანე დიაგონალის გომნასტურის გულის ჭიბში წითელი სამთუმ-ნიანილა ედო და მანცდამანც დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ამ მცირე თანხით უცბათ აშენდებოდა, იმდენ სასუსნავს შეიძენდა, მუცელსაც ბოძს შეუდგამდა, სამერმისოლაც შეინახავდა და ცოტა ხნით მაინც მიაუჩრებდა შიშოლის ქუჩას. თუმცა, ვინ იცის, „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, ნათქვამია. ღვთისნიერ ხალხს რა გამოიღევს ქვეყანაზე, იქნებ დღეს მაინც გამოიმოსო ბედმა, გაიფიქრა და ფეხს მოუჩქარა...

ბედს კი ნამდვილად ზურგი შეეჭვია ლეიტენანტ ჭილაურისათვის: გუშინწინ, კრანსოვოდსკიდან გამოსვლის მესამე დღეს, ათიოდე წუთით გავიდა უმცროს მეთაურთა ვაგონში პოლიტინფორმაციის ჩასატარებლად, დაბრუნებულს კი ზეწარი და სახნისპირი აღარ დახ-

ვდა ლოგინზე. ვისზე მიეტანა ექვი? ნაღლი, ბასმაჩები არ დაეცემოდნენ ეშელონს მისი წვირიანი თეთრეულის გასატაცებლად! ვინმე მისივე მეზობელი აიღებდა ნამუსზე ხელს. ყველანი მისი თანაბალეულები იყვნენ, ფრონტზე ერთად იბრძოდნენ, დასვენება-შევსების შემდეგ ისევ ერთად უნდა გასდგომოდნენ ომის სისხლიან გზას. მოდი და, დაადე ვინმეს ხელი, თვალეში ყველა იხე მამა აბრამის ბატკანვით მაიმობდა შესტეპროდა, რომ წოგჭერ ექვიც კი აღებვროდა, მქონდა თუ არა ზეწარ-საბნისპირიო. ისე კი იყნოსა, ვისი ნამამაძალ-ლარიც იქნებოდა. შეუცდომელი გუშანი აქვს ჭილაურს: ლეიტენანტებს აღიოშა ოვჩინიკოვ-სა და ვასია შჩერბაკოვს გუშინწინ შიმშილით კუჭი რომ უხმებოდათ, გუშინ „ხანების“ ბრინჯით სავსე ბლიშისპირი და სამიოდე დაწ-ნულა ნესვის ჩირი გაუჩნდათ. საღამო ხანს ფლავიც მოხარშეს, შიგ ჩირიც ჩააჭრეს. ვაგო-ნში ისეთი დამათრებელი სურნელება დატრია-ლდა, ჭილაურს კინაღამ გული წაუფიდა. ვა-გონში მყოფებმა თავზე მაზარები წაიფარეს, აქაოდა, გვიწავსო, გაიუფიდა. ის „ვაუკაცე-ბი“ კი მაღიანად გამოძნენ, ქვების გარეცხ-ვაც კი დაეწარათ, მიწვენენ ჭილაურის გვერდით და უზრუნველი ზვირნვა ამოუშვეს.

— ეს ვირიშვილები, ჩემი ქვეშაგებით ნაყი-დი კერძით დანაყრდნენ და ყასიდადაც არ შე-მეპატუნენ, ერთი-ორი კოვში ფლავი შენც იგემო, — ფიქრობდა გამწარებული ჭილაური და არ იცოდა, ემზილებინა ეს ბაცაცები, თუ ხმა არ ამოეღო. დრო თვითონ გაგვასამართლებ-სო, გაიფიქრა ბოლოს და მიუჭიდა. გაახსენ-და — „ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა — ათასიო“, და ზედმეტი აყალმაყალის ატეხას მო-ერიდა.

ახლა მწარედ იხსენებდა მომხდარს და დახლ-მაგილების გასწვრივ მიდიოდა. ყველაფერი, რაც იქ გამოეფინათ, გემრიელი და გულმი-სახვლელი ეჩვენებოდა: ბუზებდახვეული აქ-ლეგის ლურჯი ხორციც კი, რომელსაც ეტ-ყობოდა, სუნე დაჰკრავდა — მის პატრონს ცხვირი გაწე მიჰქონდა — და კარტოფილის კატლეტებიც, თეთრ საფენზე უზვად რომ დაეხვევებინა ერთ „ურუს მათიშკას“ — ჩა-სუქებულ, ხნიერ რუსის დედაცაც, და თი-თოს ხუთ მანეთად აფასებდა.

ლეიტენანტი მაგიდა-დახლებს ბოლომდე ჩა-მუვა და უკან გამოიბრუნდა. ყველაფერს, რაც იქ ეწყო, მაშასისხლად აფახებდნენ და მისი წითელი სამთუმნიანი იმდენ საკმელს თუ იყიდდა, ჰიანაჰამი კბილი ამოეცნო. ხორცეული ბავშვობიდანვე არც მაინცდამაინც უყვარდა, ისევ კარტოფილის კატლეტებით მოვაჭრე დე-დაბრის წინ შეჩერდა და შეევაჭრა:

— დედი, თითო კატლეტს ნაზუქის ფასს რომ ადებ, ქრისტიანი არა ხარ. ღმერთო აღარა

გვამს? წყრომით მიმართა კარტოფილის გროვაზე გადაფარებულ წორობა დედაცაც, — რა ვქნა, შვილო, შენი ხნის ბიჭი შენზე გავეწავენ ფრონტზე. ვინ იცის, იქნებ ცოცხა-ლიც აღარ არის. აილე, ვითომ იმას უბამია, ფასს კი კაპიციც არ დააქლდება, ცალი ხუთი მანეთია...

— არა, ღმერთი აღარა გვამთ და ეგ არი. უფასოდაც რო მომცე, მაგის წამლები არა ვარ... მაინც არ შეგერგება... აბა, წარმოიდგი-ნე, შენი შვილი ჩემსავით მშვირ-მწყურვალე რომ ჩვენს სოფელში იყოს და დედაჩემმა კბილის მოსატყუებლად სისხლის ფასი გადა-ხდევისოს, მოგაწუნება? გაგებარდება? შენ კი ასოოდე კარტოფილის კატლეტით გინდა გამდიდრდე, აღარც ჩვენ გეცოდებთ, აღარც ღმერთი გვამს...

სიტყვით კი ამას ეუბნებოდა ახალგაზრდა ლეიტენანტი დედის ხნის მანდილოსანს, მაგ-რამ გულით გრძნობდა მართალი რომ არ იყო. აბა, ამ დროში მოხუცს რომ უღბინდეს, განა აქ დადგებოდა და ივაკრებდა? ისიც გა-პირებებს გამოეგდო ბაწარში და მონაგარს მყიდდა. მამ რა ექნა? ნავით, ასანთი, საპონი, ვინ მოსთვლის ოჯახს რამდენი რამ სჭირდება, რასაც ახლა მაღაზიაში ვერსად იშოვიდი...

დედაცაცმა არაფერი უბასუხა გაწიწხტებულ ლეიტენანტს, თითქოს ენა ჩაუვარდაო. პირი დააღო, თვალები გაუღიდა, რალაცის თქმას ღამობდა, მაგრამ ყელში ბურთი ეჩხირებო-და და სიტყვა ვერ დაეძრა, მხოლოდ უხმო ხავილი ამოსდიოდა. ლეიტენანტმა იფიქრა, გა-დავამალაშეო და დაენანა ეს უდანაშაულო მო-ხუცი, რომელსაც, ვინ იცის, რა გასა-პირი აღდა, შინიდან ეს უბადრუკი კარტო-ფილის კატლეტები რომ წამოეღო და ორი-ოდე შაურის შოვნას ცდილობდა.

— მომიტევე, დედი, შენი წყენინება არ მინდოდა... — ენის ბორძიკით მოუბოდიშა ჭილაურმა მანდილოსანს, რომელიც გაფარ-თებული თვალებით მის მარცხენა გულის ჭიბებს მისჩერებოდა.

ჭილაურმა უნებლიედ მის მჭერას გადადევნა თვალი და გაშტერდა: დახლის ქვეშიდან ცა-მეტიოდე წლის ბიჭს ამოეყო თავი, ცალი ხელით მისი გიმნასტურის დილი გაეხსნა, ის ერთადერთი იმედი — წითელი სამთუმნიანი, სანახევროდ ამოცოცებინა, მაგრამ მაგიდის ქვეშ თავის დურთვა და გაქცევა ვეღარ მო-ესწრა.

ლეიტენანტი უცხად გამოერკვა და ბიჭს ჰიანუელასავით წვრილ კისერში სწვდა. ბიჭი ლეიტენანტს მშვირი, გაოცებული თვალებით შესტეპროდა სახეში და ხელიდან გამორმა-საც კი არ ცდილობდა, ეტუობოდა, წინაღმ-დეგობის გაწევის ძალა აღარ ჰქონდა და შე-შინებული ელოდა განაჩენს. ლეიტენანტს ყვე-ლაფერი გადავიწყდა, მხოლოდ იმანდა ფიქ-

რობდა. ეს უღლეური მაწანწალა უკანასკნელ
ლუკასს რომ აცლიდა პირიდან. თანაც თავის
თავზე მოსდიოდა ბრაზი: გუშინწინ ქვეშაგე-
ბი აწაწანეს, დღეს უკანასკნელ გროშებს მა-
ცლიან ჭიბიდან, ხვალ, ალბათ საცვლები სამარა
გამოშვებენო და, ცხენს რომ ვერაფერი დაა-
კლო, ეკებს მისწვდა — გაძვალტყავებულ ბა-
ცაცას გამეტებით გასცხო სილა ყბაში. ბიჭს
ცხვირიდან სისხლი წასკდა და ისე საცოდავად
ამოიკვნესა, ჭილაურს გული გაეყინა, მთელი
სხეული აუცახცახდა, მარჯვენა, რომელიც ბიჭს
გაარტყა, მოტეხილივით ჩამოუვარდა ძირს, მა-
რცხენათი კი ისევ ბიჭის ჭიაფელა კისერს ჩა-
ფრენოდა. შეშინებულმა მაწანწალამ, კიდეც
არ დამიმატოსო, — თავი ძირს დაიქნია,
ილილის ქვეშ გაუძვრა, მახლობელი ნანგრე-
ვებისკენ წალასლასდა — ეტყობოდა, სირ-
ბილის თავი არ ჰქონდა — და ნათეთქვი ქოფა-
კით შენობის ქვეშ შეძვრა.

ლეიტენანტი გაბევებულივით იდგა, მთელი
ტანი უშაგმაგებდა, მარჯვენა ხელი უზუჟოდა.
თვალი ცრემლით აევსო, იფიქრა, ალბათ
იმ გზავალაბნეულ ბიჭსაც ჩემსავით შია,
თორემ სხვის ჭიბეში ჩაძვრომას როგორ გა-
ბედვდაო. ვერ ეპატებინა თავისთვის ისე
დაუნდობლად რომ გასცხო სილა, მერე გაა-
ხსენდა ბიჭს ცხვირიდან სისხლი რომ წამოუ-
ვიდა და მთელი შიგნეული აეწვა, თითქოს
ცხელი შანთი გადაუღაპო. დასწვდა მიწაზე
დაგდებულ წითელ სამთუნთხას და გაბორო-
ტებულმა კატლებების პატრონს შეუტია:

— სინდის-ნამუსი აღარ გაგაჩნიათ, ქორვა-
ჭრებად გადაქცეულხართ. აქაოდა, ომიოო,
სისხლსა გვწოვთ. ვინ იცის, მაგ ბიჭის დედ-
მამას სად წამოეწია სიკვდილი, მშიერ-მწყუ-
რვალს უპატრონოდ დამრწის. ღმერთი არა
გწამს? მოჰკიდე ხელი, შინ წაიყვანე, გაათბე,
დაბანე, დააპურე, სული გაუნათე. ერთი
ათად გადაგიხდის, როცა დაჯუკაცდებმა. შენი
ღვთისნიერი საქმე შენს შვილსაც წადგება.
ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... — აღარ
დამთავრა სათქმელი ჭილაურმა, ენაჩაგრდ-
ნილ მოხუცს სამოუწმინაო შეაჩეჩა, და-
უოვლელოდ, რამდენიც ორივე ხელში დე-
ტა, იმდენი კატლები მობოჭა და იმ ნანგრე-
ვებისკენ გაიქცა, სადაც ის დამოძლიძი,
ცხვირპირდასისხლიანებული ბიჭი ეგულებო-
და.

ლეიტენანტი ნაქობარის წინ ჩაცუცქდა და
გნით ბნელოდა და სანამ თვალი მიეჩვეოდა,
ვერაფერი გაარჩია. მერე კუთხეში მიყუნუ-
ლი გამურული ბიჭუნა დალანდა, რომელსაც
თვალეზიდან შემშლის თუ თავისი უძლურ-
ობის გამო სიმწრის ცრემლი ჩამოსდიოდა.
ცრემლი ტუჩების კუთხეში სისხლს ერთვოდა.
ბიჭი გაწინთული ჭურთღუს სახელოთი იწმე-
ნდდა სახეს.

— მაპატიე, ძამიკო, დამნაშავე ვარ, მეტი
მომივიდა. ალბათ, შენც ჩემსავით გშია, რომ
იქურდებ, თორემ, რა დროს შენი ეგეებია.
ვერა მთხოვე? გაქმევდი, ძმურად გაგინაწი-
ლებდი... მოდი, აი კატლები ვიყიდე და
ერთად ვვამოთ, — ეხვეწებოდა გულაჩუყე-
ბული ლეიტენანტი სიბნელიდან მგლის ლე-
ვივით უნდოდ გამოშჩირალ ბიჭუნას.

— ძამიკო... ესეც ძმა გამიჩნდა, რადა. რა,
კიდეც გინდა დამიმატო? შენი კატლები ძა-
ღლებს მიუყარე, ზედაც არ დასუნავენ...
ცოტა დიდი ვიჟო, გაჩვენებდი ვისი შვილიცა
ვარ. მამაჩემი საზღვარზე დაიღუპა, დედა
დამომბვავში მოჰყვა. მარტოხელა დავრჩი და
მომერიე, არა? გმირი ყოფილხარ? თუ ეგეთი
მამაცი ხარ, რატომ ფრონტზე არ იბრძვი,
ღრმა ზურგში გინდა მოყუჩება? — სლუკუნით,
სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა ბიჭი, თან
კატლებებს არ აშორებდა თვალს, თხილის
სიმსხო ცრემლები კი ისევ დაპალუბით ჩა-
მოსდიოდა ლოყებზე. ხედავდა, რომ ლეიტენ-
ანტს თვალი ცრემლით ჰქონდა სავსე და სა-
ცაა აქვითინდებოდა, ხმაც გაებზარა, მაგრამ
გამოსვლას მაინც არ აპირებდა, ეშინოდა, კი-
დეც არ წამითაქოსო.

— ნუ გეშინია, აღარა გცემ, დედას გეფი-
ცები. შენი ხნის ძმა მეცა მყავს შინა, თვი-
თონაც ხუთიოდე წლით ვიქნები შენზე უფ-
როსი, განა მეტიო. მოდი, ვითომ ძმები ვართ,
ერთად გავიყოთ ლუკმა...

თბომაჯლის გაბმული კივილი მოისმა, სა-
დგურზე გაბნეულ ჭარისკაცებს ეშელონისა-
კენ მოუხმობდა. ლეიტენანტმა ჭილაურმა სი-
ნანულით გახედა უნდო ბიჭუნას, კატლები
ნანგრევების წინ, ფიცარზე დააწყო და უსი-
ტყვოდ გაიქცა ეშელონისაკენ, რომელიც თა-
ნდათან უმატებდა სვლას.

ფილმი-განსაჯენი

როდესაც რეჟოთაბუჯაშვილის ახალი ფილმის გამოჩენას გავიგებთ, უკვე უჩვეულო მღელვარება გვიპყრობს, უკვე წინასწარ ვგრძნობთ, რაღაც მახლობელსა და ამაღელვებელს უნდა ვეზიაროთ, კიდევ ერთხელ უნდა დავიმუხტოთ იმ განცდით, რასაც წმინდათა წმინდასთან, ეროვნულთან შეხვედრა იწვევს. დიახ, რეჟოთაბუჯაშვილმა უკვე მიგვაჩვია იმ აზრს, რომ მის მიერ გადაღებულ ახალ ფილმში უსათუოდ ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის, ჩვენი წარსულისა თუ დღევანდლობის უმნიშვნელოვანესი წახნაგები იქნება წარმოჩენილი. რეჟოთაბუჯაშვილის კინოობიექტივის გამჭვირავი თვალი მხატვრისა და მოაზროვნისა შეუმცდარი ალღოთი ისეთ სინამდვილეს აცოცხლებს, რამაც არ შეიძლება წარუშლელი კვალი არ დატოვოს ქართველი მაყურებლის სულსა და გონებაზე. აღარ ჩამოვთვლით კინორეჟისორის ადრინდელ ნამუშევრებს — მხოლოდ ახლახანს ნაჩვენები ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ კმარა იმის დასტურად, თუ რა დიდ ეროვნულ სათქმელს გვაზიარებს ავტორი, რა სადღეისოა არცთუ შორეული წარსულის ჩვენი დიდებული მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის შინაარსიანი ცხოვრების თუნდაც ერთი ეპიზოდის მხატვრული გაცოცხლება.

ახალი და უჩვეულო, ისეთი, რაც დღემდე არ ვიცოდით ამ გმირული ეპიზოდის შესახებ, ფილმში თითქმის არაფერია, მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილ განძს მცველადა და მოჭირანხლელდ უცხოეთში თან მიჰყვება ექვთიმე თაყაიშვილი. ობიექტივი აცოცხლებს გზას ბათუმიდან მარსელამდის, ფათერაკებითა და ხიფათით აღსავსე ამ მოგზაურობა ყურებისას, თუმცა იცი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება, მაინც შიშით გეწურება გული. ეს გზა ბეწვის მოქანავე ხილია, რომლის სასიკეთოდ გასრულებას თითქმის რაღაცა ზებუნებრივი ძალა მფარველობს...

ფილმისა და სცენარის ავტორი, რეჟოთაბუჯაშვილი თვითონვე ახმოვანებს ამ სულისშემძვრელ კადრებს, ძუნწი, მაგრამ მრავლისმთქმელი ფრაზებით გვიხატავს კაცისა და განძის ამ საბედისწერო თავგადასავალს. არც ფრთხილ სენტიმენტალური, გულისამაჩუყებელი ფრაზა მხოლოდ სიმართლე! ქაშაღმწერლის მომჭირნე სიტყვების უკან მთელი ტრაგედიაა გადაშლილი. ეს უნდა ვიგრძნოთ და გონების თვალით დავინახოთ. მხატვრული ეფექტი უმაღლესი დონეა აღწევს. ჩვენ ვხედავთ სულიერი სიმაღლის კვარცხლბეკზე მდგარ მოქალაქესა და მამულიშვილს, პიროვნებას, რომელსაც ყოველგვარი პიროვნული დაუთრგუნავს და მოწამის მოთმინებით უვლის და ერთვულებს, რაც მისმა სამშობლომ, მისმა ბედისწერამ საპატრონოდ ჩააბარა. ლტოლვილობაში, გამოუვალ სიღუბნებში ჩაეარდნის იმ ეპიზოდში „ძუნწი“ მოხუცი პირად საკუთრებაში

მყოფ ნივთებსაც კი ვერ იმეტებს განსასხვისებლად, ვერ იმეტებს, რადგან იცის, რომ ამ ნივთება ჩვენი ეროვნული კულტურისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს და ამდენად მათი დაკარგვა ქართული კულტურის დასანგრევად იქნება. არსებობა კი მაინც აუცილებელია. აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ბედისწერით დაკისრებული ეროვნული მისია შეარულდეს. ექვთიმე თაყაიშვილი პარიზის მახლობელ სოფელში სახლდება და საარსებოდ მეწველ თხას ყიდულობს!

არაფერია, მთავარია განძის უსაფრთხოება, თორემ თვითონ ყველაფერს აიტანს მოხუცი ასკეტი!

და როდესაც გერმანელები შედიან პარიზში, კატასტროფულად იზრდება ეს საფრთხე. გერმანელებმა იციან განძის არსებობა, გაფაციცებით დაეძებენ მის ადგილსამყოფელს, მაგრამ ბიბლიოთეკის სარდაფებში ჩაზიდული ძვირფასეულობით სავსე ყუთები ათასგვარი ხარახურით და ნაგვითაა დაფარული. იმ მრავალრიცხოვან ემიგრანტ ქართველთაგან, საბედნიეროდ, არც ერთი არ აპყვება ცდუნებას და საიდუმლოს ბოლომდის ინახავენ. ჩვენ არ ვიცით იმ ბედუკუდმართი ემიგრანტების სახელი და გვარი, არ ვიცით, როგორ წარიმართება მათი მომავალი ცხოვრება, მაგრამ გული გვეცხება სიამაყითა და მადლიერების გრძნობით.

ქართული სულიერი ცხოვრების ისტორიას ზნეობრივი გმირობის მაგალითები არ აკლია. ექვთიმე თაყაიშვილის ეს საქციელი სწორედ ერთ-ერთი ამგვარი გმირული ნაბიჯია, ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა მაქსიმუმს რომ ავლენს და საშვილიშვილოდ შეგვავაგონებს, რომ ადამიანის უმაღლესი დანიშნულება იდეალისადმი შეუვალ ერთგულებაშია და არა პირად ზრახვათა დაკმაყოფილებაში, მხოლოდ ამით განირჩევა წამიერი — წარუვალისაგან, დროებითი მარადიულისაგან და რომ ესაა ადამიანის უმაღლესი დანიშნულება.

და აი, კიდევ ერთი მრავლისმეტყველი შტრიხი: დგება ის სანეტარო ჟამი, როცა ჩვენი ეროვნული განძი სამშობლოში უნდა გამოემგზავროს, სამშობლოში, რომლის უსაზღვრო სიყვარულმაც ამდენი შეაძლებინა ექვთიმე თაყაიშვილს. განძი ხომ მისი მცველიც უნდა წამოჰყვეს და უცებ აღმოჩნდება, რომ ფასდაუდებელი განძის დარაჯს ტანთ სამოსელი არ აცვია! „წარსდგა მშიერი და ვერა შიშველიო.“ — იტყვის ქარაგმულად და ყველაფერი ნათელი ხდება.

დიდი ტაქტიკა და გულსტიკილითაა ფილმის ფინალში გაცხადებული სამშობლოში დაბრუნების შემდეგდროინდელი მოხუცი მეცნიერის ბედობლალი.

თვით ეს ფილმი სინანულის და ქენჯნის მტკივნეული გრძნობის ერთგვარი განქარვება. მადლიერი შთამომავლობა აწ უკვე სამარადისოდ მიაგებს პატივს თავისი დიდი შვილის დიდ ცხოვრებასა და წმინდა სახელს. ცხოვრებას, რომელიც ქართველი ერის, მისი კულტურის უანგარო მსახურებაში გაილია და მისაგებელი, რაც სიცოცხლეში დავაკელით, ახლა უნდა მივაგათ... და ესეც ისევ ჩვენთვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღისთვისაა სანიშნო, ჭკუის სასწავლო მაგალითი.

რევაზ თაბუკაშვილის ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, მართალია დიდი მამულიშვილის კონკრეტული ცხოვრების ეპიზოდებს გვაცნობს, მაგრამ ფილმს აქვს მეორე და არცთუ ძნელად დასანახი პლანი. ამ მეორე პლანის მიხედვით, არ შეიძლება თვითუღმა მაყურებელმა თავის სულშიც არ ჩაიხედოს, წამიერად თავისი თავიც არ წარმოიდგინოს ექვთიმე თაყაიშვი-

ლის ადგილას და ამ ფიქრისმიერი პარალელისას გაჩენილ უფსკრულსაც გადაწვდინოს გონების თვალი. ერი, ახალგაზრდობა ზნეობრივი მაგალიტებით იზრდება. ამგვარი მაგალიტები ქმნის, აყალიბებს ჩვენს სულიერ სახეს, ჩვენი ცხოვრების წესს, ინტერესების სფეროა, მისწრაფებებს. პრაგმატისტული მიდრეკილებანი, ნეგატიური მოვლენები, რომელთაც ასე ერთსულოვნად ვებრძვით, დიდი იდეალების გაუფასურების ერთგვარი დადასტურებაა. სამწუხაროდ, ჩვენს ირგვლივ ბევრი რამ ხდება ისეთი, რასაც ფილმი შინაგანად უპირისპირდება. აგერ ახლახანს იყო, რომ ვიღაც გარეწრებმა სვანეთის ეკლესიების განძი დაიტაცეს და საზღვარგარეთ მისი გატანა მოახერხეს! განა ერთი და ორია ჩვენს ირგვლივ, ვისაც უფლება რომ მისცე, თამარის ჭვარს გულზე ჩამოიკიდებს და უძვირფასეს ხატებს სამკაულებად გადაადნობს, პირადულისთვის საქვეყნოს გადაქელავს, სულს ეშმაკს მიჰყიდის, რომ ხორცეული ვნებები გააღალოს.

რევზ თაბუკაშვილის ამ ახალ ფილმს ხანჯალივით ორივე პირი ალესილი აქვს. იგი ახლო წარსულის დიდი მამულიშვილის სახის გაცოცხლებით დღევანდელობაზეც პირუთვნელად გვესაუბრება.

ასე წავიკითხე მე ეს ფილმი.

ასევე, მგონი, იმ აუარებელმა მაყურებელმაც, ვინც ფილმის ნახვით გამოწვეული აღფრთოვანება მქუხარე ტაშით გამოხატა.

ამ გრძნობამ, ფილმის ჩვენების დასასრულს, რეჟო თაბუკაშვილისათვის მაღლობის სათქმელი სიტყვის ადგილიც კი აღარ დატოვა.

თეოდო ბაქიშვილი



საყოველთაოდ აღიარებულ ქართველ მწერალს ჟურნალ „ცისკრის“ ყოფილ მთავარ რედაქტორს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს საყვარელ მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.



ქართული მხატვრული სიტყვის აღიარებულ ოსტატზე ბევრი დაწერილა, ბევრი თქმულა, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. კონსტანტინე ლორთქიფანიძე არის ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენების სრულყოფილი გამომატველი. სწორადაც შენისეს — იგი ნამდვილი მემბრანა გახლავთ. მაგრამ არსებობს მხატვრულ მემბრანათა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება. ერთი აღწევს სხვა უკეთესს — მთავრად და მეორეხარისხოვანსაც, არსებითსაც და არარსებითსაც. მეორე, გამორჩეული ნიჭის წყალობით, არსებითს უღარაჟებენ, ზუსტად მიაგებენ და ეპოქის სულსაც იმ არსებობის მეშვეობით გამომატავენ. ამგვარი მემბრანა კონსტანტინე ლორთქიფანიძე. იგი ოთხმოცი წლის გახდა. ერთგვარი კანონზომიერება იკითხება მის დღეგრძელობასა და სამომავლო გეგმებშიც, რომელთა აღსასრულებლად ასეთი სიმბნით იღვწის ახლაც. მას თითქმის დაეხედა ეპოქის უმთავრესი მოვლენებისათვის დასაწყისიდანვე ედევნებინა თვალი, არ გამოჰპარვოდა არც ერთი, არ დაეკლო მხატვრული სიტყვის მაღლი! ერთმანეთთან დაეკავშირებინა ეპოქის დასაწყისი და დასასრული ათწლეულების შინაარსი. დიას, მტკიცედ არის ერთმანეთთან გადაჭაჭვული „კოლხეთის ცისკარი“ და „რა მოხდა აბაშაში“. ამ ნაწარმოებებს შორის ორმოცდაათი წელი დევს. ნახევარი საუკუნის უტრადსაღები ამბები სხვა ნაწარმოებებმა იტვირთეს, მაგრამ კოლექტივიზაციის წლები — იმდროინდელი გლეხის სოფელი და ოთხმოციანი წლების სოფელი თითქმის ერთმანეთს გადასმახებენ თავიანთ სიხარულსა და ტკივილს, საერთო საწუხარსა და საუიქრალს. მწერლის სულმა ვერ მოისვენა, სანამ მექი ვაშაქიძის დროის სულსკვეთება არ გააცოცხლა დღევანდელ დღეს — იმდროინდელ ოცნებებსა და იმედებს შეუმოწმა შედეგი! ჭაბუკური შემართებით დაპირისპირა ორი დრო ერთმანეთთან, სამსჯავროს წინაშე დააყენა და სიმართლე ათქმევინა; არ დაიშურა კონტრასტები, არ მიმალა ისინი, არც პარადოქსები მიუჩქმალავს.

მწერლის პორტრეტზე საუბრისას ეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები არაერთგზის შეგვახსენებენ თავს, მაგრამ იქნებ დროული იყოს მხატვრული სიტყვის ამ შესანიშნავი ოსტატის შემოქმედებითი ბუნება სხვა კუთხიდანაც დავინახოთ დაბადების 80 წლისთავზე, მით უმეტეს, რომ ამგვარი წაკითხვის სურვილს ბადებს მისივე ერთი წერილი „სიტყვა თედო რაზიკაშვილზე“:

„ან ვინც დაინახა, რომ ქვიშა

„ეღდასავით აქეთ-იქით ძვრებოდა“ — „ქვეშში ამომძვრალი ქუჩი აღარა კვდებოდა, ზღარბებენ ეყუნა კლდის სახეთქებში“, — მან, მერწმუნეთ, პლასტიკის დიდი საიდუმლოება იცის. ეს მისი თვალა და არა იბლიანი მიჯნება და წაწყდომა. ამიტომ თედო რაზიკაშვილის ყოველი სურათი, პასუჟი, მეტაფორა — უბრალო დეტალი, მუდამ ისეთი ზუსტია და ცოცხალი, მოულოდნელი და ამავე დროს განუმეორებელი, რომ არ შეიძლება მკითხველის თვალი არ შეაჩეროს, როგორც სილამაშემ, როგორც დიდებულიად გაკეთებულმა ნივთმა“.

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
საპრესო
სამსახური

ცხადია, გასაკვირი არ არის, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მახვილი მწერლური თვალი ამჩნევს და აღნიშნულ წერილში ასე შთამბეჭდავად გამოაქვს შესანიშნავი ქართული მწერლის თედო რაზიკაშვილის ნაწერების ღირსებანი.

მაგრამ აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შერჩევაში მისი მწერლური პრინციპი გამოსვლევის აშკარად. პრინციპი უაღრესად მაღალი დონის მწერლურ ხედვას რომ ემორჩილება.

ეს წერილი გვავალებს მის შემოქმედებასაც შევხედოთ დრო და დრო ამ თვალთ და გლობალური შემოქმედებითი მღწევების გვერდით ზოგჯერ ასეთი გაუხსნელი სიღრმეები წარმოვაჩინოთ.

დეტალსა და ნიუანსს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოებებისათვის. ასე სწამს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. ამიტომ ძნელია განსაზღვრა იმ ენერგიისა, რაც დაუხარკავს მას უოველ მოგანზე.

მოთხრობა „მოგზაურში“ ერთი შტრიხით არის მოხაზული ახალგაზრდა მაქსიმ გორკის საინტერესო სახე. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი გვეჩვენება მოთხრობის ერთი თვისება. პირველ თავში კონდუქტორ ილიკო ადგიშვილის ეპიზოდური სახეა დაბატული. ილიკო ადგიშვილის უოველი სიტყვა, უოველი მოძრაობა ისეთი ოსტატობითა და, რაც მთავარია, ისეთი მონღოებით არის ნაჩვენები, ვერაფრით ვერ წარმოიდგენ, ნაწარმოების დასასრულამდე თუ დაგვიტოვებს ეს პერსონაჟი. არა და იგი ერთი ეპიზოდის პერსონაჟია, მოგზაურის ბოგრაფიისათვის კი სულ უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი სახეა. დააყენებს ახალგაზრდა რუსი კაცს გზაზე ილიკო ადგიშვილი და მორჩა, უკვე ზედმეტია მოთხრობისათვის, არასდროს არ გამოგვეცხადება, არასდროს არ ჩაერთვება ნაწარმოების კომპოზიციაში. მაგრამ თითქმის მოთხრობისა კი არა, რომანის ექსპოზიციას წერდეს ავტორი და ეს გმირი იმ რომანის დასასრულამდე სულ შინაური კაცი იქნება, ისეთი რუღუნებითაა ნაქრწი!

კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის ასეთი დეტალები უბრალო ფონი ან გარემოცვა არ არის მთავარი გმირის სახის გამოსაკვეთად. იკეთება თავად მწერლის მეთოდი. ყველა დეტალი, თუკი მისი „შემჩნევა“ მწერლის თვალისათვის ვალად ქცეულა, წარუშლელი უნდა იყოს! მას არც ერთი ფერი არ უნდა აკლდეს, არც ძალა დაზოგოს მისი სრულყოფისათვის. სად წავიდა ეს „შემთხვევით“ შეხვედრილი ილიკო ადგიშვილი, ვის ან რას გადაეყარა თავისი გაჯახირებული ცხოვრების გზაზე, არ ვიცით. ფაქტია მან ჩვენს ფიქრში წარუშლელი კვალი გაავლო.

ასეთი სისავსით ფტეჟავს ყველაფერი კონსტანტინე ლორთქიფანიძის მწერლურ სამუაროში. ხშირად მოგვგვრით გულწრფელ სიხარულს უფაქიზესი ნიუანსების გამომჩიველი თვალთხედვა:

„წითელი ხალათი მუხლებამდე სწვდებოდა შავწვერა ქალათს. წელზე უბრალო თოკი შემოერთყვა, სწორედ ისეთივე როგორც სახარბოელაზე იყო ჩამოკიდებული“.

თითქმის არაფერი ხდება უჩვეულო, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მხოლოდ მას შემდეგ გვეუფლება, როდესაც მწერლის თვალმა უკვე აღმოგვიჩინა და მიგვარჩია იმ უჩვეულოს. ამ თვალის წყალობით მყარდება „გაუთვალისწინებელი“ კავშირი საგნებს შორის, გამოიკეთება იგივეობა ქალათის წელზე შემორტყმულსა და სახარბოელაზე ჩამოკიდებულ თოკს შორის, მწერლის თვალის წყალობით დავადგენთ, ხუბუღურის ღიმილი იშვიათი სილამაზისა რომ არის, მისი სახით მშვენიერება აკლდება ქვეყანას და რომ ეს დაკლებაც საგანგებო მოვლენა! ამ თვალის წყალობით ვხედავთ ზღვარს, რომელიც მკაცრმა სანახაობამ ბავშვის თვალეში გაავლო, გვიცოცხლდება ბელორუსული ზამთრის ფერებით დატვირთული სურათი, გომურში შეკრილი ცივი ქარის მოძრაობა და ცეცხლის პირიდან წამოგდებული ძაღლის რეაქცია.

ჩვეულებრივში ჩადებული ილუმალი ძალა მხოლოდ მწერლის კვერთხის შეხებისას ახელს თვალს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის დამოკიდებულება სიტყვასთან, აღბათ, საგანგებო საუბრის თემა. ბევრს აღუნიშნავს ამის შესახებ. მაგრამ ამ აღნიშვნებს იქით საქმე ითხოვს სრულად განათებას, გულდასმით კვლევას. ბევრი საინტერესო აღმოჩენა ელოდება მკვლევარს ამ თვალსაზრისით მოთხრობებშიც, რომანებშიც, წერილებშიც...

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხატვრული სიტყვა განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევა. ვგრძნობთ მის ერთადერთ გამიზნულებას, ზუსტად მონიშნულ და მიკუთვნებულ ადგილს, სივრცეს. სიტყვები მწერლისათვის დამოუკიდებელი ფენომენები არიან. ისინი არ უნდა ავიწროებდნენ ერთმანეთს, ისე ბუნებრივად უნდა განლაგდნენ, რომ წონასწორობა არ

დაირღვეს. შედეგის ანალიზი აშკარად მეტყველებს ამ კანონზე, მაგრამ რამდენი დაკვირვება
ქაფა. განსაზღვრა კირდებოდა ამ უშუალობისა და სისადავის, ამ სიტყვათაშორის დისტან-
ციების სასურველად განლაგებას. ფრაზა მექანიკურად არ მოსდევს ფრაზას. ფრაზა
ბილი: წინამდებარე ფრაზის მიერ და ყველაფერი სისადავის ნიშნითაა გაიშვიათებული.

გაადევნებთ მხარეს ამ თვალსაზრისით წინადადებების აღნაგობას, აბზაცების აგებულ-
ბასა და თანდათან გამოიკვეთება უნაღდესი ნიჭი მწერლისა, მისი სტილი და პოზიცია.

„კოლხეთის ცისკარი“ ეპოქალური მნიშვნელობის რომანად აქცია მასში ჩადებულმა
მოვლენების სიდიადემ. ისტორიული გარდატეხების უამრებ წყაროდ დროს, როდესაც ფეხს იდ-
გაძღა სრულიად ახალი წყობისა და თვისებების ქვეყანა. ახალი ქვეყნის უღდეს მოვლენა-
თა შორის სოფლის სრული რეორგანიზაცია — ანუ კოლექტივიზაცია იქცევს ყურადღებას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მწერლის ადლოტი მიაგნო ყველაზე უტყუარ სარკეს,
რომელშიც გადატყდებოდა ურთულესი მოვლენის მთელი შინაარსი. მექი ვაშაქიძის სულიერ-
ი საშუალო გახლათ ეს სარკე. რომანში დახატულია ერთმანეთზე უმჯობესი მრავალი პერ-
სონაჟი. რად ღირს თუნდაც ბარნაბა საგანელიძის პიროვნება. აქ გვხვდება ინტელიგენტი,
პარტიული მუშაკი, მოქამაგირე, გლეხაკიც, — სხვადასხვა მრწამსისა და მიდრეკილების
ადამიანები. ყოველი მათგანის დონიდან არის აზომილი კოლექტივიზაციის დანიშნულება. მაგ-
რამ, ალბათ, მხოლოდ მექი ვაშაქიძის ლტაკი, ღირსებად ჩაღწეული, არარადქცეული პირო-
ვნების სულს შეეძლო გაენათებინა კოლექტივის სრული შინაარსი.

მოვლენებთან და მოქცეულებთან მოვლენის ფსიქოლოგიის ცოდნასთან არის წილნაყარი.
დროის ფსიქოლოგია კი ყველაფერს განსაზღვრავს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარ-
მოებებში. მწერალმა იცის და თავისუფლად მიიკვლევს გზას ურთულესი შრეებისაკენ. ის
ადგილები, სადაც ნაჩვენებია კოლექტივიზაციის სიკეთე უქონელი, გზადახული მექი ვაშა-
ქიძის ცხოვრებისათვის, თან დაატარებენ მაქსიმალური სიზუსტის განცდას. მექის სულში
თითქოს კაშკაშებს მოვლენა, რომელშიც მისთვის უნეტარესი ბედნიერება მოიჭანა. ის მარ-
თლაც ახლად იშვა. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოვლენის ლოგიკა გაშიფრა — არც კულა-
ქების, არც საშუალო კლასობის, აღარც ღარიბების თვალსაზრისი არ გამოდგა ბოლომდე
მანათობლად. სინათლე მხოლოდ ზედაპირს ეფინებოდა, უმთავრესი კი ექვების ჩრდილში
იბღანდებოდა. მხოლოდ მექი ვაშაქიძის კომპლექსს შეეძლო გამოეაშკარავებინა ახალი მოვ-
ლენის დედააზრი. კოლექტივიზაციამ მექი ვაშაქიძის პიროვნებაში თავისი საყრდენი იპოვა,
თავისი შესაძლებლობების გასაშლილი სივრცე დააზუსტა. კოლექტივიზაციის უფლებამოსი-
ლება ამ ლტაკი კაცის თანაგრძნობამ დაადასტურა. ეს უღრმად აღმოჩენას. კრებაზე სწორედ
მექი ვაშაქიძის გამოჩენამ გადაწყვიტა მთელი სოფლის ბედი.

ნახევარი საუკუნე გავიდა ამ რომანის დაწერის შემდგომ. მწერლის ფიქრი ქართულ
სოფელს დასტრიალებს კვლავ. რომანი „ნატვრისთვალი“ დიდი ხნის განმავლობაში იწერებოდა,
იცვლებოდა თავდაპირველი ვარიანტი, იხვეწებოდა ხასიათები, ზუსტდებოდა ეპიზოდები. არ
იცვლებოდა დამოკიდებულება სოფლის ბედისადმი მწერალი მღელვარედ აღევნებდა თვალს
მოვლენებს, ახალ ეტაპებს. რომანში კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის ჩვეული რუღუნე-
ბით არის დახვეწილი ყოველი საგანი, ნაწარმოების ყოველი შემადგენელი ნაწილი.

კარგა ხანია ქრესტომადიული სურნელი დაჰრავს ცნობილ ნაწარმოებებს: „მოგზაური“,
„ცაბუნია“, „ჩემი პირველი კომპოზიტი“, „გაუმარჯოს დონ კიხოტს“, ბელორუსული მოთ-
ხრობების ციკლი, „როგორ მოკვდა მოხუცი მეზადური“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, რო-
მანი „ლადო ვაშალიშვიტი...“ მაღალი სულიერი კულტურით არის აღბეჭდილი კონსტანტინე
ლორთქიფანიძის წერილები. მრავალფეროვანია წერილების თემატიკა — ლიტერატორი,
კრიტიკოსი, პუბლიცისტი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე თანაბარი ძალისხმევით ამუშავებს
ყოველ საკითხს, მნიშვნელოვანია თემა მისი, ღირებულია დასკვნა, შეხედულება, მოსაზრება,
ვარაუდი.

მხოლოდ მისივე დიდებული პროზის „ბრალია“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის ლექსები
და პოეტური თარგმანები ჩრდილში რომ დგას. თავისთავად კი მოულოდნელ სიხარულს
გვრის ყველას კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან როგორც პოეტთან შეხვედრა. გავისწოლოთ
პოეტური თარგმანები: ნაწიმი ჰიქმეთის „ზოია“ (პოემა), ადამ მიტევიჩის „აღფუხარის ბალა-
და“, კონრად ვალენტიდის „ისაკა ტაყუბოკუს ასი ტანკა“, ვლადიმერ მაიაკოვსკის „მარუსია
მოწამლულა“, ივანე ფრანოს „მოსე“ (პოემა) და სხვა... ისინი ბავშვობიდანვე აღბეჭდილია
ჩვენს მეხსიერებაში სინათლით, სისადავით, სიზუსტით.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არ სჩვევია პასიურობა, ის იღვა და დგას მოწინავე პო-
ზიციებზე. პირველი ენაფურება ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან მოვლენებს. არც ასაკის წინაშე
ფარ-ხმალის დაურა შეგვიწინნავს არასოდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისგან ახალ შესანიშნავ
ნაწარმოებებს უნდა ველოდოთ კვლავაც.

კობა იმედაშვილი

„გახსოვდეს სისოცხლე“

1983 წელს, თავისი დაბადების ორმოცდაათი წლის თავზე, ოთარ ჭილაძემ, მეტად მნიშვნელოვანმა თანამედროვე ქართველმა მწერალმა, დასტამბა თავისი ლექსების, პოემებისა და თარგმანების რჩეული — „გახსოვდეს სისოცხლე“.

აქ ჩანს სავსებით დაუფარავი პოლემიკა, ტერენტი გრანელთან (გახსენეთ მისი Me-mentomori) თანაც ორ სიტყვაში გადმოცემულია ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედების არსი — სიცოცხლის აპოლოგია.

პარადოქსია — ოთარ ჭილაძე ლექსებში, პოემებში, რომანებში ბევრს ფიქრობს სიკვდილზე, მისი გმირები გარდუვალი და, ამდენად, ტრაგიკული სიკვდილით იხოცებიან, მაგრამ ამ ფიქრის ყველაზე დიდი დასკვნა ორი იმედია სიტყვა — „გახსოვდეს სისოცხლე“.

„კაცობრიობა უკვდავებისთვისაა „განწირული“, ხოლო ამ უკვდავების საიდუმლო ადამიანის სულში იმალება“. — ესეც მისი სიტყვებია და გასაღები იმისა, თუ რატომ არის იგი სიცოცხლის აპოლოგეტი, ამაღლებულისა თუ დამდაბლებულის, ბიწიერისა თუ წმინდისა, მაგრამ ყოველთვის ძნელის, ყოველთვის რთულის.

სულის სიმარტივე მისთვის მიუღებელია.

ოთარ ჭილაძე, როგორც პროზაიკოსი, როგორც პოეტი და როგორც პირველება, ბოლოსდაბოლოს (ან იქნებ ეს გახლავთ თავი და თავი ყოველივესი), მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე ქართველ მწერალთაგან, მაგრამ, ამავე დროს, ბევრი რამის გამო იგი სწორედ მათ ჰგავს ყველაზე მეტად. იგი გამოკვეთილად კონკრეტული დროისა და კონკრეტული ჰეგელის მწერალი გახლავთ, დღევანდელი საქართველოსი.

სწორედ ამიტომ, როდესაც ოთარ ჭილაძის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება იგი

წარმოვიდგინოთ იმ თანამოქალაქებისაგან განცალკევებულად, რომლებთანაც არის დაკავშირებული ორმოცდაათიანი წლების ბოლოს დაწყებული ქართული მწერლობის განახლება, სამოციანი წლების პრინციპული სიახლეები და სამოცდაათიანი წლების ახალი ქართული ისტორიული რომანის ჩამოყალიბება — ლოგიკური დაგვირგვინება დაწყებული პროცესისა, ოღონდ დაგვირგვინება და არა დასრულება, რადგან ძიება გრძელდება.

ეს ის თაობაა, რომლის ბავშვობა ომს დაემთხვა, ხოლო ჰაბუკობა და დაფაცხვება ჩვენი ცხოვრების თვისობრივ სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიურ გადახლისებას. გავადრო და ყოველივე ამას დაუკავშირებენ „მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას“ და დაიწყება ლაპარაკი ხელოვნებასა და ლიტერატურაში ამ რევოლუციით გამოწვეულ სიახლეებზე, მაგრამ ის კი დაავიწყდებათ, რომ „სიახლეები“ უპირველესად იმ სოციალურ-პოლიტიკური ძვრებით იყო ნაპარნახები, რომელმაც შეძრა ჩვენი ცხოვრება და ახლებურად გააშუქა ძველისძველი სიტყვა — „ადამიანი“.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოციანი წლების დასაწყისში ჩვენს ცხოვრებასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში მომხდარმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს ახალ ღირებულებათა ჩამოყალიბება, ადამიანთან და სამყაროსთან ახალი დამოკიდებულება, მწერლობაში კი — გადაფასება და უარყოფა ბევრი აღიარებული მოვლენისა, ბევრი აღმოჩენა კონცეპტური თუ ესთეტიკური ხასიათისა. განახლდა თემატიკა და პრობლემატიკა, გაახლდა ენა და დამოკიდებულება ამა თუ იმ უნართან, შეიცვალა დამოკიდებულება მკითხველთან, დამოკიდებულება საზღვარგარეთულ ლიტერატურასთან, შეიცვალა შეფასება ისტორიისა და სინამდვილისა.

თუმცა ასეთი სიახლე მეტ-ნაკლები სიმძაფრით ომის შემდგომმა თაობამ მარტო ჩვენთან კი არა. ევროპასა და ამერიკაშიც მოიტანა, თანაც ცხოვრებისა და ხილვების უველა არსებით სფეროში.

მოხდა ისე, რომ ის ახალგაზრდები, რომლებსაც დაუჯერებდა ქართულ მწერლობაში აღნიშნულ სიახლეთა დამკვიდრება, ძირითადად ახლადდაარსებული ახალგაზრდული ჟურნალის „ცისკრის“ გარშემო შემოიკრიბნენ, მათ შორის იყვნენ ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეებიც.

ამ უარყოფისა და განახლების პროცესიდან ზოგი რამ დავიწყებას მიეცა, ზოგი სიახლე თურმე კარგად დავიწყებულის ზედახალი აღმოჩენა ზაფხლათ, ამიტომაც ბევრი ავტორი, რომლებიც მაშინ იმედის მომცემი სჩანდნენ, ახლა ან აღარ მონაწილეობენ ლიტერატურულ ცხოვრებაში, ან მათი წვლილი ძალზე მცირეა. მწერლობას შემორჩნენ კემშარიტად ნიკიტინი, ჯონიერნი და შრომისმოყვარენი, რომელთაც თავის ზურგზე გადაიტანეს ბრძოლის მთელი სიმძიმე, იწვნიეს ლიდერად ყოფნის სიმწარეცა და სიტკბოც, შემოქმედებაც მათი გაცცდა თაობის ინტერესებით შემოზღუდულ სივრცეს და ზოგადეროვნულ მოვლენად იქცა.

ერთ-ერთი წამყვანი ამ ლიდერთაგან ოთარ ჭილაძე გახლავთ, რომელსაც არც მკაცრი კრიტიკა მოჰყვებოდა და არც ქება, მაგრამ რაც თავი მასვს, გარეგნულად მაინც უველაფერს აუღმვრევლად ხდებოდა.

ოთარ ჭილაძე ქართულ მწერლობაში ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მოვიდა. ეს იყო დრო გალაკტიონის, გოგალის და სიმონისა. მაგრამ უკვე თავის განსხვავებულ სიტყვას ამბობდნენ ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე.

ახლა მე მიმოხილვას არ ვწერ, რომ უველა ჩამოვთვალო, მაგრამ მოახლოებული შორეული თუ ახლოებული ტალღების ხმაური უკვე ისმოდა. და სწორედ ამიტომ ახალგაზრდა კაცისთვის ძნელი უნდა ყოფილიყო საკუთარი ხმის პოვნა. ოთარ ჭილაძემ ეს შეძლო, კარგად შეძლო, ისე რომ არ დაუკარგავს კავშირი თავის ალტაცების საგანთან — გალაკტიონთან. მან აღმოაჩინა ახალი, თავისი პეტრუხი სამყარო, რითაც დიდი წვლილი შეიტანა გალაკტიონის შემდგომი ქართული პოეზიის დადგინებაში. და ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ჭილაძე თითქოს ჩამოშორდა პოეზიას, მისთვის დამახასიათებელი პოეტური ხედვა ბევრი სახელიანი თუ დამწყები პოეტის შემოქმედებაში იჩენს ხალხმე თავს. ერთი კია, რაც უფრო მალე იქნება ეს გავლენა დაძლეული, — მით უკეთესი, ამით მხოლოდ პოეზია მოიგებს.

ოთარ ჭილაძის შინაგანი დრამატიზმით აღსავსე ლექსები მედიტაციური ლირიკის ხასიათით, ხოლო კამერული — მასშტაბით. უველა თემა — თემატიკა კი მრავალფეროვანია — გახსნილია მხოლოდ პიროვნების მეშვეობით, მისი ფიქრით, მისი გრძნობით. მისი განსჯით... ისიც სათქმელია, რომ თავის ლირიკაში ოთარ ჭილაძე თითქოს ერიდება საშოქალაქო თემატიკას და ისეთ პრობლემებს, რასაც ჩვენი დღევანდლობისა თუ ადამიანური ყოფის თვალსაზრისით აქტუალურს ვუწოდებთ ხოლმე. ეს აღრე თვალშისაცემი იყო. მაგრამ მერე, როდესაც დაიწერა სწორედ ამ თვალსაზრისით მტკად შთაბეჭდვი ლირიკული პოემაში ოთარ ჭილაძის, ხოლო უფრო გვიან — რომანები, ცხადი გახდა, რომ ოთარ ჭილაძე ზუსტად გრძნობს თემაში, განწყობაში, განცდასა თუ პრობლემაში ჩაფარულ ფორმალტყვევის პოეტურ პოტენციას და სათქმელს ყოველთვის შესაბამისად გამოხატავს.

ეს დღითი მომდღეიული ტალანტია შემოქმედისა.

დრომ ისიც დაგვანახა, რომ ის, რაც კამერული გვეგონა, თავისი მასშტაბით სულაც არ ყოფილა შემოზღუდული.

ახლა მინდა ჩამოვითვალო მისი კარგი ლექსები, პოემები, მაგრამ ვატყობ, რომ იმ წიგნების სარჩევი უნდა გადმოვიწერო თითქმის, რომელიც სხვადასხვა დროს გამოსულა, თუმცა არცთუ ისე ბევრი არიან ისინი. რა ხდება? უველა პოეტს აქვს ცული ლექსი და ოთარ ჭილაძეს რატომ არ ექნება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ იგი დაბეჭდვამდე თვით, შეუბრალებლად, ალბათ უველა კრიტიკოსზე შეუბრალებლად ეპურობა თავის სიტყვას. იგი შესაშური უკომპრომისობით ქმნის არა მარტო საკუთარ მხატვრულ ტექსტს, არაედ საკუთარ შემოქმედებით თუ პიროვნულ მეობას.

სწორედ ასეთ დამოკიდებულებას საკუთარი შემოქმედებისადმი და, მე ვიტყვდი, ცხოვრებისადმიც, მიესადაგება მისივე სიტყვები:

„მერე ჩვენ ეძერწათ საკუთარ სახეს იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით“.

ოთარ ჭილაძის პროზისა თუ პოეზიაში იგრძნობა თავის თავში დაქერბებული სიტყვითხელვანი და სიტყვისმოქმედი, მაგრამ იგი სულაც არაა თვითდაჭერებული, იმ შიშისგან თავისუფალი, რის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია კემშარიტი ადამიანი და, მით უფრო, კემშარიტი ხელვანი.

ამიტომაც იგი დანაწებით რომ იტყვის:

„მე კი ვერაფრით ვერ მიპოვინა

სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს“.

კოზა იმედაშვილი

„ბახსოვდეს სიცოცხლე“

ან მღელვარე მოლოდინით დაელოდება იმ ბოლო წამს, როდესაც ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა დაერქვას:

„მე შეშინია იმ ერთი წამის,

იმ ერთი წვთით თავლის თუ შხამის...“

ფუჟია ეს შიში.

ოთარ ჭილაძე შემოქმედის იმ ცხოვრებით ცხოვრობს, რომ მას თავისუფლად შეუძლია გაუსწოროს მხერა სინამდვილეს, რადგან მისი „სული, როგორც სანთელი საკუთარ სხეულს წვას და ანთია“.

როგორც ზემოთ ვთქვი, და ეს აღიარებული ქეშმარიტება, ოთარ ჭილაძესა და მისი თაობის პოეტებთან არის დეკავშირებული თანამედროვე ქართული ლირიკული პოემის დადგინებაც. იმ სიცარიელის ამოვსება, რაც ტრადიციული პოემის მნიშვნელობის დაკნინებამ გამოიწვია. ჩემის ჯარით, ეს პოემაში მინც გადაჰყვითნ და გაამდიდრებენ ერთმანეთს, მაგრამ ჭერ-ჭერობით ქართულ პოეზიაში მაინც ლირიკული პოემა დომინირებს, მისი წარმოდგენა კი ოთარ ჭილაძის პოემების გარეშე შეუქმნებელია.

ეს პოემები იყო უშუალო შედეგი და, ამავდროულად, სხვა მოვლენებთან ერთად, განმსაზღვრელი 60-იანი წლების საზოგადოებრივი თუ ლიტერატურული აზროვნებისა, რაც გამოვლინდა პიროვნებისა და ყოველივე პიროვნულის წინ წამოწევაში, მოვლენათა პიროვნებისეულ შეფასებასა, მორალურ-ეთიკურ განსჯასა თუ ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობაში.

აღბათ სწორედ ამიტომ ოთარ ჭილაძის პოემებში მთავარი მონაცემი ამბავი კი არ არის, არამედ პიროვნების მიერ ამ ამბის განცდა, გაანალიზება, განსჯა.

ისიც ზაზგასამდლოა, რომ ადამიანი ოთარ ჭილაძის ლირიკულ პოემაში, ისევე, როგორც შემოქმედებაში, კავშირთა ერთიანობა, ადამიანურ ურთიერთობათა ჭამია და ამ ერთიანობის დარღვევა ყოველთვის დრამატულია, თუ ტრაგიკული არა.

ადამიანური კავშირები ოთარ ჭილაძესთან გმირის რეალური უფის დროის მიღმა ვრცელდება. სწორედ ამიტომ მიმართა მან ჭერ კიდეც თავის ლირიკულ ლექსებში სიმბოლოებსა თუ მითებს, ხოლო შედეგ ლირიკულ პოემებში — „დევეებით სავსე ჭული“ (1961), „თიხის სამი ფირფიტა“ (1962), „სიყვარულის პოემა“ (1968) — გაითავისა ზღაპრისა თუ მითოსის მოტივები. მაშინ ჩვენ ჭერ კიდეც ნაკლებად ვიცნობდით ან სულ არ ვიცნობდით სამხრეთ-ამერიკულ რომანს თავისი დაუოკებელი ფანტაზიითა და მითთან მიზრუნებით და, თქმა არ უნდა, ოთარ ჭილაძის ამ მიდრეკილების საფუძველი ქართულ პროზასა და პოეზიაში უნდა ვეძებოთ. ეტყობა, ყოველივე ეს განსაზღვრა შემოქმედის პიროვნულმა თავისებურებამაც, სინამდვილის ცდის, განსჯის და ასახვის თავისებურებამაც, რასაც ჩვენ ხშირად ვვიწყებთ ხოლმე. (ავტ.)

შენიშნავს კიდეც ოთარ ჭილაძე «Вопросы литературы»-ში (1980, № 8): „პირადად მე ადამიანი მაინტერესებს დროისა და სივრცის უსასრულობაში, რამდენადაც არასოდეს არ ვიცი წინასწარ, როლის როგორ მოქცევაში, მიუხედავად მისი ბუნების საოცარი საშუაროსა; ადამიანი მხოლოდ გარეგნულად ემორჩილება ცვალებადობას, ხოლო შიგნით, სულის სიღრმეში, ახლაც ისეთივეა, როგორიც თავიდანვე „შექმნა ღმერთმა“. და მაინც (მე გეონია, სწორედ ამაშია მისი მომხიბვლელი), მიუხედავად უკვე საპატიო ასაკისა, მიუხედავად საქმად დიდი გამოცდილებისა, ყოველ წუთს მზადაა იმავე შეცდომის ჩასადგენად, რის გამოც გუშინ თვითონვე დაზარალდა ყველაზე მეტად. შეიძლება, ამანაც განაპირობა ჩემი მიდრეკილება ისტორიისა და მითოლოგიისადმი...“ და კიდეც: არც ისაა გამორიცხული, ჩემი, როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული როლი ჩემი სამშობლოს ბედს რომ ეთამაშოს. როცა საქართველოს ისტორიას კითხულობ, ძალუწებურად მითოლოგიურად იწყებ აზროვნებას; ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქმის ღმერთმა უფრო სწორედ, ღმერთებმა, ამ პატარა ქვეყანას სიცოცხლის შესაძლებლობები წაართვის, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვდავება აჩუქეს, უკვდავება კი, მოგეხსენებათ, სიცოცხლეზე გაცილებით ძნელია“. ადამიანის სულის მოძრაობის საჩვენებლად საჭირო გახდა იმ სიღრმეებში ჩაწვდნობაც; რაც ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთმიმართებაშია საძიებელი. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხატვრული გამოუმსხველმითი ზერხების გამრავალფეროვნებითა და გართულებით, სიტუციის ახალი მნიშვნელობით დატვირთვით. სიტყვა კი ოთარ ჭილაძისთვის მეტად რთული რამაა, რომელსაც ებრძვის, იმორჩილებს, მაგრამ რომლის ერთგული რაინდიც ვახლავთ იგი. ჭერ კიდეც ამ ოცი წლის წინ ამბობდა პოეტი პოემაში „დევეებით სავსე ჭული“:

„ძვირფასო! სიტყვას აქვს თავის ფასი,

ზომა და წონა, სუნი და ფერი

და ისიც ყველა ჩვენგანის მსგავსად

იციის, ტირის, ოცნებობს, ღელის.“

ოთარ ჭილაძის პოეზია შინაგანი დრამატიზმით ხასიათდება, მისი ყოველი პოეტური ნაწარმოები სულიერი ტკივილის უკუფენაა და ამდენად, ჩვენშიც ტკივილს ბადებს, მაგრამ მშვენიერია ეს ტკივილი, მშვენიერი, რადგან ხელმოვნიშნათა განსირობებელია.

სწორედ ასეთი დამოკიდებულება სიტყვასთან, ადამიანთან, დროსთან იქცა ოთარ ჭილაძის პროზის საფუძვლადაც.

პროზაში ეს თვისება მწერლისა უფრო გამო-
ძაღვრდა, რაც თვით პროზის შინაგანმა ბუნება-
მაც განაპირობა და იმ პრობლემის ტრაგიკუ-
ლობამ, რაც პროზაიკოსის დაუნივრებელი კვლე-
ვის საგანი გახდა: ერისა და პიროვნების ყოფნა
ისტორიაში, მისი გაძლგება. თუ ოთარ ჭილაძის
პოეზიაში სამშობლოს თემა ამა თუ იმ ლექს-
სა და პოემაში იჩენს თავს, პროზა მთლიანად
სამშობლოს ტკივილითაა სავსე. სწორედ აქ
ხდება მხატვრული რეაქციება საქართველოზე
ნათქვამი მისივე სიტყვებისა:

„ჩემო ქვეყანა!

მაინც მოვედრე,

მაინც გადავჩიო ნაადრევ წერტილს

და ესუთნეთ ისევ“.

მაგრამ ისიც სათქმელია, ისიც ხაზგასასმელია,
რომ ერის ტრაგიკული ყოფა, მისი წარსუ-
ლის ტრაგიკული განცდა უკავშირდება ერის
მომავლის იმედთან ხედვას.

სამშობლოს დრამატული განცდა და მისთვის
მსხვერპლმწერის მზაობა განაპირობებს ოთ-
არ ჭილაძის შემოქმედების არა მხოლოდ ხა-
ნათის, არამედ მისი მუშაობის რიტმსაც, შთა-
გონების გამძაფრების ხარისხსაც.

70-იან წლებში იგი ზედისეულ აქვეყნებს სამ
მხატვრულად და პრობლემურად მეტად
რთულ რომანს — „გზაზე ერთი კაცი მი-
დიოდა“ (1972), „ყოველმან ჩემთან მოვედნე-
მან“ (1976) და „კინის თეატრი“ (1981).

პირველ რომანში („გზაზე ერთი კაცი მი-
დიოდა“) საქართველოს მითად ქცეული წარ-
სულობა ასახული, მაგრამ აქ მითი დამიწებუ-
ლია. ქრესტომათიული მითის გმირები რეა-
ლურ ადამიანებად ცოცხლდებიან.

ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიო-
და“ თავიდანვე კარგად იქნა მიღებული მკით-
ხელთა მიერ და კრიტიკამ სათანადოდ შეა-
ფასა. გულამ გვერდწიელი, მაგალითად, „ლი-
ტერატურულ საქართველოში“ (1979, 24 აგ-
ვისტო) წერდა: „ოთარ ჭილაძის რომანი „გზა-
ზე ერთი კაცი მიდიოდა“ ქართული მწერ-
ლობისათვის სრულიად უჩვეულო, თვისობ-
რივად ახალი მოვლენა და ფართო მასშტაბით
თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ნა-
წარმოებია.“ თვისობრივ სიახლედ კრიტიკოსს
ის მიაჩნია, რომ ოთარ ჭილაძემ მითს მოხსნა
ღვთაებრივი შარავანდიდი, გააშთვლა, დაამი-
წა იგი, დაუპირისპირდა მას, დაანგრია სამყა-
როს მითოსისეული მოდელი და ყველაფრის
მიწეში და შედეგი რეალურადაა დაძვინა. სავსე-
ბით გასაზიარებელი მოსაზრებება, ოღონდ ერთი
შენიშვნით, მითთან დაპირისპირება ან დამი-
წება მითოსისა, თუნდაც პაროდირება 60-იანი
წლების ქართულ პროზაში ასე ტრადიციულად
არა, მაგრამ მაინც იჩენდა თავს თამაშ ჭილა-
ძესთან, არჩილ სულაკაურთან, ნოდარ წულე-
ისკირთან, თუმცაღა ტექსტის აგების პოეტო-

ლოგიურ პრინციპად იგი პირველად მართლაც
ოთარ ჭილაძის ამ რომანშია გამოყენებული.

არგონავტების ცნობილი მითის ფრაგმენ-
ტებისა და მითის მიერ ათვალისწინებული უფ-
ლისწული კი არაა, არამედ მეფე მინოსის მიერ
კოლხეთის მიწაზე მკაცრული მიწით ჩამო-
თესილი უგვარტომო ბოჯარი. ვერძის ფრე-
ნაც მისტეფიკაცია, მინოსის მიერ ჩაფიქრებუ-
ლი და ოსტატურად მოწყობილი. „მწერალი
არგონავტების მითის ყოველ დეტალს, ზემო-
ხედის ნების მსგავსად, საგანგებოდ ხდის ყოფი-
თად, ღვთაებრივი ნების ნაცვლად წმინდა აღ-
ამიანურ ვნებად წარმოაჩენს. სხვა შემთხვევებ-
ში კი, როცა თავის შეიზოულ სიუჟეტს ამუ-
შავენ, რომელსაც უკვე არაფერი აქვს
საერთო მითთან, სულაც არ ერიდება, პირიქით,
უხადავს იმველივის ზღაპრულსა და ფან-
ტასტიკურ ხერხებს“ (გ. გვერდწიელი). აქვე
უნდა დავუმატოთ მითის უზოგადესი ლოგიკით
იგი თვითვე თხზავს მითებებს, იქნება ეს ბა-
ხუსის ანალოგია ბახა, თუ „უცნაური ცოლ-
ქმარი“. ფოთოლა და ბოჩია, მარადიულად
ახალგაზრდანი და შვილიერნი, ერის სიო-
ცხლისუნარიანობის სიმბოლო. ბოჩია კვდება
მანის, როდესაც ქვეყანა საბოლოოდ გადაგ-
ვარდება. ესეც მრავლისმთქმელია. რომანში
სხვაც ბევრია მითის თუ ზღაპრის ლოგიკით
შექმნილი სახე-სიმბოლო, მაგრამ მთავარი მა-
ინც დროს გაგება, კონკრეტული და მუდმივი
დროს ურთიერთმიმართება (რომელიც ოთარ
ჭილაძის სხვა რომანებშიც იჩენს თავს), რაც
ყოველივეს მუდმივობის შეგრძნებას ბადებს,
აფართოებს რომანის საზღვრებს; ტექსტი თით-
ქოს მითიურ კოლხეთზე მოგვითხრობს, მაგრამ
საქართველოს მთელი ისტორია იგულისხმება
მასში. ყოველივე ეს შეიძლება საქართველო-
ში ყოველთვის მომხდარიყო და ხდებოდა კი-
დეც, იმდენად ზუსტად არის აქ დანახული
ქართული ეროვნული ხასიათის ავ-კარგი და
ამოცნობილი ქართული ყოფის ტრაგეზმია.

ერთი მაგალითი. ვანა ვანის დაცემა თბილი-
სის დაცემის (1895 წელს) ანალოგიურად არაა
[მსგავსი ტიპოების, საერთო ადგილების, და-
ძებნა კი მრავლად შეიძლება]: „ახალმა და-
ლატმა კიდე უფრო გააცეცლა და დააბეჩა-
ვა იგი“ (აიეტი — კ. ი.). „ამდენი ხნის ნათმენ-
მა ჭავრმა და უბედურებამ ერთბაშად დარია
ხელი აიეტს და მისი პირადი მცველები იძუ-
ლებულნი გახდნენ, თოკებით გაეკოჭათ ეს ლო-
მავით მძევნარი კაცი და ასე გაეკოჭილა გე-
ტაცით მისივე ქალაქიდან“. „დაუპოვებელ მდი-
ნარესთან ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. მტრ-
ედის ფეხებივით გაეწითლებინა სისხლს ტი-
რიფებისა და ძეწების ქათამთა ძირები. თუმ-
ცა აიეტი იქ აღარ იყო, მაგრამ მისი ერთგუ-
ლი მეომრები ფეხს არ იცვლიდნენ და უკან-
აქნელ კაცადღე ჩაიხივნენ კიდეცა“ (შეუ-

დართე ერეკლეს მიერ ქალაქის დატოვებას და სამაის არაგველის სიკვდილს — კ. ი.

„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ კონკრეტული ეპოქის ამსახველი ისტორიული რომანი არაა, მაგრამ იგი ერის ისტორიის ზოგად ხასიათს ასახავს, ამ თვალსაზრისით კი უღაოდ ისტორიულია. სხვათაშორის, ოთარ ჭილაძის შემდეგი რომანები უფრო ზუსტად უკავშირდებიან თითქმის კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს; შეიძლება ვილაპარაკოთ კონკრეტულ დროზე, ადგილზე (თუმცა ეს მეორეხარისხოვანია და ნაყოფად განსაზღვრავს ამ რომანების ხასიათს), ამ რომანში კი მინიშნება — მითი აი-ერტე — მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ რომელიმე კონკრეტულ დროსთან ამ რომანს კავშირი არა აქვს, იგი ქართველი ერის არსებობის მთელ ისტორიაზე პოციტირებული, რომელიც დაუსაბამო და უსასრულოა.

ამ რომანში, როგორც პ. ჰირში შენიშნავს:

„დრო ჭერ კიდევ არ არის ისტორიული, ის ყოვლისმომცველია, განუყოფელი, სამაგიეროდ ეღაა დღესა და შემთხვევას პირველყოფილი სიცხადე და სიცხოველე აქვს.“ დედალუსი ამბობს: „აღარ გვახსოვს სად დაიწყო ჩვენი ცხოვრება, რომელიც საერთო ცხოვრებაში ათქვეფილა და აღარც დასაწყისი აქვს და აღარც დასასრული.“ სხვათაშორის, ჰეგელის მიხედვით, ეს ეპოსის თვისება გახლავთ: „მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.“

გზაზე ერთი კაცი მიდიოდა ტკივილებით სავსე რომანია. ესაა თხრობა იმზე, თუ როგორ დაჰყარა ხალხმა თავისუფლება, პარადოქსია და სიკეთის გამო ხალხმა ზიანის შეიფარა, „წღვამაც სწორედ იმ დღეს გაზედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან.“ გავა დრო. ყველა სიკეთე გაქრება ვანიდან, გადაგვარდება ხალხი, დამპყრობელი ერის სულსაც წაეპოტინება და მკითხველი შიშობს, ვაითუ აღარაა გზა ხსენისა.

ყველაფერი კი სიკეთით დაიწყო.

რა არის სიკეთე?

სად თავდება სიკეთე და სად იწყება ბოროტება? (ეს ხომ ერთი მთავარი პრობლემაა თანამედროვე ქართული პროზისა).

და თუ სხვისთვის — ზიანისთვის გაწეული სიკეთე შენ და შენს ხალხს ბოროტებად მიუბრუნდება, ღირს კი იმ სიკეთის ქმნა?

სიკეთე თუ ბოროტების თესლს აღმოაცენებს, სიკეთე აღარაა და იგი თავად გადაგვარდება ბოროტებად, რადგან მას უკვე ბოროტება აქვს ჩადენილი.

სიკეთე არ შეიძლება შემგუებული და ყოველთვის მატიბეული იყოს.

სიკეთე მაშინ რჩება სიკეთედ, თუ იგი აქტიურად თრგუნავს ბოროტებას — ყოველთვის და ყველგან.

ეროვნული თვალსაზრისით ეს ჭკუისხასისვ-ლი გაკეთილია რომანისა „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

აქ სხვა რამეცაა ნათქვამი: აიეტს შეუძლია შერჩერება ქვეყნის წგრევა და სიკეთის წლაბმოსილი უწიათობა დაუფლებია; ბედიამ იცის, რაშია საქმე, როგორ ეყარგებათ ჯევა — სიძლიერე და თავისუფლება და ვერცის ვერაფერი შეასწინა, უხერია — ბრმა იარაღია სხვათა ხელში, რასაც გვიან ხვდება... როცა მეფე, მეომარი და ხელოსანი თავის საქმეს დაივიწყებს, ქვეყნის დასასრული მაშინ დგება.

და კიდევ. ვანში ცხოვრება ერთბაშად კი არ შეიცვალა, რაც ძნელი იქნებოდა და ვერ-დასავეწყებელი, არამედ თანდათან, შემუწნეულად, შეპარვით და ესაა ყველაზე ამაზრენი. აქაა გამოვლენილი თანდათანობით ცვალებადობის, დეგრადირების საშინელება და მექანიზმი. ერის გადაგვარების საშიშროება სწორედ ამ თანდათანობით ცვალებასა ჩაფარულია.

როცა ერი მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბრძოლას აგებს, მიჯნე ბრძოლის წაგებისა იმ დღეებში უნდა ვეძებოთ, როცა ბრძოლის იქნებ არც არავინ ფიქრობდა, რადგან მტერი არსად ჩანდა.

„თავის დროზე მას (ხალხს) გასავლელი გზა აინტერესებდა და არა გამოვლილი. გამოვლილი მისი აღარ იყო, ის მკვდრებს ეკუთვნოდა, მკვდრების ქვეყანას ემატებოდა. გასავლელი კი მარტო მისი იყო. მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა, უკან მოუხედავად წინ ველარ წავიდოდა.“

„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა,“ ერის ბედზე ზრუნვით, ერის ბედით და ავბედობით ნაყარ-ნახევი ეპოსია.

ერთ-ერთ საუბარში ოთარ ჭილაძის უთქვამს: „როდესაც პირველი რომანი დავამთავრე, უკვე ვიცოდი, რომ წერა უნდა გამეგრძელებინა. ყოველი ნაშრომი, თუ ის სიცოცხლისუნარიანია, ბევრ სხვა ნაწარმოებს იტევს თავისთავში. თუ ძალა შემწევს, ეს სამუშაო, ბუნებრივია ამ თვალთახედვით გაგრძელდება.“

გაგრძელდა კიდევ. მეორე რომანი „ყოველმან ჩემმან მოვწენლმან“ — კვლავ ერის ისტორიული ბედით თუ უბედობით არის ნაყარ-ნახევი. ერის შეხედვით აქ თითქმის უარია ნათქვამი მითოსთან იმ მიხედვებით, თუ მითოსის განგების განძარცვაზე, რამაც ათვითა წარმატება მოუტანა პირველ რომანში. დრო ფორმალურად ლოკალიზებულია — XIX საუკუნე, გვირგვინ ამ ეპოქის შესატყვისი აღმანიანი არიან, ადგილიც საოქმედო რეალურად არსებულია, გარდა ურუქისა (და ეს მითება აქ არაა შემთხვევით მოხმობილი), მაგრამ მოჩვენებითია ეს ყოველივე. ტექსტის პოლივალენტურობა, დროის განუსაზღვრელობა

ბა, პერსონალთა ორმაგობა (რეალური და სიმბოლური მნიშვნელობა სახისა), მოთმეზზე მინიშნება თუ მითის ლოგიკით კონსტრუირებული პასაჟები უდაოდ გვარწმუნებს იმაში, რომ ავტორი მითოლოგიური სიუჟეტის ინტერპრეტაციაზე მხოლოდ იმიტომ ამბობს უარს, რომ მითის ზედროული ლოგიკით უფრო ღრმად ჩაწედეს სინამდვილეს, უფრო ღრმად ასახოს იგი. ავტორი თვით ჰქმნის ხელოვნურ, მხატვრულ მითსა და მოთმეზს. რომანის — „ყოველმან ჩემთან მოკვნილმან“ აგების პოეტოლოგიური პრინციპი მითისქმნადობაა, რეალობაში მუდმივობის ამოცნობა და ასახვა, ეროვნულ სასიათსა თუ ყოფაში, მის ისტორიაში უცვლელ სიდიდეების წარმოჩენება. ამ რომანში ისტორიის რეალობის თითქმის მითად ქცევასთან გვაქვს საქმე. ყოველშემთხვევაში, მითოლოგიურება არის ამ ტექსტის აგების პოეტოლოგიური პრინციპი და მისი გმირთა ბედის ერის ბედთან თანაზიარობის მიმანიშნებელიც.

საერთოდ, მითოსური არქეტიპები, მოდელები, მოტივები, დაბოლოს, მითისქმნადობა ამ რომანების პოეტიკასა თუ კონცეფციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ამიტომ რემითოლოგიურების პროცესზე 60—70-იანი წლების ქართულ მწერლობაში ორიოდ სიტყვა აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ გასაგები გახდეს ხასიათი ოთარ ჭილაძის პროზისა.

მოგვხსენებთ, რემითოლოგიურება თუ დემითოლოგიურება ლიტერატურის სიღრმისეული პროცესების გამოვლენაა, მას თავისი მიზეზები აქვს, თავისი კანონები და არ არის დამოკიდებული არც ამა თუ იმ შემოქმედისა და არც დროის კაპრიზზე.

ჭერ კიდევ სამოციან წლებში ქართულ პროზასა თუ პოეზიაში მითოსს, როგორც მხატვრული აზროვნების იმპულსს, როგორც ეთიკური კონცეფციების პირველწყაროს, მითოსურ არქეტიპებსა და მოდელებს, როგორც ადამიანის ბუნების მუდმივობის დასტურის და ადამიანის ქმედების ასახნელ კოდს. და ეს არაა ეპიკურული მოვლენა: ნოდარ დუმბაძე, კახუა ამირეჯიბი, შოთა შინაინძე, თამაზ ჭილაძე, ნოდარ წულუგისკირი, ოთარ ჭილაძე, გიორგი შატერაშვილი, არჩილ სულაკაური, გურამ გეგეშვიძე, თამაზ ბიბილოვი, გურამ დოჩანაშვილი და სხვანი და სხვანი დიდი წარმატებით მიმართავდნენ და მიმართავენ მითოსს. ასე რომ მსგავსი ნოვაცია ამერიკული რომანისა ჩვენთვის გასაოცარი იყო თავისი მხატვრული ხარისხით და არა მეთოდით.

თანამედროვე შემოქმედი ვერ ასცდება მსოფლიო ხელოვნების ფარვატერსა თუ ტრადიციებს, მაგრამ ბუნებრივია, რომ ეროვნულად ისეთი მნიშვნელოვანი მწერალი, როგორც ოთარ ჭილაძეა, უპირველესად მაინც

ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციებს ეყრდნობა. საუკუნეების სწავლება მეში რომ არ წავიდეთ, უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქართული მწერლობა იძლევა მითოსთან მიახლეობის, მითის ინტერპრეტაციის ისეთ მნიშვნელოვან ნიმუშებს, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას პოემები, მისი ზეარსული ბუნების ადამიანებით, ცნობიერისა და არაცნობიერის ძალუმი ბრძოლით, ხასიათის პერსონაჟებად დაშლით, თავისუფლების, სიცოცხლისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით.

შოგი პრინციპული რამ ამ მიგნებათაგან ჩვენ მწერლობაში, 20-30-იან წლებში დიდის წარმატებით იქნა გამოყენებული, სადაც მითოლოგიურება და ცნობიერების ნაკადისთვის დამახასიათებელი ნოვაციები ქართული მწერლობის ტრადიცია და ევროპული ლიტერატურის უახლესი მიგნებანი ორგანულადაა შენივთებული ერთმანეთთან.

თავისი ტრადიციები მოიპოვება ქართულ მწერლობაში მაგიურ, მე-ფიტყული, სასწაულ-ებრივ ფანტასტიკასაც. ასეთი რამ ჭერ კიდევ ჩვენს პირველ და სრულყოფილების მხრივ საოცრ ძეგლში, „შეშანიის წამებაში“ (V ს.) იჩენს თავს (როგორც კანონიკური პასაჟი საერთოდ მარტივოლოგიური ჟანრისა), შემდეგ არა მარტო სასულიერო მწერლობაში, არამედ საეროშიც, თუნდაც მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანთან“ (XIII ს.), მაგრამ ყველაზე დაუჭრებელი და ბუნებრივი ეს სასწაულებრივი ფანტასტიკა (ისევე, როგორც მოთმეზები) მაინც გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ (XII ს.) იჩენს თავს. ერთი მაგალითი: ქაჭეთის ძნელად შესაღწევ ციხეში ფატმანის გრძნეული მსახური საოცრად სწრაფად შეფრინდება და მოურინდება, მოლს ანუ ნაბაღს რასმე წამოისხავს, შეუმჩნევლად შეიპარება ციხეში და ნესტანის წერილს მოუტანს ფატმანს. ეს ზესწრაფი და უჩინარი მსახური თავისი ჭადოსნური წამოსასხამით მხატვრული ტექსტისთვის აუცილებელი და ლოგიკურად გამართლებული [გვიხსენით აქვე აღმოსავლური მწერლობის უდიდესი ტრადიცია ჭადოსნულის ასახვისა თუნდაც „ათას ერთ ღამეში“ ისევე, როგორც მხტვრული ტექსტის შინაგანი კანონებით გამართლებულია ოთარ ჭილაძის რომანში ზნეობაშერყვნილი ქალაქიდან ზღვის გაქცევა („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, 1972) და მარკესთან დიქტატორის მიერ ზღვის გაყიდვა („პატრიარქის შემოდგომა“ — 1974). ორივეგან გჭერეთ ეს დაუჭრებელი ამბავი — ტექსტის შინაგანი ლოგიკა გაჭრებით, რადგან მართლდება მოლოდინი — მოთხოვნა მკითხველისა.

სხვათაშორის ამ ფანტასტურ პასაჟს ოთარ ჭილაძესთან, როგორც შენიშნულია კრიტიკა-

ში, მეცნიერული ჰიპოთეზა უდევს საფუძვლად. რომლის მიხედვითაც ისტორიული კოლხეთის დედაქალაქი ვანი იყო [სადაც გათხრებმა დიდი კულტურის კვალი აღმოაჩინა] და არა ახლანდელი ქუთაისი. შემდეგ ზღვაში დასავლეთით დაიხია და ამიტომ აღმოჩნდა ისტორიული ვანი ზღვიდან შორს. რომანის მიხედვით „ეს იმდროინდელი აშხაგია, როცა ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო; როცა კოლხეთის მიწაზე პირველმა ბერძენმა დაადგა ფეხი და მორიბედულად ითხოვა თავისუფალი. ზღვაშე სწორად იმ დღეს გაბედა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ პირველი ნაბიჯი გადადგა უკან.“ ლატვიელი კრიტიკოსი ბ. ბარში შენიშნავს, რომ ადამიანის ბედ-ილაღი ამ რომანში „უფრო ტრაგიკულია, ვიდრე პირველში — არაფერი აღარ გრჩება, რასაც შეიძლება დაეყრდნო. ყველაფერი წართმეულია — თავისუფლება, საყოფარესო თავის მიმართ პატივისცემის გრძნობა, სახლები, სამშობლო. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის ყოველი ცდა მთავრდება კიდევ უფრო დიდი დამცირებით.“ (კრიტიკა, 1982, № 4, გვ. 127). ეს ყველაფერი რომანში არის, მაგრამ ასე მძიმედ არ მთავრდება იგი. პირიქით, სიყალბეზე, სიცრუეზე, ძალადობაზე აგებულ სამყაროში ცხოვრების შინაგანი ლოგიკით ამოწვევრება სიყვარულის ყლორტი. სიყვარულია ის ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც ადამიანს საკუთარ ქვენა გრძნობებს და ათრგუნინებს, სიყვარულია ის ძალა, რომელმაც ხალხს უნდა მონახინოს თავისსავე თავში გადაარჩენის უნარი. თუ ერთმა სძლია თავისთვის და სიყვარულით ამაღლდა, ბევრიც სძლევს და ამაღლდება, რადგან „ერთი საფუძველი მრავლისა, ერთით იწყება სათვალავი, და როგორც ხალხი შეიძლება დავიდეგ ერთმად, ასევე შესაძლებელია „ერთი იქცეს ხალხად.“ („კრიკის თეატრი“, გვ. 168).

„რომანის კითხვისას რაღაც ტრაგიკულ ამბავსაც უნდა აღწერდეს ავტორი, მკითხველს ერთი წამითაც არ ტოვებს მხნეობისა და იმედის განწყობილებას, ადამიანის შინაგანი ძალის რწმენა. ჩემი აზრით, ეს გრძნობა, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ ადამიანი მხოლოდ ტრაგიკულ სიტუაციაში ავლენს თავის არსს, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ რომანის მეორე პლანი გამუდმებით მიგვანიშნებს უნაპირო სიცოცხლის მრავალფეროვნებაზე“ (აკაკი ბაქრაძე, „კრიტიკა“, 1976, ვ. გვ. 73).

რომანში ქაიხოსრო მაკაბელის ოჯახის ისტორიაა მოთხრობილი, ამ ოჯახის ოთხი თაობისა, რაც ერთ საუკუნეს მოიცავს, XIX საუკუნეს. ახლა, შორიდან რომ ვაკვირდებით ამ ტრაგიკულსა და რთულ საუკუნეს საქართველოს ისტორიისა, ვხედავთ, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თაობები — მსოფლ-

მხედველობით, ცხოვრების წესით, მიწებით, თავის თავთან თუ სამშობლოსთან, სიცოცხლე-თან თუ სიკვდილთან მიმართებით. ოთხი კი-ლაძის მიერ ასახული მხატვრული სინამდვილე ემთხვევა ჩვენს წარმოდგენებს რეალური სინამდვილის შესახებ (ყოველშეშეხვევაში, ავტორი გვიქმნის ამ ილუზიას), ემთხვევა კონცეფციების დონეზე (და ამ თვალსაზრისით, ეს რომანი უდაოდ ისტორიული რომანი გახლავთ), მაგრამ ავტორი რომანისა იმდენი მოულოდნელობის წინ გვაყენებს, ჩვეულება-რაც ყოფილობაში იმდენს ზოგადეროვნულსა და ზედეროვნულს აღმოგვაჩენინებს, რომ რომანის ვერც სამოქმედო არსს, ვერც დროს ვერ შემოწმულდავ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოთი (ამ თვალსაზრისით იგი სცილდება ისტორიული რომანის საზღვრებს).

რომანში „ყოველმან ჩემმან მოვენელმან...“ ძმა უპირისპირდება ძმას, მოყვასი-მოყვასს, სიძულვილი წარმართავს პროტაგონისტის (ალექსანდრე) ქმედებას, თითქმის რეალურებულია ბიბლიური მოტივი (კაენი — აბელი), მაგრამ ეს შთაბეჭდილება შემდეგ ქარწყლდება. ადამიანი თრგუნავს სიძულვილს, ალექსანდრე მიდის ციმბირში ძმასთან და მისი ობლით ბრუნდება შინსიკენ. მაკაბელების ოჯახის სიყალბისა და სიძულვილის ფესვზე სიყვარულმა გამოიტანა ყლორტი. ანას ფესვმა იხარა, ანასა და ბაბუცას მყარმა, შეუღრეკელმა სიკეთემ ბოლოსდაბოლოს მაინც თავისი გაიტანა. ანეტა და მისი ტრაგიკული ბედები — სიყვარულისა და სიყვარულით გამარჯვება.

თავისებურია ეს რომანი — თითქმის ისტორია, მაგრამ, ამავე დროს, ავტორითიც (ვაიხენეთ მარადიული სახე ქალისა რომანის თავსა და ბოლოსში), კონკრეტულ ადამიანთა ცხოვრება, მაგრამ იმავე პერსონაჟთა სიმბოლოს დონემდე აყვანა (ანას, თათრისა და მაიორის ბედში ხომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის ქართული სინამდვილეა დაშოფრული).

ქაიხოსრო მაკაბელის ოჯახის ისტორიაა მოთხრობილი რომანში. მაგრამ ეს მონათხრობი მხოლოდ ოჯახის ისტორია არ გახლავთ. ერის ისტორიაა, მისსავე სხეულში ჩაბუდებული სიყალბის, ბოროტების, სიძულვილის სიკეთედ გარდაქმნის ისტორია. ყველაფერი კი იმით იწყება, რომ თვით ქაიხოსრო მაკაბელი, ოჯახის თავი, სხვის გვარს ატარებს, სხვის სახლსა და მამულში ცხოვრობს, მშინშარა გულადი ჰგონიათ, არაფრისმქონე — მდიდარი, რაც სხვას სიყვარულად ეჩვენება, ის სიძულვილია, უხეიროდ შენილბული, მისთვისაც და სხვა-თათვისაც მხოლოდ ვნების მშობნა. სიყალბე საწყისია ტრაგედიისა პიროვნებისთვისაც და ერისთვისაც.

სიძულვილზე და სიყალბეზე დაფუძნებული ოჯახი ინგრევა. ინგრევა ქვეყანაც. განსაკუთ-

რებით მკვეთრად ეს კონცეფცია თავს იჩენს პირველ ორ რომანში, ამიტომ ყველაფერი და უპირველეს ყოვლისა, აღამიანი უნდა დაუბრუნდეს თავის თავს. დაბრუნება კი თავისთავის შედეგობაა და განათვისუფლების გარეშე არ შეიძლება („რკინის თეატრი“). საერთოდ, პრობლემა სიყალბისა პიროვნულ და ამდენად, ეროვნულ ასპექტში ოთარ ჭილაძის პროზის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. გავისხენოთ ყალბი უფლისწული (ფრიქსე) და ყალბი მეფე (ოუაქადო) რომანიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, საბა ლაფანი „რკინის თეატრიდან“, რომელიც „ცხრა წლის მერე სხვისი ცხოვრებით ცხოვრობდა“, „სხვას თამაშობდა“ და მისი ქუმარატი ბუნება მუნდირში იყო ჩამარბული, როგორც ვვამი მიწაში, რომლის მოსაპოვებლად მისმა მშობლებმა ნაჩევარი ქონება აზნაურობის ყალბი სიგელის შეძენას მოახმარეს“.

სიყალბე დაღუპვის მიზეზია. საბა ლაფანს, ჭილაძის სხვა გმირებისგან განსხვავებით, ეს გაცნობიერებული აქვს. იგი მთელი ცხოვრება თავის თავს ეძებს, რადგან გრძნობს, რომ ყალბი ცხოვრებით ცხოვრობს. ნატოს სიყვარული მისთვის „ნამდვილია“, ამიტომაც მისთვის ერთადერთი იმედიც და რელიგია.

პირველ ორ რომანში სიყალბე უფრო გარდან ხანს, სხვისთვის არის ხილული, ვიდრე თავად გმირისთვის. „რკინის თეატრში“ სიყალბე, ღალატი, თავისუფლების დაკარგვა უკვე თვით გმირის მიერაა გაცნობიერებული, როგორც მის სულში ატეხილი ბრძოლის შედეგი, როგორც საკუთარი მარცხი და უძლურება. ალბათ ამიტომაც „რკინის თეატრი“, მიუხედავად იმისა, რომ წინარე ორ რომანთან ერთ მთლიანობას წარმოადგენს, თავისი შემოქმედებითი მიზნებით, ტექნიკის შინაგანი კანონით და სხვა არსებითი თვისებებით მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ორი რომანისაგან.

„რკინის თეატრში“ გათამაშებული დრამა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულისა და მეოცის დასაწყისის (პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე) ქართული საზოგადოებისა და ქართველი აღამიანის გაორებას, შინაგან წინააღმდეგობას ასახავს. საზღვარი ამ დაპირისპირებულთა ბრძოლისა, ხშირად, ძალზე ხშირად, თვით პიროვნებაზე გადის, ხოგნს მის ხასიათს, ცნობიერებას და არაცნობიერს ურთიერთდინამიკური ცვლილების მოქმედებას. საოცარი ისაა, რომ ამა თუ იმ თითქმის შემთხვევით დაცდენილი ფრაზით თუ საუკვეთოად ცნობილი სიმბოლოს გახსენებით ოთარ ჭილაძე საოცრად ზუსტად და შთაბეჭედავად აღადგენს ეპოქის სულს. ისიც ხაზგასასმელია, რომ თუ პირველი ორი რომანის პოეტკა მნიშვნელოვნად იყო განპირობებული მთაწკარუთა მრედელობით თუ არქიტექ-

ტურით, მესამე რომანის პოეტკას ცნობიერება და არაცნობიერის გაცნობიერებული გაუცნობიერებელი ჭილილი განაპირობებდა, არც მითის ქმნადობაზე უარი ნათქვამია.

ოთარ ჭილაძის ბოლო რომანში ჩემი გაცნობა გამოიწვია სპეციფიური ტექსტის მხატვრულ ტექსტად გადაქცევის შესანიშნავმა უნარმა. მხედველობაში მაქვს ოთარ ჭილაძის მმართველი დიდი ქართველი პროზაიკოსის დავით კლდიაშვილის (XIX-XX ს.ს.) მოგონებების ტექსტთან. „რკინის თეატრის“ ავტორი იმდენად ცვლის, იმდენად ითავისებს, იმდენად ახალი შინაარსით ტვირთავს უკვე არსებულს, რომ პირველწყაროსგან მხოლოდ ის ხაზგასმითი მინიშნება რჩება, რომელსაც თვითვე განგებ არ ერიდება. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მწერლისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რეალობა რა ფორმით ავლენს თავს, შემოქმედისთვის ყველაფერი არსებული მხატვრული განზოგადების საწყისი მასალაა. ასეთი მიდგომით ხელოვნებაში — მუსიკაში, მხატვრობაში, მწერლობაში — ბევრი დიდი ნაწარმოებია შექმნილი და მომავალშიც შეიქმნება, რადგან უმთავრესი ხელოვნებაში განზოგადებისა და ინტერპრეტაციის ხარისხია.

„რკინის თეატრი“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1981 წელს. იმავე წელს დაისტამბა წიგნად, 1983 წელს კი ამ რომანისთვის მის ავტორს მიენიჭა უმაღლესი ნაციონალური პრემია — შოთა რუსთაველისა. „რკინის თეატრში“ გათამაშებული სასტიკი სპექტაკლი 1878 წელს იწყება და პირველი მსოფლიო ომით მთავრდება.

1878 წელს დაიღო რუსეთ-ოსმალეთის ზავი, რისი ძალითაც აკარა და ქალაქი ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა. 1883 წელს გაყვანილ იქნა რკინიგზა — ბათუმი-თბილისი-ბაქო.

90-იან წლებში ბათუმში ჩამოყალიბდა მუშათა პარტიის წრეები ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის ხელმძღვანელობით.

ამავე წლებში იწყება გაფიცვები, ხოლო 1901 წელს უკვე ორგანიზებული გამოსვლაა მუშებისა.

1905 წელს რუსეთის ჭარბი ოფიცერი და ბრწყინვალე ქართველი პროზაიკოსი დავით კლდიაშვილი უარს ამბობს დაბერტოს ბათუმის მუშათა დემონსტრაცია.

1907 წელს მოკლეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, მწერალი ილია ჭავჭავაძე.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. რუსეთის იმპერიის რღვევამ აპოკეს მიადგინა, მომწიფდა სოციალურ-პოლიტიკური რევოლუცია.

აი, ძირითადი ორიენტირები იმ დროისა, რომელსაც ასახავს რომანი.

რომანში ორი ოჯახის ისტორიაა თითქოს მოთხრობილი. მაგრამ ეს წიგნი არაა საოჯახო რომანი. არაა არც რომანი ერთ, რომელიმე გამორჩეულ გმირზე, რადგან ამ რომანს საერთოდ არ ყავს მთავარი გმირი კონკრეტული პერსონაჟის სახით. იგი საზოგადოების სულის იკვლევს და დროის ხასიათის განმსაზღვრელს სწევდა. პანორამას ქმნის, ეპოქის სულია მისი მთავარი მოქმედი გმირი, ეპოქის სული, რომელიც ორთა ბრძოლაში ვლინდება — თავისუფლებისაკენ სწრაფვისა და თავისუფლების დამთრგუნავი ძალის ორთა-ბრძოლაში.

ამ რომანში ფაბულა (ისევე, როგორც ჭილაძის პოემებში) არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს, იგი მხოლოდ მიზეზია მედიტაციისა, საკუთარ სულში ჩაღრმავებისა, პიროვნებათა ქმედების გაანალიზებისა. ამდენად ფაბულა ოშლება სიუჟეტად გმირთა სულში და არა გარე სინამდვილეში. აქ ყველაფერი შიდა მხერგისთვისაა განკუთვნილი.

ოთარ ჭილაძის მხატვრულ ამოცანას არ შეადგენს ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური პანორამის დახატვა, იგი აღამიანების ფსიქიკას იკვლევს, ამდენად, საზოგადოების სულის ისტორიას, მაგრამ სად ხდება და რატომ ხდება ყოველივე, ამის თქმაც ზომ საჭიროა და იგიც მეტად თავისებურად მოგვითხრობს ეპოქაზე, დროზე. ეს თხრობა თითქოს უშუალოა, მოვლენები თავისი რეალური სახელებითაა წარმოდგენილი, მრავალადაც კია წარმოდგენილი, ჩამოთვლილია და აქ უდაოდ თავს იჩენდა მოწვენილობა, ერთ სანტერესს ხერხს რომ არ მიმართავდეს ავტორი, რაც მკითხველის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას ემყარება.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს მახსოვრობაში სტერეოტიპების, არქეტიპებისა თუ სიმბოლოთა სახით ყოველთვის არის დაღეპილი საერთო, კოლექტიური ცოდნის ნამსხვრევები, რაც ასოციაციათა, ალუზიითა თუ კონტრასტული სატების მეშვეობით აღადგენს იმ ემოციურ თუ ინტელექტუალურ ცოდნას, რაც გვკონდა ადრე. მეტიც, მონაცემთა სხვადასხვა კომბინაციით ხდება ყოველივეს გადაზრება, გადახლისება და იქმნება ისტორიული ფონი, ღრმა და, ამავე დროს, ემოციებით დამუხტული.

გავიხსენოთ მხატვრული ტექსტი დაუსრულებელი სტრუქტურაა და ამ სტრუქტურის შესაბამისად და მისსავე (ერთი პრინციპული სქემის) ფარგლებში სხვადასხვა რეციპიენტი სხვადასხვა დროში სხვადასხვაგვარად ასრულებს მას. ეს აზრი შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი კლა-

სიკური ნაწარმოებების მარადიულობისა, მეგონი, სწორედ ეს დაუსრულებლობაა, ვაცხადავთ.

ასე იქმნება ოთარ ჭილაძის რომანში ამ ეპოქის პროფილი, რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ, განიცდიან, და რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ცხოვრებასა და განცდას.

ასე იქმნება ოთარ ჭილაძის რომანში იმ ეპოქის პროფილი — მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან — ვიდრე ჩვიდმეტე წლის რევოლუციამდე — რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ, განიცდიან, და რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ცხოვრებასა და განცდას.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად რამდენიმე უბრალო მაგალითს მოვიტან:

„საქართველო მეცდელი კი არ ყოფილა, როგორც ეგონათ, როგორც უნდოდათ, თურმე მხოლოდ ეძინა, ოდნოდ ღრმად, საღათის ძილით“. (იწვევს XIX საუკუნის საქართველოზე ნათქვამი აკაკი წერეთლის ცნობილი სიტყვების ასოციაციას: „არ მომეკდარა, მხოლოდ სძინავს...“).

„ბაჰალიეთის ტბის ფსკერზე ოქროს აკვანი ჩაედო და შიგ იმედი ჩაეწვინა“ (მინიშნება დიდი ილიას სიტყვებზე: „ბაჰალიეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო“, რომელშიც ერის მომავლის რწმენა ჩანს).

„აჭარაში ჩამოვდი და საქართველო აღმოვაჩინე“ (აკაკის ცნობილი ფრაზა).

„ერთი წუთი მთელი საქართველო დაყრუვებულა თითქოს, ეგზარხოსი პავლეს წყევლა რომ ასრულებოდა...“ (ეროვნული მასშტაბით მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, რომელსაც ცნობილი ქართველი მოღვაწის, დიმიტრი ყუიანის პროტესტი, ხოლო შემდეგ მისი გადასახლება და მკვლელობა მოჰყვა).

თბილისელმა მსახიობმა თეატრის შესასვლელში ბარიკადი გაუმართა ხელისუფლებას, ვითომ ხელისუფლებას თეატრის დარბევა აქვს განზრახული (ცნობილი მსახიობის ლადო მენხიშვილის რეალური ქმედების ანალოგია).

„კი, ბატონო, ქვეყნის სხნა კეთილშობილური საქმეა, მაგრამ გზა სხნისა მრავალბარბაროა“ (შეადარეთ ილია ჭავჭავაძის „განდევაროს“: „სხნა ყველგან არის, მაგრამ გზა სხნისა ასეთი მერგო მე, უბედურსა...“).

ზემოთქმული სიტყვების აზრი, და ეს ყველა ქართველმა კარგად იცის, არ ამოიწურება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით. ტექსტი მრავალმნიშვნელოვანია. მას მკითხველმა უნდა მისცეს მეორე, თითქოს ტექსტს გარეთ მდგომი, მოთხრობელისა და მკითხველის წარმოსახვაში არსებული მნიშვნელობა. არა მარტო ეს ადგილები, არამედ მთელი ტექსტი რომანისა ფაქტურად ამ პრინციპითაა აგებული.

ოთარ ჭილაძის რომანები, საერთოდ, დიდი-
გური რომანებია, სადაც დაშფოთული სამუ-
არო შესაბამისი კოდით უნდა გახსნას ადრე-
სატმა, იმ კონკრეტულმა რეციპიენტმა (მკით-
ხველმა), რომელსაც გაულისხმობდა ავტორი
ტექსტის შექმნის დროს, მაგრამ ვინც არ იცის
ამა თუ იმ ფაქტის, სიმბოლოსა თუ მითების
მნიშვნელობა, ჯანა მისთვის მიუწვდომელია
მხატვრული ტექსტის სიღრმეები? ეტყობა არა
(რაც ოთარ ჭილაძის მეორე რომანის მიმართ
ნოვოსიბირსკის სკოლის მოსწავლეთა ნამუ-
შევრებმა დაადასტურა). საქმე ის გახლავთ,
რომ ჭეშმარიტ მხატვრულ ტექსტში ძალზე
ძლიერია მხატვრული ტექსტის ის პლასტი, რო-
მელიც უშუალოდ მოქმედებს რეციპიენტის
არაცნობიერსა და გრძნობათსამყაროზე.

ჩვენ ხომ ბევრი რამ ხელოვნებაში არ გვეს-
მის, მაგრამ ვგრძნობთ, თუმცაღა ამ დროს
ადრესატისმიერ ცოდნას, ემოციურ მზაობასა
და შემოქმედებით უნარს უდიდესი, ხშირად
კი მაინც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.
რამდენი ბრწყინვალე ბგერა, შეხეტეობია ყრუ
კედელს, ფერი ბრმა თვალს, სიტყვა გამოფი-
ტულ გულს.

ნიჭიერი მარტო შემოქმედი არ უნდა იყოს,
რეციპიენტსაც სჭირდება ნიჭიერება.

„რკინის თიატრს“ ჰყავს ავტორი (გარე-
მთხრობელი და კომენტატორი) მაგრამ, ხშირად,
ჩვენდა შეუმჩნევლად, გარემთხრობელის ნაც-
ვლად იშვიათად თვით გმირი გვიყვება ხოლ-
მე გარდასულ ამბავს. ანალიზებს მას (სხვათა
შორის, ასეთი პოზიცია ჭერ კიდევ ოთარ ჭი-
ლაძის ლირიკულ პოემებში გამოვლინდა მკვეთ-
რად) ან ჩვენს თვალწინ გათამაშებული სცენის
თანამონაწილედ გვხვდის.

მკითხველი უნდა აჰყევს ამ თხრობას, მთხრო-
ბელთან ერთად განიცადოს და საკუთარ
დაუმატოს. უფრო სწორად, ავტორი ჩვენდა
შეუმჩნევლად გვითრევს „თამაშში“. ჩვენს
როლს მისი რეჟისურა წარმართავს, იზღუბა
დროის ზღვარი და მკითხველი ამყარებს კავ-
შირს ისტორიასთან, აცოცხლებს მას და
თვითვე მონაწილეობს მასში.

ჩვენს წინ კი სასტიკი სპექტაკლი თამაშ-
დება, სადაც მონაწილეებს მორგებული აქვს
რესპექტაბელური ნიღბები: მშინაარს — გუ-
ლაღისა, კაცთმოჟულეს — კაცთმოყვარისა,
უნდილს — ენერგიულისა, ეგოისტს — ალტ-
რუისტისა, ურწმუნოს — ღვთისმოსავისა. მხო-
ლოდ ერთია, რომელიც არ იკეთებს ნიღაბს
და რაც არის, ის არის, მასთან აქვს დაცვირე-
ბული მწერალს მომავლის იმედი. ყველა გმირი
ნაღვურდება სულიერად თუ ფიზიკურად, მარ-
ტო ის რჩება — სუფთა, რწმენით სავსე, მო-
მავლისაკენ მიმართული. თავისუფლებისათვის
მებრძოლი, მაგრამ ადრე გადატეხილი თბილი-
სელი მსახიობის შვილი მყავს მხედველობაში,
შვილიშვილი თბილისის გაუბერნიის ცბიერი
მოსამართლისა და ბათუმის სასამართლოს
მხლალი ვეჟილისა, უარყოფა პაპებისა და გაგრ-
ძელება მამისა — გელა.

ოთარ ჭილაძე შესაშური სიღრმით ააშკა-
რავებს შეუსაბამობას ნიღაბსა და ჭეშმარიტ
მე-ს შორის და ადამიანის ფსიქოლოგიის შე-
სანიშნავ ცოდნას აშლავს.

აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ როდესაც ადა-
მიანი თავის არსს ღალატობს — იმსხვრევა,
იღუპება, როგორც სულიერად, ისე ფიზიკუ-
რად. ასე დაიღუპა თბილისელი მსახიობი. ასე
დაიღუპა ნატო.

(დასასრული იქნება)



თეზურ მირიანაშვილი

თავისებური ხმის პოეტი

ეს პატარა წერილი ეძღვნება ერთ შე-
სანიშნავ პოეტს, რომელიც ლიტერატურულ
წრეებში ძალიან კარგად არის ცნობილი.
მაგრამ რაკი პოეტის წარმატების უმთავ-
რეს საზომად ითვლება არა ლიტერატურუ-
ლი საზოგადოებრიობის აზრი, არამედ „ხალხ-
ში გასვლა“, ხოლო ამის კრიტერიუმად მიჩნეუ-
ლია წიგნების ტირაჟი და სახელის გახმაურე-
ბა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი პოეტი
დღეს ჭეროვნად არ არის დაფასებული.

ეს პოეტი გივი გეგეჭკორი, ავტორი უაღ-
რესად თავისებური ლირიკისა. გივი გეგე-
ჭკორს ეკუთვნის რამდენიმე მცირე მოცულო-
ბის ლირიკული კრებული და ერთი რჩეული-
სა თუ ერთტომეულის ხასიათის წიგნი, რომე-
ლიც 1988 წელსა გამოცემული და პოეტის
მეორე მეთხუთსედი საუკუნის მანძილზე განვლილ
შემოქმედებით გზას აცნობს მკითხველს.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ძლიერ გარ-
დაიქნა ჰევენერიება. ადამიანმა სახე უცვა-
ლა გარემოს. უკიდურესად დაძაბულ, ნერვიულ
რიტმს დაუქვემდებარა თავისი ყოველდღიუ-
რი ყოფა. მნიშვნელოვნად გადასხვაფერდა
ადამიანთა ცხოვრების წესი, მათი ურთიერ-
თმობა, თვითონ ადამიანიც საგრძნობლად
გადასხვაფერდა. სხვანაირია, წინაპართაგან
საჩინოდ განსხვავებულია, ეხლანდელი კაცის
სიყვარული, მეგობრობა, სილამაზის განცდა,
ბედნიერების მისეული იდეალი...

ასეთ ეპოქაში ცხოვრობს პოეტი გივი გე-
გეჭკორი და თანამედროვე კაცის სულიერ
ცხოვრებას ბატავს. გივი გეგეჭკორის ინტერე-
სი ორიენტირებულია ადამიანურ განცდებზე,
ინტიმზე. ახალი დროისგან წამოჭრილი ესა
თუ ის პრობლემა მის პოეზიაში უმთავრესად
დგება არა თავისთავად, განყენებულად, არა-
მედ იმის კვალობაზე თუ როგორ განიცდება
ეს პრობლემა ადამიანისაგან, როგორ გამო-
ძახილს პოეზებს სულში.

ახალმა დრომ ბევრი სიკეთე უბოძა ადა-
მიანს, მაგრამ ბევრი რამ დააკლო კიდევ:

დღევანდელი ადამიანი ცხოვრობს გაცილებით
ნაკლებად ლამაზ და რომანტიკულ სამყარო-
ში, ვიდრე მისი წინაპარი. თანამომეტყაგან
ადამიანს დააკლდა გულითადობა, სითბო.
„ჩვენი გრძნობელობა სულ უფრო და უფრო
ჩლუნგდებაო“, — ამბობდა ჭირ კიდევ ოცდა-
ათიან წლებში პოლ ვალერი.

ასეთ ვითარებაში პოეტმა წინაშე სრულიად
გარკვეული შემოქმედებითი ამოცანა დადგა;
პოეზიის ერთი უმთავრესი დანიშნულება ხომ
ადამიანისადმი გარესამყაროსაგან მიუყენებუ-
ლი სულიერი დანაკლისის კომპენსირებაა. პო-
ეზიამ კაცს ყოველდღიური ყოფის დინებისა-
გან დაფარული მაღალი ფასეულობები უნ-
და მოაქვნიდეს, ხოლო რაც მიუღწეველია
რეალურ გარემოში, თავად უნდა მიაგოს
პოეზიამ ადამიანს, — ასეთია გივი გეგეჭკო-
რის მრწამსი და პოეტი აღწევს თანამედროვე
გარემოში სილამაზის და პოეზიის წარმო-
ჩენას, გულითადობის დეფიციტის ეპოქაში
თავის ღეჭის მსხველპის სითბოთი, სინაზით,
სიწმინდით.

გივი გეგეჭკორის შემოქმედებითი ამოცანა
გარკვეულად განსხვავებულია წინამორბედ
პოეტთა ამოცანებისაგან. ახლევ უ რ ი ა მი-
სი სათქმელი და ბუნებრივია, გამოთქმასაც
ახლევ უ რ ა დ საჭიროებს. პოეტი ლოგი-
კურად მივიდა გამოსახვის საშუალებებისა და
ეფფონიის სფეროში გარკვეულ ნოვაციათა
აუცილებლობამდე. მაგრამ მას, ბევრი სხვა
პოეტისაგან განსხვავებით, არ შეპარვია ექვი
ქართული კლასიკური ლექსის შესაძლებლო-
ბებში, არ უცდია მისი საუკუნოვანი სხეუ-
ლის დარღვევა. გივი გეგეჭკორი იმ პოეტთა-
განია, ვინც კლასიკური ლექსის უსაზღვრო
პოტენცია დაგვანახა. ტრადიციულმა ფორმან
გივი გეგეჭკორთან სრულიად ახლებური იე-
რი და ფერადობა შეიძინა. არცაა გარდაქმნი-
ლი სამყაროს კოლორიტი, დაიტია თანამედრო-
ვე პრობლემები, ეხლანდელი კაცის საფიქრალი.
რით მიაღწია ამას პოეტმა? ერთი შეხედვით

ნოუნსური ნოვაციით: ჩვენი დროის სულს სტრიქონთა რიტმი, გამა, მელოდია, ინტონაცია შეუსაბამა. და ეს აღმოჩნდა სრულიად საკმარისი საიმისოდ, რომ კლასიკური ფორმა ორგანულად მორგებოდა ახალ სათქმელს. გივი გეგეპკორმა შექმნა ორიგინალური, ტრადიციულ ლექსზე აღზრდილი მკითხველისათვის ერთგვარად მოულოდნელი პოეზია. ორიგინალურის აღქმა კი უკველთვის გარკვეულ სიძნელესთანაა დაკავშირებული.

ქართველ კაცს „ააკის სკოლის“ ლექსი აქვს შესისხლბორცებული, მისი კაშკაშა ფერადონება, ომახიანობა, უცდურესად დამუხტული და მქუხარ რიტმი, გრძნობათა მაქსიმალური სიმძაფრე. ასეთი იყო ოდიოვანე ჩვენი ლექსი. ჩვენთვის უსაზღვროდ მახლობელი და ძვირფასი. ეს ლექსი ჩვენი არსების ნაწილად იქცა, იქცა საერთოდ ლექსის სინონიმად ჩვენთვის. ამიტომ ექვსი თვლით დავუწყეთ ცქერა ან საერთოდ შეუშინეველი დავგრჩა გივი გეგეპკორისა და მისი სკოლის რამდენიმე სხვა პოეტის შემოქმედება. მათი პოეზიის მკრთალმა ფერებმა, მშვიდმა ღირსმა, ჩუმმა სევდამ და სუსხმა მკითხველთა საგრძნობი ნაწილი ოპოზიციურად განაწყო.

ბევრისთვის მოულოდნელი და მიუღებელი შეიქმნა აღნიშნული პოეტების თემატიკაც (თუმცა ესეც ახალი, გარდაქმნილი ცხოვრებისაგან არის ნაკარნახევი) და მარადიული თემების მართელი დამუშავებაც.

ვერც ლირიკულმა გმირმა დაამყარა იოლად და ერთბაშად კონტაქტი მკითხველთან, რადგან ჩისი ბუნება, სულისკვეთება განსხვავდება ტრადიციულ ლექსთა ლირიკული გმირის სულისკვეთებისგან.

გივი გეგეპკორის ლექსების კითხვისას შეუძლებელია არ იგრძნო, რომ პოეტს გულს უკლავს უკანასკნელ ათწლეულებში უმარავდესი გამოთქმელი და თითქმის გაბატონებული აზრი. მხედველობაში მაქვს აზრი, რომელიც უველას გვსმენია და რომელსაც ზემოთ უკვე შევხვებთ გაკრით: ადამიანის ცხოვრებაში დღეს პოეზიას აღარ აქვს და აღარც შეიძლება მჭირდეს უწინდებურად დიდი ადგილი, რადგან თვით საცხოვრისი ახლანდელი ადამიანისა — თანამედროვე სამყარო არის არაპოეტური; ადამიანს დაუქვეითდა ემოციური პოტენციალი, დაუღრუნგდა მშვენიერების განცდის უნარი და მიზეზი ამისა საძიებელია უახლესი ცივილიზაციის ხასიათში, უდიდესი ტექნიკურ რევოლუციას; ადამიანური ქმედების განმსაზღვრელი ამ სამყაროში — სურთ თუ არა ეს თვით ადამიანებს — სულ უფრო და უფრო მეტად ხდება პრაქტი-

ციზმი, ურთიერთდამოკიდებულებანი უმთავრესად უტილიტარიზმზე მყარდება.

ეს ყოველივე ეპოქის მიერ მოტანილ მდენად, გარდაუვალ ამაღლ არის მიჩნეული. არასასურველ, სამწუხარო, მაგრამ გარდაუვალ ამაღლ.

ამგვარ აზრებს ადამიანთა დიდი უმრავლესობა იზიარებს, ითვისებენ.

გივი გეგეპკორს კი სხვაგვარად სჭერა: მისთვის სიცოცხლეს უპოეზიოდ არავითარი ფასი არ გააჩნია. სამყაროში, პოეტის რწმენით, დღესაც მოიპოვება სილამაზე და რომანტიკა და არც ადამიანს გამოჰფიტვია სული. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე მეტისმეტად სწრაფად, თითქმის ერთბაშად გარდაიქმნა სამყარო. ძველმა პოეტურმა ფასეულობებმა ძალა დაკარგეს, გახუნდა საუკუნოვანი წარმოდგენა პოეტურობაზე, სახეცვლილი სამყაროს პოეტურად აღქმა კი ჭერაც ვერ შესძლო ადამიანმა, ჭერაც აღმოუჩენელია ახალი პოეტური ღირებულებანი. არა პოეზია, არამედ პროზა იქცა ჩვენი ურბანისტული ეპოქის სინონიმად. პოეზია ამ ეპოქას ვერ მიუხადავს ადამიანის წარმოსახვამ.

დღეს ბევრი პოეტი ამოღის გარემოს დეპოეტუზირების რწმენიდან. მათ გარდაქმნილი ეპოქისადმი „უფის აყულებად“ ესახებათ ლექსის „გაპროზაულება“, აშკარად ვულგარული ფრაზებისა და სახეების შეტანა ლექსში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბევრმა პოეტმა ირონიულად დაუწყო ცქერა უმაღლეს სულიერ ფასეულობებს. ამ პოეტთა გაგებით პოეზიის დანიშნულება აღბათ „ბრძნული“ აზრების გამოქმნასა და მკითხველისათვის პრაქტიკული რჩევა-დარიგების მიცემაში მდგომარეობს.

რაც შეეხება გივი გეგეპკორს, მას არასოდეს უღალატია თავისი მრწამსისათვის. იგი ესწრაფვის თანამედროვე სამყაროში აპოკალიფსიკური მკითხველს პოეზია და აღწევს კიდევც ამას. ზოგჯერ სრულიად ყოველდღიურ, „არაპოეტურ“ საგნებსა და ამბებში წარმოაჩენს პოეზიას.

შეგახსენებთ გივი გეგეპკორის ერთ ადრინდელ ლექსს — „ფრანგულის გაკვეთილი“.

ბავშვი ფრანგულის გაკვეთილზე მიდის. ზარს რეკავს მასწავლებლის კარზე. უღებენ. შედის გრილ, მუდრო ოთახში. იწუება გაკვეთილი. კედლის რეპროდუქციის გმირი როდანი იბრძვის და კვდება. აქვეა დეგას ცისფერი ბალერინები. ოთახში სინათლის სვეტი იჭრება დარბაზიდან... ჩვეულებრივ, პროზაულ სცენას ხატავს პოეტი, მაგრამ რა საოცარი პოეზიაა ამ ჩვეულებრივ სცენაში:

კიბის თერთმეტი საფეხური და მოედანი.
უფის წვერებზე აიწი.

დარეკე;

შელი.

შენ შემოგვხვდება ტანმორჩილი ქალის

ლიმილი

და ფანჯარაში შემოჭრილი სინათლის სვეტი.

იქ ოთახია ისე გრილი და იდუმალი ვით

მიმავალი ტყეში ბილივი,

იმ ქალის სახე ბრწყინავს, როგორც

მედალიონი

და მყუდროება დგას ბაზილიკის.

იქ იტანჯება სიყვარულით და სიამაყით და

სარაცივნებს ერკინება შმაგი როლანდი;

და იქ ფრანგული შენს ბაგეებზე

ისე იმტრეფვა, ვით შოკოლადი.

ჯადოსნურია და აბეზარი

ავუარის და ეტრის პრეზანი.

ჯადოსნურია, რაც იმ ოთახში

განმეორდება ხვალაც და ზეგაც,

როცა კედლიდან მწუხრში ცისფერი

ბალღერინებით გაღმოვა დეგა.

შენ თავს დააღწევ მუსლინის ბურუსს,

როცა განდევნის მათ აბაჟური,

ხარ დაბნეული და უსუსური

შენი ლიმილი არის ბავშვური,

შენ უნდა იქნე ტანმორჩილ ქალთან,

უნდა უსმინო, და დაემონო,

მისი ხმა ნაზი ეიოლინოა

და გეფერება მისი ტრემოლო...

ერთ ლექსში გივი გეგეჰკორი ამბობს:

„რა აზრსაც მიანიჭებ, ის აზრი აქვს წუთი-

სოფელს“. შეიძლება ამ სენტენციის პერიფრა-

ზირება: როგორი თვალთაც შეხედავ წუთი-

სოფელს, ქვეყნიერებას ისეთად აღიქვამ.

გივი გეგეჰკორი ცდილობს შეგახედოს წუ-

თისოფელზე ისე, როგორც სულ უფროდა-

უფრო იშვიათად ვუუერებთ მას:

ისე ახლოა დღის დასასრული

და სულ მაღალი,

სულ მაღალი ხეების თრთოლვა...

ისე ახლოა დღის დასასრული

და სულ მაღალი,

სულ მაღალი ტაძრის გუმბათი...

ისე ახლოა დღის დასასრული

და სულ მაღალი,

სულ მაღალი ცის კიბეები...

ისე ახლოა დღის დასასრული

მზეზე გამთბარი ლოდების სიბოლო...

ისე ახლოა თეთრი თითები,

რომ ჩემს ხელებში ცახცახებენ თეთრი

თითები,

ისე ახლოა თეთრი თითები,

რომ ნაგეცხიან აქცელებულ

ხელებით მიმაქვს თეთრი თითები...

და ჩემში უფრო ძლიერ გაღმოდის

მზეზე გამთბარი ლოდების სიბოლო...

ადამიანთა გრძნობელობის დაჩლუნგება მართ-
ტო პოლ ვალერიმ როდი დაიჩივლა. ^{საქმე} ^{ფიქრი}
ფრანგი მხოლოდ ერთია მრავალთაგანს ^{მრავალთაგანს}

მაგრამ არც პოლ ვალერი და არც რომელი-
მე სხვა ჭეშმარიტი პოეტი არ აღიქვამს
გრძნობელობის დაკნინებას ფატალურ პროცე-
სად. ნამდვილი პოეტი არასოდეს აღმოჩნდება
მათ რიგებში, ვინც ანაქრონიზმად აცხადებს
გრძნობელობას და ადამიანთა ცხოვრებაში
ადგილს აღარ უტოვებს. ნამდვილი პოეტი შე-
უძლებელია შეურიგდეს ამ პროცესს და არ
ეცადოს წინააღმდეგობა მას.

გივი გეგეჰკორის საუკეთესო ლექსებზე, გან-
საკუთრებით ადრეულ, სიკბაუკისდროინდელ
ლექსებზე დაკვირვება სწორედ ამ პროცესი-
სადმი წინააღმდეგობის დიდ უნის ხდის საც-
ნაურს.

რაკი მრავალგზის გამოაცხადეს გრძნობე-
ლობა ანაქრონიზმად, რაკი ლამის მოდოდ შე-
მოვიდა ამის მტკიცება, ადამიანთა უმრავლეს-
ობამ ბუნებრივია, გაიზარა ეს აზრი. დღეს
ადამიანს წუთისოფლისგან ბევრი ისეთი სია-
მე მიეგება, რაც წინაპართათვის აბსოლუტუ-
რად მიუწვდომელი იყო. ეს უპირატესობა მრავ-
ალმა ადამიანთა სულიერი ცხოვრების გაღა-
რების კომპენსირებად აღიქვა და შეიგუა
ბედს.

ამ შეგუების წინააღმდეგაა მიმართული გივი
გეგეჰკორის პოეზიის პათოსი. პოეტი ხატავს
იმას, რაც თანდათან აკლდება ადამიანს და
ხატავს ის, რომ იგრძნოს ადამიანმა —
იყარება ის, რაც ყველაზე ლამაზი და ყველა-
ზე მთავარია ამქვეყნად.

ამას ამოვიკითხავთ ზემოთ ციტირებულ
უსათაურო ლექსში და კიდევ ერთი უსათაუ-
რო ლექსის ამ პატარა ფრაგმენტშიც:

სუნთქვით გაგიტობო გათოშოლ თითებს,

და საალერსოს გიხმობ სახელებს,

ძვირფასო, ნულარ იტირებ კიდევ —

გამხდარი მხრები გიცახცახებენ.

ოთარ ჭილაძის შესახებ თქვა კრიტიკოსმა
თამაზ ვასაძემ, — პოეზია, მისი გაგებით, სა-
ნუკვარი სათქმელის გამხელას ნიშნავსო. ეს
აზრი, ცხადია, ყველა პოეტის (ჭეშმარიტი პო-
ეტის) შესახებ შეიძლება გავიმეოროთ, მაგ-
რამ ოთარ ჭილაძისა და მისი თაობის ზოგიერი-
თი სხვა პოეტისათვის სანუკვარის გამოთქმა,
სანუკვარის გაცოცხლება ლექსად უმთავრესი
ამოცანაა, ამ პოეტთა თვალწინ მოიყიდა ფეხი
პრაქტიციზმის კულტმა და ყოველივე ის, რაც
გრძნობიერ ცხოვრებას უკავშირდება ამ პო-
ეტთათვის განსაკუთრებით სანუკვარი შეიქ-
მნა. ოთარ ჭილაძის, გივი გეგეჰკორის და მათი
სკოლის ჩამდენიმე სხვა პოეტის სწრაფვაა
დაანახვონ ადამიანს, რომ მხოლოდ სიღამაზე

და მაღალი გრძნობა ანიჭებენ სიცოცხლეს აზრს და მშვენებას. რომ ცხოვრების უმთავრესი საზრისი დღესაც, ისე როგორც მუდამ მდგომარეობს ადამიანის მიერ გარემოსა და თანამოძმეებთან ემოციური დამოკიდებულების დამყარებაში.

გივი გეგეჭკორის კიდევ ერთ ლექსს შეგახსენებთ, რომელსაც ეწოდება „მე ვიძინებდი ძალიან ადრე“. ესაა ლექსი იმის შესახებ, რომ კაცის ცხოვრება მიედინებოდა უბრალოდ და დუნედ, მიედინებოდა „ძალიან დაბლა...“ „სახლივრე დაბლა, ხეებზე დაბლა...“ და რომ სიზმრად მოვლენილ სილამაზეს აჰყავდა იგი „ძალიან მაღლა... იქ სადღაც მაღლა, ღრუბლებზე ზემოთ.“

მე ვიძინებდი ძალიან ადრე,
ცხოვრობდი დაბლა,
ძალიან დაბლა,
სახლებზე დაბლა,
ხეებზე დაბლა
ეხედავდი მხოლოდ გამველის ფეხებს...
მე ვიძინებდი ძალიან ადრე,
საღამოობით,
როცა მნათობი ძლივს აშუქებდა ოთახის კედლებს

და გაღმებულ თვალთა კილოებს...
მე ვიძინებდი ძალიან ადრე
და იყო სიზმრად თეთრი ხეებიც,
თეთრი ღრუბლებიც და ბელურებიც,
და ეარდისფერი კაბის ბურუსიც,
პატარა მხრებზე დაყოილი თმებიც...
და მე ვიყავი ძალიან მაღლა,
სახლებზე მაღლა,
ხეებზე მაღლა,
იქ სადღაც მაღლა, ღრუბლებზე ზემოთ...

გივი გეგეჭკორის პოეზიაზე მსჯელობისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ერთი უმთავრესი ღირსება. — ღრმა ფსიქოლოგიზმი. ჩვენი პოეტის საუკეთესო ლექსებში დიდი სიპართლით და სიხადით იხატება ღირიკული გმირის სულიერი სამყარო.

პერსონაჟი ლექსისა „ნოველა“ არის ბავშვი. გივი გეგეჭკორი ბავშვურ გრძნობას ხატავს ამ ლექსში, ხატავს კეთილი და გადამღები იუმორით.

ფროსიან ფრაზადაა ქცეული პუშკინის სტრიქონი: Любви все возрасты покорны. პოეტები უმღერიან პირველ სიყვარულსაც და უყანასკნელსაც. უყანასკნელ სიყვარულზე, მგონი, არანაკლები ლექსი დაწერილა, ვიდრე პირველზე. პაბუკურზე. ბავშვურ სიყვარულს კი, რატომღაც არც ერთი პოეტი არ უძღვნის ლექსს. ბავშვობისდროინდელი გრძნობის ხსენება იშვიათად თუ გაკრთება ღირიკული გმირის მონოლოგში, გაკრთება ღიმისმომგვრელ და საამო მოგონებად.

მაგრამ საამოდ და სასაცილოდ ბავშვობის-

დროინდელი სიყვარული გვიჩანს დიდი ხნის შემდეგ, მოწიფულ ასაკში. თვითონ ბავშვი სათვის სიყვარული არანაკლებ მძაფრად მტკიცუნულია, ვიდრე მოწიფული კაცისათვის. სატროფისაგან შორსყოფნის სევდა ბავშვისათვის არანაკლებ მწარა და ხილვის დღესასწაულსაც არანაკლებ ძლიერად განიცდის ბავშვი. არც ერთი ასაკის მეტრფენი არ მისდევნე უფრო ერთგულად რუსთაველის შეგონებას — სიყვარულსა მაღლა უნდა — ვიდრე ბავშვები...

„ნოველაში“ საოცრად მართლად იხატება ბავშვის სიყვარული. ამ მშვენიერი ლექსის განსაცდელად საჭიროა მისი თავიდან ბოლომდე წაკითხვა. ამიტომ მომავლს იგი სრულად:

დაიღუბე!
ვილაც მიხვდა შენს სიყვარულს, —
ბავშვს რომ ქალი შეგიყვარდა...
ალბათ სტუმრებს
ამ საღამოს ახარხარებს ვინმე, როცა
შენს უცოდველ სიყვარულზე გაიხუმრებს.
ყველას ეტყვის,
იმ ქალს ეტყვის
არ დაგინდობს
თუ გინდ ისე დაუჩოქო, როგორც ქრისტეს
ოლონდ არ თქვას,
მაგიდასთან ოლონდ არ თქვას,
გირჩენია ჩაგქოლოს და გაგირისხდეს,
მაგრამ არა!
იტყვის, როცა მოგიჯდება
გვერდით ქალი ძველებური გრავიურის,
კორსეტიან კაბას ალბათ ამოკრილი
გულისპირი მოუხდება,
ხოლო ყური
თმით ექნება დაფარული და ლანგარზე
დაიჭრება შოკოლადის დიდი ტორტი,
მისი ქმარი საქმიანად ჩაახველებს,
რომ გაყიდოს ზავსიანი ანეგდოტი.
ჩუმი დარდით,
მხოლოდ ავის წინათგრძნობით,
ჩუმი დღესასწაულით და ჩუმი გლოვით
ჩამოჯდები დაბნეული სკამზე ქალის
მეზობლობით და იმისი სიახლოვით.
და როდესაც აბაჯურის წრეში მისი
თავი შენსკენ დაიხრება მაგიდაზე
და წყალს მოვთხოვს და მიაწვდი,
ის ღიმლით
შემოგხედავს და სამსახურს დაგიფასებს,
სწორედ მაშინ
შენს უმანკო სიყვარულზე
ყველას ეტყვის კაცი უღვთო და რეგვენი,
არ დაგინდობს, შენს მუდარას არ შეისმენს,
თუმცა მზერით იმ კაცს ფეხქვეშ გაეგები.
დაიძრება კედელი და იატაკი
და გონებას დაგიბნელებს იმის შიში,
რომ ვაითუ, სწორედ დღეს და სწორედ
ახლა

გაითიშოს სული ხორცთან გასათიშო.
და შენს ბავშვურ სახეს ცეცხლი მოედება
მოედება ცეცხლი მზერაში ჩასულ კისერს
და ვინც გიყვარს
მომგზავნა და გაოცებს
და უღმობლად მერე დიდხანს იკისკისებს
შენ კი მწარედ ატირდები და ნაჭერი
უხალისოდ წაიქცევა თეფშზე ტორტის
და კედელზე ქაღალის სიცილს აიტაცებს
გახლეჩილი ბროწეულის ნატურმორტი.

ჩვენი პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი
საუკეთესო ლექსია „სოფლის ავტობუსი“.
ესაა, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო ბემბეშკო-
რნისმეზური ლექსი გივი გეგეჭკორისა. არსად
არც ერთი სხვა ქმნილებაში არ არის უკეთ გა-
მოყვანილი პოეტის შემოქმედების უმთავრე-
სი სახასიათო ნიშნები: თემის გააზრების მი-
ხედული მეთოდი, ლირიკის საერთო კოლორი-
ტი, ავტორისეული ხელწერა, მისი ინტერესი,
გულისტკივლი... ერთი სიტყვით, „სოფლის
ავტობუსში“ გივი გეგეჭკორის მთელი ლირი-
კის სულია კონდენსირებული:

ჩვენ მოვედით წყვილიდან,
გზებზე სოფლის ავტობუსი
ციმციმებდა, როგორც შექი
ძველი ციხის სათოფურში.
ჯერ თვალები მოვიფშვნიტეთ,
მგზავრობაში ჩაგვექინდრა
და მიწაზე დავდგი თხები,
თენდებოდა უკვე მინდვრად...

პირველსავე სტრიქონებში მძლავრ ექსპრე-
სიას აღწევს პოეტი. დამატყუვებელ კოლო-
რიტს მკითხველი გადაჰყავს მინდვრად გარე-
რაზე. ურბანისტული სამყაროდან პირველ-
ქმნილ იდილიაში მოხვედრილი კაცის სული-
ერი განწყობილება ეუფლება მკითხველს.
თანამედროვე ქალაქისაგან დაღლილი, ავტო-
ბუსში ნაოვლეში ადამიანი ერთბაშად განიც-
დის ალიონის სიოს, გვირილების ღაღანს,
ჩიტბატონას გალობას. სველ მოლზე იშობება
სიმწვანეს მონატრებული და თვრება იონჯის
სურნელით... თანდათან ეშორებით პირველ-
ქმნილ სილამაზესა და პარმონიას, უფროდა-
უფრო იშვიათი და ხანმოკლე ხდება მასთან
ჩვენი შეხვედრა. ამიტომ ეს შეხვედრა ნეტა-
რებასთან ერთად ნაღველსაც აღვიძრავს, ვე-
ლურ ბუნებაში მთელი ძალით განვიცდით,
რომ წამიერია სააქაო სიამენი, სიზმარ-ილუ-
ზიის დარად სწრაფწარმავალია და უნაშთო.

...ავტობუსმა ჩაიქროლა,
და მინდორში მიგვატოვა,
ღაღანებდნენ გვირილები
და გალობდა ჩიტბატონა.

ჩვენ შევჩერდით სულ მცირე ხნით,
ხვალ ვიქნებით სხვანა ამ დროს.

სველ ბალახში გავიშორეთ
და იონჯის სუნი გვათრობს.
ვიხტუნოთ და ვითამაშოთ
დავუბრინოთ მწვანე მინდვრებს,
ილუზიის ტყეობაში
ვიცინოთ და ავექვითინდეთ.
თორემ ალბათ სანატრელი
გაგვიხდება მწვანე მოლი,
ავტობუსის ფანჯარაში
თავს გადმოჰყოფს მალე მძღოლი
და მოგვიხმობს...

ონტოლოგიურ დაფიქრებას და შიშს ბადებს
წუთისოფლის წარმავლობის განცდა. ადამიანს
მთელი სიცოცხლის მანძილზე თანსდევს ფიქ-
რი ამქვეყნიური ყოფის საზრისზე, კაცთა
მოდების დანიშნულებაზე, ცხოვრების მი-
ზეუთამიზეზეზე. ქართულ პოეზიაში მოიპოვე-
ბა ნიშნები ამ პრობლემების გენიალურად გა-
აზრებისა — „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ბა-
რათაშვილისგან განსხვავებით გივი გეგეჭკო-
რი არ ესწრაფვის თემის ეპიკურ გააზრებას,
არ ესწრაფვის მისწვდეს „განგებას ციურს“.
გივი გეგეჭკორი თავის ყველა საუკეთესო
ლექსში რჩება წმინდა ლირიკოს პოეტად.
ზემოთ უკვე ვთქვით, რომ მის ლირიკაში ყო-
ველგვარი საკითხი და პრობლემა წარმოჩნდე-
ბა იმის კვალობაზე თუ როგორ გამოძახილს
პოეტი ადამიანის სულში, როგორ განიცდება
ადამიანისაგან. ასეა „სოფლის ავტობუსშიც“.
ონტოლოგიური პრობლემები აქ არ დგება
თავისთავად. პოეტი აინტერესებს არა ონტო-
ლოგიურ საკითხთა განყენებულად კვლევა,
არამედ მათგან ადამიანის სულში შობილი
განცდა.

იყო დრო, როცა ადამიანს არც სამყარო მი-
აჩნდა უიდეგანოდ და არც თავისი არსო-
ბა — წარმავალად. ახალ დროში დაგროვილმა
ცოდნამ კი უსასრულო სამყაროს უმცირეს
ნაწილად წარმოუდგინა ადამიანს თავისი თა-
ვიკი, დედამიწაც, ჩვენი გალაქტიკაც, ახალი
დროის ადამიანი იმაშიც დარწმუნდა, რომ
სასრულია მისი არსობა... ყოველივე ამის შეგ-
ნებისაგან თანამედროვე ადამიანის სულში გა-
ჩენილი სევდის, ტკივილის გადმოცემას ისა-
ხავს მიზნად. გ. გეგეჭკორი „სოფლის ავტო-
ბუსში“.

წავივითხოთ ლექსის ბოლო სტრიქონები:

...დროებით არის მხოლოდ
წყვილიდან ჩვენი მოსვლა,
შევისვინებთ და გზას მალე
გავუდგებით პატიონსად.
წავალთ ისე უსასრულო
სამყაროში რომ ვიქროლოთ,
ჩვენი მოსვლა წუთიერი
შესვენება არის მხოლოდ...



შეუძლებელია რაიმე იყოს ციკვეშეთში რაიმე ხდებოდეს და კაცის სულს არ დაამჩნიოს დამლა. გივი გეგეპკორი ესწრაფვის ყოველივეს. რაზედაც ლექს წერს, რაც მისი პოეტური ინტერესის ობიექტია უჩვენოს ისე, როგორც სულზეა აღბეჭდილი.

ასეთია პოეტის მეთოდები. ასე იხატება მის შემოქმედებაში ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო სურათებიც — ზანთრის ქალაქში დარჩენილი ბელურა და არყის ხდა სოფლად, აყვავებული ჭაღარა ფშატი და ქალი. რომელიც მუზეუმში იჯდა და ქსოვდა, ყვითელი შინდი და სიზმრად ნახული რკინიგზის სადგური, ფრანგულის გაკვეთილი და კინოში პატარა შვილთან ერთად წასვლა... ასევე იხატება ისიც, რაც განსაკუთრებით ძვირფასია პოეტის გულისთვის — ქართლი, თბილისი, გარდაცვლილ მეგობართა სახეები, მშობლიური ერთაწმინდა, სვეტიცხოველი, ოცნებების ქალაქი სიღნაღი...

გივი გეგეპკორის პოეზიაში ვხვდებით დავით გურამიშვილს, თევდორე ბერს, მეცხრამეტე საუკუნის პოეტებს, გალაკტიონს, მარჯორი უორდროპს, კონსტანტინე გამსახურდიას, ანა კალანდამის, ოთარ ჭილაძეს... იმისათვის, რომ დაინახო და აღიქვა ადამიანი ან მისი ხატი, გარკვეული მანძილიდან უნდა შეხედო. მაგრამ გივი გეგეპკორი დისტანციიდან არ ვიგრძნევს ერის სათაყვანებელ სახეებს. პოეტის მთავარი ამოცანა არც ვიშუალებით პორტრეტების შექმნა და არც მოთხრობა მათი სახელოვანი საქმეებისა ან მსჯელობა მათს ფასდაუდებელ ღვაწლზე. ლექსად ცოცხლდება მათდამი, საქართველოს დიდი შვილებისადმი ერის გრძნობა; არ არის საჭირო დიდი დავკვირება, რომ დავრწმუნდეთ, პოეტი არ ცდილობს სასიქაღდულო წინაპრებისა და თანამედროვეთა შესახებ ხატის შექმნას, არამედ ხატავს თავის (ანუ ჩვენს, ერის) ხსოვნასა და ფიქრს მათზე.

გივი გეგეპკორის პოეზია თემატურად მრავალფეროვანია და რა თემაზეც არ უნდა წერდეს, თითქმის არასოდეს ღალატობს ხატვის თავისეულ მანერას.

თუმცა გამოწვევის მაინც შევხვდებით. არ ვიცი, ეგებ ვცდებოდე, მაგრამ, ჩემი ჯრით სწორედ ის ლექსები გამოიყოფა გივი გეგეპკორს უკუღმა წარუმატებელი, რომლებშიც გამოსახვის თავისთვის ბუნებრივ ხერხებზე სიქვა უარია.

ლექსში „ფეოდალი“ თვალნათლივ ვხედავთ კაცს, ვინც „ამპარტავანი ფეოდალივით ცხვირწინ ბეჭდიან ხელს გიტრიალებს“, ვინც „დასცინის პატიოსნებას“, ვხედავთ „მტაცებელ“, „გოროზ, გულღვარძლიან და თავგასულ ფეო-

დალს“, „საუკუნე რომ იყოს ახლა ან მეჩვეულ მებე და მეთვრამეტე იანჩიარდ ან მამულუქად სადმე სტამბოლში გაგყიდდა ხელმწიფე“, „ხელს შეუწყობდა შენი ერის გადაშენებას“, „განუღვებოდა რჭულსა და მეფის ისე, რომ აღბათ, წარბი არც კი შეერხებოდა“. „ის მალავს თავის უვიცობას მოსწრებულ სიტყვით, ლაზ-დანდარობით, ყურმოკრულით“, „ხალხს ატყუებს“. „ის თვალთ-მაქცია, თავხედია, პატივმოყვარე“. „ის არის ხარბი“, „ნაქურდალს ფანტავს სასაღილოში...“ ასე ახელებს გ. გეგეპკორი „ნაქურდალთა მდიდარს და სულთი ღატაკს“. მოგვიწოდებს: „ხმა ამოიღე, დამნაშავეს გადაეღობე, არ დაიხიო, არ დაუთმო, ესეც ომია!“

ამ ლექსს გივი გეგეპკორის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უჭირავს. ისევე როგორც თითოეული პატიოსანი ადამიანის ცხოვრებაში უჭირავს საგანგებო ადგილი ბრძოლის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

მაგრამ თუ „ფეოდალს“ წმინდა პოეტური თვალსაზრისით შევაფასებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ პუბლიცისტურ პათოსს, თხრობით ელემენტს, ვიშუალებობას ემსხვერპლა ექსპრესიას, ემსხვერპლა გივი გეგეპკორის სიტყვის განუმეორებელი ძალა.

ნეგატიურ მოვლენათა მხილვას არაერთი ლექსი მიუძღვნა გივი გეგეპკორმა და უმრავლესობა სწორედ „ფეოდალისებურად“ არის დაწერილი. ცხადია, სრულიად გასაგებია პოეტის გულისტკივილი და აღშფოთება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აღნიშნულ ლექსებში აქა-იქ თუ მოიძებნება მაღალმხატვრული და ქეშმარიტად შთამაგონებელი სტრიქონები. ან ხასიათის ლექსთაგან, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ერთში — „ვის რა ვუთხრა...“ — უბრუნდება პოეტი გამოსახვის თავისუფალ მანერას. ამ ლექსში არ არის საუბარი იმაზე, თუ როგორ „ყოლიან მშენებლობის აგურს და ცემენტს“, ანდა როგორ „მოძრაობს პირის ბნელ ორმოში იმისი (ანუ მდიდროვის. თ. მ.) ენა“.

„ფეოდალთა“ გამოსაგვლი სულის“ ხელშესახებად დანახვებას ამჭერად აღარ ცდილობს პოეტი, არამედ ხატავს თავის რეაქციას, თავის ტკივილს იმის გამო, რაც ხდება ირგვლივ; ლექსში ნაჩვენებია ინტელიგენტი, კეთილშობილი ადამიანის გულში „ბნელი“, „ტალახიან“ ამბავთა ცქერისგან შობილი გაცდა. „ნაპარავით მდიდართა და სულთი ღატაკთა“ ბოროტებანი აქ უკვე მებრძოლად იხატება. მოკლედ, ვიმეორებ, პოეტმა ამჭერად მისთვის ბუნებრივ მეთოდს მიმართა და დაიბადა ეს მშვენიერი ქმნილება.

ვის რა ვუთხრა?

ვის შეგივლო?

ანდა ვის რა დავუბარო?



შენა ხარ და შენც იცინი
უღარდელად, ალუბალო!..
დანგრეულა ეკლესია,
გარეშემო სახლობს უცხო,
აქ დამპყრობელს ეინი თურმე
დრომ აქამდე ვერ დაუცხრო.
თოფის 'როლით აფრთხობს მთავარ
ანგელოსს და ანგელოსებს,
ქეას და კრამიტს აცლის საყდარს
და იშენებს იმის ბოსელს.

ვის რა ეუთხრა?
ვის შეჩვილ?
ანდა ვის რა დაეუბარო?
მე ცრემლები როცა მახრჩობს,
შენ იცინი ალუბალო“.



გივი გეგეჭკორის შემოქმედების უოველმხრივ
და საფუძვლიანად შესწავლა მომავლის საქმეა.
მე მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს შევეხე. აქ
შეიძლებოდა წერტილი დამესვა, მაგრამ გივი
გეგეჭკორზე მჭელობისას კიდეც ერთი გარემო-
ება უნდა აღინიშნოს უსათუოდ.
დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექს-
ში პოეტი ასე მიმართავს დიდ წინაპარს:
შენ მდინარედ მოთქრიალებ,
მე, მდინარის მცირე ტოტი
შენი ლექსი ნახევარი
ჩანახია, ჩემი კოდი.
ვისაც თავიდან ბოლომდე გადაუყოთხავს

გივი გეგეჭკორის ტომი, დამეთანხმება, ამგვარი სტრიქონები მრავლადაა მასში. შესანიშნავი პოეტი უაღრესად მოკრძალებულად აფასებს თავის შემოქმედებას. „ლექსი დავით გურამიშვილზე“ მთავრდება ავტორისგან საკუთარ თავზე ნათქვამი ამ სტრიქონით: „ეს საწყალი ჩემი ლექსი“. მაგრამ განა მხოლოდ დავით გურამიშვილის „მდინარედ მოთქრიალი“ ლექსთან შედარებით უჩანს თავის ლექსი „საწყალად“! პოეტი სხვაგანაც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივი და რიგითია მისი ღვაწლი:

ნავის ერთი მენიჩე ვარ,
რომ ვარგოდეს ნავი ნავად.
მკითხველს კი ამას შესთხოვს:
ნუ მოექცევი როგორც ვანდალი,
უმწეო ხელი რასაც ჭლანბნისა.

ცხადია, ყველა შემოქმედს უნდა ჰქონდეს საკუთარი უნარისა და მოწოდების რწმენა. მაგრამ რწმენა ერთია და კვენა, თვითგანდიდება — მეორე. რწმენას, სხვათაშორის, არ არის მოკლებული გივი გეგეჭკორი. ლექსი „მცირე ანდერძი“ კიდეც ერთი ფრაგმენტი იწყება ამ სტრიქონებით:

მე ალბათ უნდა გავიზიარო
მოვიწყებულო პოეტის ბედი...

მაგრამ იქვე ვკითხულობთ:

მაგრამ უეცრად მტერიან თაროზე
წამაწყდები და აღვსდგები მკვეთრით.
გივი გეგეჭკორმა იცის, რომ უკვალოდ არ გაქრება მისი სიტყვა.



„შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები“

შუა საუკუნეების ფილოსოფიის ქართული კულტურის შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც საერთოდ ქართულმა კულტურამ სწორედ ამ ეპოქაში მიაღწია განვითარების უმაღლეს დონეს. რამდენადმე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ანტიკურ და ახალ ფილოსოფიაზე ეროვნული ფილოსოფიური ძალებით ქართულ ენაზე შექმნილია სპეციალური სოლიდური კურსები და გამოკვლევები, ხოლო შუა საუკუნეების ფილოსოფიის შესახებ ამგვარი რამ არ გაგვანდა. რა თქმა უნდა, ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებდა შ. ნუცუბიძის, მ. გოგობერიძის, ს. წერეთლის, შ. ხიდაშელის, თ. კუკავას და სხვთა გამოკვლევები, მაგრამ შუა საუკუნეების ფილოსოფია ჩვენთან საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა და ამ ეპოქის ფილოსოფიის ისტორიის არც სპეციალური კურსი გაგვანდა. დღემდე ამდენად, თვით ის ფაქტი, რომ უკვე ხელთ გვაქვს საკუთარი ძალებით შექმნილი სპეციალური გამოკვლევა ორ წიგნად შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებზე. მრავლისმეტყველი ფაქტია ჩვენი კულტურისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ გამოკვლევით გასრულდა ის დიდი საქმე, რომელსაც სათავე დაუდეს XX საუკუნის ქართველმა ფილოსოფოს-მკვლევარებმა: დღეს უკვე ხახვზე გვაქვს ფილოსოფიის ისტორიის უკეთესი მონაცემების კურსები — ანტიკურიდან დაწყებული თანამედროვე ბუერჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიით დამთავრებული.

გამოკვლევის ორივე წიგნში განსახილველი მასალა ძირითადად ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული. ჩვენ ნაწილობრივ გადავუხვევთ ამ გზას და ვფიქრობთ, რომ ასე მცირე მოცულობის წერილში ერთზე ვრცელი განსახილველი მასალის გაანალიზება ეპოქებისა და მიმდინარეობის მიხედვით უფრო ადვილი

აღსაქმელი იქნება მკითხველთა ღართო აუდიტორიისათვის. ჭერ განვიხილავთ ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის პერიოდის ფილოსოფიას, შემდგომ სქოლასტიკური ფილოსოფიის პერიოდებს არაბულისა და ქართული სქოლასტიკის წარმომადგენლების გამოკლებით, არაბული, სომხური და ქართული ფილოსოფიის ისტორიას და დასასრულს სქოლასტიკის დაცემისა და აღორძინების ეპოქის მომზადების პერიოდის ფილოსოფოსთა მსოფლმხედველობებს. ამასთანავე შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის ადრეული პერიოდის განხილვისას (იოანე სკოტ ერიუგენას ჩათვლით) ცალკეულ გავანალიზებთ დასავლეთისა და ქრისტიანულ აღმოსავლეთის ფილოსოფიის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობებს.

დასავლეთში, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის პერიოდის უდიდესი ფილოსოფოსია — ავგუსტინე. ავგუსტინეს ფილოსოფია წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რაც ეპოქათა განსაზღვრული. მართებული უნდა იყოს გამოკვლევაში გატარებული შემდეგი მოსაზრება, რომ ავგუსტინეს მოძღვრება ემსახურება „...ქრისტიანული დოგმატიკის დაცვას და ძირითადად ნეოპლატონიზმის გამოყენების საფუძველზე თეოლოგიის პრინციპების განვითარებას“ (1, 19). ავგუსტინეს მოძღვრებაში უმნიშვნელოვანესია მოსაზრება — ადამიანის თვითშემცენებლად ღმერთის შემეცნებაზე გადასვლის თაობაზე. ამ გზაზე ავგუსტინე სექსტიციზმის დაძლევის ცდილობს, რისთვისაც მან ისევ სექსტიციზმს მიმართა. მაგრამ სექსტიციზმისაგან განსხვავებით, ავგუსტინესთან შეეძება ეკვლის შემტანის აუცილებლად არსებობის საწინდარია და ამის საფუძველზე მის მოძღვრებაში დაეკება გარკვეული სისტემის აგებას ემსახურება.

შუა საუკუნეების აზროვნებაში უმთავრესი საკითხი იყო ღმერთისა და სამყაროს მიმართების გარკვევა. ეს საკითხი ავგუსტინეს კრეაციონისტული პოზიციიდან აქვს გადაწყვეტილი, რომლის თანახმადაც ღმერთის ნება თავისუფალია და იგი „აფორმებს არააღიან სამყაროს“. სტატიაში კარგადაა ნაჩვენები ავგუსტინეს მსოფლმხედველობის ევოლუცია:

* შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწილი I, 1981 წ. 252 გვ. ნაწილი II, 1984 წ. 310 გვ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ფრანგულში მოცემული რომაული რიცხვი გამოკვლევის ნაწილის მიუთითებს, ხოლო არაბული რიცხვი ამ ნაწილის გვერდს.

ანტიკური ფილოსოფიიდან ნეოპლატონიზმისა და შემდეგ ქრისტიანული ფილოსოფიისაკენ.

შუა საუკუნეების ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის — ბოეციუსის სის შესახებ აღნიშნულია, რომ მან „დასავლეთში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც არეოპაგელმა აღმოსავლეთში“ (1, 64). ამ შედარებიდანაც ცხადია ბოეციუსის მოძღვრების სიღრმე და მნიშვნელობა. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბოეციუსის ფილოსოფიურ-ლიტერატურულ თხზულებას — „ნუგეზის ფილოსოფია“ და ნაჩვენებია ამ თხზულების ფილოსოფიური წყაროები (სტოიციზმი, ეპიკურიზმი, ნეოპლატონიზმი, არისტოტელე და, განსაკუთრებით, პლატონის ფილოსოფია). საინტერესოა წარმომადგენელი ბედისა და განგების განსხვავება ბოეციუსთან, სიკეთისა და ბოროტების მიმართება და აგრეთვე ადამიანის ფილოსოფიასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მხრივ სასურველი იყო ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების მიმართების ბოეციუსისეული თვალსაზრისის განხილვა. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სტატიის დაშვებულადაა გადმოცემული ბოეციუსის მრავალმხრივი ფილოსოფიის ძირითადი აზრი.

იოანე სკოტერ იუგენას, შუა საუკუნეების დასავლეთის ფილოსოფოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია. შეიძლება ითქვას, რომ იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების მიჯნაზე იდგა. ერიუგენას მოძღვრება ძირითადად ემყარება ეკლესიის მამების, ნეოპლატონიკოსების, ავგუსტინეს, არეოპაგელისა და მაქსიმე აღმსარებლის შრომებს. სტატიაში კარგადაა აღმსარებელი ერიუგენას მოძღვრება ოთხი ბუნების შესახებ. საგანგებოა განხილული ერიუგენას თვალსაზრისი „ღვთაებრივი არცოდნის“ შესახებ, რომელიც ფსევდო-დონისესა და ავგუსტინეს ამგვარი თვალსაზრისისაგან უნდა მომდინარეობდეს და რომელიც თავისებურადაა ასახული რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ („ზინანი ღამე“, „უფამო უამი“). ეს საკითხი ერთობ რთული გასაგებია და არცთუ უსაფუძვლოდ გამხდარა იგი ცხარე კამათის საგანი. ვფიქრობთ, რომ ამ სტატიაში დაინტერესებული მკითხველი სათანადო პასუხს მოიღებს თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ამ ცნებების შინაარსში.

კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისით მოღვაწე — ანსელმ კენტერბერგიელი აზროვნების ისტორიაში უპირველესად ცნობილია, როგორც ღმერთის არსებობის დასაბუთების არაერთი არგუმენტის ავტორი. სტატიის ავტორი ანსელმის არგუმენტების ანალიზისას ემყარება და იხილავს მომდევნო დროის ფილოსოფოსთა (განუილონი, აკვინელი, დეკარტი, სპინოზა, კანტი, ჰეგელი) თვალსაზრისებს და მხოლოდ მათი შეჭერების საფუძ-

ველზე აკეთებს დასკვნებს, რის გამოც მსჯელობა უფრო დამაჯერებელი ჩანს. საინტერესოა აქ გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: „ანსელმ კენტერბერიელი „არც ისეთი უკიდურესი რაციონალიზმითა, როგორც პ. აბელიარი პრინციპით — „ჩერ გავიგოთ, მერე ვიწამოთ (ჩერ ცოდნა, შემდეგ რწმენა)“ და არც რწმენის მნიშვნელობას აწვადებს იმ ზომამდე, როცა იგი შეიძლება გამოიცხადდეს რაციონალურ დასაბუთებას (ავგუსტინე)“ (1, 185).

არეოპაგიტული მოძღვრებით ქართველ მკვლევართა განსაკუთრებული დაინტერესების მიზეზები საყოველთაოაა ცნობილი და აქ მამზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. სტატიის შესავალში მიმოხილულია არეოპაგიტის ავტორობასთან დაკავშირებული საკითხები, განალიზებულია ნუტუბიძე-მონიგმანის თეორია, რომლის თანახმადაც არეოპაგიტის ავტორია ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე — ბერეკ იბერი. აღნიშნულია, რომ „საღვთო წერილის“ დებულებანი გამართლებას პოულობენ ან დადებითი, ან უარყოფითი თეოლოგიის, ან კიდევ მისტიკის საფუძველზე. ესაა არეოპაგიტული მოძღვრების ღერძი. ვერ გავიზარებთ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას, თითქმისა და ფსევდო-დონისე — ნეოპლატონიზმის ქრისტიანობისადმი „სრულ დაქვემდებარებას“ ცდილობდეს (1, 48). სტატიაში შედარებით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი სიკეთისა და ბოროტების მიმართების საკითხს, არადა სასურველი კი იყო ამის საფუძვლიანი განხილვა, რადგანაც ქრისტიანულ ფილოსოფიაში სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის იდეის დამკვიდრება ძირითადად ფსევდო-დონისეს სახელთანაა დაკავშირებული.

მაქსიმე აღმსარებლის შემოქმედებაში არსებითია ანთროპოლოგია — მოძღვრება ადამიანზე. მასთან გამოკვეთილია ადამიანური ცნებების სამი საფეხური: სიკეთის გამოვლენა — პრაქტიკული ფილოსოფია, შემცენება — ბუნების თეორია და ყველაზე მაღალი — მისტიკური ჭკრიტა. სტატიაში არის მსჯელობა აღმსარებლის წინეობრივ იმპერატივზე — „სხვას ისე მოექცეო, როგორც გსურს, რომ სხვები შენ მოექცენ“. როგორც ცნობილია მაქსიმე აღმსარებლის მოძღვრებაში ღმერთის სიყვარულის პრინციპი უმაღლესია, რომლის წინა პირობასაც მოყვასის სიყვარული წარმოადგენს. სწორედ აღნიშნულს ემყარება აღმსარებლის მიერ ფორმირებული ქრისტიანული ეთიკის ცნობილი მაქსიმა: „შეეცადე რამდენადაც შესძლებ გიყვარდეს ყოველი ადამიანი. თუ კი ეს ჩერ კიდევ ვერ შესძელი, უკიდურეს შემთხვევაში არ შეიძულო არავინ“ (1, 187).

აღმსარებელი ერთი მხრივ არეოპაგიტო-

კის დამამთავრებელი, ხოლო მეორე მხრივ იოანე დამასკელის წინამორბედი, ეს უკანასკნელი კი სქოლასტიკის დამწეხია. სტატიაში რომელიც იოანე დამასკელს ეძღვნება, განაწილებულია მისი ძირითადი თხზულებების — „ცოდნის წყაროს“ პირველი ნაწილი — „დიდოქტორია“ და ნაჩვენებია მისი წარმომადგენლობა არისტოტელეს ფილოსოფიიდან. წარმოდგენილია აგრეთვე ერესების დამასკელისეული კლასიფიკაცია, რომელიც მოცემული „ცოდნის წყაროს“ მეორე ნაწილში — ერესების შესახებ“. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ იოანე დამასკელის მსოფლმხედველობის ორიგინალურობა განსაკუთრებით „ცოდნის წყაროს“ მეხამე ნაწილში — გარდამოცემაში მუდვენდება და ამდენად სასურველი იყო ამ თხზულების უფრო დაწვრილებით განხილვა.

მიქელ ფელეოსისა და იოანე იტალოსის შემოქმედება ჩვენი კულტურისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სკამარისია აღინიშნოს, რომ იოანე იტალის მოწაფე უნდა ყოფილიყო — იოანე პეტრიწი. როგორც ცნობილია იოანე იტალი ეკლესიის მიერ ერეტოკოსად იქნა გამოცხადებული. სტატიაში ნაჩვენებია ის ძირითადი მიწეუბი, რის გამოც იოანე იტალი ეკლესიამ შეაჩვენა. აქვე გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება: სქოლასტიკის მიერ რელიგიის (თეოლოგიის) სფეროში დასაბუთების შემოტანამ, თანდათანობით ძალა დაუკარგა დაუსაბუთებლად დოგმებს და ამით „...მოითხოვა სამყაროსა და ღმერთს შორის აუცილებელი კავშირის დაშვება, რაც პანთეიზმისაგან უზიჭებდა თეოლოგებს“ (1,209).

აღრინდელი შუა საუკუნეებიდან გამოკლევაში შედარებით მცირე ადგილი აქვთ დათმობილი ე. წ. „წმინდა მამათა“ (კლემენსი, ორიგენი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანძელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი) ფილოსოფიურ მსოფლმხედველობებს.

ჩვენს მიერ უკვე განხილული იოანე დამასკელი, იოანე სკოტ ერეუგენა და ანსელმ კენტერბერიელი სქოლასტიკის ჩამოყალიბების პერიოდის მოაზროვნეები არიან, ხოლო მიქელ ფელეოსი და იოანე იტალი ბიზანტიელ სქოლასტიკოსებს წარმოადგენენ. სქოლასტიკამ შუა საუკუნეების მეორე ნახევარში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და შემთხვევითი არაა, რომ გამოკლევაში სქოლასტიკის ეს პერიოდი წარმოდგენილია, როგორც „მაღალი სქოლასტიკა“.

„მაღალი სქოლასტიკის“ წარმომადგენელთაგან განხილულია პიერ აბელიარის, ალბერტ დიდის, ამაღრიკ ბენელის, დავით დინანტის, თომა აკვინელისა და ბონავენტურას მსოფლმხედველობანი. ეს თავი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მასში გადმოცემული და მოკლედ

განხილულია შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისეთი უმნიშვნელოვანესი თეორიები, როგორებიც იყო — ნომინალიზმი, რეალიზმი და კონკრეტულიზმი. ნაჩვენებია ამ ფილოსოფიური თეორიების ორიგინალურობა და თავისებურებანი. ყველაფერი ეს კი განხილულია ზოგადად ფილოსოფიის ისტორიის კრილში. ვფიქრობთ, რომ საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით ეს გამოკლევა დიდად საპირო და მნიშვნელოვანი ხდება დიდიოქტორიუ მატერიალიზმის შემსწავლელთათვის. სამწუხაროდ გასაგები მიზეზების გამო დაწვრილებით ვერ განვიხილავთ ამ თეორიებს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მომენტებს, რითაც ესა თუ ის ფილოსოფოსი სხვისგანაა გამოჩენილი. მაგალითად აბელიარის მსოფლმხედველობიდან განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული მის თვალსაზრისზე რწმენისა და ცოდნის დამოკიდებულების შესახებ, რომელიც პრიციპულად განსხვავდება ავგუსტინესა და ანსელმ კენტერბერიელის თვალსაზრისისაგან. თუკი ამ უკანასკნელებთან ჭირ „უნდა ირწმუნო, რომ გაგებამდე მიხვიდი“, აბელიართან პირიქით — „უნდა გავიგოთ, რომ ვირწმუნოთ“ (11,119).

ალბერტ დიდის მსოფლმხედველობის განხილვისას ნაჩვენებია, რომ იგი, ისევე როგორც სქოლასტიკოსი ფილოსოფოსების უმრავლესობა, თეოლოგიის ფილოსოფიაზე მაღლა აყენებს. ალბერტ დიდი ამ მოსაზრების სათანადო დასაბუთებასაც ცდილობს: რადგანაც ფილოსოფია ცნების მეშვეობით ცდილობს ყოფიერების დაუფლებას, ამიტომაც იგი არაპრაქტიკულია. თეოლოგია კი საპირისპირო გზით მიდის, იგი ცოდნაში კი არ ხედავს თავის საბოლოო მიზანს, არამედ ადამიანის ხსნაში (11,138).

თომა აკვინელი გამოჩენილი ფიგურაა შუა საუკუნეების აზროვნებაში, საერთოდ სქოლასტიკის ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ მის მოძღვრებაში მეტნაკლები სისრულით მოცემულია შუა საუკუნეების თეოლოგიისა და ფილოსოფიის თითქმის ყველა კარდინალური საკითხი. თომა აკვინელთანაც ფილოსოფიური თეოლოგიის მრავლადაა გამოცხადებული. თომას აზრით, როგორც თეოლოგიის, ისე ფილოსოფიის საბოლოო მიზანი სიკეთის მიღწევაა, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა, სიკეთის მიღწევის გზებში. თუკი ფილოსოფიისათვის სიკეთე საბოლოო ქამში ადამიანური ძალების შესაბამისია, თეოლოგიაში სიკეთედ მიჩნეულია ის, რაც ადამიანურ ძალებს აღემატება. აღნიშნულიდან გამომდინარე: „ამჟვენიურ მოქმედებაში თეოლოგია არავითარ თვითღირებულ მიზანს არ უშვებს“, „რწმენა კი არ ანადგურებს გონებას, არამედ გაღის მის გარეთ და ასრულებს მის დაწყე-

ბულ სამუშაოს. რამდენადც ფილოსოფიას მივყევართ თეოლოგიის სფერომდე, ამდენად ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია“ ასკნის თომა აკვინელი (11,152-153).

საერთოდ თომა აკვინელზე სტატიაში საფუძვლიანადაა განხილული მისი მოძღვრების არსებითი მომენტები (ქეშმარიტების პრობლემა, მოძღვრება ღმერთზე, როგორც აბსოლუტურ ქეშმარიტებაზე, ქეშმარიტებაზე აღმართურ შემეცნებაში), ნაჩვენებია აკვინელის მსოფლმხედველობის მიმართება არისტოტელეს, არეოპაგელისა და კენტერბერგიელის მოძღვრებებთან.

ბონავენტურას მსოფლმხედველობის განხილვისას, გამოკვლევაში აღნიშნულია მისი თვალსაზრისი მისტიკის შესახებ, რომელიც „მიმართული იყო სპირიტუალისტ-იოანისმეტების ერთეიკული მისტიკის ტენდენციების საწინააღმდეგოდ და თავისი ორთოდოქსალიზმით მიზნად ისახავდა ქრისტიანული რელიგიის, კერძოდ კათოლიკური ეკლესიის, იდეოლოგიური პოზიციის დაცვასა და განმტკიცებას“ (11,179). ბონავენტურა პლატონისა და ნეოპლატონიკოსების მიმდევარი იყო და გასაკვირი არაა, როცა იგი აღნიშნავდა, რომ არისტოტელემ ვერ გაიგო პლატონის ღრმა აზრი ღმერთზე, როგორც არსებულთა საწყისზე, მიზნზე და ამავე დროს ბოლოსაზსა და პირველსაზე. სწორედ ამის გამო, — წერს ბონავენტურა, — არისტოტელე აკრიტიკებდა თავის მასწავლებელს უძლური არგუმენტებით (11,181). ჩვენი მხრიდან შეიძლება დავამატოთ, რომ მსგავსი მოსაზრება ახალი დროის ფილოსოფიაში გამოთქვა პაულ ნატარპმა.

განყოფილებაში „მაღალი სქოლასტიკა“ მოკლედია განხილული ამაღლიკ ბენელისა და დავით დინანტის მსოფლმხედველობანი. აღნიშნულია, რომ ამაღლიკ ბენელის მოძღვრება ერთგულანს პანთეიზმის განვითარებაა, ამასთანავე „—ამაღლიკის პანთეიზმის მატერიალისტური ტენდენციები — მკვეთრად ჩანს არაბი ფილოსოფოსების იბნ სინასა და იბნ რუშდის გავლენა“ (11,142).

დავით დინანტი ამაღლიკ ბენელის თანამედროვეა და „შუა საუკუნეების ფილოსოფიაში მატერიალისტური ტენდენციის ყველაზე უფრო პირდაპირი გამოხატულება“ (11,144). ხაზგასმულია აგრეთვე, რომ დავით დინანტი, თავისი პანთეისტური მოძღვრების აგებისას თავისებურად ავითარებს და ხარკს უხდის აღორძინების გზაზე მდგარ სქოლასტიკას.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამაღლიკ ბენელისა და დავით დინანტის შრომები ეკლესიამ აკრძალა და დაწვა, რის გამოც მათი შეხედულების ძირითადად პრინციპული მოწინააღმდეგეების — ალბერტ დიდისა და თო-

მა აკვინელის ნაწარმოებებში მოხსენიებული ციტატებით ვიცით.

არაბულენოვანი ფილოსოფია გამოკვლევაში წარმოდგენილია, როგორც სქოლასტიკის ერთი მძლავრი განშტოება, თუმცა მას თავისი სპეციფიკურობა გააჩნია: „ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიების სტეციფიკის შესაბამისად ქრისტიანული და მაჰმადიანური სქოლასტიკა გარკვეულად განსხვავდებიან ბერძნული ფილოსოფიის შეფასებაში“ (11,8). წინასწარვე გვინდა შევინშნოთ, რომ აღნიშნულ სტატიაში დაძლეულია ის შეზღუდულობა და ტენდენციურობა, რომელიც არცთუ იშვიათად თან სდევს არაბული ფილოსოფიის და საერთოდ არაბული კულტურის შეფასებას. არაბულენოვან ფილოსოფიაში წარმოდგენილია ხუთი მოაზროვნე: ალ-ქინდი, ალ-ფარაბი, იბნ სინა (ავიცენა), იბნ რუშიდი (ავერროსი) და მსხე მაიმონიდი.

სტატიის ავტორთა შენიშვნით, ხშირად არაბულ ფილოსოფიაში ნეოპლატონიზმი წარმოდგენილი იყო, როგორც მხოლოდ არისტოტელური მოძღვრება. ამ მხრივ ნიშანდობლივია ალ-ქინდი, რომელსაც პლატონის ენეადების ბოლო სამი წიგნი არისტოტელეს თხზულებად მოიჩნდა: ალ-ქინდის თანახმად პლოტინის ფილოსოფია მთლიანად შეესატყვისება ყურანს (11,10). ცოდნისა და რწმენის დამკვიდრელების საკითხს ალ-ქინდი მეცნიერებისა და ფილოსოფიის სასარგებლოდ წყვეტს. მაგრამ ალ-ქინდი, როგორც შუა საუკუნეების მრღვაწი არათანმიმდევრობით ხასიათდება და შეესატყვის საკითხში სამყაროს ღმერთის მიერ შექმნილად მოიჩნევს. აღნიშნულიდან გამომდინარე მართებულად შენიშნავენ ავტორები: „ეს ნამდვილად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო არისტოტელესთან და ნეოპლატონიზმთან შედარებით“ (11,29).

ალ-ფარაბის სახელთანაა დაკავშირებული შემდეგი ახალი იდეის დაფუძნება: ადამიანური აზროვნება უმაღლესია რელიგიურ რწმენაზე. ალ-ფარაბი პოლიტიკურ მეცნიერებებში უპირატესობას პლატონს ანიჭებს და, ლოგიკასა და ბუნებისმეტყველებაში არისტოტელეს „რაც შეეხება მეტაფიზიკას, ნეოპლატონისტურად კითხოვოდა არისტოტელეს და ყველაზე მეტად აქ ახერხებდა არისტოტელესა და პლატონის შეთანხმებას“ (11,84), კვითხულობთ გამოკვლევაში. აქვე ხაზგასმულია, რომ ალ-ფარაბი ვერ ახერხებდა ყურანისა და ნეოპლატონური არისტოტელეს დაკავშირებას მატერიის საკითხში და ამიტომაც არისტოტელეს მსოფლმხედველობას არათანმიმდევრულად აცხადებდა.

იბნ სინას (ავიცენა) განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთოდ საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. გამოკვლევაში კვი-

თხულობთ: „არსებობს გადმოცემა, რომ შუა საუკუნეების მრავალმა მოაზროვნემ იბნ სინას ხატით შეისწავლა არაბული ენა“ (11,57). თვით ეს ფაქტიც ბევრის მოქმედი და მისასალმებელია, რომ ავტორებმა ავიცენას მოძღვრების სული მთელი სიღრმით გადმოსცეს. გატარებულია აზრი, რომ უმართებულოა ავიცენას მიჩნევა თვისებად და მისტიკოსად, რადგანაც მართალია ავიცენასთან ღმერთი სამყაროს შემქმნელად გვევლინება, მაგრამ მას „ფაქტობრივად მხოლოდ პირველი ბიძგის უფლება რჩება“.

ავიცენას მსოფლმხედველობის ხასიათის დასადგენად საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს მის შემდეგ თვალსაზრისზე მითითება: ავიცენას მიხედვით — თუკი ვლიარებთ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას, მაშინ გარკვეული დროის ფაქტორი უნდა იქნას დაშვებული, რომელიც საჭიროა სამყაროს შექმნისათვის. ეს კი ღმერთის ცნებას ეწინააღმდეგება, ვინაიდან მას ამ შემთხვევაში სურვილი და მისწრაფება ჰქონია. ეს კი არ შეეფერება ღმერთის, როგორც სრულყოფილის ცნებას, ვინაიდან სურვილი და მისწრაფება დამახასიათებელია სასრულისა და არასრული ფილოსოფიისათვის.

სქოლასტიკოსების უმრავლესობასთან, ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია. ავიცენას თვალსაზრისი ამ საკითხშიც განსხვავებულია, მასთან ფილოსოფიის ავტონომიურობაა გამოცხადებული. ავიცენას თანახმად რელიგიაიც საჭიროა და ფილოსოფიაც, ორივე ეს სფერო შესაბამისად ბრბოხა (რელიგია) და რჩეულებს (ფილოსოფია) გზას უკაფავს ჰეშმარტიებისა და სიკეთისაკენ. ავტორების შენიშვნით ავიცენას მსოფლმხედველობა შორსაა სქოლასტიკისაგან და უფრო ახლოსაა აღორძინების ხანის ფილოსოფიასთან, მაგრამ იმის გამო რომ ქრისტიანულმა სქოლასტიკამ დამახინჯებულად გადმოსცა მისი მოძღვრება „მას დაუპირისპირდა აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, რომელიც სინამდვილეში იმავე ხაზს ავითარებდა ფილოსოფიაში, არაბული ფილოსოფიის ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი გაკლებით უფრო რთულ პირობებში რომ იცავდა“ (11,60).

ავერეოსის, როგორც მხურვალე არისტოტელიკოსის მსოფლმხედველობის როლისა და მნიშვნელობის დასადგენად დამოწმებულია რენანისა და რასელის თვალსაზრისები, რომელთა თანახმადაც ავერეოსი (და საერთოდ არაბი პერიპატეტიკოსები) უკეთ იგებდნენ არისტოტელის მოძღვრების ნამდვილ შინაარსს და უფრო ორიგინალურები იყვნენ, ვიდრე შუა საუკუნეების კათოლიკე სქოლასტიკოსები თომა აკვინელის ჩათვლით (11,81-82).

ავერეოსის მოძღვრებაში მსჯელობას საუკვეთოა გონებაზე დღესაც არ დაუკარგავს

მნიშვნელობა. ავერეოსი ხუთი სახის გონებას იხილავს — მოქმედი, განმცემელი, მატერიალური, სპეკულატური და შეძენილი. უმაღლესია მოქმედი გონება, რომელიც არის საერთოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი უნარი მის სრულყოფილ ფორმაში. იგი მარადიული და ინდივიდის გარეშე არსებულია, მაგრამ ღმერთის იგივეობრივი არაა, „სინამდვილეში ის ადამიანის მოდგმისათვის საერთო საკაცობრიო გონებაა, სპეციალური ინტელექტია და, მსგავსად ზოგადი ცნებებისა, არსებობს მხოლოდ ცალკეულ საგნებში“ (11, 88-89). მოქმედი გონება, ავერეოსის თანახმად, — გრძნობადის გზით მიღებულის განუყენების უნარი და ამავე დროს მთელი სინამდვილის გააზრების პირობაა (11,91).

სტატაში ავერეოსთან უმაღლესი საფეხურის გამოხატველი წარმოდგენილია, როგორც — „გონიერი სული“. ეს ცნება იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ქართულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში ჭრჭერობით არა გვაქვს მაგალითად გერმანული — „Der Geist“-ისა და რუსული „Дух“-ის შესატყვისი ცნებები და ვსარგებლობთ ან „გონის“ ტერმინით, ან კიდევ „გონების“. ორივე ეს ცნება ძირითადად ვერ გამოხატავს იმის შინაარსს, რისთვისაც ვიყენებთ მათ. იქნებ სწორედ „გონიერი სულის“ ცნება გამოდგეს ზემოაღნიშნულის შესატყვისად.

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს, რომ ავერეოსთან გაზიარებულია ავიცენას თვალსაზრისი — რელიგიაა ბრბოხა საზრდოა, ფილოსოფია კი რჩეულთა, რელიგია აუცილებელია ხალხის შეკავშირებისათვის; გონიერების პრინციპზე აგებული რელიგია საჭიროა და სასარგებლოა, რადგანაც ავერეოსისათვის „უოველგვარ კულტზე მაღლა დგას ცოდნის კულტი, იგი არის საუკეთესო რელიგია ყველა რელიგიათა შორის“ (11,97).

შუა საუკუნეების ებრაელი ფილოსოფოსი მოსე მაიმონიდი არაბულენოვან ფილოსოფოსთა გვერდითაა წარმოდგენილი, რადგანაც ავტორთა აზრით „შუა საუკუნეების ებრაული ფილოსოფია“ არ არის რაღაც დამოუკიდებელი, კაცობრიობის ისტორიისაგან განუყოფელი მიმდინარეობა — იგი ორგანული ნაწილია მთლიანი არაბულენოვანი აზრისა, ისე როგორც ქრისტიანულ სამყაროში სპინოზას ფილოსოფია“ (11,99). ერთობ მკაცრად ნათქვამი უნდა იყოს. ცოტა ქვემოთ აღნიშნულია — მოსე მაიმონიდისათვის „რელიგიის საერთოდ, და კერძოდ იუდაიზმიც“ ფილოსოფიურ და საბუნებრივ, ძირითადი ამოცანა (11,103). ეს მოსაზრება ძნელად შეუთავსდება ზემოაღნიშნულს და მაინიშნებს, რომ მოსე მაიმონიდი, საბოლოოდ, მაინც ებრაული კულტურისა და კერძოდ ებ-

რაული ფილოსოფიის წარმომადგენელია მოსე მაიმონიდი იცავს შუა საუკუნეების სქოლასტიკის ძირითად პრინციპებს — აღიარებს კრესაციის იდეას, ფილოსოფიას თეოლოგიის სამსახურში აუენებს და სხვა.

ადრეულ შუა საუკუნეებში დიდ სიმაღლეებს მიაღწია სომხურმა კულტურამ. ეს ითქმის სომხურ ფილოსოფიაზეც. ამ პერიოდის სომხურ ფილოსოფიაში არაერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფოსი მოღვაწეობდა (ეწინკ კობაკი, ელშე, დავით მარკაცი, პეტრის სიუნეცი, დავით ანაბათი და სხვები). გამოკვლევაში საგანგებოდ და დაწვრილებითაა განხილული დავით ანაბათის მსოფლმხედველობა.

სტატიაში გაკრიტიკებულია სომეხ მკვლევართა (ვ. ჭაღოიანი, ტ. გაბრიელიანი) თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ანაბათი ნეოპლატონიკოსი არ ყოფილა. ნაჩვენებია არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენა ანაბათის ფილოსოფიაზე. აქვე აღნიშნულია, რომ ბიზანტიური და ქართული რენესანსის ფილოსოფია პროკლეს მეშვეობით უზრაღდება ამანკილებდა პლატონის ფილოსოფიაზე, ხოლო ამ პერიოდის სომხურ ფილოსოფიაში აშკარად შეიმჩნევა არისტოტელეს ფილოსოფიის პრიმატი (1,117). ამ პუნქტს ეხება ჩვენი შენიშვნაც: შუა საუკუნეების სომხური ფილოსოფიის არისტოტელური ხასიათი საყოველთაოდაა ცნობილი. თუკი დავით ანაბათის ფილოსოფია უპირატესად ნეოპლატონურია, მაშინ როგორღა უთავსდება იგი სომხურ ფილოსოფიას?

სომხური ფილოსოფიის სქოლასტიკისაგან ცალკე განხილვა გასაგებია, რამდენადაც იგი სქოლასტიკას წინ უსწრებდა. რაც შეეხება ქართულ ფილოსოფიას, რომელიც გამოკვლევაში წარმოდგენილია სათაური — „სქოლასტიკა საქართველოში“, ჩვენ არ მივიჩნევთ ტიპურ სქოლასტიკად. არც ეფრემ მცირე და, განსაკუთრებით იოანე პეტრიწი ჩვენი აზრით არ ყოფილან სქოლასტიკის ტიპური წარმომადგენლები და ამ მოტივით ვხელმძღვანელობთ, როცა ქართულ ფილოსოფიას არ განვიხილავთ, როგორც სქოლასტიკის ერთ-ერთ განმეტყველებს.

სტატიაში, რომელიც ქართულ ფილოსოფიას ეძღვნება, დამატებულადაა ნაჩვენები ქართული ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების არსებობის ფაქტი. აქვე ვკითხულობთ: „ერის კულტურაში ფილოსოფიის განვითარების სპეციფიკურობის გასაგებად აღბათ, უფრო მყარ საზომია ფილოსოფიური პრობლემეტიკის ზღვა მასალიდან პრობლემათა შერჩევის პრინციპი და ამ პრინციპის მდგრადობა“ (1,210). სტატიის ავტორის აზრით, საქართველოში ამგვარი რამ ყოველთვის არსებობდა. ასე მაგალითად: ადრეულ დროისათვის ქართული აზ-

როვნებისათვის უცხო იყო სკეპტიციზმი. შუა საუკუნეებში — ბრმა რწმენისათვის ცოდნის უარყოფა, ხოლო ახალ დროში — სკეპტიციზმში და ირაციონალიზმში (1,211). შეიძლება ამ მოსაზრების ყოველი პუნქტი არ იყოს ერთნაირად მისაღები, მაგრამ ერთი უდავოა: ქართული ფილოსოფიური აზრის არსებითი ნიშნების ამგვარი ჩამოყალიბება პირველი ცდაა ჩვენს ლიტერატურაში.

შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია წარმოდგენილია ეფრემ მცირეთი და იოანე პეტრიწით. ნაჩვენებია ეფრემ მცირეს დიდი დამსახურება ქართული კულტურისათვის, რაც მის მიერ იმ დროისათვის უაღრესად აქტუალური ფილოსოფიური და სხვა სახის ლიტერატურის თარგმნით გამოიხატა. აქვე აღნიშნულია, რომ ქართველთა ქრისტიანულ რელიგიაზე (განსაკუთრებით კი დიოფიზიტურ მიმართულებაზე — მ. მ.) ორიენტაციამ ძირითადად განსაზღვრა ქართული კულტურის აყვავება საშუალო საუკუნეებში.

იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა ქართული ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალია. ამჯერად პეტრიწის ფილოსოფიიდან აღებულ და გადმოცემულა მისი უაღრესად ორიგინალური თვალსაზრისი ანალოგიის პრობლემის შესახებ. გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით ანალოგიის პრინციპი პირველად გვხვდება XIII საუკუნის ინგლისელი თეოლოგის ალექსანდრე მაღელის შემოქმედებაში, იგი XIII საუკუნემდე არც არაბეთთან და არც არისტოტელეს სხვა რომელიმე კომენტატორთან არ გვხვდება. ამის თაობაზე შენიშნულია, რომ „ყოფიერის“ ანუ არსებულის და „კეთილის“ ისეთივე გაგება, როგორც ალექსანდრე მაღელთან იყო, სრული საბითაა მოცემული იოანე პეტრიწის მოძღვრებაში, ე. ი. არა XIII საუკუნის, არამედ XII საუკუნის დასაწყისში“ (1,282).

ზემოთქმულს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ ანალოგიის პრობლემა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში უმთავრესია. საქმარისია აღინიშნოს, რომ „ბევრი მას თომა აკვინელის ფილოსოფიის ცენტრალურ პრობლემად თვლის“. შემდგომ განხილულია არაერთი ანალოგია პეტრიწის ფილოსოფიიდან, რომლებიც ნათელყოფენ აღნიშნულ საკითხში იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ორიგინალურობას.

დასასრულს კი განვიხილავთ სქოლასტიკის დაცემისა და აღორძინების ეპოქის მომზადების პერიოდის ფილოსოფიას, რომლის ყველაზე სრულყოფილ სურათს ნიკოლა კუზანელის პანთეიზმი წარმოადგენს. ამ პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ იოანე დუნს

სკოტი, როჯერ ბეკონი, უილიამ ოკამი, მას-
ტერ ეკვარტი და ნიკოლა კუზანელი.

დუნს სკოტის მსოფლმხედველობაში
უურადლება გამახვილებულია მოძღვრებაზე
უნივერსალიტეტისა და ინდივიდუალურზე, ფი-
ლოსოფიისა და თეოლოგიის მიმართებაზე, შე-
გრძნობისა და სულის დამოკიდებულებაზე, სა-
ინტერესო მსოფსურებას გამოთქმული დუნს
სკოტის თვალსაზრისზე მატერიის შესახებ:
„მოძღვრება მატერიაზე, დიალექტიკური მა-
ტერიალიზმის წინა ისტორიის თვალსაზრისით,
მეტად საინტერესო საფეხურს წარმოადგენს“
(11,201).

როჯერ ბეკონზე მოძღვნილ სტატიაში
საუურადლებოა ექსპერიმენტის მნიშვნელობა-
ზე ბეკონის თვალსაზრისის ანალიზი. როჯერ
ბეკონს ეკუთვნის სამი ბრალდება სქოლასტი-
კის წინააღმდეგ, რაც სტატიაში მოცემულია
კიდევ: 1. სქოლასტიკოსებმა არ იცოდნენ
იხ ენები (ბერძნული, ებრაული, არაბული)
რომლებზედაც დაწერილი იყო მათთვის საინ-
ტერესო წიგნები და დასკვნებს უზიარო თარგ-
მების საფუძველზე აკეთებდნენ. 2. მათ არ იც-
ოდნენ მათემატიკა, ფილოსოფია. 3. მათ ცუდ
სამსახურს უწევდნენ ავტორიტეტები. (არ-
ისტორიული, ბიბლია, ეკლესიის მამები). და
მაინც უმნიშვნელოვანესი როჯერ ბეკონის
მოძღვრებაში იყო ექსპერიმენტზე უურადლე-
ბის გამახვილება და მის შემცენების ერთ-ერთ
ძირითად წყაროდ გამოცხადება. ეს იდეა კ
საბოლოო ჯამში აღმაინის ამქვეყნიურ დი-
რებულების აღიარებამდე მიდის. მართალია
ბეკონთან უკვლავური ეს მისტიკაზე დაქვემ-
დებარებული იყო, ახალ დროში ეს იდეა გა-
თავისუფლდა მისტიკისგან და „ახალი ეპოქის
ზრუნველობის არსებითი ელემენტი გახდა“
(11,228).

უილიამ ოკამის აზრით ცოდნისა და
რწმენის სფეროები პრინციპულად განსხვავ-
ებულია და ერთმანეთში არ გადდის. აქედან
გამომდინარე, ოკამის აზრით ღმერთი არ შეი-
ძლება ფილოსოფიის საკვლევი ობიექტი გახ-
დეს, მისი ცოდნა ღმერთზე მოჩვენებითია. გა-
მოკვლევაში ოკამის დამსახურებად მიჩნეულია
მის მიერ სქოლასტიკის შინაგანი წინააღმდე-
გობის გამოვლენა (11,278).

„გერმანული მისტიკის მამა“ — მაისტერ
ექვარტი გამოკვლევაში თავისი მოძღვრების
ყველა არსებითი მომენტებითა წარმოდგენი-
ლი. ეკვარტი სტატისტიკური პანთეიზმის წარმო-
მადგენლადაა ჩათვლილი. საფუძვლიანადაა
ნაჩვენები ღმერთისა და ღვთაებრიობის ცნე-
ბების განსხვავება ეკვარტთან (11,281-286).
სათანადო უურადლებაა მიქცეული ეკვარტის
ეთიკურ თვალსაზრისზე, რომლის თანახმადაც
აღმაინის უმაღლესი დანიშნულებაა ღმერთთან

შერწყმა, რისთვისაც საჭიროა ექვსი საფეხუ-
რის გავლა.

ქართული ფილოსოფიისა და საერთოდ ქარ-
თული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის
უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს ამ სტატიაში
გატარებული შემდეგი მოსაზრება: ნეოპლატო-
ნიკოსების ძირითადი აზრი — ღმერთს თავი-
სუფალი ნება არა აქვს, მისი სრულყოფილება
სამყაროს გამოსხივებას უდრის, ეს ის სა-
კითხი იყო, რომელსაც თავი ვერ დააღწიეს
ნეოპლატონიკოსების გავლენაში მყოფმა სის-
ტემებმა. „ქრისტიანული ფილოსოფიის მიერ
უზარალოდ თავის მოტყუება იყო, როცა მან
ნეოპლატონიზმის მაგიერ არეოპაგიტისა შეი-
წყნარა. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება,
რომ თითქმის ყველა ის მოაზროვნე, რომელიც
არეოპაგიტისა ემყარებოდა, გაიცხადი ოქანა“. მათ
შორის ეკვარტიც (11,243). ფიჭორბოთ,
რომ ეს მოსაზრება არეოპაგიტის ადგილის
დაღვენის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

მაისტერ ეკვარტის მოწაფეთაგან გამოკვლე-
ვაში მოკვლედა განხილული ოკამის ტაულებ-
რის, პანრიბ ზოიზე, ოკამის რუისბრეკისა და
ანონიმის ავტორის „გერმანული თეოლოგია“.

ნიკოლა კუზანელი მსოფლმხედველ-
ობა გარკვეული შეგამება იმ ერთიანი ზაზი-
სა, რომელსაც სათავე პლოტინმა დაუდო და
პროკლეს, არეოპაგიტის, ერიუგენას და
სხვა მსოფლმხედველობათა გავლით რენესან-
სის ფილოსოფიურ საფუძველს აშალებს. ამ
გზაზე ნიკოლა კუზანელის მსოფლმხედველობა
ყველაზე სრულყოფილად ასახავს და აღწევს
იმ მიზანს, რომელიც აღნიშნული მიმართულებ-
ის წარმომადგენლებს გააჩნდათ. ეს მიზანი
კი ღმერთისა (პირველმოწევი) და სამყაროს
ერთიანობას გულისხმობდა. დღეისათვის სადა-
ვო არ უნდა იყოს, რომ ნიკოლა კუზანელის
პანთეიზმი ამ იდეის წარმატებული განხორციე-
ლებაა. გამოკვლევაში არაერთგზის აღნიშ-
ნული და ნაჩვენებია, რომ კუზანელის იდეებმა
ფაქტიურად განსაზღვრეს რენესანსული მსო-
ფლმხედველობა. აღნიშნულია ისიც, რომ კუ-
ზანელისათვის „ხელშეუხებელი ავტორიტეტი,
დონისზე არეოპაგიტის გარდა“ საერთოდ არ
არსებობს (11,287).

კუზანელის მსოფლმხედველობის ძირითადი
მომენტები გამოკვლევაში გადმოცემულია, რო-
ცა მსჯელობა ეხება მასთან ღმერთის წვდომის
(რაც სიბრძნის ძიებაცაა) მთავარ გზებს (11,
290-301) ნიკოლა კუზანელის მიმართება
წინამავალ მსოფლმხედველობებთან და მისი
თვალსაზრისების მნიშვნელობა საკაცობრიო
კულტურისათვის კარგად და გამოკვეთილად
ჩანს გამოკვლევის II წიგნის დასასრულს გა-
მოთქმული მოსაზრებიდან, რომელსაც დიდი
მნიშვნელობის გამო სრულად დავიმოწმებთ:

ნიკოლა კუზანელის „შეუზღუდავი შემწყნარებლობა, რომელიც ღმერთის ნეოპლატონურ გაგებას ემყარებოდა, შესანიშნავ პირობებს ქმნიდა ფლორენციის ნეოპლატონური აკადემიის ჩამოყალიბებისათვის (1656 წელი), სადაც კუზანელის თანამოაზრეები ახალი ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად აგრძელებენ იმ სამუშაოს, რომელიც ერეტარულმა მოძღვრებებმა არეოპაგიტის პირობებში დაშუშებით დაიწყეს“ (II, 305). ზემოთქმულიდან მკითხველს არ გაუჭირდება იმის ამოკითხვა, თუ როგორ მოკლედ და ლაკონურადაა გადმოცემული ნეოპლატონური ფილოსოფიის, არეოპაგიტული მოძღვრებისა და ნიკოლა კუზანელის როლი და მნიშვნელობა რენესანსული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

გამოკვლევის მიმართ, გარდა საკუთრივ წერილში აღნიშნულისა, გვაქვს კიდევ რამდენიმე ზოგადი ხასიათის შენიშვნა:

1. გამოკვლევაში, განსაკუთრებით I ნაწილში არასაკმარისადაა წარმოდგენილი ფილოსოფიისა და თეოლოგიის მიმართება ამა თუ იმ მოაზროვნესთან (ეფრემ მცირეს გამოკლებით).

2. ასევე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა სიციეთისა და ბოროტების მიმართებას და, მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3. ზოგჯერ არასაკმარისადაა განხილული კრეაციონიზმისა და ემანატიზმის მიმართება.

4. გამოკვლევაში, როცა რომელიმე მოაზროვნესთან (მაგ. აბელიართან) მსჯელობა ეხება ღმერთის მიერ სამყაროს აუცილებლობით შექმნას, არაფერია ნათქვამი ნეო-

პლატონურ ფილოსოფიაზე. არადა, ეს იდეა საბოლოოდ ნეოპლატონიზმში გაფორმდა და მისი მეშვეობით გადაეცა მომდევნო დროის აზროვნებას.

5. გამოკვლევა პირობდომური პირობითაა აგებული და სწორედ ამის გამო ვფიქრობთ საჭირო იყო ყურადღება გამახვილებულიყო ემანაციურ ხაზზე შუ საუკუნეების ფილოსოფიაში, დაწყებული პლოტინიდან ნიკოლა კუზანელის მსოფლმხედველობითი დამთავრებული. მასთან კრეაციონიზმის მიმართების გარკვევით კი უფრო დამაჩერებლად გამოჩნდებოდა ღირსება და ნაკლი ამ ფილოსოფიური ხაზისა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რენესანსის მსოფლმხედველობის მომზადება და რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შალვა ნუცუბიძე ქართული კულტურის არსების გაგების საქმეში.

საინტერესო მომენტები ფილოსოფოსთა ბიოგრაფიიდან და მათი მოძღვრების ძირითადი პრინციპებიც სათანადოდაა წარმოდგენილი გამოკვლევაში, რაც საფუძველს იძლევა გამოყენებული იქნეს იგი როგორც სახელმძღვანელო შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისას.

მიუხადავად იმისა, რომ გამოკვლევა პირობდომურ პრინციპზეა აგებული და რამდენიმე ავტორი ჰყავს, მასში მთლიანობა დარღვეული არაა. ეს კი ავტორთა კოლექტივის დიდი ღამსახურებაა. გამოკვლევა, მომზადებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე ძირითადად ამ კათედრის თანამშრომელთა მონაწილეობით.



ქართული მენარკოზის დისკანსებელ პოლონეთში

1983 წლის ოქტომბრის ბოლოს თბილისში ათი დღე იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა დელეგაცია. მასში შედიოდნენ პოლონეთის პოპულარული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის „პოეზიის“ მთავარი რედაქტორი, გამოჩენილი პოლონელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ბოგდან დროზდოვსკი, მთავარი რედაქტორის მოადგილე კრიტიკოსი იან ვიტანი და საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების სააგენტოს წარმომადგენელი.

ჩვენ იმ დღეებში ახლოს გავიცანით ერთმანეთი, დავმეგობრდით და ურთიერთ-თანამშრომლობის გაძლიერების რეალური გზები დავსახეთ, რაც ჩვენი ხალხების მიერ შექმნილი კულტურული ფასეულობების გაცვლისა და უკეთ გაცნობის დიდად საპატიო სფეროში უნდა გამოხატულიყო.

მაშინ პოლონელმა მეგობრებმა გვითხრეს რომ სურვილი აქვთ გამოსცენ ქართული პოეზიის ანთოლოგია, რისთვისაც შეუძლიათ უურნალ „პოეზიის“ ორი ნომრის დათმობა და გვთხოვენ ლექსების სწკარედების დამზადება, ვრცელი ისტორიულ-მხატვრული შესავალი წერილის დაწერა, ყველა პოეტის ბიოგრაფიული მონაცემების და პორტრეტების შეკრება, აგრეთვე საკმაო რაოდენობით საილუსტრაციო მასალების მიწოდება.

ჟურნალი „პოეზია“ ამ სახის ერთადერთი პერიოდული ორგანოა მთელს პოლონეთში. იგი ფართო პოპულარობით სარგებლობს. ხშირად გამოდის თემატური ნომრები, ერთი პოეტის, რესპუბლიკის ან რომელიმე აქტუალური პრობლემისადმი მიძღვნილი. რედაქციას საშუალება აქვს ყოველთვიური ჟურნალის ნომერი სასურველ მოცულობამდე გაზარდოს. ტირაჟიც არ არის შეზღუდული. მე ვნახე ნომრები ზოგი 15.000 ტირაჟით გამოსული, ზოგი კი 50 და 60 ათასით. მაგალითად დიდი პოლონელი მოაზროვნის ნო-რვიდისადმი მიძღვნილი ნომერი თითქმის ასი ათასი ტირაჟით გამოვიდა და ორი დღის მანძილზე გაიყიდა,

პოლონელმა მეგობრებმა აგრეთვე გვი-თხრეს, რომ მათ რესპუბლიკაში საკმაოდ მოწონებით სარგებლობს ქართული ლიტე-

რატურა და რომ ამ ანთოლოგიის გარდა არა ერთი და ორი ქართველი ავტორის ნაწარმოების გაცნობა-გამოცემა გათვალისწინებული.

პოლონელი მწერლების ვიზიტის შემდეგ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების სააგენტოს — ვაპის დელეგაცია.

ჩვენი დელეგაცია მცირერიცხოვანი იყო, მასში შედიოდით მე და მწერალი გურამ გეგეშიძე, ვარშავაში კი შემოგვიერთდა საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების სააგენტოს მუდმივი წარმომადგენელი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჟურნალისტი ვადის ლუნიჩი.

ჩვენ საკმაოდ დატვირთულები მივდიოდით; გამოფენისა და მოლაპარაკების მიზნით თან მიგვქონდა ქართველი ავტორების 120 დასახელების წიგნი, მასალები პოლონეთში გამო-მავალი ქართული პოეზიის ორი მსხვილი ანთოლოგიისათვის, როგორც სწკარედები, ისე სათანადო ავტობიოგრაფიული მონაცემები, 50 ფოტო-სურათი გამოფენის მოსართავად, პოეტების პორტრეტები და საილუსტრაციო მასალა წიგნებში მოსათავსებლად, ქართული ქედურობისა და კერამიკის ნიმუშები, აგრეთვე ხალხური სარწყების რესპუბლიკური გაერთიანება „სოლანის“ მიერ დამზადებული სხვა და სხვა სახის სუვენირები, გობელენები და ნაკეთობები.

მოსკოვში უკვე იგრძნობოდა შემოდგომა, წვიმა და საკმაოდ ცივი ქარიც უბერავდა, პოლონეთი კი თბილი და მზიანი ამინდებით გვგებდა. აღრიან დღითი უკვე ვარშავაში ვიყავით. სადგურზე დავგვდნენ ჟურნალ „პოეზიის“ მთავარი რედაქტორი, ჩვენი მეგობარი ბოგდან დროზდოვსკი, ჟურნალის თანამშრომლები, სსრკ ვაპის მუდმივი წარმომადგენელი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში და სხვები.

მე პოლონეთში მეორედ ვიყავი. პირველად ოცდაერთი წლის წინათ, 1963 წლის აპრილის ბოლოსა და მაისის თვეში ვეწვიეთ პოლონეთს. ეს მოგზაურობა ჩემთვის განსაკუთრებული და დაუვიწყარი იყო.

დიდი ყურადღებით ვათვალიერებდი შორეულ მოგონებაში საკმაო ბუნდოვნად შე-

მონახულ ადგილებს, ძალზე გაზრდილ და გამშენიერებულ დიდ ქალაქში მაინც ვხვდებოდით ნაცნობ კუთხებს, მაგალითად სასტუმროს მართალოცების გვერდით, იერუსალიმის ქუჩაზე და გული თბილი მოგონებებითა თუ სინანულით მეგობრულა ახალგაზრდობის წლების გახსენებით.

იმავე დღეს წავიყვანეს „ნოვე“ და „სტარე მიატროში“. რაც ვარშაველების საყვარელ, უფრო მეტიც, სამაჟო ადგილს წარმოადგენს. აქ კიდევ რამოდენიმეჯერ ვიყავით შემდეგ დაღეშვით და შეიძლება ითქვას საფუძვლიანადაც დავათვალიერეთ.

ვნახეთ მინისტრთა საბჭო, ვიყავით კულტურის სამინისტროში, დავათვალიერეთ მრავალი ქუჩა და რაიონი, მათ შორის ცნობილი გეტოს რაიონი და ომის დროს დაღუპულ ებრაელთა ძეგლი.

პირველ დღესვე პოლონელმა მეგობრებმა მიგვიპატიეს შურნალისტთა ცენტრალურ სახლში, აქ მეგობრული საუბრის დროს წამოიჭრა საკითხი და თხოვნაც კი, რომ საქართველოს მწერალთა კავშირთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობის საქართველოს საზოგადოებასთან ერთად აუცილებლად ჩავატაროთ უმდიდრესი და თვითმყოფადი ქართული ლიტერატურის მთარგმნელებისა და გამომცემლების შეხვედრა-სემინარი თბილისში. ეს საუფრადღებო პრობლემა, ვფიქრობ, მალე უნდა გადაჭრათ, რადგან იგი კარგა ხანია დგას ჩვენს წინაშე. რამოდენიმე მოძმე რესპუბლიკაში უკვე ჩატარდა ასეთი ღონისძიება და კარგი საერთაშორისო რეზონანსიც აქოვდა. ამ საქმეში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის შემოქმედებითა კოლექტივმა.

შურნალისტთა კავშირის შეხვედრაზე მოვიდა შურნალ „პოეზიის“ პასუხისმგებელი მდივანი იან ბრუდინიცი. მან თან მოიტანა საკმაოდ სქელი და ლამაზად გაფორმებული კონვერტი, ამანათი მოსული იყო პოლონეთის ქალაქ ზელენა გურადან. გზავნიდა ვინმე ლაღო კლეჟა. სიტყვა ლაღო კონვერტს მეტად ლამაზი ქართული კალიგრაფიით ეწერა, ასევე ლამაზად ეწერა „ლექსი ქართული“, „საქართველო“ და ზოგიერთი ქართული სიტყვა. ახალგაზრდა კაცი ვლადისლავ კლეჟა „პოეზიას“ წერდა: „მე პროფესიით მხატვარი ვარ. მეტიმეტად მაინტერესებს საქართველო, ეს უაღრესად ლამაზი და კულტურული რეგიონი. მაინტერესებს მისი მწერლობა, მხატვრობა, თეატრი, განსაკუთრებით პოეზია. მინდა კარგად შევისწავლო ქართული ენა, რაც საკმაოდ მიჭირს ჩემს ქალაქში.

ამიტომ გთხოვთ როგორმე დამეხმაროთ და გამომიგზავნოთ დიდი ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

ლაღო კლეჟას შურნალ „პოეზიის“ რედაქციისათვის გამოგზავნა ქართველი პოეტების ლექსთა თარგმანები. როგორც ჩანს მას თარგმანი „ლიტერატურნაია გრუპაში“ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ლექსებიდან შეესრულებინა. მას თარგმნილი ჰქონდა მიხეილ ქვლივიძის, შოთა ინანიანის, ჭანსუდ ჩარკვიანის, გურამ პეტრიაშვილის, თამარ ჭავჭავაძის, ნინო ქუთათელაძის, კამილა კორინთელის და შოთა ზოიძის ლექსები.

იან ბრუდინციმ გვითხრა, რომ ლექსების თარგმანი კარგ დონეზე შესრულებული, მათი ნაწილი ალბათ შევა ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, ნაწილი კი ცალკე გამოქვეყნდება.

თარგმანებთან ერთად ლაღო კლეჟას ნახატებიც გამოგზავნა, რამოდენიმე მათგანს ლამაზად ეწერა საქართველო. აქვე იყო კოკი იგნატოვის ცნობილი ტილოს „ფიროსმანის გახსენების“ ილუსტრაციები და სხვა სურათები ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებიდან.

მეორე დღიდან კვლავ ვარშავის გაცნობა გავაგრძელებთ: თავისი ხალხისა და ქალაქის დიდ პატრიოტს ბოგდან დროზდოვსკის სურდა არც ერთი კუთხე-კუთხუთი არ დაგვჩვენებოდა უნახავთ. გავიმგზავრეთ „უიანოვსკი-კოროლენკისაიას“ შესანიშნავი ახალი ტრასით, რომელიც ცენტრში, სამი ჭერის მოედნიდან იწყება და ისარივით გაჭრილი შორს, ქალაქგარეთ გადის. გზად ვნახეთ სსრკ საელჩო და სსრკ სავაჭრო გამოფენა, სადაც მრავალი პოპულარული ღონისძიება ტარდება.

უკვლავ უხვად ჩანს სიმწვანე და ერთმანეთზე ლამაზად გადაბმული პარკები. ვნახეთ ახალი საცხოვრებელი რაიონები, სადაც არქიტექტურა შესანიშნავად არის შეხამებული ბუნებასთან და ეს ერთიანობა სიმელოდოვს მომხილავ იდილიას ქმნის.

ცნობილი პარკი „ვილანოვი“ მზეში და სიმწვანეში იყო ჩაძირული. დავათვალიერეთ რამოდენიმე საუკუნის წინანდელი სახახლე და ეკლესია, რომელიც გრავ ავგუსტ პოტოცკის ხსენის უკვდავსაყოფად მის მეუღლეს ალექსანდრას აუგია. აქვე დგას პოტოცკების დიდი შთამომავლის სტანისლავ პოტოცკის ძეგლი. ბევრი ძვირფასი სურათი და ისტორიული ნივთია შემონახული სახახლეში, რაც თავის დროზე ეყუთვნოდა პოლონეთის სამეფო გვარების სომეხების, ლეშინსკების და პონიატოვსკების წარმომადგენლებს.

აქვე „ვილანოვში“ მოთავსებული პლაკატის მუზეუმი, რაც ერთადერთი ყოფილა

არა მარტო პოლონეთში, არამედ როგორც გვიბრუნებს, მთელი მსოფლიოში.

ვარშავიდან სულ რაღაც 18-20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ლამაზი ვილებოთა და საცხოვრებელი სახლებით დაშველებული, მწვანე ჩაფლული, მართლაც და ბრწყინვალე ადგილი „კოსტანჩინ ეო-რანა“.

„კოსტანჩინ ეო-რანა“ ეკვრის საუცხოო ტყე-პარკი, უკავილოვანი მდელივები და მწვანეში ჩაფლული მდინარე, იქვე მწერა-ლთა დასასვენებელი სახლია მოთავსებული. აქ, ყოვლისშემძლე გრაფების ძველ სასახლეში, ისვენებენ და მუშაობენ პოლონელი ლიტერატორები, ზოგიერთი კი მთელი დღით მოდის საშუაოდ და ღამით სახლში ბრუნდება, რადგან ქალაქშივე კარგად მოვლილი ტრასით მისვლას 20-25 წუთი თუ სჭირდება.

მომხიბლავ „კოსტანჩინ ეო-რანაში“ ცხოვრობდნენ იულიან ტუვიში, ლეოპოლდ ლევი-ნი და სხვა დიდი პოეტები, აქ საკუთარ ვილას ცხოვრობს გამოჩენილი მწერალი, მუ-სიკოსი, სკულპტორი და საზოგადო მოღვაწე ლეოპოლდ ბუჩკოვსკი. ვნახეთ მისი ლამაზი სახლი და ეზო, სადაც მოქანდაკის შთაგონებულ მარჯვენას ყოველი ხე, კუნძი, ქვა, ლო-დი თუ კედელი მეტად შთაბეჭდვად ძეგლებად უქცევია.

ცნობილ „სტარე მიახტოს“ უბანში ვე-წვიეთ დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკე-ვიჩის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმს. აქ საკმაოდაა წარმოდგენილი 1828 წელს სა-ნატეტერბურგში გამოცემული მიცკევიჩის ლექსების კრებულები, აქვე აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც მეტისმეტად დაინტერესებულნი იყვნენ ადამ მიცკევიჩის მალალო პოეზიით, სადაც უყვარდათ, თარგმნი-დნენ და გამოსცემდნენ მისი პატრიოტული სუ-ლისკვთებით ავსილ ლექსებსა და პოემებს, იყო საქართველო.

ძალზე მძიმე შთაბეჭდილების მომხდენია ვარშავის მუზეუმი, სადაც მკაფიოდაა ნაჩვენები გერმანელი ბარბაროსების მიერ ვარშა-ვის ნგრევის მძიმე სურათი, რამოდენიმე ადგილას განლაგებულია სახლებისა და სასა-ხლეების კონტრულული სურათები, რომლე-ბზეც პუნქტირითაა გამოკვეთილი ჭოჭოხე-თურ ნგრევას გადარჩენილი ადგილები. აქვე ნაჩვენებია ქვა-ლორღად ქცეული, მიწის პი-რას გასწორებული უღმირდრესი და ულამა-ზესი მეფის სასახლე, რომელსაც თურმე გა-ბოროტებულმა გერმანელებმა ათასზე მეტი ხერელი გაუყეთეს ნაღმების ჩასაწყობად და ათეულობით ტონა ბენზინიც მოასხეს.

1944 წლის ვარშავის ცნობილი აჯანყების მერე ოკუპანტებმა ქალაქის არსებული ნგრე-ვა მოაწყვეს. პირწმინდად ანადგურებდნენ

ყველა ნაგებობას, თქვენ წარმოიდგინეთ, პა-რკებსა და ბაღებსაც კი. ცენტრი მთლიანად დაშლილი და დამწვარი იყო, ზოგიერთი ხისა თუ უბნის მოსაპოვა ვეღარ მოასწრეს.

ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე, ქალაქის ტრადიციულ ცენტრში მდებარე საბჭოთა კა-ვშირის საავტორო უფლებების სააგენტოს პოლონეთის მუდმივი წარმომადგენლობის ფართო და მშვენიერ ბინაში მოეწყო შეხვე-დრა ვარშავის ინტელექტუალის, საავტორო უფლებების მთავარ სამმართველოს — „ზა-იქსის“, პოლონეთის ლიტერატურული საა-გენტოს, გამომცემლობების, ლიტერატურული ჟურნალების, გაზეთების წარმომადგენლე-ბთან. დიდ და ფართო ოთახში გამოვჩენი-ლი იყო ქართული ავტორების 120 დასახე-ლების წიგნი ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროდან, აქვე იყო საქა-რთველოს ცხოვრების ამსახველი ფოტოსურა-თები, კერამიკის, ქედურობისა თუ გობელენების ნიმუშები.

ჩვენი მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ინტე-რესმოყვლელი არ იქნება ჩამოვთვალო ნა-წილი იმ ამხანაგებისა, ვინც ესწრებოდა სსკ ვაპის წარმომადგენლობაში გამართუ-ლი ქართული წიგნის საინფორმაციო გამოფენას და აგრეთვე შემდგომ გამართულ საქმიან საუბარს. ესენი იყვნენ: დიდი საგამომცემლო გაერთიანებ-ის „პრესა-სპიონჟკარ-უბის“ („ბეჭდვითი სიტყვა-წიგნი-წინსვლა“) თავმჯდომარის მოადგილე ალინა ტეპლი; ამავე გაერთიანების საერთა-შორისო ურთიერთობათა განყოფილების გა-მგის მოადგილე ანჟეი საიდაკი; კულტურის სამინისტროს წიგნის დეპარტამენტის დირე-ქტორი მაქსიმელიან ცელმე; გამომცემლო-ბა „კისიონკა ი ველჰას“ მდივანი, გამომცე-მლობების საქმეთა საბჭოთა კავშირ-პოლონე-თის მუშა ჯგუფის პასუხისმგებელი მდივანი რიშარდ ციშევსკი; გამომცემლობა „ვსპულ-პრაცას“ დირექტორი რიშარდ პოგონოვსკი; პოლონეთის სამეცნიერო გამომცემლობის დირექტორი რაფალ ლონკოვსკი; ჟურნალ „პოეზიის მთავარი რედაქტორი ბოგდან დროზდოვსკი; პოლონეთის საავტორო უფლე-ბების მთავარი სამმართველოს „ზაიქსის“ გე-ნერალური დირექტორი ვიტოლდ კოლო-დუეისკი; „ზაიქსის“ თირიდილილი განყოფი-ლების გამგე იან ბლუმინსკი; ცნობილი ლი-ტერატურული კრიტიკოსი, ვარშავის უნივე-რსიტეტის პროფესორი ფლორიან ნეუვაჟინ; გაზეთ „პიშაწინის“ („მეგობრობა“) მთავარი რედაქტორის მოადგილე ეტი რაკოვსკი; სა-ავტორო უფლებების სააგენტოს დირექტო-რი ანჟეი მევეიევსკი; პოლონეთის გაერთი-ანებული მეშათა პარტიის ცენტრალური კო-მიტეტის კულტურის განყოფილების თანა-მშრომელი ადა სუხოლოვსკი; პოლონეთის საგამომცემლო სააგენტოს მთავარი რედაქტო-

რი რიშარდ ხმანოსკი; პოლონეთში საბჭო-
თა კავშირის საელჩოს პირველი მდივანი
ოლეგ ხარჩენკო.

ამხანაგებმა დიდი ინტერესით დაათვალი-
ერეს გამოფენა, გაცნობისა და მოწონების
შემთხვევაში შემდგომი გამოყენების მიზნით
შეარჩიეს მათთვის სასურველი წიგნები. პო-
ლონელი მეგობრების შეკითხვებს ვასახუ-
ბდით გურამ გეგეშიძე და მე. გურამს აქ
ინგლისურის ცოდნა გამოადგა და ზოგიერთ
ამხანაგს ინგლისურად უნმარტავდა ამა თუ
იმ საკითხს.

შეხვედრა უადრესად მეგობრულ და კე-
თილსასურველ ვითარებაში ჩატარდა, დიხა-
ხა შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცე-
ბის გზები, აგრეთვე დაიგეგმა მომავალი სა-
ქმიანი შეხვედრები!

ჩვენს გამოფენას და შემდგომ გვიან და-
მემდე გამართულ შეხვედრას ესწრებოდა ცნობი-
ლი პოლონელი კრიტიკოსი ფლორიან ნეუვაჟნი.
იგი ვარშავის უნივერსიტეტში კითხულობს სა-
ბჭოთა ლიტერატურის კურსს. როგორც მან
განაცხადა აქ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი
უკავია ქართულ ლიტერატურას.

სწორედ ფლორიან ნეუვაჟნი, აშუამად, ქა-
რთული ლიტერატურის თითქმის ყველაზე
მეტად ცნობილი პოპულარიზატორი და მთა-
გრამენი ვარშავაში. იგი მეტად პრინციპუ-
ლი და პირუთენელი მსაჯული ყოფილა.

გვითხრეს: თუკი მას წიგნი მოეწონა და
დადებითი რეცენზია დაწერა, ის წიგნი აუ-
ცილებლად გამოდისო.

ჩვენთან საუბარში ფ. ნეუვაჟნიმ გვითხრა,
რომ მინდა აქვს დასახული საქართველო-
ში ქართული ენის სასწავლო გამოგზავნის
2-3 სტუდენტო, ამდენიც, ან შეთანხმებისა-
მებრ უფრო მეტი კი გაცვლითი წესით მიი-
ღონ პოლონეთში, რათა უშუალოდ სრუ-
ლდებოდეს თარგმანი ქართული და პოლო-
ნური ენებიდან. ეს აუცილებელია პოლო-
ნურ ქართული მდიდარი ლიტერატურული
ურთიერთობების ახალ დონეზე ასაყვანად.
ნეუვაჟნიმ ისიც გვითხრა, რომ მსგავსი საკი-
თხი დაუყენებიათ სომეხი კოლეგების წინა-
შე და მათ უკვე მიუწევიათ ერევანში სწა-
ვლის მიზნით სამი პოლონელი ახალგაზრდა.

ფიქრობ, ამ უადრესად საჭირო საქმის
მოგვარება უნდა იკისროს ი. ქავჭავაძის სა-
ხელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწი-
ფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, და საქა-
რთველოს მწერალთა კავშირმა.

ფლორიან ნეუვაჟნი კარგი მოსაუბრე
აღმოჩნდა, იგი საინტერესოდ გველაპარაკა
ქართული ლიტერატურის პროპაგანდისა და
პოპულარიზაციის პრობლემებზე, უკვე გაკე-
თებულ და გასაკეთებელ საქმეებზე:

პოლონეთში თანამედროვე ქართული ლი-
ტერატურა აშკარა მოწონებით სარგებლობს.

პოლონურ ენაზე შეიდგერ გამოსულა...
დარ ღუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და...“
რიონი,“ ამ გახმაურებული ნაწარმოებში
თვის შემოკლებულ სახელწოდებად მიუცი-
ათ — „გაბატყ“, რაც ონავარს ნიშნავს. წი-
გნი უთარგმნია საუკეთესო მთარგმნელს
ირინა პეტროვსკას.

პოლონეთშივე გამოვიდა ნ. ღუმბაძის
„უკარაჩა“, მიხეილ ქვლივიძის ლექსები,
თამაზ ჭილაძის მოთხრობების კრებული „უ-
ჩის“ სახელწოდებით, ოთარ ჭილაძის რო-
მანი „უროდლმან ჩემმან მოყვნილმან“, მიხე-
ილ ლოხვიცკის მოთხრობების კრებული.

უკვე დამთავრებულია ჭაბუა ამირეჯიბის
რომანის „დათა თუთაშხის“ თარგმნა. თა-
რგმანი შეუსრულებია მწერალსა და პუბლი-
ცისტს იოზეფ ლენარტს. ი. ლენარტი ამჟა-
მად გამოცემილობა „ვსპულპრაცას“ („თანა-
მშრომლობა“) ერთ-ერთი დირექტორი და
მთავარი რედაქტორია. ეს მეტად მნიშვნე-
ლოვანი და ახალი გამოცემილობა ძირითა-
დად კლასიკურ და თანამედროვე საბჭოთა
ლიტერატურას გამოაქვეყნებს. გამოვა სა-
ბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობისა-
დმი მიძღვნილი წიგნები, ბავშვებისა და
ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ლიტე-
რატურა მოგონებები, მეშუარები, მხატვრუ-
ლი აღბომები, საბჭოთა მუსიკის გრამჩანაწე-
რები და კასეტები.

გამომცემლობა „ვსპულპრაცა“ თვალსაჩი-
ნო როლს ითამაშებს სსრკ-პოლონეთის ლი-
ტერატურული თანამშრომლობისა და ჩვენი
ხალხების შექმნილი კულტურული ფასეუ-
ლობების გაცვლის საქმეში.

ფლორიან ნეუვაჟნის დაუწერია ვრცელი
შესავალი წერილი ქ. ლომში გამოშვადი ქა-
რთული პოეზიის ანთოლოგიური გამოცემი-
სათვის. მას ჟურნალში „ნოვიე ფშიაზნი“,
აგრეთვე პოლონეთის სხვა ქალაქების ლიტე-
რატურულ ჟურნალებში სხვადასხვა დროს
გამოუქვეყნებია ესეები გალაკტიონ ტაბი-
ძის, ტერენტი გრანელის, ნოდარ ღუმბაძის,
მიხეილ ქვლივიძის, არჩილ სულაკაურის,
მუსხრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის,
გურამ ფანჭიკიძის, ოტია იოსელიანის შემო-
ქმედების შესახებ.

სწორედ ახლახან წავიკითხე ოტია იოსე-
ლიანის ნაწარმოებები „ფარსკლავთცვენა“,
„შავი და ცისფერი მდინარე“ — გვითხრა
ფ. ნეუვაჟნი — „ვარსკლავთცვენაში“ მძა-
ფრად იმოქმედა ჩემეო.“

მან გვთხოვა ქართული ლიტერატურის
დროული და სისტემატური გაცნობის მი-
ზნით გამოვუწეროთ ჟურნალი „ლიტერატუ-
რანა გრუჟია“.

იგი პოეზიასაც თარგმნის, ბევრი ლექსი
უთარგმნია ქართული და სომხური პოეზიი-
დან. მისი თარგმანები დიბეჭდა ქართული

პოეზიის იმ ანთოლოგიებში, რომლებიც გამოვიდა ვარშავასა და ლოდში.

ფლორიან ნეუჟანშიშ შერჩეა და გასაცნობად წაიღო ქართველი ავტორების ბოლო წლების რუსული გამოცემები: რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჭვარი“, არჩილ სულაკაურის „ჩუღურეთული მოთხრობები“, გურამ ფანჭიკიძისა და ოტია იოსელიანის წიგნები, გურამ გეგეშვიძის რომანები და მოთხრობები, ვახტანგ ქელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, შოთა ნიშინაიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, შორის ფოცხიშვილის პოეტური კრებულები.

მანვე გვთხოვა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნების გაგზავნა, ვინაიდან ჩვენს მიერ ჩატანილი და გამოფენაზე წარმოდგენილი ეგზემპლარები გამომცემლობა „კისინოვა ივდეზა“ წარმომადგენლებმა წაიღო გასაცნობად. ვარშავის ცენტრში, იასნაის ქუჩაზე, მდებარეობს ცნობილი და მეტად პოპულარული ჟურნალის „პოეზიის“ რედაქცია. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ჟურნალი თითქმის ორი ნომრის მოცულობით იმდენება ქართული პოეზიის ანთოლოგიას.

მოეწყო ჩვენი მეგობრული შეხვედრა ჟურნალის ხელმძღვანელობასთან. აქ გვანახეს და წავგვიტოხეს ნაწევრები უკვე თარგმნილი ლექსებიდან, რაც მეტად საინტერესოდ ედერდა.

ქართული პოეზიის ანთოლოგიისადმი მიძღვნილი ჟურნალ „პოეზიის“ გაერთიანებული ნომრები უკვე 1985 წელს გამოვიდა, მაგრამ რედაქცია ამით არ შემოიფარგლება. იგი კვლავაც გააგრძელებს ქართველი პოეტების საუკეთესო ნაწარმოებების ბეჭდვას, აგრეთვე გამოაქვეყნებს კრიტიკულ სტატიებს ან ესეებს ქართველი ავტორების შესახებ.

ქართული პოეზიის ანთოლოგიას შესავალ წერილად წამძღვარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ სარგის ცაიშვილის ვრცელი წერილი, თითქმის ორი სავეტრო ფორმის მოცულობისა. აქ ლაპარაკია საქართველოს ისტორიის საკანონო საკითხებზე, ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე, კლასიკურ და თანამედროვე ქართულ პოეზიაზე.

ამ ნომერში მოთავსებული ქართველი პოეტების პორტრეტები, თბილისის ხედების, მატერიალურ-კულტურული ძეგლების თუ კობა გურულის ქედურობის ფოტომასალების ავტორია ფოტოჟურნალისტი ე. გიგიალაშვილი.

ჩვენის მხრივ პოლონელ კოლეგებს ვუამბეთ პოლონელი ავტორების რა წიგნები გამოდის საქართველოში, აგრეთვე ვაჩვენეთ ის ჟურნალ-გაზეთები, სადაც დაბეჭდილია ადამ მიცევიჩის, იულიან ტუვიშის, ტადეუშ რუ-

ფევიჩის. ლეოპოლდ ლევინის, იგორ სიკირიკის, ეტი ზაგურსკის და სხვათა ნაწარმოებები.

აქვე მწუხარებით შევითყვეთ, რომ ჩვენი დადგენილი ქართველი ხალხისა და ზენი ლიტერატურის დიდი მეგობარი, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანისა“ და ქართული პოეზიის მთარგმნელი ეტი ზაგურსკი.

ვარშავაში გამომავალი ქართული პოეზიის ანთოლოგიისათვის, ისევე როგორც ლოდში გამომავალ კიდეც უფრო ფართო ანთოლოგიისათვის, სადაც 82-ქართველი პოეტია წარმოდგენილი, მალახარისხოვანი მწკარედები და პოეტების ბიოგრაფიები ჩვენი თხოვნით მოამზადა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ჟურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, თანაც საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში, რისთვისაც ეს ძალზე მნიშვნელოვანი რესპუბლიკური ორგანიზაცია დიდ მადლობას იმსახურებს. დღითიდღე იზრდება მისი როლი ქართული ლიტერატურის პროპაგანდა-პოპულარიზაციის საქმეში და უდავოა ჩვენი კოლეგიალური, მეგობრული თანამშრომლობა ბევრ სასარგებლოს მოუტანს მშობლიურ ქართულ მწერლობას.

აქვე მინდა მკითხველებს გავაცნო ჩვენი დიდი მეგობარი, ჟურნალ „პოეზიის“ მთავარი რედაქტორი, გამოჩენილი პოლონელი პოეტი პროზაიკოსი, ღრამატურგი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ბოგდან დროზდოვსკი.

იგი დაიბადა 1931 წელს. დაამთავრა ლოდის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ლონდონში პოლონეთის კულტურის დეპარტამენტის უფროსად. ბრწყინვალედ ფლობს რუსულ, სლოვაკურ, ინგლისურ, გერმანულ ენებს, თარგმნის ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს თითქმის ყველა აღნიშნული ენიდან. დღემდის გამოცემული აქვს ორიგინალური და თარგმნილი ასამდე წიგნი, რაც მის დიდ ნიჭსა და საოცარ შრომისმოყვარეობაზე მიგვითითებს.

ჯერ კიდევ 1958 წელს გამოჩენილ პოლონელ პოეტს ვლადისლავ ბრონევსკის მისთვის უსახსოვრებია ლექსების წიგნი საუბრადებო წარწერით: „ბოგდან დროზდოვსკის — ქეშ-მარტად პოლონელ პოეტს, მრავალ აბა-პოეტთა შორის დიდად გამოჩენილს“.

ბოგდანს ცალკე წიგნებად შეუყარვს მისი ნაწარმოებების შესახებ დაწერილი რეცენზიები. გურამ გეგეშვიძემ და მე მთელი საღამო ვათვალიერეთ ეს ტომები, სადაც განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მხოლოდ პიესების შესახებ ათასზე მეტი რეცენზია იყო გამოქვეყნებული.

პოლონეთში გამოდის მეტად საპატიო სე-

რია „მსოფლიოს პოეტები“. ყოველწლიურად, როგორც პოლონეთის ისე სხვადასხვა ქვეყნების ყველაზე გამოჩენილი პოეტების მხოლოდ 12 წიგნი იბეჭდებოდა; როგორც ამბობენ, ეს არის მსოფლიოს ლიტერატურის ძეგლები. ამ სერიაში გამოვიდა ბოგდან ღროზდოვსკის ლექსების წიგნი.

არის მეორე არანაკლებ საპატიო სერია, რომელსაც გამოსცემს პოლონეთის სახელმწიფო საგამომცემლო ინსტიტუტი „პიკ“-ი. აქ მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო პოეტების წიგნები გამოიცემა და პოპულარობის დასტურად თუ აღსანიშნავად მხოლოდ გვარები ეწერება. ამ სერიაშიცაა გამოცემული ბოგდან ღროზდოვსკის ლექსების კრებული.

გურამ გეგეშეძესა და ჩემთან მეგობრული საუბრის დროს ბოგდანმა იხუმრა: „მას მერე, რაც ამ სერიაში გამოვიდა ჩემი ლექსების წიგნი და კლასიკოსობას მივაღწიე, ლექსების წერას საერთოდ გავანებე თავი“. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ არ წერს ძველებური გატაცებით ლექსებს, მოგვიგო: „ახლა ლექსები ყველა წერს, მე უფრო პროზა გამოცემა და ჩემს სათქმელს რომანებითა და პიესებით მგონი უკეთესად ვამბობ“.

ბოგდან ღროზდოვსკი რვა რომანის ავტორია, ამასთან ერთად ნარკვევების არა ერთი და ორი წიგნი აქვს გამოცემული.

პოლონეთში გამოცემულ სერიაში „პოლონური პროზის დიდოსტატები“, სადაც იბეჭდება მხოლოდ და მხოლოდ მკითხველთა ფართო წრეებში ძალზე პოპულარული ნაწარმოებები, ბოგდან ღროზდოვსკის ორი რომანი რვაჯერ გამოვიდა.

ჩვენ გაცნობის, ქართულ ენაზე თარგმნისა და უახლოეს პერიოდში გამოცემის მოწინითან წამოვიღეთ ქართული მწერლობის უანგარო მეგობრის ბოგდან ღროზდოვსკის რჩეული ლექსები, აგრეთვე მცირე მოცულობის რომანები „ამწე“ და „არმინ. ლასკოვიჩის ვნებანი“, რომელთაც „მერანი“ გამოსცემს.

ბოგდან ღროზდოვსკის მონღოლმებით ვარშავის გაცნობა ყოველდღიურად გრძელდებოდა. ჩვენი დიდი მოწონება დაიმსახურა ქალაქის ცენტრში მოთავსებულმა უძველესმა პარკმა „ლაზენიკი“, რაც პოლონურ ენაზე აბანოების ნიშნავს. ბაღებისა და სასახლეების ეს ანსამბლი მე-18 საუკუნის დასაწყისში დაარსდა. აქ თვალსაჩინო ნაციონალური მოვლენების ცენტრი იყო და მრავალი ათეული წლების მანძილზე პოლონეთის ელიტის შესაყრბე ადგილს წარმოადგენდა.

მსოფლიო საბაღო — საპარკო ზელოვების ეს ნიმუშიც დაუნდობლად გაანადგურეს გერმანულმა ოკუპანტებმა. ექვს წელიწდო მთელ დასკირდა ხალხს, რათა პირვანდელი სახე დაებრუნებინათ ამ ადგილებისთვის.

სხვა მრავალ მხატვრულ ნაწარმოებს შო-

რის სახალეს ამშვენებს კლასიციზმის პარკის უდიდესი პოეტის, ეპისკოპოს კრასიციკის კუთვნილი სურათების ცნობილი ფაქტობრივი უველა ეს ძვირფასი სურათი გერმანულმა ფაშისტებმა გაიტაცეს და წლების შემდეგ დაუბრუნდა პოლონელ ხალხს.

„ლაზენიკის“ ღირსშესანიშნაობათა შორის არის დიდი პოლონელი კომპოზიტორის ფრედერიკ შოპენის ძეგლი. ომის დროს ეს ძეგლიც ააფეთქეს ჰიტლერელებმა. მისი პირვანდელი სახით აღდგენა ომის დამთავრებიდან დიდად ხნის შემდეგ მოხდა და 1958 წელს გაიხსნა.

პარკში მშვენიერი ამფითეატრია. მაჟურბელთა დარბაზი სცენისაგან გამოყოფილია არხით და ესეც თავისებურ სილამაზეს ქნის. აქ დღესაც ეწყობა ღია ცისქვეშ კონცერტები და პოეზიის საღამოები.

„ლაზენიკის“ შემდეგ პოლონეთის ნაციონალურ მუზეუმს ვეწვეთ და ყურადღებით დავათვალიერებ სახელგანთქმული პოლონელი მხატვრების მდიდარი გამოფენა. აქ იყო მხატვრობა მე-19 საუკუნის ბოლომდე, მეოცე საუკუნის დარბაზები კი ახალი ექსპოზიციისათვის დაგეზრათ.

აქამდე უკვე მოვაწარით „სტარე მია-სტოს“ უბანში გვენახა თანამედროვე მხატვრების სულ ახალი გამოფენა. აქ შევირალა ფერებითა და საოცარი ფანტაზიით შემქმნილ სურათებში ავანგარდიზმის, კუბიზმის და საერთოდ ყოველგვარი აწ გადასული თუ მოღუთი „იზმების“ გავლენა იგრძნობოდა.

ბევრი ნახატი საინტერესო იყო ჩანაფიქრითა თუ შესრულებით, მაგრამ მაინც არ იყო იმ საოცარი ზემოქმედების მომხდენი, რასაც ჩვენზე ჰემზარიტი მხატვრობა ახდენს. ნაციონალური მუზეუმის დარბაზები კი სავსე იყო დიდებული მხატვრობით, აქ რომანტიკოსებიც იყვნენ, რეალისტებიც, ექსპრესიონისტებიც, იმპრესიონისტებიც, მაგრამ, რაც მთავარია, იყო დიდი და ძლიერი შემოქმედება, ხალხის, უსახლვრო ნიჭის გამომხატველი სამუარო.

ჩვენ კვლავ მკვეთრი შთაბეჭდილებით აგვავსო სოველთაოდ ცნობილმა სურათებმა: „მთვინიანევი წეროები“, „ბაბიე ლტო“, „გრეუენაღლის ბრძოლა“ და სხვა. მათ მსგავსად, უდიდესი მხატვრის — მატეიკოს მრავალ ფერწერულ ტოლოს წუთითაც არ ელევა მნახველი.

თვით იან მატეიკო ახლო მხედველი უოფილა და თავისი ტილოები მთლიანობაში არასოდეს უხილავს თურმე. ეს სიხარული და სიამოვნება მან ადამიანებს აჩუქა.

აქვე ცალკეულ დარბაზებსა თუ კედლებზე წარმოდგენილია გამოჩენილი პოლონელი მხატვრების ჰელმოინსკის, პოტკოვინსკის, ვიჩე-

ლევსკის, ბრანდის, გერსონის, პანკევიჩის, მაქსიმოლიან და ალექსანდრ გერმისკების, აქსენტოვიჩის, ბოსნანსკას, უდიდისი პოლონელი მოღვაწის, პოეტის, დრამატურგის, პროზაიკის, მხატვრის, ტანისმღაც ვესპიანსკის მართლაც საუცხოო ტილოები, იაკე მალჩევიჩის საოცარი ფერებითა და სიღრმით შესრულებული სიმბოლისტური სურათები და სხვათა თვითმყოფადი შემოქმედება.

გამოფენა მთლიანობაში უაღრესად საინტერესოა, იგი ძალზე დიდხანს დამახსოვრდება ნებისმიერი პარფესიის დამთვალიერებელს. როგორც უკვე ვთქვი, აქ მრავალი სკოლა, მიმართულება და მიმდინარეობა არის წარმოდგენილი. იქნებ ამიტომაც ძალზე რელიეფურად ჩანს ის გზები, რთაც ერთი მიმდინარეობა მეორეს ერწყმოდ, ამრავალფეროვნებდა და ხალხის ხელოვნება ახალი სიმაღლეებისაკენ მიჰყავდა.

მხატობათა ცენტრალურ სახლში შევხვდით პოლონეთის საავტორო უფლებების მთავარი სამმართველოს „ზაიქის“ გენერალურ დირექტორს ვიტოლდ კოლოდზეიჩის და მის დაქვემდებარებაში მყოფ ლიტერატურული სააგენტოს უფროსს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ანტე მეთიეჟსკის. მეგობრულ საუბარში დაისახა მეტი ინფორმაციის მიწოდების, ახალი საუკეთესო წიგნების რეგულარული გაცვლა-გამოცვლისა და კონტაქტების გაუმჯობესების გზები.

პოლონეთის საავტორო უფლებების სააგენტო დიდი შემოქმედებითი და იურიდიული დაწესებულებაა. იგი აწარმოებს ლიტერატურის, თეატრის, რადიოაღმგებლის, სახვით ხელოვნების, მუსიკისა და მხატვრული ფოტოგრაფიის სფეროში მომუშავე ავტორების რეკლამას საზღვარგარეთის ქვეყნებში, აძლევს უფლებას პოლონელი ავტორების გამოსაცემად და შუამავლობას სწებს ხელშეკრულებისა თუ ოფციონის გაფორმების დროს, პოპულარიზაციას უწევს თანამედროვე პოლონელი ავტორების ნაწარმოებებს, თავის წინადადებებს უგზავნის საავტორო უფლებათა სააგენტოებს, გამომცემლობებსა და მთარგმნელებს მთელ მსოფლიოში, ამასთან ერთად, მათ უგზავნის უკუელგვარ ახალ ინფორმაციას.

სავტორო უფლებების სააგენტო მრავალ უცხო ენაზე უშვებს საინფორმაციო-სარეკლამო ხასიათის გამოცემას, გამოდის პროზურათა მრავალფეროვანი სერია „თანამედროვე პოლონელი მწერლები“, ბიულეტენი „ახალი პოლონური წიგნები“, ყოველთვიური ჟურნალი „თეატრი პოლონეთში“, „პოლონური მუსიკა“, „ცნობარი“, „პოლონეთის თანამედროვე თეატრალური პიესები“.

პოლონეთის საავტორო უფლებების სააგენტოს

ნტოს ათათასობით მხატვრულ თუ სხვა ნაწარმს წიგნებთან ერთად აქვს თანამედროვე პოლონური თეატრალური პიესების მთელი ოთხი, სადაც 5.000-ე მეტი პიესა მოეპოვება.

ეს თვალსაჩინო ორგანიზაცია უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა.

პოლონელ მეგობრებს აინტერესებდათ რა სიახლეებია ქართულ ლიტერატურაში, თეატრში, მუსიკაში, კინოში. მათ, როდესაც გაიგეს რომ მწერლობასთან ერთად გურამ გეგეშიძე კინოსტუდია „ქართულ ფილმშიც“ მუშაობს, დაწვრილებით გამოიოხეს თუ რას აკეთებს რეჟო ჩხეიძე, რომელიც საკმაოდ პოპულარული უოფილა პოლონეთში და რომელიც მათ მიაჩნიათ თანამედროვეობის დიდ რეჟისორად.

ჩვენი ვარშავაში სტუმრობის დროს საყოველთაო საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „სტარე მიასტოს“ ცენტრალური ადგილი და კემპარიტი მშვენება, ვისლის სანაპიროსთან ზვიადლ აღმართული მეფეთა სასახლე.

ეს დიდებული ისტორიული ნაგებობა გერმანელმა ბარბაროსებმა მთლიანად დაანგრიეს. ათასობით ასაფეთქებელი ზერელი გაკეთდა მის სქელ, ჩადულაბეზულ კედლებში და მიწის პირთან გასწორდა დიდი ისტორიული ქარტეხილების მომსწრე სასახლე. ჩვენ ვახებთ მრავალი ფოტოსურათი, სადაც მკაფიოდ ჩანდა, რომ სასახლის ადგილას რამოდენიმე მეტრის სიმაღლეზე მხოლოდ ქვალორის გროვა ეყარა.

ზოგან ორიოდ ძალზე სქელი თლი გადარჩენია დანგრევას, შემდეგ კი აღდგენითი სამუშაოების დროს ყველა ეს ისტორიული ნაწილი სიფრთხილითა და სიუვარულით ჩაუტანებიათ რესტავრირებულ, უფრო სწორედ ახლად აგებულ კედლებში. ის კი არაა და, ყველა ქვა თუ აგური სპეციალურად ყოფილა დანომრილი, დახარისხებული და ისინი მზრუნველ ხელს თავთავის ადგილას ჩაუსვამს შემორჩენილი ნახატების მიხედვით.

ისიც უნდა ითქვას, რომ ომის ქარცეცხლს გადაურჩა დიდი იტალიელი მხატვრის კანალიეტოს ნახატები, რომელსაც ძველი ვარშავის სურათების სერიაში მეფეთა სასახლეც არა ერთხელ დაუხატავს. კანალიეტო დიდხანს ცხოვრობდა ვარშავაში, მას ზუსტად აქვს ამტკველებული იმ პერიოდის „სტარე მიასტო“ და მისმა ნახატებმა თვალსაჩინო როლი ითამაშა არა მარტო მეფეთა სასახლის, არამედ მთელი „სტარე მიასტოს“ აღდგენაში.

ოცდაათე მეტი წელი ელოდა თურმე ეს დიდებული ისტორიული ნაგებობა მკვდრით აღდგომას. პოლონეთის მთავრობა ვერ იწყებდა რთულ სამუშაოს იმ მოტივით, რომ

მის აღდგენას უზარმაზარი თანხა სჭირდებოდა. ამას კი ბიუჯეტიც არ ეყოფოდა. მთავრობის განცხადებით ჭერ სახლზე შეურყეოების წინსვლისა თუ ხალხის მატერიალური მდგომარეობის ამაღლებისათვის საჭირო სხვა ობიექტები უნდა აღმდგარიყო.

მაშინ დიდი პატრიოტული მოძრაობა დაიწყო. ყოველგვარი მითითების გარეშე ხალხმა თავად იკისრა სასახლის აღსადგენად საჭირო უზარმაზარი თანხის შეგროვება.

ათი წელი გრძელდებოდა ფერფლისაგან მისი აღდგენა, მოხატვა, მოვარაუდება. ამ დროის მანძილზე ვარშავაში ერთი მცხოვრებელი არ დარჩენილა რაიმე თანხა რომ არ გაეღო.

ჩვენ ვნახეთ ორი დიდი, რკინისა და შუშისაგან გაკეთებული ყუთი. ახლაც კი ორივე სახეობაზე მეტად იყო სავსე ფულით. ჭერ კიდევ გრძელდებოდა სამუშაოთა ნაწილი ზოგერთ ფლოიგელში. ყუთებში ეყარა მრავალი ღირსების წლოტი, დაწყებული ერთიდან, ხუთ და ათ ათასიან კუპონებამდე. სხვა და სხვა ქვეყნის ვალუტაც კი ეყარა. ხალხის არნახულმა პატრიოტულმა აღტყინებამ ვარშავაში აკრედიტებულ უცხოელებსა და ტური-სკებზეც კი იმოქმედა, ისინიც ცდილობდნენ დახმარებას.

ისიც გვითხრეს რომ ყუთები გარეთ იდო დღისით თუ ღამით, სპეციალურად არავინ იცავდა და ათი წლის მანძილზე გატების თუ გატაცების ერთი მცდელობაც არ ყოფილა, ყუთებში კი ხშირად მთლიანობით და ათი მთლიანობით წლოტიც ეყარა.

ხალხის ერთიანობამ და პატრიოტულმა შემჭიდრობამ გაიმარჯვა, სასახლე პირვანდელი ბრწყინვალეობით აღსდგა.

გურამ გეგეშვიძე, ბოგდან დროზდოვსკი, სსრკ ვაპის მუღმევი წარმომადგენელი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი ოფიციალური დელეგაციის წევრად ითვლებოდა და მე, მანქანით გავემგზავრეთ ქალაქ ლოძში, სადაც მიპატიჟებულები ვიყავით ლოძის ცნობილი გამომცემლობის ხელმძღვანელობის მიერ.

50 კილომეტრის გავლის შემდეგ გადავუხვეთ გზიდან და შევედით უძლიაშოვა ვოლიაში, სადაც 1810 წლის 22 თებერვალს დაიბადა პოლონეთისა და მთელი მსოფლიოს დიდი კომპოზიტორი ფრედერიკ შოპენი.

ცხოველი ინტერესით დავათვალიერეთ ორსართულიანი მყუდრო და ღამაში სახლი, ასე შთამბეჭდავდა რომ შემოუნახავს გენი-ალური კომპოზიტორის ბავშვობის წლები.

სახლის ერთ-ერთ ოთახში, ფრედერიკ შოპენის დაბადების ადგილას, სიმბოლურად დგას მაღალი მშვენიერი ვაზა, აქვეა მისი ნი-ლაბი. ერთ-ერთ ოთახში დგას როიალი, რომელზეც კომპოზიტორი შთაგონებით უკრა-

ვდა თავის მასურებს, ნოქტიურნებს, პოლონეზებს, პრელუდიებს.

შოპენის სახლს დიდი ზალი აკრავდა დიდი კომპოზიტორის ძეგლი ამუშვენებს, მისი ახატები თანხაც სიყვარულითა და პატივისცე-მით შეუგროვებია ხალხს.

აქ საოცარმა, თითქმის ფანტატიურმა ზრუ-ნვამ ჩვენი დიდი კლასიკოსების სახლ-მუზე-უმებიც გამახსენა, რომელთაც ხშირად აკლი-ათ საზოგადოების მზრუნველი ხელი და დი-დი მოვლით ვერ დაიტარებებენ.

ლოძის გამომცემლობის ვრცელ და ნა-თელ დარბაზში მთელი კოლექტივი გველო-და. ჩვენს საპატივცემულოდ გამართულ შე-ხვედრაზე იყვნენ გამომცემლობის გენერა-ლური დირექტორი იაკეკ ზაორსკი, დირექ-ტორი ფილასი, მოადგილე სტეპიაკი, მთა-ვარი მხატვარი სტანსკა, ხელშეკრულებათა განყოფილების გამგე კოვალევსკა, მთარგმე-ლობითი განყოფილების გამგე, გამოჩენილი პოლონელი პოეტი და ქართული პოეზიის პროპაგანდისტი ტადეუშ ხრუშჩილეფსკი.

აქვე იყო ქართველი ხალხის, ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი, შოთა რუ-სთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ პო-ლონურ ენაზე მთარგმნელი, აგრეთვე მრავა-ლი ქართველი პოეტის პოლონურად ამშე-ტყველებელი, გამოჩენილი პოეტი, მთარგმე-ლი და საზოგადო მოღვაწე იგორ სიკირი-ცკი, რომელიც სამწუხაროდ სულ რამდენი-მე თვის შემდეგ გარდაიცვალა.

დარბაზში გამოფენილი იყო თარგმნილი საბჭოთა ლიტერატურა; მათ შორის ი. სიკი-რიცკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ორი მშვენიერი გამოცემა, მის მიერვე თა-რგმნილი „ძველი ქართული პოეზიის ანთო-ლოგია“ ჩაბრუნაძიანდ გალაკტიონ ტაბიძემდე.

აქვე იყო ი. სიკირიცკის მიერ თარგმნილი და გამოცემული საინტერესო კრებული სა-ერთო სათაურით „ჩემი უსაყვარლესი პოე-ტები“, სადაც ზერბაიჯანის, სომხეთის, ბე-ლორუსიის, ლიტვისა და რუსეთის პოეტების გვერდით წარმოდგენილია ქართული ხალხუ-რი პოეზია, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე ჰუცვაძე, ვაჟა-ფშაველა, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე და გრი-გოლ აბაშიძე.

გამოფენილი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების წიგნი მიხეილ ქვლივიძის წინასი-ტყუაობით და კრებული „საბჭოთა პოეტები პოლონეთის“, სადაც შესულია პოლონ იაშვი-ლის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის და იოსებ ნონეშვილის ლექსები.

ჩვენი მიწვევა და ვარშავიდან ლოძში ჩა-ხვლა კიდევ უფრო მეტად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აქ გამოდიოდა საზღვარგა-რეთის ქვეყნებისათვის საქმად დიდი მო-

ცულობის (40 სავტორო თაბახი) „ქართული პოეზიის ანთოლოგია“.

ქართული პოეზიის ტომში წარმოდგენილია 82 პოეტი ჩაბრუხაძიდან ვიდრე თანამედროვე ქართული პოეზიის ახალგაზრდა წარმომადგენლებამდე. აქვე წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები ყველა ავტორის შესახებ.

ქართული პოეზიის ანთოლოგია რიგით მეორე ტომად გამოვიდა 1985 წელს. მას მოჰყვება აზერბაიჯანული პოეზია, რუსული პოეზია, ლიტუარული და უზბეკური პოეზიის ანთოლოგიები. შემდეგ წლებში სხვა ანთოლოგიებიც გამოვა.

შეხვედრაზე გამოითქვა სურვილიც, რომ „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემის შემდეგ საქართველოში სტუმრად მოვიწვიოთ ქ. ლომის გამომცემლობის მუშაკები.

ისინი გვიპრდებოდნენ უფასოდ, საჩუქრის სახით ჩამოგვტანონ ასი ცალი ქართული პოეზიის ანთოლოგია, რაც კარგი საჩუქარი იქნება ქართველი პოეტებისათვის.

კვლავ ვარშავაში დავბრუნდით. მეორე დღეს შურნალ „პოეზიის“ რედაქციაში განვიხილეთ ჩვენი დელეგაციის მუშაობის შედეგები და ხელი მოვაწერეთ მომავალი ლიტერატურული კონტაქტებისა და საუკეთესო ნაწარმოებების ურთიერთაცვლის გეგმას.

დღავთვალთვით ვარშავის ახალი საცხოვრებელი მასივი „სტეფანი“ და ძალიან მოგვწონდა, რადგან მშვენიერი შენობების გვერდით შენარჩუნებულია ბუნებრივი პირობები, არემარეს სიმწვანე და სურნელი ავსებს.

ვარშავაში სიწყნარე და სიმშვიდე მეფოზს. ამინდებიც კარგი შეგვხვდა, ერთი-ორი წვიმიანი დღის გარდა მზე უხვად ანათებდა და ცხელდა.

თითქმის ყველგან მაღაზიები, ქალაქში მოწყობილი ფარდულები თუ სახელდახელო ბაზრები სავსეა უმაღლესი ხარისხის ხილით, ბოსტნეულით, წვენივით, ათასი სახის კონსერვებით, სასმელებით. ჭერჭეროვით შედარებით კირს ხორცი და ხორცის ნაწარმი, რაზედაც შემოღებულია საბარათო სისტემა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაღაზიებში და ბაზრებში ხილს თუ ბოსტნეულს ერთი და იგივე ფასი ადევს. სახელმწიფო ოგარანოები, თვით ხალხი, სათანადო კონტროლს უწევს ბაზარს.

მოაწია წამოსვლის დრომაც.

გამოვეთხოვეთ ვარშავას. პოლონეთს, სადაც ბევრი მეგობარი შევიძინეთ და სახელმწიფო კონტაქტები დავამყარეთ.

წინ თურქი ერთი საინტერესო სიურპრიზიც გველოდა.

გურამ გეგეშიძესა და მე სადგურზე უშურნალ „პოეზიისა“ და სსრკ ვაჰის წარმომადგენლობის თანამშრომლები გვაცილებდნენ. ჩვენი მუდმივი წარმომადგენლის მეუღლენ ირინე ზაიცევამ მოსკლისას ხმამაღლა დაგვიძახა ქართულად „გამარჯობა“. ამ ერთმა მაგიურმა სიტყვამ თურმე იმ წამს მიიპყრო მაღალი სიმპათიური მამაკაცის ყურადღება, რომელსაც ბარგი კაუში დაედო და იქვე ვაგონის წინ დასერიბოდა.

მატარებელი დაიძრა თუ არა იმ ლამაზმა, მაღალმა სათვალღებინამა მამაკაცმა აღელვებული ხმით და სუფთა ქართულით გვკითხა, ქართველები ხართ?

ჩვენ საოცრად გავვიხარდა ასე მოულოდნელად, შორეულ ვარშავაში ქართველი კაცის ნახვა.

გავეცანით ერთმანეთს.

ჩვენი ახლადგაცნობილი თანამგზავრი აღმოჩნდა 1955 წლიდან ვარშავაში მცხოვრები ქართველი კოკა (კორნელი) ზნაივა.

ეს სახელი და გვარი ჩვენ თბილისშიაც არა ერთხელ გვქონდა გაგონილი, როცა ვარშავაში მივემგზავრებოდით, გურამ გეგეშიძეს და მე. ჩვენმა საერთო მეგობარმა თენგიზ სიგუამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, გვითხრა: თუ ვარშავაში რამე დაგვირდეთ, იქ ჩემი ახლო მეგობარი კოკა ზნაივა ცხოვრობს და იმას დაურეკეთო. ჩვენ მოგვერიდა უცნობი კაცის შეწუხება, მაგრამ მოხდა ისე, რომ მაინც შევხვდით ერთმანეთს და ჩქარი მატარებლის „ვარშავა-მოსკოვის“ ანუ „პოლონეთის“ ამსიგრძე შემადგენლობაში ეს სამი ქართველი ერთ ვაგონში და თანაც გვერდიგვერდ კაუში ვიყავით.

მატარებელი კი მოჰქროდა მოსკოვისაკენ. მშვენიერი მზიანი დღე იყო, ღია ფანჯრებში სურნელოვანი ქარი იჭრებოდა, ჩანდა პოლონეთის გაშლილი ველ-მინდვრების კრიალა პეიზაჟები და ჩამავალი დიდი წითელი მზე საოცნებო ფერებით ღებავდა მიდამოს.

დავით გურამიშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტის გაშრო

დავით გურამიშვილის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია მკვეთრად გამოვლენილი რელიგიური ტენდენციები და განმანათლებლური პოზიციები, რომელიც ორგანულადაა შერწყმული ქრისტიანულ კონცეფციასთან. აკად. კ. კეკელიძე მართებულად შენიშნავდა: „პოეტის (დ. გურამიშვილის რ. ბ.) შემოქმედებაში მძლავრადია წარმოდგენილი რელიგიურ-ასკეტური და საეკლესიო მორალური მოტივი“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 168, 1957 წ.).

პოეზიაში გამოვლენილ რელიგიურ განწყობილებებისა და აღმგზირულობის შესწავლას საუკრადღებო გამოკვლევები მიეძღვნა (კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი, ნ. ნათაძე, რ. სირაძე), რომლებშიაც ბევრი რამაა გარკვეული და უაღრესად საინტერესო დებულებებია ჩამოყალიბებული. ამასთანავე, ეს იმდენად დიდი და მრავალსიმომცველი სფეროა, რომ შემდეგშიც არაერთი გამოკვლევა მიეძღვნება მას.

ჩვენს სინამდვილეში XVIII საუკუნე ერთ-ერთ ურთულეს და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქას წარმოადგენს. სირთულე და მრავალსახეობა ვლინდება არა მარტო პოლიტიკურ სფეროში და აზროვნების ასპექტებში, არამედ სხვათა ენობრივი ნორმების გამოვლენის სფეროშიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის წერილობითი ძეგლების ენობრივი ნორმა ვლინდება ამ ნორმის თითქმის არარსებობაში. უამრავი და ნაირსახეობანი პარალელური ფორმების არსებობა ტოლმასონად აკლენს როგორც ძველ, ისე ახალ და ამა-სთანავე დიალექტურ ფორმებსა და ლექსიკას.

ენობრივი და განსაკუთრებით სტილისტური მრავალფეროვნება ეპოქის სირთულესთან ერთად განაპირობა იმანაც, რომ ძველი ქართული მწერლობა არც ერთ საუკუნეში არ წარმოჩენილა ისე მდიდრულად უნარობრივი თვალსაზრისით, როგორც XVIII საუკუნეში.

მატიანეები თუ მხატვრული პროზა, მეშუარები თუ მოგზაურობა, ჰომილეტიკა თუ პოლემიკა, ფილოსოფია თუ დოგმატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი თუ ლიტერატა-

ურათმცოდნეობა და რიტორიკა, ეპისტოლური მემკვიდრეობა თუ საქმეთმწარმოებლობა, ლირიკისა და ეპოსის (როგორც სასულიერო, ისე საერო) ნაირსახეობა, სიგელ-გუჯრები და ეთიკური თუ სხვა ტრაქტატები, ყველა ესენი ერთად აღებული ასეთი მრავალსახეობით არც ერთ საუკუნიდან არ შემოგვცენაბა. ბუნებრივია უძველი მთავანი თავის ნიუანსს ქმნიდა, როგორც წმინდა გრამატიკულ, ისე სტილისტურ-გამომსახველობით ასპექტში. ამ ნაირსახეობას უნარობრივ სიმდიდრესთან ერთად, უპირველესად განაპირობებდა თვით საუკუნის სირთულე, როდესაც ძველი და ახალი, აღმოსავლური და დასავლური, სასულიერო და საერო კულტურა ასე გადაეჭაჭა და გაუთანაბრდა ერთმანეთს.

ეროვნული და აღმოსავლური ტრადიციების სიმყარე ხელს არ უშლიდა ახალ, დასავლეთ-ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარებასა და ათვისებას. ევროპულ კულტურასთან მიახლოება ქართველ კაცს არ აშორებდა ეროვნულ ნიადაგს, პირიქით, ამ უკანასკნელზე ამკვიდრებდა იგი ახალს და ამ ორგანული სინთეზით ქმნიდა თავისთავად და საკუთარი ნიშან-თვისებებით გამოვლენილ მშობლიურ კულტურას.

XVIII საუკუნის მწერალთა აზროვნების ერთ-ერთი თავისებურება იმაშიც გამოვლინდა, რომ მასში ქრისტიანულ ღრმამორწმუნეობას ორგანულად შეეზარდა მოწინავე ევროპული იდეები. ევროპული სამყარო შეატოტმანა და ახალი ასპექტები განავითარა განმანათლებლურმა აზროვნებამ. ეს დიდი და უაღრესად მიმზიდველი სიახლე შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენს მწერლებს, რომელნიც საოცარი დაშურებით დაეაწყნენ უძველივე პროგრესულს და მისი ათვისებითა და დამკვიდრებით ცივილიზაციის ახალ ასპექტებს ქმნიან ჩვენში. ამ დიდ ძვრებში ჩვენი მწერალთა ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება იმაში გამოვლინდა, რომ მათი აზროვნების სტბლი საოცარი ჰარმონიულობით ითავსებს განმანათლებლურ და ქრისტიანულ კონცეფციებს, რაც, რასაკვირველია, განპირობებული იყო იმ ისტორიული

ატმოსფეროთი, რომელშიაც მათ უზღებოდათ მოღვაწეობა და ჩამოყალიბება.

დღეს ექვს არ იწვევს რომ არჩილი, სულხან-საბა და დავით გურამიშვილი სათავეს უდებენ ჩვენში განმანათლებლობას, მათი მოღვაწეობა (განსაკუთრებით არჩილი და სულხან-საბა) აშკარად განმანათლებლური ხასიათისაა. არც გურამიშვილია ამ მხრივ უგულვებელსაყოფი. მათ შემოქმედებაში აღძრული და განვითარებული იდეები, სინამდვილის აღქმა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრება აშკარად განმანათლებლურია. ჩვენ საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს სწორედ ეთიკურ პრინციპებს, რადგან მათი (ჩვენს მწერალთა) პოლიტიკური და სოციალური კონცეფციები ჰუმანისტურად განწყობილი ფეოდალ არისტოკრატთა ლიბერალური პოზიციების გამომხატველია და ნაკლებად თანხვედრია ამ საკითხზე განმანათლებელთა შეხედულებებისა. ყოველივე ზემოთ თქმული, როგორც აღვნიშნეთ დღეისათვის ექვს არ იწვევს. მაგრამ ასევე უაშველია ისიც, რომ აღნიშნულ მწერალთა შემოქმედებაში დომინირებს არა მარტო რელიგიური მოტივები და თემატიკა, არამედ, უპირველეს ყოვლისა ისინი ღრმადმორწმუნე ქრისტიანი მოაზროვნეები არიან და მათ სტრიქონებში ღრმადია ჩაქსოვილი ქრისტიანულ-თეოლოგიური კონცეფციები.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: როგორ შერწყა ერთმანეთს ღრმადმორწმუნე ქრისტიანი და განმანათლებელი? საქმე იმაშია, რომ, ჭერ ერთი, მაშაშვიანური გარესამყაროთი მოცული ჩვენი მწერლობისათვის (და საერთოდ მოქალაქისათვის) ქრისტიანობა თვითდაცვისა და ეროვნული კონცეფციის გამოვლენის ფორმად იქცა, ხოლო მეორეს მხრივ XVIII საუკუნის ქართველი მწერლები (ისე როგორც ეს გამოვლინდა დასავლეთ ევროპის მწერლობაში) თვით ქრისტიანობაში ხედავდნენ ჰუმანისტურ მისოფლგაგებისა და განმანათლებლობის იდეას.

ქრისტეს ეს მარადი ხსოვნა, მასთან მარადი თანაარსებობის სურვილი გათვალისწინებული სულიერი მოთხოვნობა XVIII საუკუნის ქართველი მწერლებისა.

არჩილისა და სულხან-საბას, დავით გურამიშვილისა და ვახტანგ VI-ის შემოქმედება განმსჭვალულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით და ყოველი მათი თხზულებიდან გამოსკვივის ღრმადმოჭმუნე ადამიანის სულიერი განწყობილებანი და მისწრაფებები.

ქრისტიანულ მოძღვრებაში ისინი ნახულობდნენ არა მარტო ინტექტუალურ საზრდოსა და ზნეობრივ თვითდახვეწას, არამედ ამავე დროს პიროვნული სრულყოფისა და ეროვნული ხსენის გარდაუვალ გზებს.

სახარებაში აღძრული ეთიკური პრინციპები

ბიბლიური დავითის „ფსალმუნებში“ ჩამოყალიბებული თვითდახვეწისა და მონანიერის ლოგიკური თანხვედრია. სწორედ ამიტომაც რომ დავით გურამიშვილთან განსაკუთრებული ხედვრითაა წონითაა დამკვიდრებული „სახარება“ და „ფსალმუნები“.

დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ბიბლიური მეფესალმუნე დავით წინასწარმეტყველი. მაგრამ გურამიშვილთან ბიბლიური დავითი არაა მხოლოდ მხატვრული სახე ან მხოლოდ შთაგონება. იგია, როგორც მართებულადაა შენიშნული, გურამიშვილის პოეტური ორეული (რ. სირაძე). გურამიშვილს ბიბლიური დავითი აღქმული აქვს როგორც საკუთარ განცდათა დიდი მესიტყვე. აქ უბრალოდ პოეტურ კონტაშინაციასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ღრმა და იშვიათი თანაზარდობაა გამოვლენილი. აქ არაა არც მიბაძვა, არც პერიფრაზი. აქ ქინკანის განცდითი თავისებურებაა გამოხატული და არა იდეალის, ავტორიტეტისადმი დაქვემდებარება.

ამ კუთხით აქვს წარმოდებული ძიება პროფ. რევაზ სირაძეს, მაგრამ ერთი ასპექტი დაზუსტებასა და კორექტირებას საჭიროებს. მის გამოკვლევაში ვკითხულობთ: დავით გურამიშვილის მიერ პოეტურ იდეალადაა დასახული დავითფსალმუნთა ავტორი; დავით გურამიშვილი ცდილობს მის ცვალობაზე გამოთქვას თავისი საგალობელი“. (რ. სირაძე, წერილები, გვ. 119).

დავით გურამიშვილი რომ ბიბლიური დავითის „ცვალობაზე გამოთქვამდეს თავის საგალობელს“, მაშინ მხოლოდ განმეორებასთან, უბრალო მიბაძვასთან გვექნებოდა საქმე. არა და გურამიშვილის სახით ბევრად უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიუხედავად აქ გამოვლენილია დავით მიბაძვა და გამეორება, არამედ თანხვედრა და ეს თანხვედრა განპირობებულია განცდათა სიღრმისა და აზროვნების სტილის მსგავსებით. დავით გურამიშვილის შინაგანი ღრმა რწმენა, თვითდახვეწის და ცოდვათა მონანიების დაუოკებელი უნო, ღვთაებისადმი სწრაფვისა და ამადლების ზეადამიანური მოთხოვნილება თანაზარდ ხედის ბიბლიურ დავითთან, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი სწრაფვის ამ გზაზე გურამიშვილს უკვლავზე დიდ ავტორიტეტად მიაჩნია და მისითაა აღტაცებული და მოხიბლული.

ბიბლიურ დავითში გურამიშვილი ხედავს განცდისა და აზროვნების დიდსა და ღირსეულ თანაზარდს და მასთან მარადიული კონტაქტი, პოეტური გასაუბრება ქართველი პოეტის სულის მოახებლად ქცეულა და ამიტომაც, რომ ბიბლიური დავითის სახე თან გასდევს მთელ „დავითიანს“. რომლსაც მოჰყვება შემდეგ ბიბ-

ლიური დავითისადმი საგანგებოდ მიძღვნილი ოთხი შესხმა (ამის შესახებ საინტერესო და მართებული მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. რ. სირაძეს), რომლებშიაც ვლინდება დავით გურამიშვილის სრული თანაზიარობა ბიბლიურ დავითთან თვითდახვეწისა და ცოდვების მონანიების დიდი შინაგანი მოთხოვნილებით.

მონანიებისა და მორჩილების განცდა ქრისტიანულ მოძღვრებაში გაცნობიერებულია არა როგორც ბოგრაფიული ცდუნების გამოწვეული მოზოლიშება და სოციალური უნიათობა, არამედ როგორც სულიერი ზედამავლობა ზოგად ადამიანური სისუსტეებისა და ტყივლების დამღევა: როგორც პირველცოდვის მწარე განცდა არა ადამიანი — პიროვნებისაგან, არამედ ზოგად ადამიანისაგან; სინანულის უამს სავაზარა არა კონკრეტულ სუბიექტისაგან, არამედ ზოგად, საერთოდ ადამიანის, კაცობრიობის პოზიციებიდან. სწორედ ზოგადი, საყოველთაო ასპექტი აქვს მხედველობაში იოანე ოქროპირს როდესაც ამბობს: „უკეთუთ განიდვძოს და განიფრთხოს დაცემულობისაგან თვისისა და აჩუქნოს შემდგომად მისა მსურველ სარწმუნოება და სინანული, პოვოს მან განსუენება და ნუგეშინის — ცემა და შენდობა“ (მამათა სწავლანი, გვ. 27).

პატრისტიკაში დამკვიდრებული სინანულის აპოლოგია კოლოსალურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და მათი სისრულით წარმოდგენა შეუძლებელია, იგი ცალკე კვლევის საგანია, ამჯერად კი გვინდა დავასვანთო, რომ ქრისტიანული მოძღვრებით მონანიების განცდა. ამ უნარის გამომუშავება და განვითარება არის ერთადერთი გზა სულიერი ხსნისა და თვითდახვეწისა, განწმენდისა და ღვთაებისადმი წყდომისა. ეს დიდი და საყოველთაო, წმიდადამსახურა ზედამიანური ანგარიშგება ისტორიისა და ღვთაების წინაშე განმაცვიფრებელი სინატიფითა და სიღრმით, სულიერი ენერგიის სრული დაძაბვითა და აზროვნების იშვიათი გაქანებით გამოავლინა დავით გურამიშვილმა და ეს არც თუ მოულოდნელი იყო, რადგანაც ამ განცდათა თანაზიარად და მეტყუარად ჰყავდა ისეთი დიდი წინაპარი, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო.

„გალობანი სინანულისანი“ ნათელი დადასტურება იმისა, რომ მის ავტორს საფუძვლიანად ჰქონდა ათვისებული მსოფლიო პოეზია და ფილოსოფოსთა ნააზრევნი, ბიბლია და მამათა ტრაქტატები. თანასიარვე საზგასმულია ისიც, რომ დავით აღმაშენებელი უპირატესეს ყოვლისა აღზრდილი იყო ეროვნულ ტრადიციებზე და ჩვენი მდიდარი ქართული სასულიერო პოეზია ერთ-ერთ ძირითად საზრდოს წარმოადგენდა მისთვის.

ამ დიდი და ღირსეული ტრადიციების ლო-

გიკური დავითგინებაა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. მართებულია შენიშვნა თხზულების ერთ-ერთი გამოშვების მელი და შესანიშნავი კომენტატორი მკვლევარი ლაურა გრიგალაშვილი, რომ „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა შინაარსითა და მაღალმახატვრული ფორმით შუა საუკუნეების ქართული სინამდვილის იდეოლოგიურსა და ესთეტიკურ მრწამსს გამოხატავს.

რელიგიურ-თეოლოგიური კონცეფციით კაცობრიობას თან მოსდევს ბიბლიური ადამიანის პირველცოდვა და ეს პირველცოდვა ადამიანს კიდევ უფრო გააღრმავა უამრავი ცდუნებითა და სიწმინდიდან გადახვევით. ამიტომ ყოველი ადამიანის წნეობრივი მოვალეობაა თვითდახვეწისა და განწმენდის გზით პირველუმანკების დაბრუნება, ადამიანი პირველცოდვის შედეგად დაშორდა პირველსახეს, მოაჯლდა მსგავსებას ე. ი. ღვთაებას, რადგან ღმერთმა ადამიანი თავისთვის, თავისი სახის მსგავსი შექმნა და ამ დაცილების შემდეგ დაუშვა ბოროტება. ამიტომაც დავითი გოდებს: „გავსებისაგან დვაკლდი და დვაჰბადე ბოროტი“.

დავითის „გალობანის“ სილიადე წარჩედი იმაშია, რომ ის მეტყველებს არა როგორც კონკრეტული პიროვნება, არამედ როგორც ზოგადად ადამიანი. სწუხს და განიცდის საერთო ადამიანის ყოველგვარ ცდუნებას, რასაც თან ერთვის მისი პირადი ადამიანური სისუსტეიც. ლაშქრობასა თუ ქვეყნის განმტკიცებისათვის მან დათრგუნა როგორც გარეუ მტერი, ისე მოქიშე თანამემამულენი. დიდი მიწებისათვის მსხვერპლიც გაიღო და ეს მსხვერპლიც კი მისი სულის ტკივილს იწვევს. დავითის გოდებაში ერთმანეთში გადახლართულია ზოგადკაცობრიული სატიკვარი და ბოგრაფიული მომენტები.

დავითის პიროვნულ სილიადეზე ისიც მეტყველებს, რომ ქვეყნის რომელ თავკაცს არ დაუთრგუნავს მოწინააღმდეგე, მაგრამ ეს არ ყოფილა მათი ფიქრისა და წუხილის საგანი, ხოლო დავითს ეს მსხვერპლიც არ ასვენებს და სრული განწმენდისათვის იღვწის მისი სული და ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ცოდვათა აღიარებით. ეს „ცოდვანი“ განა მარტო დავითისეულია! არა, იგი ყველა ადამიანს და მით უფრო მონარქს ახასიათებს. მაგრამ მას ვერავინ ამჩნევდა და ან არ იმჩნევდა, არავინ ასე არ ჩადრმავებულა საკუთარ სულში. ამაშიც ჩანს დავითის სიუაქიშე და ჰუმანიზმი, რომ თუკი რამ იმკაცრა, თუკი რამ შესცოდა, შესცოდა ქვეყნის, ხალხის ბედნიერებისათვის, მაგრამ მიწის მიღწევის გზაზე გამოვლენილი „ცოდომილებანი“ მაინც თავის ამაღლებულ პრინციპისაგან გადახვევად მიაჩნია. საყოველთაო, ხალხის ბედნიერებისათვის იმყოფებოდა.

ღებულის ხდებოდა ერთგვარი წიაღსვლებით ევლო და ესეც არ აპატია თავის თავს. ეს მხოლოდ ერთი ასპექტია მისი განცდისა. ზოლო მეორე და ძირითადი ისაა, რომ გოდება არა მხოლოდ როგორც კრძალ პირი, დავით აღმაშენებელი, არამედ როგორც „ცოდვილი“ ადამის შემკვიდრე, „სკულნი დავითგუნენ“ გოდებს დავითი და ამიტომაც მხეცურმა ინსტინქტებმა იჩინეს თავი ადამიანში:

„თითოეულთა მხეცთაგან შეზავებულს მხეცსა ვემსგავსე მრავალ-გუარსა და მრავალ-ხატსა“.

და უოველივე აქვეყნიურ დიდებას „მონებად მიგჰყიდე თავიო“ — გულისტკივილით დასძენს მონარქი. და კიდევ უფრო ამუშებს ადამიანის დაცემას:

„ვერცხლი, ვითარცა მიწა და ოქრო, ვითარ თიხა უბნისა ვიუნჯენ, თაუჲანს — ვეც ანგაპრებისა მამონას“.

უოველივე ამან შებღალა სულის სიწმინდე, დასცალა ადამიანი ამამაღლებული იდეალებისაგან და უოფითი კეთილდღეობის უნით შეპყრობილი სახვებით განძარცული აღმოჩნდა იგი.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ქართველთა აღმაშენებელი სწორედ ღვთისმშობელს ავადრებს მის წილხვდომილ ქვეყანას:

არა უხილავს მხესა ქალწული დედად თენიერ შენსა,

არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი,

გარნა მე შენითა ოხითა დედოფალო, ვესავ, ხილვად ნათელსა ძისა შენისასა

და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა“.

და უოველ გოდებას რეფრენივით გასდევს ლაიტმოტივად ქცეული ძირითადი მელოდია:

...მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

„დავითიანშიც“ ისეთივე გულწრფელობით, უშუალოდ, ღრმა განცდითა და სიბრძნითა გამოვლენილ განწმენდისა და გამოსყიდვის, ყველას სატკივრის თავსდებისა და ასევე ყველას ხსნისათვის ზრუნვის კეთილშობილური თავგანწირვა, როგორსაც დავით აღმაშენებელთან ვხედავთ, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით უფრო მკვეთრადაა აქცენტირებული ეროვნული პოზიცია. თუ დავით აღმაშენებელთან ზოგადკაცობრიულშია ჩაქსოვილი ეროვნული მრობლუმატიკა, გურამიშვილთან მისგან განსხვავებით ზოგადკაცობრივის პარალელურად, აშკარად გამოკვეთილად და დღვილდასაქმელად ჩამოყალიბებულია ეროვნული სატკივარი და საზრუნავი. ეს სხვაობაც ეპოქა-ლურია, ისტორიული სიტუაციითაა განპირობებული.

გურამიშვილის სრულიად მართებული კონ-

ცეფციით ადამის პირველ ცოდვასა და მოქალაქის პიროვნულ-ინდივიდუალურ ცოდვას ჩვენს სინამდვილეში, ერთვს ჩვენს მსოფლიო-მისი თანამემამულეების ცოდვათა მთელი სისტემა, რომლისაგან განწმენდა და თავის დაღწევა არის ერთადერთი გზა ხსნისა და ამადლებისა.

ღრმადმორწმუნე პოეტი უოველი უბედურებისა და ეროვნული კატასტროფის სათავეს უპირველესად თვით ჩვენშივე ხედავს. იგი დაბეჯითებით მოძღვრავს რომ თავის გამართლებისა და თვითდამწმინდების მიზნით ქვეყნის დაქცევის მიზეზი გარე, ჩვენგან დამოუკიდებელ ამბებში კი არ უნდა ვეძებოთ. არამედ პრინციპული თვითანალიზის შედეგად საკუთარ თავში, თვით ჩვენშივე უნდა ვეძებოთ ის მანკიერებანი, რომელთაც განაპირობებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავადობა: მისი თქმით ქართველნი

„ჩაცვიდნენ ცოდვის მორევსა, გზა ვერ სცეს მალთა ფონისა“

უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა

რაც თესეს; ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაისა.

იქვე წარმოგვიდგენს ცოდვით გამოწვეული უბედურების რეალისტურ სურათს და თითქმის უველა იმ ასპექტსა და მიზეზს, რაშიც გამოვლინდა ეს მანკიერებანი.

უოველგვარმა ავწნობამ დ. გურამიშვილის რწმენით უზუნაენის რისხვა გამოიწვია და მისი მფარველობის გარეშე თვინილთ განწირული მდგომარეობა შეექმნათ:

მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სენა, ბრძანა აღება ხელისა,

რისხვით გაშვება მის თემთა, გარდანდა საფარველისა,

მიუტო: რჯულთა გამრყენელნო ახალისა და ძველისა!

თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა.

სწორედ ამ დიდი ცოდვის შედეგად დავისა-ქებითი ამბობს პოეტი და ამიტომ დატრიალდა ცოდვის ტირილიო, — კერძოდ:

„მათ ღმერთსა სცოდნენ, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა;

ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა;

ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზავსი ნახეთქი ლოდისა.

მკალა დასცის ყანებსა, ქარი უქროდის ოდისა.

ამას მოყვება „ქართლის ჰიროს“ ამსახველ-სურათები: „ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის...“ ეს სურათები ისეთი ფერადოვნებითა და დიდი ოსტატობით, ისეთი რეალისტური სახე-ებითაა წარმოჩენილი, იმდენად ფართოდ და

კონცენტრირებულია როგორც მსოფლმხედველობითი პრინციპები, ისე მარწმუნეების ღვაწლებში მიმართ დაპოკიდებულების ფორმები. ჰარნაკის თქმით თვით მიმართვა „მამაო“, გვიჩვენებს ღმერთზე მსასოებელი ადამიანის მინდობას და გამოხატავს შესრულებას აუცილებლობას. ამასთანავე ამქვეყნიური, მიწიერი მასში არაა უგულებელყოფილი, ლოცვის მთელი მეორე ნახევარი ეთმობა ყოფით მოთხოვნილებებს ნაგრამ ისინი მუდამ იმყოფებიან მარადიულის საფარველში — დაასკვნის ჰარნაკი.

თვით ლოცვაში ჩაქსოვილი ეს ორპლანიალობა საოცარი ჰარმონიულობითა და დიადისათვის ნიშანდობლივი უზარტლობით აქვს წარმოსახული ქართული პოეტს.

დავითის „ლოცვას“ თავიდან ბოლომდე აკროსტიხად გასდევს სახარების საკმაოდ ვრცელი ტექსტი: „მამაო, ჩვენ რომელი ხარ ცათა შინა...“

თითოეული სტრიქონი იწყება სახარების ტექსტის ერთი მონაკვეთით, რომელიც დავითისეულ ინტერპრეტაციაში წარმოადგენს ძირითად პოსტულატს და თვით კი იძლევა ამ პოსტულატის გავრცობილ, პოეტურ ინტერპრეტაციას, რომელშიაც იშვიათი ზომიერებითაა ჩაქსოვილი ქრისტიანული მოძღვრების არსი და საკუთარი სულიერი განწყობილება, ეს ორი საწყისი განმაცვიფრებელი ჰარმონიულობითაა შეზავებული.

წარმოთქვამს რა:

„მამაო“, იქვე: იძლევა მის განსაზღვრებას, მის ატრიბუციას:

„სიკლესიას მამაო, ღმერთო მოწყალეო“

მეორე სიტყვას: „ჩვენო“, კვლავ ერთვის ღვათების დახასიათება ადამიანებთან მიმართებაში, — „განმაცხადებლო, შენქმენო, დამაბედო“ ასე იშლება პოეტის ეს შესანიშნავი ლირიკული ანონაკენის, რომელშიც სახარების ტექსტზე აგებულია და მისი გავრცელებით გაღმაცხადებულია პოეტის სულიერი, შინაგანი განწყობისა და ღვათებისადმი თანაზიარების განცდათა სიმძაფრე და დაუოკებელი ღტოლვა, აქვე მომხიბვლელი ზომიერებითაა მინიშნებული ამქვეყნიური, ადამიანური ტკივილი და კვლავ უღერს ძირითადი მელოდია — ცოდვითა მონანიების სავედრებელი:

„ჩვენ ვცოდეთ და შენ შეგვიწოდებ სულგრძელ-მოწყალეო. ანდა... „მომიტყვენ შეცოდება, თუ რამ შეგცოდებო“.

ასეთივე კომპოზიციური სტრუქტურა, როდესაც ბიბლიური ტექსტი ერწყმის გურამიშვილის ტექსტს, გამოვლენილია მეორე ლოცვა — ვედრებაშიც: „სამების ვედრება: ჯგის წარწერვის თხოვნა დავითისაგან“. ერთი შეხედვით (როგორც პროფ. რ. სირაძე და ს. ციხელი აღნიშნავენ) ეს თითქმის ჰიმნოგრაფიული ტრადიციის გაგრძელებაა. კერძოდ, როდესაც „და-

სდებელის ზმაზეა აგებული ამა თუ იმ პოეტის მიერ შექმნილი ესა თუ ის ჰიმნი, მაგრამ ამ ჰიმნოგრაფიულ კანონში დიდი სიახლე დასტურით და, რაც მთავარია, უაღრესად მსუბუქად წარმოდგენილი სირთულე შეაქვს. იგი ამა თუ იმ საინიშნო (ბიბლიური იქნება ის თუ ხალხური) სტროფს დასაწყის მისაბამ პირველ სტროფად კი არ უმძღვანებს თავის ლექსს, არამედ ბიბლიურ ტექსტს მთელ თავის ლექსს ამგვარებს აკროსტიხად და თითოეული სტროფის თავში ღართულ ამ ბიბლიური ტექსტის სიტყვას ბუნებრივად ავრცობს, ანეითარებს საკუთარი სათქმელით, რომელშიაც თავისი, პოეტის განცდები და საფიქრალია ჩაქსოვილი. ეს შერწყმა შინაგანი ლოგიკითაა გამოვლენებული. მასში ჩაქსოვილი აზრისა და გამოსახვის ოსტატობით ისეა შენივთებული რომ მხოლოდ უაღრესად ფხიზელი და პროფესიონალური თვალის ძიებით შეიძლება გურამიშვილის ლირიკის ამ შედევრებში ბიბლიური ტექსტის მიგნება. კაცმა რომ თქვას შეიძლება პროფესიონალურ თვალსაც გასჭირვებოდა ბიბლიური ტექსტის მიგნება თვით გურამიშვილს ზღნაწერში სინაგურად ან დამარცხვლად, გაფანტულად რომ არ განოეყო ის ასოები, რომელთა ერთიანობა ქმნის ბიბლიურ ტექსტს:

რამე თუ ვცოდე უფალო, გთხოვ შემიდო!

შენი ვარ მონა, წყალობა შენ მე დამმართეო.

არსა და მყავს მისამართო, მე შენ მოგმართეო,

სუფთევა შენი მშვიდობით გამოავლნო ძალი და ღონე მბოძე, მტერთა ვეყო მეო დიდება შენდა ნათელო, ერთო, სამსახეო! მამისა აბრამისასა სტუმრად

ზსხდომარეო.

ძისა მათსა ძემოასწავეო

წმინდისა...

სულსა...

გურამიშვილის ლოცვები და ვედრებანი უშუალო, შემოქმედებით კავშირშია ჩვენს ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობასთან.

ღვთისმშობლის სახე „დავითიანში“ ერთ-ერთი ცენტრალური სახეა, იგი ერთის მხრივ სულ სხვადასხვა სიტუაციებსა და პასაჟებს გაიკიფებს ხოლმე, ხოლო მეორე მხრივ კი დავითი საკუთრივ საგანგებო საგალობლებს უძღვნის ღვთისმშობელს და, ყოველ მათგანში ახალ-ახალ ნიუანსებს გამოჰყვით, როგორც მის სახეში, ისე მისადმი თხოვნისა და ვედრების ასპექტში.

ახალი აღთქმის სახეთა პანთეონში ქართველი კაცისათვის ღვთისმშობელი განსაკუთრებულად ახლობელი და თითქმის ეროვნულ სახედ იქცა. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობის გააზრებამ განაპირობა ქართველი კაცის მისადმი განსაკუთრებული მინდ-

ობა და სიუვარული. იგი ეროვნული სატიკა-
რასა და საზრუნავის მომწესრიგებლად იქნა
აღმუშაული. ამიტომაცაა, რომ დავით გურამიშვი-
ლი გამუდმებულ კონტაქტშია ღვთისმშობელ-
თან, ესაუბრება, ევედრებს და ეთათბირება მას.
როგორც აღვნიშნეთ ღვთისმშობლის სახე გამ-
ბოლოვად გასდევს მთელ დავითიანს, მაგრამ მი-
ხი სახე მთელი სისრულით გამოვლენილია ოთხ
ლირიკულ ლექსში:

1. ტირილი ღვთის-მშობლისა.
2. ვედრება ღვთის-მშობლის დავითისაგან.
3. ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის
ოშში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონა-
ნიებად ღვთის-მშობლის შესხმა.
4. ღვთის-მშობლის მიცვალების დღის შესხმა.

ლოდ-მოკვდილ კლდეში თავშეფარებული
დავითი ავედრებს რა ღვთისმშობელს თავის
უსასო მდგომარეობას, ღვთისმშობლის სახეს
ხატავს მთელი მისი სიღიადით, ჩამოთვლის ყვე-
ლა იმ ნიშან-თვისებას, რითაც იგი ხასიათდე-
ბა და ყველა ატრიალებს, რომელიც დამკვიდ-
რებულია პატარისტიკაში დავით გურამიშვილის
მომხიბვლელი სიმსუბუქითა და პოეტური ფე-
რადონებით აქვს გამოძერწილი. ამავე დროს
ამ შიშართებში ამომწურავადაა წარმოსახული
ღვთისმშობლის მოღვაწეობის მასშტაბები და
აღამიანების ბედნიერებისაკენ წარმართვის იშ-
ვითა ღუნარი. თითოეული მიმართვა თანმიმდევ-
რულად სრულყოფს ღვთისმშობლის ბუნების
თანდათან წარმოჩენას.

თითოეული განმეორებითი შესხმა იმდენ
სიახლესა და ახალ ასპექტებს შლის ღვთისმშო-
ბლის სახის გააზრებაში, რომ თითქმის და აქა-
მდე არაფერი არ იყოს თქმული: არა და მკითხ-
ველი პირველსავე შესხმაში იხიბლება პოეტუ-
რი სახეების სინატიფითა და ამოუწურავი გა-
ქანებით. ფანტაზიის, მხატვრული სახეებისა და
და სიტყვათა მარაგის ეს დაუშრეტელი დინება
კიდევ უფრო გარწმუნებს პოეტური სიტყვის
შესაძლებლობის უსასრულოებაში.

ღვთისმშობლისადმი ვედრება თუ ნაწ, ლირ-
იკულ ტონალობაშია გამოკვეთილი „ღვთისმშო-
ბლის დღის შესხმა“ ამ დიდი საუფლო დღე-
სასწაულის შესაფერ სიღიადითა და სიღარბა-
ისლითაა გადმოცემული:

„გაბაროდესთ ანგელოზო დასნო
და წმინდანო თქვენ ბევრად ასნო!
დედოფალი მეუფის დედა
ქუეყანით ზეცად აღმოვალს თქვენდა!

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საეკლესიო
დღესასწაულსათვის ნიშანდობლივი საზეიმო
სურთქით გურამიშვილის ეს შესხმა უდავოდ
ეხმანება პიროგრაფიაში დამკვიდრებულ „გი-
ზაროდენის“ საგლობელს, მაგრამ გურამიშვილს
თავისი საოქმედი აქვს და ამას იგი მისთვის
ჩვეული მასშტაბურობითა და სისადავით აღწ-
ევს. მშვიდი, ამაღლებული მიმართვა განსაყ-
უთრებულად საყურადღებო მოვლენაზე მიგვა-

ნიშნებს და მსმენელის სრულ მობილიზაციას
ახდენს.

როგორც ვხედავთ, „დავითიანის“ გერმანულ
მოთხრობაში მოტივი ცოდვის მონანიების განცდა
და მოთხოვნისა აქაც ჩვეული სიმაჟნო-
ვლიანება და ეს ცოდვა პიროვნული, ეროვნუ-
ლი და ზოგადკაცობრიულია. ამიტომაც იგი პო-
ეტის მუდმივი ფიქრის საგანი და ამიტომაც
ასე დაუსრულებლად იღვწის შინაგანი დახვე-
წისა და განწმენდისათვის, ამაღლებისა და ხსნი-
სათვის.

ღვთისმშობლის შესხმათა ციკლში გამორჩე-
ული ადგილი უკავია გურამიშვილის ლირიკის
კიდევ ერთ შედევრს „ტირილი ღვთისმშობლი-
სა“. ლერმონტოვისეული პუშკინის დატირების
შესახებ ბელისკი მახვილად წერდა „Лермон-
тов воспе! потраченную панихиду“ კარგი
თქმაა დიდს, დიდი მაქებარი-გამორჩე-
ნილიც უნდა. რა მართალი და გულ-
წრფელი იყო დავით აღმაშენებლის
მემკთანე, როდესაც გულისტკივლით ამბო-
ბდა აქილევსის არც ისე დიდი იყო, მაგრამ დი-
დი მაქებარი ყავდა — მომეროსი და მე რა
ვქნა, ანდა დავითმა რა დააშავა, რომ ჩემს ამა-
რა დარჩაო. სწორედ ეს განცდა გიჟობის, რო-
დესაც მსჭელობ ცურტაველისა თუ მერჩულეს,
რუსთაველისა თუ გურამიშვილის, სულხან-საბ-
ოსა თუ ვაჟას, ან ბარათაშვილისა თუ ტაბიძის
შესახებ. გრძნობ, რომ სიტყვის ამ ქაღალქართა
საიდუმლოების გამოსავლენად ამათი ნახვარი
ძალა მანაც უნდა გაგანდეს, არადა დუმილით,
გვერდის ავლაც შეუძლებელია, შეუძლებელია
იმ განცდათა და შთაბეჭდილებათა დაოცება,
დართულება, რომელსაც ჩვენი პოეტების ქმნი-
ლებები ახდენენ ჩვენი. ამ ჩვენს საამაუო
ბრწყინვალე ძეგლთა შორის ერთ-ერთი საუ-
კეთესოთაგანია გურამიშვილის „ტირილი ღვთის-
მშობლისა“. „დავითიანიდან“ მხოლოდ ეს ერ-
თი ტექსტიც რომ შემოგვარჩენოდა, მაშინაც
განვიციდით გურამიშვილის სიღიადეს.

ამ ლექსში საოცრად კონცენტრირებულია
გურამიშვილის მსოფლგანცდა: გრძნობათა სი-
ფაქიზე, სულიერი ტკივილის შეგრძნება და სა-
ხეთა პლასტიკურად გამოკვეთის უნარი; ზოგა-
დი, ბიბლიური, სიუჟეტის რეალურ ადამიანურ
პლანში წარმოდგენა, მარადიულისა და კონკ-
რეტულის ერთ მთლიანობაში გააზრება; ეპი-
კური, სიუჟეტური თხრობის ლირიკულ წიაღ-
სვლბთან შეხამება და ყოველივე ამის უაღ-
რესად ზატყვნად და ხალხურ-სასაუბრო სტილში
გადმოცემა.

დ. გურამიშვილის ეს გოდება იწყება დედე-
ბისადმი მიმართვით, რათა ამ ზოგად ბიბლიურ
ფაქტს მისცეს კონკრეტული, რეალური ძღერა-
ლობა:

მოდი, ყოველნო შეილმკვდარნო დედანო,
შეიყარენით!

შეძენიარებელი აწ თქვენი მარიამ

შეიწყნარენით!

ყოველი ფაქტი, რაც არ უნდა დიდი იყოს ის, განსაკუთრებულად მძაფრად აღქმება მაშინ, როდესაც იგი საკუთარი, პირადგამოცდილობით კუთხით გაიზრება, ეს ფსიქოლოგიური განწყობა კარგად აქვს გაცნობიერებული პოეტს და ამიტომ მისი ძირითადი ადრესატებია „შვილმკვდარი“ დედანი“, რომელთაც საკუთარი ტკივილითა და სიმწარით აქვთ გაცდილი შვილის სიკვდილის ტრაგიკში და სწორედ მათ მიმართაც დავითი, რათა უფრო ადვილჩასაწვდენი იყოს ღვთისმშობლის გლოვა. ეს მიმართვა გარდა უშუალოდისათვის თავში კონტრასტულ ხერხსაც შეიცავს, კერძოდ, დავითი არაორაზროვნად მიგვანიშნებს, რომ უაღრესად გამამწარებელია შვილის დაკარგვის გაცდა, მაგრამ ღვთისათვის კიდევ უფრო ასმაგად მძიმეა კაცობრიობის მხსნელის, ყველა ცოდვათა თავისტკივრთვებისა და სხვათა სიკეთისათვის ჭვარცმული შვილის დაკარგვის გაცდა. მართალია ქრისტეს სიკვდილი და ამალღება სულ სხვა, ღვთაებრივი პლანია და იგი თავისთავში მოიცავს საყოველთაო ბედნიერებას, მაგრამ დედა მაინც დედაა და სწორედ დედის პოზიციებიდან ეს წარმოსახული და ამდენად უყვე-და ადამიანისათვის ადვილმისაწვდენი და მძაფრად განსაცდელი.

დავით გურამიშვილს იშვიათი პლასტიურობით აქვს დახატული ჭვარცმული იესოს სხეული, პოეტი თითქოს ეცილება სახარების ავტორს და განსაკუთრებული სიმძაფრით აცოცხლებს სურათს: ჩვენს წინ აღმართულია ტანჯული სხეული, რომლის ყოველი ნაკეთი, ყოველი ნაიარევი იშვიათი რეალისტრობითაა გამოძერწილი და მისი მხილველი: „ათრთოლდა, ზარით დევცა, გახდა ვით დამარცხებული“. დედის გაოგნებული მდგომარეობა და შემზარავი სულიერი ტკივილები დამატკეპვებელი თვალნათლიობითაა დახატული:

„მოედვა მწარე სახმილი შეიქნა

დადაგულობით;

დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლავნი

გათანგულობით“.

დედის კვნესით შეძრწუნებული ჭვარზე გაყრული იესო იქიდან ანუგეშებს მას, მაგრამ ეს დაილაოგი საოცრად სცნურია და კომპოზიციური შერეულობით დრამატული სიუჟეტის ფრაგმენტს ქმნის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ლექსის ემოციურ დატვირთულობას.

შვილის სიტყვებმა და მისი მოღვაწეობის, ანაღლებული დანიშნულების პერსპექტივის ქვრეტამ. მისი ღვთაებრივი მისიის გაცნობიერებამ თითქოს და დაამშვიდა დედა, სარწმუნოებრივ პლანში ბედნიერების გაცდაც დაეუფლა, მაგრამ ეს ყველაფერი არის წარმოსახვითი, გონითი ასპექტები, ხოლო რეალურ, ამჟვეყნი-

ურ პლანში, დედის გაცდის ასპექტში კვლავ შეძრწუნებულია და გოდებს: *მარცხენა*
„ვაიმე, ლახვარ-სობილსა და გულსა მისსაჲსა დაანა-ვენებულსა, შენის წყლულების ცეცხლითა დაგულსა, დანავლებულა, ძეო, შეტკობის სიკვდილი სიცოცხლე გამწარებულსა!“

ხორციელი და სულიერი, ამჟვეყნიური და ღვთაებრივი პლანის ასე ერთ მთლიანობაში გააზრება, ასეთი სირთულითა და სიღრმით წარმოსახვა ერთნაირი სიძლიერითა და დამარწმუნებლობით განგვაცდევინებს როგორც რწმენის სიღაღესა და ამ ვერებებში ჩაქსოვილ ღვთაებრივ ასპექტს, ისე რეალურ, ადამიანურ ტკივილებსა და მოთხოვნილებებს. ეს ორი ასპექტი დაპირისპირებულად და ურთიერთგამომთიშვლად კი არ არის ჩამოყალიბებული, არამედ ერთ მთლიანობასა და ურთიერთ შევსებითაა აღქმული და აქაც ვლინდება გურამიშვილის სტილის ნიშანდობლივი თვისება: სარწმუნოებრივი პრინციპების ადამიანურ, რეალისტურ ასპექტებში წარმოჩენა, რის შედეგადაც ყველა-სათვის ადვილი ასათვისებელი და შთაბეჭდავი ყოველი მისი ნაწარველი და გაცდილი. ღვთაებრივი შარვანდელით გარემოსილი ღვთისმშობლის სახე ადამიანური შტრიხებით აქვს გურამიშვილს შემკობილი და ყოველივე ამით უაღრესად ემოციურ და შემამეცნებელ შთაბეჭდილებას ქმნის.

ღვთისმშობლის ტირილი მარადიული თემამსოფლიო ქრისტიანულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში და ამ თემაზე არა ერთი შედეგური შექმნილა. მაგრამ ქართულ მწერლობაში საერთოდ და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ამ თემას სიტყვის არა ერთი დიდოსტატი ეწევა. თითოეულმა მათგანმა სულ სხვა ფერადებითა და სახეებით, განსხვავებული ნიუანსებითა და ასოციაციებით დამოუკიდებელი და უაღრესად შთაბეჭდავი პასაჟები შექმნა. ამ მხრივ მომაქადლებელია სულხან საბასეული დატირება:

„პოი ძეო ჩემო საყვარელო, ვითარ გხედავ შენ? შვილო, შვილო, მხიარულეზო ჩემო, რამე ვყო?“

ნათელი თვალთა დედისათაო, დამიბრმო თვალთა, ნათელი გვირგვინმან ეკლისამან, რომელი გწერტს, თავთა შენთა!“

საოცარი რეალისტრობით, უშუალობითა და გაცდათა დამაბულობით აღნიშნული დატირება გურამიშვილის ანალოგიურ სტრიქონებს ეხმანება. სიტყვის ორივე დიდოსტატი მძაფრად განგვაცდევინებს შვილის წამების გამოწვეული დედის უსაზღვრო მწუხარებას. შემზარავი სიძლიერითაა შექმნილ მგლოვარე დედის ტრაგიკული სიტყვა.

უაღრესად გურამიშვილი ღვთისმშობლის ანგალობლები აქედნე მითი თვისის პატრ მის,

ვატანე VI-ის ანალოგიურ მიძღვნას ღვთის-
მშობლისადმი.

შემთხვევითი არაა, რომ XVIII საუკუნის
ქართველ მწერალთა მსასოებელი მწერა მიჰყ-
რობილია სწორედ ღვთისმშობლისადმი, რომ-
ლის წილხდომილია კატასტროფის პირს მის-
ული მათი სამშობლო და ამიტომ სწორედ
ღვთისმშობლისა და მისი ძისაგან ელიან ხსნას.

რუსთაველის შემდეგ დავით გურამიშვილი
არის ურთულესი მოვლენა აზროვნების სისტე-
მისა და სტილის მიხედვით, მასში გაერთი-
ნებულია ერთი შეხედვით ერთმანეთის საპი-
რისპირო რთული მსოფლმხედველობითი კო-
ნცეფციები: ერთის მხრივ განმანათლებლობის
რაციონალიზმი და რეალიზმი, მეორეს მხრივ
დანტესეული „უმანსიტური მისტიციზმი“,
რაც ერწყმის ბიბლიურ (აპოკალიპსის და „ქე-
ბათა ქების“) მსოფლქვერტახს. მაგრამ ეს არაა
წინააღმდეგობები, ესაა შინაგანი დიდი და
ერთული ძალიან ამაღლებული პოზიციებიდან,
აზროვნების მაღალი საფეხურიებიდან თითქო-
სდა ღმერთის ყოვლისმომცველი და გამაერ-
თიანებელი ჰერეტიკი განცდილი.

„დავითიანში“ სინთეზურადაა გამოვლენილი
იოზის ტანჯვა და გამძლეობა, იერემიას გოდე-
ბის შემსარზენი ძალა, სოლომონის დამძღვ-
რების სიბრძნე, სიდინჯე და „ქებათა ქების
სილაღე და სიხარული, მემკათანეს სიზუსტე
და საქმიანი სტილი. ყოველივე ეს ნაწ, მძაფრ
და იშვიათი სიტბოთი გამსჭვალულ ლირიკულ
ტონებში ვითარდება.

მისთვის ჩვეული გონებამახვილობით შენიშ-
ნა დიდმა ილია ჭავჭავაძემ — „დ. გურამიშვი-
ლის სარწმუნოებრივი დასაბუთება დავით წი-
ნასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა
ასული“ (III, 151).

არც ის უნდა იქნას უგულებელყოფილი,
რომ დავითი არ არის მხოლოდ მორწმუნე
მლოცველი, პირიქით, იგი მეტბრძოლი, მომქმე-
დი, დიდი ნებისყოფისა და ენერგიის მქონე
რაინდია, რომლის ლოცვა და ვედრება — ესაა
სულიერ და ფიზიკურ ძალთა მობილიზაცია და
ქმედობა.

როგორც ჭეშოთ აღვნიშნეთ, „დავითიანი“
არის იგავად თქმული თხზულება. დავით გუ-
რამიშვილი თავის განცდებს და ფიქრებს ორ
პლანში წარმოგვსახავს. ერთია ხილული, რე-
ალური პლანი, ხოლო მეორე — უხილავი და-
ფორული პლანი, რომლის განცდა შეიძლება
მხოლოდ შინაგანი ჰერეტიკთა და ავტორისეუ-
ლი მინიშნებებით. პოეტს აფიქრებს კიდევ,
რომ მის მიერ თქმული და განცდილი ზედაპი-
რულად, პირდაპირ სიტყვა-სიტყვით მნიშვნე-
ლობით არ გაიგოს მითხველმა და ამიტომ
იგი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველებს,
რომ რასაც მე გეუბნებით ამას იგავად, გადა-
ტანითი მნიშვნელობით გეუბნებით და ამიტომ
საჭიროა იგავის ძირითად აზრში ჩაწვდეთ და
ის გაიგოთ.

ეს მეთოდი ქრისტიანულ მწერლობაში ასე-
ლი არაა. ჭერ კიდევ ფილონ ალექსანდრიელი-
დან მოყოლებული ქრისტიანულ თეოლოგიაში
და მკვიდრდა ბიბლიის სიმბოლურ-ალეგო-
რიული თარგმანების მეთოდი, რაც იმას ნიშ-
ნავდა, რომ ბიბლიური ტექსტი სიტყვასიტყვით
კი არ უნდა გაიგოთ, არამედ ამ ტექსტს აქვს
დაფარული ქვეტექსტი.

დავით გურამიშვილი იყენებს ქრისტიანული
თეოლოგიის ამ ალეგორიულ-სიმბოლურ მეთ-
ოდს და თავის ნაწარმოებს იგავთქმით წარმო-
გვისახავს. იგი საგანგებოდ აფრთხილებს მკი-
თხველს, რომ რასაც მე გამოგცემთ იგი იგა-
ვური ხასიათისა და შენ ჩვეულებრივ სიტყვი-
ერ მასალას მღერა ჩაწვდე ამ სიტყვებში დაფა-
რულ ნამდვილ დედა აზრსო:

სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ
გიყვარდეთ!

ქართლის პურის ქერქშია შოგ თავუტხი

ჩადეო;

ქერქი გაფრცვენ, განავდე, შიგინთ გულს

კი ამდეო.

აქ არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ დავი-
თის ლექსები წარმოადგენენ იგავს, რომელთაც
თარგმნა — ე. ი. განმარტება, მასში დაფა-
რული შინაარსი ჩაწვდომა სჭირდება.

დავით გურამიშვილი დადაბლებს ლოცვა-
წარმოთქმულ დიდ საგალობელს სინანულისა,
შინაგან განწმენდისა და თვითდაზვერვისა. მო-
ნანიების თემა განაპირობა ისტორიული ავბე-
დობით იმპულსირებული პიროვნული დაცემი-
საგან განწმენდისა და ხსნის დიდმა სულიერ-
მა მოთხოვნილებამ. „დავითიანი“ ეთიკური
პრობლემების ძიებისა და გადაწყვეტის დიდი
ბიძნია, რომელშიაც ღრმა სულიერი თვითანა-
ლოზის გზით სიკეთის წვდომისა და ზეამაღ-
ლების განცდაა გამოვლენილი.

დ. გურამიშვილი ღვთაებას, როგორც უმა-
ღლესს მორაგულ მსახურსა და ავტორიტეტს
წირავს მსხვერპლს, დიდ შესაწირავს და ეს
შესაწირავი არის სიტყვიერი კმნილება —
„დავითიანი“ („მეც იმ მთას მსხვერპლი შევს-
წირე, რაც ვითხარ ამ სიტყვებით“).

„დავითიანის“ საოცრად მეტბრძოლი, ოპტიმი-
სტური სულისცემა იმედისა და ხალხის
განწყობას უქმნის მკითხველს, მასში ჩაქსოვილი
დიდი რწმენის ძალა სწორედ რომ იმედისა და
სილაღის შთამაგონებელია. ამ საერთო მაჟო-
რულ ტონალობაში თითქოს ერთგვარად მოუ-
ლოდნელი და დამამუხრუჭებელია გოდებისა
და ცრემლის ის ნაჟი, რომელიც ისეთი სი-
ძლიერით მოედინება დავითისეული სტრიქო-
ნებიდან, რომ შეცბუნებისა და გაფრთხილების
გარეშე მათი აღქმა შეუძლებელია. დავითისე-
ული მოთქმის ხმას გაოგნებული მკითხველი
ხვედრს და ამ განცდას იწვევს თითქოსდა ის
ურთიერთშეუფარდებელი ასპექტები, რომლე-
ბიც დავითის ხსნის გააზრებასთანაა დაკავში-
რებული. კერძოდ, ერთის მხრივ, დადაბლებს

ის მებრძოლი. გმირი ვაჟი, რომელმაც შე-
დაველადან მაგდებურგამდე ხმალიაუგებლად
გადასერა ნახევარი ევროპა, რომლის ამბოხი
სულ არა მარტო ბრძოლის ველს იყო დაუ-
ყლებული, არამედ მისი ზრუნვების სიღრმემ
და ძალამ გადატრიალება მოახდინა თვით პოე-
ზიაშიც. მისებული სიახლეების დამკვიდრებასა
და სიტუვის ძალის გამოვლენაშიც ხმანობს და
უძლიერესად ხმანობს შეუპოვარი, დაუღვრო-
მელი და ახლის დამამკვიდრებელი ძლიერი
სული უკვე აღსერიდებული წინადადებათა უშ-
ნარ მძღვევებსა და ახლის დამამკვიდრებელ,
ხმლისა და სიტუვის ძალის გამოჩინებულ პი-
როვნების თვალთაგან ცრემლთა უშრეტი ნა-
ქადის დენა თითქოსდა მოულოდნელი, შეუფერ-
ებელია. მაგრამ ამ ქვითინშიც ისევ და ისევ
სულიერი ძალის გამოვლენას ვხედავთ. დავითის
ცრემლები არაა სისუსტისა და უმწეობის, უი-
მედობისა და უმოქმედობის გამოვლენა. არა,
ეს ცრემლებია ღრმადმორწმუნე ადამიანის გა-
მწმენდელი და დამხვეწავი... მის ცრემლებს
არაფერი აქვს საერთო ყოფითი, ობიექტულ-
ის სიბრალულის გამოვლენასთან. ესაა მამაკაც-
ური სიძლიერის ბიბლიური გოდების გამოვ-
ლენისა და პატრისტიაში დამკვიდრებული გან-
ბანის დამხვეწავი ფუნქციის მატარებელი
ცრემლთა დენა. ერთ-ერთი მოაზროვნის შენი-
შენით როგორც წყლის გარეშე შეუძლებელია
დასვრილი ტანსაცმლის გაწმენდა და განბანა,
ცრემლი საუცხოო ნიჭია, რომელიც ადამიანის
სულს ათავისუფლებს ცოდვითა უბილავი ხლა-
რებისაგან (ბერმანი, საშუალო საუკუნეების
მხატვრული ენა). ევროპულ საგანგებოდ მიგვა-
ნიშნება რომ მომავლადათვის გაქირვებასა
და გმინავში სიტკბოება ვლინდება ცრემლთა
დენაში, ისინი ანელებენ მწუხარებას და გან-
ტვრითავენ გულის დიდ სატიკვარსო. ხოლო
პატრისტის სხვა წარმომადგენლებთან ერთ-
ად იოანე ოქროპირი საგანგებოდ შენიშნავს:
„დაშრიტ ცეცხლი იგი ენებათა შენთა, არა
თუ წყლითა, არამედ ცრემლითა მცირითა გა-
წმენდენ შეგინებულება სულისა შენისა ტირი-
ლითა... ვითარცა იტყვის დავით წინასწარ-
მეტყველი: „დავბანე მარად დამე ცხეღარი
ჩემი“ (ფსალმ. 64) არა თქუა, ვითარმედ:
„დავასვლი“, არამედ „დავბანეო“. რა თა გაუ-
წყოს შენ, ვითარმედ სინანულისა ცრემლითა
ძალი ნათლისღებისა აქუს“. სწორედ ცრემლთა
დენის ეს განმწმენდელი ფუნქცია ორგანულად
ესმინება გურამიშვილის თვითდახვეწის ძირი-
თად მოტივს და ამდენად „ცრემლებს“ სულ
სხვა, ამამალდებელი დატვირთულობა აქვს გუ-
რამიშვილის შემოქმედებაში და იგი არ უნდა
გავიაროთ მარტივ, ყოფით, ფიზიოლოგიურ
აქტად. გურამიშვილის ცრემლები მონანიების
და თვითგანწმენდის რთული კომპლექსის უშ-
ულო კომპონენტია და იგი გააზრებული უნდა
იქნას ცხოვრებისეულ დაბრკოლებათა დაძლე-
ვისა და მისგან განდგომის, ამაღლების საშუა-
ლებად. იგიარის ცოდვითაგან თავის დაღწე-

ვისა და სულიერი კათარზისის დიდი საწყისი,
რომელსაც არაფერი აქვს საერთო ყოფითი
წვრილმანებით ნაყარებულ სისუსტესთან. გურამიშვილის
რამიშვილისეულ პიროვნების თვითდახვეწის
კონცეფცია ექაჟება ეროვნული თვითგამოფ-
ხილვის იდეას.

სახელმწიფოს წარუმატებლობა, ერის დაკნი-
ნება განაირობებულია არა მარტო მტრის სი-
ძლიერით, არამედ თვით ერის სულიერი და-
ცემით, ზრუნალობით. ამის შესანიშნავი ანალიზი
მოგვცა ფიხტემ ბერლინში წარმოთქმულ
ცნობილ სიტყვაში, რომელშიაც გერმანიის
დამარცხებას ხსნიდა თვით გერმანელთა უსას-
ოობით. მან თავის ერს დაანახა მისი მომავ-
დინებელი ცოდვები და აქედან გამომდინარე
ასევე მომავდინებელი შედეგები: ფუჟსაჯი-
ობა, ურწმუნოება, გულგრილობა და სრული
აპატია საერთო საქმისადმი, სრული მოსუვე-
ულობა, ეგოიზმი, წინადახვეწაობა და სისუს-
ტე. იგი თანამემამულეებს მოუწოდებდა მო-
ნანიებისა და აღიარებისაკენ, შინაგანი გარდაქ-
მნისა და თვითდახვეწისაკენ, რწმენის ძალაში
წვდომისაკენ, ზნეობრივი ძალის სრული დაძა-
ბვისა და სულიერი განახლებისაკენ. ეს თვი-
თდახვეწა და სულიერი გარდატეხა მიაჩნდა მას
ერთადერთ დიდ ძალად, რომელიც შთაგონე-
ბდა და ბიძგს მისცემდა ყოველი დაბრკოლების
დასაძლევად. გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი
საწინდარია წარუმატებლობის მიზეზის ძიება
საკუთარი თავში და მისი დაძლევის სურვილი-
სა და ნებისყოფის გამომუშავება. თვითანალი-
ზი და თვითმხილება ყოველივე წარმატების
წინაპირობაა. ზნეობრივად ამაღლებული, სული-
ერად მტკიცე და მაღალი იდელების მქონე
ერი მუდამ შესძლებს ურთულესი სიტუაციი-
დან გასვლას და თავის სხნის საშუალებების
დაძენას. მართებულად შენიშნავს ერთი გე-
რმანელი მოაზროვნე, რომ ფიხტემ ამ სიტუ-
აციი შეძლო: Раскрыть засорившиеся ис-
точники павшей силы.

გერმანელთა დაცემისა თუ სულიერი ზრუნა-
ლობის ეს პერიოდი როგორ შესატყვისება ჩვე-
ნი ცხოვრების გურამიშვილისდროინდელ ატ-
მოსფეროში? და ამიტომაც ასევე თანხვედრია
გურამიშვილისა და ფიხტეს მამხილებელი ტო-
ნი, ორივენი ერთნაირი სიღრმით ანალიზებენ
ერის სულიერ სიღატაკესა და ასევე ერთნაირი
ომხიანობით მოუწოდებენ უპირველეს ყოვ-
ლისა შინაგანი გარდაქმნისაკენ, სულიერი ამა-
ღლებისაკენ, რადგან სწორედ ესაა საფუძვე-
ლთა საფუძველი ყველა ძლიერებისა. მაგრამ
ამ ორ დიდ მოაზროვნეს შორის განსხვავებაც
დიდი იყო, ფიხტეს აღმოაჩინა გონიერი მსმე-
ნელები და ბრძენი თანამოღვაწენი, რომელ-
ნიც ფიხტეს შეძახილმა მსწრაფლ გამოაფხი-
ლა, შერა და სულიერი ენერგიის მაქსიმალურ
რი მობილესაკითხა და დაძაბვით ქვეყანა ის-
ნეს დაღუპვისაგან, ხოლო ქართველი ბრძენი
წინასწარმეტყველისა მხილებადა და მოწო-
დებაც დარჩა „დაღუპულ უდაბნოსა შინა“ და
შედეგიც სათანადო მოგვეწოდოს:

საქორწილო პოეზიის ერთი ასპექტისათვის

საქართველოში ქორწილზე, გარდა საქორწილო ლექს-სიმღერებისა (მაყურებელი, დალოცვა-საღვთისმშობელი), მრავალ სხვა უანრის ნაწარმოებსაც წარმოთქვამდნენ, რის გამოც საქორწილო პოეზიას დროთა განმავლობაში ისეთი პოეტური ნიმუშებიც დაუკავშირდა, რომელთაც თავისი წარმომადგენელი არაფერი ჰქონდათ საერთო ქორწილთან. ყოველივე ამის საფუძველი იყო ხალხური ჩვეულება, ხალხური ტრადიცია.

ქართველი კაცი ოდითგან უდიდეს პატივს სცემდა გმირობას, ვაჟკაცობას, შრომასა და პატიოსნებას. საქორწილო სუფრაზე ამგვარი მოტივების შემცველი ლექსების თქმით ხალხი ახალდაქორწინებულთაც გმირული სულის, ვაჟკაცური შემართების, მტკიცე პატიოსანის, ერთგული და მშრომელი ოჯახის შექმნას შთაგონებდა. სწორედ ამ მსოფლმხედველობამ განაპირობა საგმირო-საისტორიო ხასიათისა თუ საყოფიერო და შრომის პოეზიის ნიმუშების ქორწილთან დაკავშირება.

საგმირო პოეზია საქორწილო ლხინის აუცილებელი ატრიბუტი იყო. ქორწილში სრულდებოდა საგმირო ბალადები: „შემომეყარა ყივჩაღი“, „ყაიხა შავერაშვილი“, საგმირო აფორიზმები და სხვა.

ხევსურეთში, როგორც საქორწილო სიმღერა, თავისებური მელოდიით ფიქსირებულია საუაჟაციო კოდექსის გამომხატველი გავრცელებული აფორიზმები: „ვაჟასა შენისთანასა ჯანა თუ აგრე სმა უნდა“ და აგრეთვე: „ცულსა ჩვენ კვალსა რად უნდა მზის დაცხრომამდე ხალილი“.

გმირს ხალხი არასოდეს ივიწყებდა, მითუმეტეს ქორწილში. ამიტომაც სვანეთში დიდი ისყვარულით მღეროდნენ „მირანგულას“, რადგან მირანგულას სახელი სვანებისათვის იყო ვაჟკაცობის სიმბოლო. ამ სიმღერით, როგორც აღნიშნა ლენტეხის რაიონის სოფ. ხელიდის მკვიდრმა გ. ბენდელიანმა, — „ისინი ერთგვარად მოუწოდებდნენ ახალდაქორწინებულთ, აღეზარდეთ მირანგულას მსგავსი ვაჟკაცები“.

ახვედ დამკვიდრდა თაღურო საქორწილო რეპერტუარში ზეზავის ლექსი, ფშავლებსა და მთიულეებში ჭარბის ციკლის, ზოლო კახეთში სოლომონ ბუტულაშვილსა და სოლოლაზე შემქმნილი ლექსები. აი, როგორ აღწერს საქორ-

წილო ლხინის დროს ამ ტექსტთა შესრულების მომენტს პატარძელუღი მთქმელი შეთე გიუნაშვილი: „ხო იცი, შემოდგომის ღამე გვარია დილია და გათენება გვიან მოდის. ეს გრძელი ღამე ხო უნდა გაათენონ. მარტო სმით ვერ გაატარებენ დროს, სუ რო სონ, დილაშენი ჩაიხიცებიან, ამიტომ თამადა ერთ საღვთაძელოა რო იტყვის, ერთი სიმღერის და თამაშობის უფლებამ აძლევს. ახლა ქართველებს გმირებს ვინ გამოუღვებს და სხედან და მღერიან იმ გმირებზე, ბუტულაშვილზე, სოლოლაზე. ესენი ჩვენი სოფლები იყვნენ რა, პაპარჩემ კარქად ხსომებია მათი ოჯახები“.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მთიულეთში საკმაოდ ხშირად წარმოსთქვამდნენ „ლომისას“ ლექსს. ამასთან დაკავშირებით 1971 წელს გულამყარში, სოფ. ჩოხში მოპოვებულ მასალებში ვკითხულობთ, — მოვლენ ნეფიონი, დაიძახებენ ფერხისას. ფერხზე შემოუვლიან და დაიმღერებენ „ლომისას“.

ქორწილში არც საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ გმირებს ივიწყებდნენ, უფრო მეტიც, სვანეთში საქართველოს საღვთაძელოს შემდეგ, როგორც წესი, თამარ მეფეს ალღერძმელებდნენ. როგორც თამარის ისტორიკოსები მოგვითხრობენ, იგი წმინდა სამების მეოთხე წევრად იყო მიჩნეული. ამდენად, ბუნებრივია, ჩვენში არც ქორწილი იქნებოდა მისი საღვთაძელო ლექსის გარეშე.

კახეთში დღესაც საქორწილო სიმღერა ისტორიული ხასიათის ლექსი „თამარ ქალი“, რომელშიც კონტამინაციის გზით, საუკუნეების მანძილზე თამარის შესახებ შექმნილი ლექსების ფრაგმენტები შერწყმია ერთურთს.

ახვედ დაუპირგავთ თავდაპირველი უანრის გაგება საისტორიო თუ ეპიტაფიური ხასიათის ლექსებს, როგორიცაა მაგ., „თამარ დედოფალი ვიყავი“, „აღე, თამარ დედოფალი“ და ბუნებრივ მაყურელთა რიგში მოხვედრილან.

როგორც ქს. სიხარულიძე მითითებს, საფიქრებელია, რომ ამ ლექსების გამოყენება სასაქორწილო ლხინში გამოწვეული იყო პატარძლის აღმნიშვნელი ხალხური ტერმინით — „დედოფალი“.

მეფე ერეკლეც ხევსურეთში ისე მიაჩნდათ, როგორც ღვთაება და, რა გასაკვირია, რომ მასზე შექმნილი ლექსები ხალხს სასიმღეროდ გა-

ეხადა და საქორწილო სუფრაზეც წარმოეთქვა.

საგმირო ხასიათის სიმღერა იყო აგრეთვე „ავთანდილ გადინადირას“, რომელიც ძირითადად შრომის პროცესში — ნადურში და თიხვიდან დაბრუნებისას სრულდებოდა ფერხულში. დროთა განვლობაში ამ ტექსტამაც ახლებური გააზრება მიიღო და მაჟრულ სიმღერათა რკალში მოექცა.¹¹

მაჟრულში „ავთანდილ გადინადირას“ შესრულებასთან დაკავშირებით ელ. ვირსალაძე რაქის სარესჩვეულებო პოეზიის განხილვისას შენიშნავს: „რაც მთავარია, ყველა ინფორმაციი ხაზს უსვამს მაჟრულში აუცილებლად „ავთანდილ გადინადირას“ შესრულებას“ და იქვე მოჰყავს მოქმედის სიტყვები: „რო ვიმღერებდით:

ნეტავე ნეტეს დედასო,

რა კარგ-რძალი მოგვეყავასო“.

მას აუცილებლად მოჰყოლებდით „ავთანდილ გადინადირას“.

ეთნოგრაფთა თუ ფოლკლორისტთა შრომებში არა ერთხელ გამოთქმულა მოსაზრება საქორწილო რიტუალის აგრარულ მაგიასთან კავშირის შესახებ, რასაც ხსნიან იმითაც, რომ ძველად საქორწილო რიტუალი მრავალ ქვეანაში კალენდარულად გარკვეულ პერიოდს უკავშირდებოდა, ჩვენშიც ქორწილს უმეტესად შემოდგომაზე იხდიდნენ, რასაც მატერიალური მდგომარეობით ხსნიან — ღარიბ გლეხს შემოდგომაზე. მოსავლის აღების შემდეგ, უფრო თანად შეედო ქორწილის გადახდა, ვიდრე წლის სხვა რომელიმე დროს. მაგრამ, შესაძლოა, ადრე საქორწილო რიტუალიც გაზაფხულთან, ბუნების განახლების პერიოდთან უფილიყო უშუალოდ დაკავშირებული და, ამდენად, საგაზაფხულო დღეობათა ციკლში შესულიყო. ვაჩა ამ დროს არ აღინიშნებოდა ძველი აღმოსავლეთის ღვთაებათა ქორწინებაც, რასაც სწორედ ეს დღესასწაულები უკავშირდებოდა, რომლებიც თავისთავად ზესენილისა და ჰესენილის შეხვედრას, მიწისა და ცის შეუღლების მისტიკიას, მიწის წვიმით განაყოფიერებისა და მცენარეთა აღმოცენების მისტიკიას წარმოადგენდა და, როგორც სამართლიანად შენიშნავს ელ. ვირსალაძე, ამ „ექსპატიურ მისტერიაში ადამიანთა ერობითულ აღტიშნებას ბუნების შესაფერის ძალთა აღძვრა უნდა მოჰყოლოდა შედეგად“. ასეთი მისტიკიები იმართებოდა სხენთში „ადრეილასის“ და საქმისაჲს“. ზოლო ცენტრალურ რაიონებში „დათვბერიკას“ საფერხულო თამაშობის სახით. ყველა ეს მისტიკა კი, რამდენადაც ცნობილია, ცისა და მიწის ქორწინებას წარმოადგენდა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა საგაზაფხულო ღვთაების სატრფოს, მოკვდავ გმირს, რომლის დაღუპვა და დატირება საგაზაფხულო დღეობათა ციკლში შედიოდა, მაგ. ბეთქილის დატირების სახით. ეს იყო საგაზაფ-

ხულო მსხვერპლი ქალღმერთისათვის შეწირული, მისი ნებით დაღუპული. ასეთი იყო ტარტესა და ატისის, იშთარისა და თამუხის მრავალი სხვა ღვთაებრივი წყვილის ამბავი, რომელთა წერხვით ჩვენი დალი და ბეთქილიც შედიოდნენ.

მკვლევარ გიორგი კალანდაძის აზრით, ავთანდილიც ნადირობის ქალ-ღვთაების მიერ არის დასჯილი ტაბუს დარღვევის გამო, მაშასადამე, იგი მსხვერპლია ნადირთ-ღვთაებისა.

ანალიზებს რა გ. კალანდაძის მოსაზრებას ელ. ვირსალაძე ასკვნის: „თუ ეს ასეა, ზომ არ შემოირჩა ეს უძველესი საფერხულო ლექსი ჩვენს მინორელს სათიბ სინდერებსა და საქორწილო პოეზიას, როგორც ამ საგაზაფხულო მისტერიაში შესასრულებელი ერთ-ერთი ძირითადი ლექსი, რადგან უფრო გვიან გამოყოფილმა საქორწილო პოეზიამ უამრავი რამ აგრარული კალენდარიდან შეიწვია და შეითვისა“.

მართლაც, საქორწილო პოეზია ყველაზე მეტად უკავშირდება შრომის სიმღერებს და საწესო კალენდარულ პოეზიას, როგორც გენეტკურად, ასევე ისტორიული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ კალენდარული ფოლკლორისაგან განსხვავებით, რომელიც ბევრად უფრო ნაყარი გამოდგა და შუა ფორმულასავით გადაეცემოდა თაობებს საუკუნეთა მანძილზე, საქორწილო წესჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული სიტყვერი ბელოვნება სწრაფად იცვლებოდა დროისა და გარემო პირობების (საზოგადოებრივი ფორმაციების) შესაბამისად. მან ძველიდან ბევრი რამ მიიღო და შეისისხლხორცა, ბევრი კი უარყო და წარსულს ჩააბარა.

ეს მსგავსება განსაკუთრებით შეინიშნება რიტუალის სტრუქტურასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საერთოდ მთავარია არა პოეტური ტექსტი, რომლის შესრულებასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც კალენდარული, ასევე საქორწილო რიტუალის დროს, არამედ თვით რიტუალი, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება ესა თუ ის ტექსტი. ასეთი სარიტუალო ცერემონიების მსგავსებას ვხედავთ ზოგიერთ საქორწილო და სახალწლო წესჩვეულებასთან დაკავშირებით, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს მათი შესაბამისი პოეზიის გენეტკურ კავშირზე.

ახალ წელს ოჯახის წევრები მიდიოდნენ წყალზე (წყაროზე, მდინარეზე), თან მიჰქონდათ პური, ყველი, ერბო, ქრიდნენ წყალში და ამბობდნენ:

წყალო, ნაყრი მოგართვი,

თუშუარი, საფუარი,

ამაფუე კაცითა და საქონლითა,

დამიწერე ჭვარი ნაქონსა და ნაყოლსა.

ასევე მფარველობას შესთხოვდნენ ქრისტიკ ღმერთს შობის დღესასწაულისა თუ ქორწილის

დროს და ანალოგიურ რიტუალსაც ასრულებდნენ.

კიდევ უფრო მეტი მსგავსება შეინიშნება სახალწლო თუ საგაზაფხულო, ჭონისა და საქორწილო დღეობის ტექსტთა შეპირისპირებისას. სამივე შენთხვევაში — სახალწლო, ჭონისა თუ საქორწილო პოეზიის ნიმუშებში — ნაყოფიერების, კეთილდღეობის, ზეავიანობისა თუ ბარაქიანობის სურვილები ერთი და იგივე ფორმულებით გამოითქმის.

სატრფიალო ლირიკისა და შრომის პოეზიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი არაერთხელ აღნიშნულა თანამედროვე ფოლკლორისტიკაში. ბევრი სატრფიალო ლირიკის ნიმუში შემნილთა შრომის პროცესში; განსაკუთრებით ეს ითქმის სატრფიალო-სალაღობო ლექს-სიმღერებზე. მართალია, ისინი შრომის პოეზიის საკუთრებას წარმოადგენენ, წარმოშობის თვალსაზრისით, მაგრამ ხასიათით მაინც სატრფიალონი არიან: მათში განსაკუთრებული ლირიზმით არის გადმოცემული ახალგაზრდა ქალ-ფაფთა სურვილები, მათი მიზანსწრაფვა; შრომის პროცესში ისინი ბევრად უფრო ლამაზები და მომხიბვლელები არიან.

შრომელი და გამარჯე აღმნიშნის საზოგადოებაში ყოველთვის პატივისცემასა და მოწონებას იმსახურებდა. განათხოვარი ქალისა თუ ცოლსათხოვი ვაჟის იდეალსაც სწორედ ასეთი პოეზიება წარმოადგენდა. შრომის, შრომელი აღმნიშნისაში პატივისცემის შედეგად საქორწილო რეპერტუარში დამკვიდრდა შრომის პროცესში, კერძოდ, მკის დროს შესასრულებელი ისეთი სატრფიალო ლექსები, როგორიცაა: „ნეტავი გოგოვ მე და შენ“, დიალოგური ფორმის „არ მინდა, ბიჭო, არ მინდა“, „ქალ-ვაჟის გასახულება“ და სხვა მრავალი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქორწილში ყველაზე მეტად მაინც სატრფიალო ლირიკის ნიმუშები ან სატრფიალო-სალაღობო ხასიათის ლექს-სიმღერები სრულდებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ძირითადად მაინც ახალგაზრდების ხელში იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში, ე. ი., ქორწილის მთელი სანახაობრივი მხარე.

აღსანიშნავია, რომ გარდა საყოველთაოდ ცნობილი, ზოგადქართული ლექს-სიმღერებისა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს თავისი საკუთარი რეპერტუარიც გააჩნდა, რაც მეტ ლეკოსა და ეშხს მატებდა ლხინს, რადგან ქორწილში ხშირად სხვადასხვა კუთხის ხალხი იყრიდა თავს და უცხო სიმღერა მათ კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, ერთ დროს იმერეთში ცნობილი „პეიავა“. როგორც ინფორმატორებმა გადმოგვცეს, ძველად ქორწილი უიოქმის ისე არ ჩაივლიდა, რომ ეს სიმღერა არ შეესრულებინათ. ვინაიდან მხოლოდ პოეტ დომენტი თომაშვილის მიერ წაწერილი ხელნაწერის სახით მოგვეპოვება სრული ტექს-

ტი დასახელებულ სიმღერისა, მოვიტანო მათ მთლიანად.

ქალაქუნა ბუტუნა...
გოგომ წამიბუტუნა...
მამამისმა გეიგონა...
რალა წაიდუღუნა, 1
დედამისმა გეიგონა... 1
თავში წაგეიტუტუნა... 3
აოა, შეილო, ასე მითხრა: 6
აოა, ჩემო კუტუნა... 11
წადით, ჯვარი დეიწრეთ... 3
მერე, ჩემო კუტუნა... 6
ღვეღმა ჯვარი გადაგვწერა,
რალა წაიბურღუნა. 3
შინ დავბრუნდი, ქორწილი ქნეს,
პაპამ დაიბუტუნა.
მაყრიონმა მაყრული სქევა, 3
ქურმა დაიგუგუნა. 1
მითი ფრთა ქათამი დაკლეს,
ზედ მამალი კუდუნა...
ერთი ქური ღვინო შესვეს...
ზედ არაყი გუდუნა.
პატარძალმა გადამოკლანა,
გულში ჩამიხუტუნა.

ყოველ სტროფს დასაწყისში ერთვის რეფრენი „პეი-პეი-პეიავა“ და იმღერებოდა ოკრიბული „პეი-პეის“ ხმაზე (ეს სიმღერა საქართველოს სხვა კუთხეშიაც არის ფიქსირებული, მაგრამ არასრული სახით).

სამეგრელოში ქორწილში შესრულებულ სალაღობო სიმღერათაგან აღსანიშნავია „სინჯა მურისა“ („სიძე მოღისო“) და „ჩაირამა“. ამ უკანასკნელს სხვა კუთხეებშიც მოეპოვება ვარიანტები და ამასთან საშაოდ განსხვავებულიც, რაც მის პოპულარობასა და ზოგადქართულობაზე მიუთითებს.

საქორწილო ცერემონიის დროს ხალხურ დრამატულ სანახაობას რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეკიბა, ამის დამადასტურებელია ქორწილში „ბერიკაობის“ შესრულება. „ბერიკაობის“ თვისებურ სახეს წარმოადგენდა აჭარაში საყოველთაოდ ცნობილი „ფადიკო ქოჩეგურა“, რომელიც აღ. მსხალაძის აღნიშვნით, განსაკუთრებით ზემო აჭარაში „ქორწილის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა.

ქორწილში ხშირად დაბამდნენ ხოლმე ფერხულსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია „პაი და ქაღებოს“ და „პაი და ვაუბოს“, „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“, და „ა, ნიშანი, მოგვე ქალის“ შესრულების ტრადიცია. გარდა ჩამოთვლილი ფერხულებისა, ქორწილში კუთხეებისდანთივით სრულდებდნენ აგრეთვე სხვა საფერხულობისაც: მაგ., ქართლსა და იმერეთში — „მადლი მახარობელსა“, აჭარაში — ვოკალური მუსიკის აკომპანიმენტზე — ცეკვა „მაყრულისა“ და „სუფრულის“, „გადახვევის“ დროს საცეკური: „პაი ნანი“ (ქედის რაიონში), „ნანი და ნანი“ მამაკაცთა წრეგახსნილი სახუ-

მარო ფერხული „ოპოი, ნანა“ (ხულოს რაიონ-ში სხალთის ხეობაში). ჩამოთვლილ საცეკვაო-თაგან, — როგორც აღ. მსხალაძე აღნიშნავს, — „უკელა საქორწილო არ არის, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ნტიცივდ დაუკავშირდა საქორწილო რიტუალს და ისინი უპირატესად მსოფლოდ ქორწილში სრულდება“. სამეგრელოში — „ჩა-გუნია, ჩაგუნა“, სვანეთში — „ლიდე“, „შინა ორგელი“, „იციბილ ბაციბილი“, „რაშოვდა“, „ბუბა ქაქურელა“ და სხვა.

ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქორწილში უკელაზე მეტად სრულდებოდა სატრფიალო, საღლოლო და საყოფიერო ლექს-სიმღერები. ასევე აღსანიშნავია, რომ არანაკლები პოპულ-არობით სარგებლობდა ამავე მოტივების შემც-ველი მცირე ზომის ლექსები — შაირები. ეს სახეობით ბუნებრივია, რადგან საერთოდ ტრა-დიციულად საქართველოში რაიმე თავყრილო-ბის დროს ხშირად იცოდნენ გაშაირება. აშის გარეშე, რა თქმა უნდა, არც ქორწილი ჩაივლ-იდა, ამიტომაც საქორწილო რიტუალში შაირის უანრმა იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი და-იჭირა, რომ მრავალი მათგანი მაყრულის სახ-ელწოდებითაც კი დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

საქორწილო შაირის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს ქალ-ვაჟის გაშაირება. შეიძლე-ბა ითქვას, რომ ამ მხრივ მთელი ციკლიც კია შექმნილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორში.

მღეროდნენ ძმობაზე, ურთიერთდანდობაზე, მეგობრობაზე, თავმდაბლობასა და პატიოსნე-ბაზე; მოკლედ, კაცურ-კაცობაზე.

ამავე თვალსაზრისით ამბობდნენ ანდაზებ-საც, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს პატარ-ძლისადმი მიმართულ სიტყვა-საღვებარძელოე-ბში.

განსაკუთრებით ქმრის მორჩილებას ჩაგო-ნებდნენ ქალს: „შინ რომ დეღამთილი არ გუა-ვდეს, დედაბოძს დაეკითხე“, ან: „ავია თუ კა-რგაია, ქალო, შენი ქმარია“.

ან კიდევ: „გახოვდეს, ქალი ქმრითაო, ცხვა-რი მითაო!“ — აფრთხილებდნენ პატარძალს თავისიანები.

მთიულეთში კი ღრმად იყვნენ დარწმუნე-ბული, რომ ცოლქმრობის საქმეს უფალი ღმერ-თი განაგებდა. ალბათ ამიტომაც ეუბნებოდნენ ახალდაქორწინებულთ:

„ცოლქმრობის საქმე ცაში რიგდებაო“ — და ამით ქალს მორჩილებისაკენ მოუწოდებ-დნენ.

საქორწილო ჩვეულებების ერთ-ერთ სახეს წა-რმოადგენდა „დაბა“ ანუ სასიძოს მიერ გა-მოცანების ამოსხნა, რითაც მოწმდებოდა ვაჟის გოწიერება.

ზოგიერთი მკვლევარი გამოცანის ამოსხნის წესს მაგიშმს უკავშირებს; მაგალითად, ი. სო-კოლოვის მიხედვით, იგი მიჩნეული იყო უწ-

მინდური ძალისხაგან თავდაცვის საშუალებად. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ქს. სიხავერდული იძუ შენიშნავს, მართებული არ უნდა ჰქონდეს წესის მაგიშნამდე დაუვანაო და გვთავაზობს თავის თვალსაზრისს: „ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დასაბუთებელი ჯვარის სიბრძნეში გამოცდასთან“.

გარკვეული როლი ეკისრებოდა, აგრეთვე, ქორწილში მცირე მოცულობის იგური ფორ-მის ზღაპრისაც, რომელიც ასევე სასიძოს უნდა ამოეხსნა.

საქორწილო სუფრაზე ხშირად ისეთ საცელე-სიო ლექს-სიმღერებსაც ასრულებდნენ, რომ-ელთაც ძირითადად ეკლესიაში ჭერის წერის დროს წარმოთქვამდნენ. ასეთთა რიცხვს განე-კუთვნება: „ისაია მზიარული“, „ქორწილი წნი-და“, „განელა სასძლო“ და სხვ.

მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქორწ-ილში სრულდებოდა აგრეთვე ისეთი რელიგი-ური ხასიათის ლექს-სიმღერები, რომელნიც თავდაპირველად მხოლოდ რელიგიური დღესა-სწაულების დროს წარმოითქმოდა: მაგალითად, „წმინდა გიორგი, ცხოველო“, „ქრისტე აღსდ-გა“ და სხვ. აი, რას მოგვითხრობს ლენერტის რაიონის სოფ. ხელდეში მცხოვრები იასონ ჩა-რქსელიანი: — „ღმერთის სახსენებლად სვანე-თში ქორწილში მღეროდნენ „ლაღაშედას“.

ეს სიმღერა ღმერთის სადიდებლად ითქმე-ბოდა ქორწილში. გვათქვია საგალობელიც: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“.

ქრისტე აღდგა მკვდრეთით
სიკვდილთა სიკვდილისა დამთრგუნველი.
დამსაფლავებელი შინათა,
ცხოვრების მომწ-ჭებელი“.

ქრისტეს საგალობლის შესრულება ქორწი-ლში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დასტურდება.

უანრთა დიფუზიის საუკეთესო სურათს წა-რმოადგენს ისეთი რელიგიური ხასიათის ნაწ-არნოების შესრულება ქორწილში, როგორიცაა: „შენ ხარ ვენახი“ და „სიყვარულმან მოგვიყვა-ნა“. პირველი ტექსტით დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თემაზე, რომელიც სახა-რებიდან მომდინარეობს, მეფე დავით აღმაშე-ნებლის ჯავს დემეტრეს¹ დაუწერია იამბიკო, რომელსაც ეკლესიაში საუკუნეთა მანძილზე წარმოითქვამდნენ მარიაშ დევისმშობლის საღ-იდებლად. დროთა განმავლობაში აღნიშნული საგალობელი დაკავშირებია როგორც სამგლოვ-იარო, ისე საქორწილო ცერემონიას; იგი ჭვრისწერის დროსაც სრულდებოდა. ლექსს თანდათანობით საერთო ელფერი მიუღია და ხალხში საწინგველდო სიმღერის სახით და-მკვიდრებულა (მუსიკათმცოდნეებიც მას გან-იხილავენ როგორც საქორწილოს.) საილუსტ-რაციოდ მოვიტანთ როგორც დემეტრესეულ ტექსტს, ასევე ხალხურ ნიმუშს.

დემეტრესეული ტექსტი:

შენ ხარ ვენახი ახლად აღუყავებელი,
ნორჩი კეთილი ედემში დანერგული,
ალეა სურნელი, სამოთხით გამოხრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გგობს ქებული,
და თვით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული.

ხალხური:

შენ ხარ ვენახი,
ნორჩი, კეთილი
ალეა სურნელი,
ღმერთმან შეგამკო
ახლად აყვავებულ
და თვით თვისით
მზე ხარ გაბრწყინებული.

აღნიშნული თვალსაზრისით კიდევ უფრო
საინტერესოა მეორე საგალობელი „სიყვარულ-
მან მოგვიყვანა“:

სიყვარულმან მოგვიყვანა
უფალმან ბეთანიალ ლაზარესა,
ხოლო შენ ზთაებრ აღადგინე
ოთხისა დღისა მკვდარი
ჯოჯოხეთად, ეთარცა
მოწყალე ხარ!

თუ პირველ ნიმუშთან დავკვირებით სავა-
რაულოა ეფიქროთ, რომ გარკვეული პოეტუ-
რი სახეების შედეგად შესაძლოა იგი დაკავში-
რებოდა საქორწილო ცერემონიას (რომ პა-
ტარძალი ალვია სურნელი, ვენახი ახლად აყვა-
ვებული, მზე გაბრწყინებული, რომლის უმჯო-
ბესიც არავინაა ამ ქვეყნად), ეს არ შეგვიძლია
ვთქვათ მეორე საგალობელზე, რომელსაც ში-
ნარსობრივად არაფერი აქვს საერთო ქორწი-
ლთან და წმინდა რელიგიური ხასიათისაა. მა-
გრამ როგორც ეტყობა, იმდენად ხშირი იყო
მისი შესრულება ქორწილში, რომ ტრადიცი-
ული შინაარსისა და მუსიკალური ფორმის (ხამ
ხმაზე იმღერებოდა) შენარჩუნების მიუხედავ-
ად, მას მაინც ახალი გააზრება მიუღია და სა-
ერო სიმღერად ქცეულა (რასაც მოწმობს თვით
სათაურის შეცვლა — „საქორწილო საგალობე-
ლი“. — ასე უწოდებდნენ მას შემდგომში). რო-
გორც მისი ჩამწერი, ხალხური სიმღერების შე-

სანიშნავი შემსრულებელი ანანია (ანანიო) ერ-
ქომაიშვილი აღნიშნავს, „გურიაში ლხინის სიმღერა-
ფრა ყოველთვის ამ სიმღერით იხსენებოდა“.

„შენ ხარ ვენახის“ ტექსტს ერთგვარი ახსნა
უკვე მიეცეთ, მაგრამ აქვე გვინდა სხვა ვარა-
უდიც წამოვაყენოთ.

ლექსია საუბარია ვაჟსა და ვენახზე. უძვე-
ლესი რწმენების თანახმად, ვაჟი და ვენახი ნა-
ყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა.

ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ ვაჟი და მა-
რანი ნახსენებია ქართველთა უძველეს საგალობ-
ელში „იფანანა“, ვაჟი იხსენიება აგრეთვე
„ლაშარის სიმღერაში“ (თუშების უძველეს სა-
გალობელში), რომელიც საკულტო ორსართ-
ულიანი ფერხულის სახით სრულდება. ამ სი-
მღერას მრავალი ვარიანტი ეძებნება. ეს ვარი-
ანტები მოგვითხრობენ, რომ ღვთისშვილის
კარზე („ბატონის“, „წმინდა გიორგის“, ანდა
„წმინდა თევდორეს კარზედა“) „ხე ალვად“,
„ხე ალვა“, ან „ალვის ხე ამოსულაო“, ამ ხე-
ზე ახვეულია ვაჟი, რომელსაც მწიფე ყურძე-
ნი ასხია და „მაგის ნახვევი“, „მაგის შემცოდე“
ანდა მაგის უკმელი ქალ-ვაჟი (ან „ქაბუჯი“)
უღროოდ დაშალაო.

მოტიანილ ვარიანტები ცხადყოფს, რომ ამ
საქნეს საფერხულო სიმღერაში, პირველ ყოვ-
ლისა, აღბეჭდილია მოსავლიანობის, საქონლისა
და ადამიანის გამრავლების მფარველი სათემო
ღვთაებების, ე. წ. ღვთისშვილებისადმი მიმარ-
თვა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვაჟი ნაყოფი-
ერების ატრიბუტია, ალვის ხე სიცოცხლის ხეს
განასახიერებს.

ისმის კითხვა: — ზემოდასახელებულ ლექსში
იგივე გააზრებასთან ხომ არა გვაქვს საქმე? მა-
რამ ღვთისშობელს შვილოსნობას შესთხოვ-
დნენ, ე. ი. იგი იყო შვილოსნობის, ნაყოფიე-
რების მომნიჭებელი. ამიტომ ადვილი შესაძ-
ლებელია, ვაჟთან შედარება მისი ფუნქციის
მიმანიშნებელიც ყოფილიყო. ამავე თვალსაზ-
რისმა, სავარაუდოა, აღნიშნული საგალობელი
პატარძალთანაც დააკავშირა.

წვენი მისამართი: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 89-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32,
პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35,
პროზის — 72-26-80, „ცეცხლის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 5. 12. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 02. 86 წ. ქალაქის ზომის
70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ.
თაბახი 15.85. შეკვ. 2893. უფ 06303. ტირაჟი 60.000.

საქართველოს კ. ც. -ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

69/14



ფან 60 კპპ.

050000 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ